ჯორჯოხი



ლალი კონცელიძის ნახატი

4 2022

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 64-ე წელი | ივლისი-აგვისტო | №4 | 2022 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2022

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲞᲠᲝᲖᲐ

სანდრო ბერიძე – ლექსები 3
ქეთი გაგინაშვილი – მოთხრობები 9
რობერტ ნადირაძე – ლექსები 22
ვენერა ხურციძე – ლექსები 28
ეთერ დეკანაძე – „მე არც წარსულის, არც მომავლის, არ მეშინია“ 35
მარიკა ლაშხია – ლექსები 42
მიხეილ ქოპილაშვილი – ლექსები 45
მიხეილ მახარაძე – ორი ტკივილიანი მოგონება 47
მაია გელაშვილი – ლექსები 50
ლალი ორმოცაძე – დავიღალე... (მოთხრობა) 52

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ირმა ვადაჭკორია – ჰაიკუ – იაპონური პოეზიის მარგალიტი 58
– კაზუო იშიგუროს „არასოდეს გამიშვა“ 67
თინა შიოშვილი – ანა კალანდაძის შემოქმედება და ფოლკლორი 71
თეონა კეკელიძე – „ამირანიანის“ შერეული ვარიანტების ტრანსმისიის პრობლემისათვის 79

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ოთარ გოგოლიშვილი – რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში 89
გიორგი ქავთარაძე – რევოლუციის დასასრული – სამართლიანობისა და პროგრესის კოლიზია 92

ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ

შორენა მახაჭაძე – პოეტი-ქალის შემოქმედებითი პორტრეტი 102
მალხაზ ჩოხარაძე – კვირტებივით გამოსხმული დარდი 114



ᲡᲐᲜᲓᲠᲝ
ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲒᲐᲥᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ

* * *

მობრუნდი, სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე
გაქვავებული ისტორიები...

ხომ გახსოვს,
ჩემი კლასელი გოგო,
გოროზი მთების ამაყი მადონა,
შავ-ხალ-წარბა და წაბლისფერთმიანა,
პირველყოფილი
ტყიური ჭალების ვენერას რომ ვეძახდი,
კლასელ ბიჭებს რომ
სიყვარულზე მეტად გვიყვარდა,
მამამისმა კი,
ცოლმკვდარმა და პირქუშმა მამამ,
შებერებულ და ხელსარფიან კაცზე დანიშნა...
იმ შავ წელიწადს,
ბოლო ზარის რომ წვიმიანი იყო წინადღე,
და დილით კრავებს მიდენიდა იალაღისკენ,
ტრიალ ჭალაში,
მეხმა მოკლა ბედდამეხილი.

დღეს იმ გოგონას დაბადების მდუმარე დღეა.

* * *

მობრუნდი, სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე
გაქვავებული ისტორიები...

შენ უსახელო
ცის პოეტიც გემახსოვრება,
არმიწიერი მიწიერად დაბადებული,
ყველაზე ბევრს რომ თხზავდა,
მაგრამ არაფერს წერდა.
ბავშვთა სახლიდან
დიდ პრიუტში გამოქცეულმა,
გამუზეუმებული სიყვარულის ნაპირებიდან,
ვერ მიაკვლია მესამე ნაპირს
და შარიანი მარტის ღამის გათენებისას,
ცხელ შუბლში ცივი ტყვია იგლიჯა.

დღს ამ პოეტის
თვითმკვლელობის მწუხარე დღეა.

* * *

მობრუნდი სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე
გაქვავებული ისტორიები...

„კალოპირაში“,
ჩემი სოფლის სასაფლაოზე,
ხანდაზმულთ შორის ბავშვი წევს ერთი,
დედ-მამის ერთა,
გაწყვეტილი ბიოგრაფიით,
რომელიც, (მახსოვს), ოცდაორ მაისს,
აკვანში ჭრელმა გველმა დაგესლა.

ამ ბავშვის დედა გაასვენა გუშინ სოფელმა.

* * *

მობრუნდი სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე
გაქვავებული ისტორიები...

ამოდის ნისლში 1967...
გვანცას კლდეებზე გაწოლილი ტანსრული მთვარე...
ღვინობის თვე და ბრმა-ყრუ სოფელი...

და კიდევ...
ღამით გაშლილ სეფაში
დოლ-კლარნეტით რომ ქუხდა ქორწილი...

და კიდევ...
ნეფე-დედოფლის წყვილი,
„ტვისტში“ გადასულ „სემ-სოროკს“ რომ ცეკვავდა ერთად...

და კიდევ...
სისხლში მცურავი ნეფე,
დანით რომ მოკლა ხელისმომკიდემ,
ყმაწვილობიდან პატარძალზე შეყვარებულმა.

და კიდევ...
სოფლის ბებერთა ბჭობა,
ჭირი და ლხინი რომ არიან თურმე ტყუპები,
და შარიათის წესის თანახმად,
პატარძალს საქმროდ ერგება მაზლი...

და კიდევ...
ვაშლი, ლიტრიკას ვაშლი...
ტოტზე თოკი და დედის კივილი,
და მოფარფატე ტოტებში ფატა...

რა კარგი გოგო იყო, გულნარა.

* * *

მობრუნდი სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე
გაქვავებული ისტორიები...

არ დამავიწყო 2012 წელი,
ისტანბული და რეჯების მთვარე,
„ოქროს რქა“ და „ჰოტელ ლოორი“...
და კიდევ კოშკი,
ბოსფორის ტალღებს გადამყურე „გალათას“ კოშკი,
და კიდევ
კოშკის მეცხრე სართული,
ღამის კლუბი და...
ღია ფანჯრიდან
გადაფრენილი თურქი ჰურია,
მინი-კაბით რომ დასცინა და ჰიჯაბს გაექცა.

* * *

მობრუნდი, სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე,
გაქვავებული ისტორიები...

კეთილშობილი
ავაზაკის ეკლესიასთან,
მოშრიალე და მოფრიალე ხეების ჩრდილს ქვეშ,
შეზვინულია სამი საფლავი:

პირველში
მშვიდად განისვენებს შლეგი პოეტი,
გამჩენის გერი, მოჯანყე და ოპოზიცია,
ერთ დროს,
სიტყვებთან მებრძოლი და ქარის მდევარი...

მეორე საფლავს
შეხიზვნია უღმერთო კაცი,
პარტორგ-პარტკომი და ათეისტი,

სიბერისას რომ
თეიზმისკენ იბრუნა პირი
და გაინაღდა განდობილთა საძმოს წევრობა...

მესამეში კი...
განისვენებს ცნობილი ბოზი,
მოსწავლეებს რომ უკითხავდა ხოლმე ლექციებს,
ეთიკაზე და ესთეტიკაზე,
ზნეობაზე და წმინდანობაზე,
რომლის გულ-მკერდზე სეირნობდა მთელი ქალაქი...

ეკლესია კი...
კეთილშობილი ავაზაკის სახელობისა,
როგორც სულისა და უფლის სახლი,
ააგო კაცმა-ფარისეველმა.

„და აჰა, ვცანი –
ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა“.

შენ გაგიმარჯოს, ეკლესიასტე!

* * *

მობრუნდი, სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე,
გაქვავებული ისტორიები...

სიყვარულის და წყევლის ქალაქში,
20 და 20-ის
მეცხრე კვირაძალს,
სიყვარულს
წყევლის პანდემია რომ შეესია,
სასაფლაოზე,
ქალაქზე მიბმულ, ქალაქისტოლ სასაფლაოზე,
აყალო მიწით შეზვინულ საფლავს,
დრომ წააწერა ეპიტაფია:

„ქალღმერთის დარი და ქალზე მეტი,
აქ განისვენებს ძვირფასი ლედი.

მისი მშვენება, ჯალათზე მეტმა,
სიკვდილს მიართვა კოვიდ-ცხრამეტმა.

ჰე, ისტორიავ, მოასხი პლედი,
არ შეამცივნო ძვირფასი ლედი“.

* * *

მობრუნდი სიტყვავ,
ნუ გამირბიხარ თოფნასროლი ნიამორივით,
გამაცოცხლებინე
გაქვავებული ისტორიები...

ამ თეთრმა წყვილმა,
ეპოქა რომ წელში გატეხა,
ორივე ერთად კვირაძალზე რომ აღესრულა,
და დღეს საფლავში
გვერდი-გვერდ რომ განისვენებენ,
იცხოვრა ერთად 107 წელი.
გუშინწინ ამ წყვილს,
საიმსოფლადაც განუყოფელ წყვილს,
მათ მიერ შექმნილ საოჯახო იმპერიაში,
შემოემატათ ასმეშვიდე შთამომავალი.



ქეთი გაჯინაშვილი

წყარო

– ქარხანაში უფროსი ხაარ შენა? – მანქანიდან გადმოსულიც არ ვიყავი, რომ ამომიდგა გვერდით პატარა ბიჭი.

– კიი, უფროსი ვარ და შენ საიდან იცი? – გავიკვირვე.

ამ პროვინციაში ორი დღის ჩამოსული ვიყავი, სასტუმროს მეპატრონის გარდა არავინ მიცნობდა და, როგორც მახსოვს, არც მისთვის მითქვამს, რომ ქარხნის ახალი ხელმძღვანელი ვიყავი.

ღიმილით ამომხედა:

– ასეთი მანქანები უმცროსებს არ ჰყავთ. – გამომაჯავრასავით საუბარში.

მეც გამეცინა. პატარა კაცი იყო. ჩამრგვალებული, შავტუხა ლოყები ჰქონდა. შუბლზე დაყრილი მუქიჩალისფერი თმა და ქარვისფერი ნათელი თვალები. ასე ცხრა-ათი წლის იქნებოდა. სუფთად, მაგრამ დაუდევრად ეცვა, აცა-ბაცა შეეკრა ღილები.

– ტატო! – გამომიწოდა ხელი.

– დემეტრე! – მეც შევაგებე მარჯვენა.

– ანუ დემურა. – თავი გვერდზე გადახარა და ცალი თვალი მოჭუტა.

– არა, დემეტრე. – გამეცინა და თმაზე მივეფერე.

– ჰო, იგივეა რა. – ფეხსაცმლის წვერით მიწა ამოჩიჩქნა და ჯერ თავის შელახულ სანდლებს დახედა, მერე ქურდულად ჩემი ფეხსაცმელისკენ გამოაპარა მზერა. ხელი ჩაიქნიასავით და ზურგი მაქცია.

ტატო მეორე დღეს წყაროსთან შემხვდა. შემომჯდარიყო წყაროს თავზე, ფეხები გადმოეკიდა და ჰაერში ათამაშებდა.

– სალამი, ტატო! – მივესალმე ჩემს ნაცნობს.

– გაუმარჯოს. – ხელი ამიწია და მიწაზე ჩამოხტა.

– აქ რას აკეთებ ამ დილა უთენია?

მხრები აიჩეჩა.

– შენა?

– მე? – დავიბენი. სიცხემ არ დამაძინა, სასეირნოდ გამოვედი და გზა ამებნა. შემრცხვა ამხელა კაცს გამოვტყდომოდი, დავიკარგე-მეთქი და ვიცრუე, – წყლის დასალევად მოვედი.

– ჰო, კარგი წყალია, გემრიელი. – მითხრა და ისევ წყაროს თავზე მოექცა.

– რომელ კლასში ხარ, ტატო?

– მეხუთეში უნდა მივიდე.

– ვა, რა დიდი ბიჭი ყოფილხარ.

– დიდი არა ისეა. – კეფა მოიფხანა.

– დიდი ხარ, აბა რა, უკვე მეხუთეში უნდა მიხვიდე.

– დიდი რომ ვიყო, სკოლაში აღარ ვივლიდი.

– არ გიყვარს სკოლა? – გამომცდელად შევხედე.

– ისე რა.

– რატომ მერე, უნდა ისწავლო. მშობლები გაახარო. აი მე შენი ტოლა რომ ვიყავი, მაშინ ნიშნებს არ გვიწერდნენ, მასწავლებელს ასეთ მომრგვალებულ ქაღალდზე, – ხელისგულზე თითით წრე შემოვხაზე, – ყვავილები და ვაშლები ჰქონდა დახატული. თუ გოგო მოყვებოდა გაკვეთილს კარგად, იმ ყვავილს ამაგრებდა მკერდზე, თუ ბიჭი – ვაშლს. ჰოდა, თავს ვიკლავდი სწავლით, რომ ის ვაშლი მოეცათ და მერე მოვრბოდი სახლში, უბანში შემოვიდოდი თუ არა, ავყვირდებოდი: დედაა, დეეედა... გამოდიოდა დედა ჭიშკართან, გამოდიოდნენ მეზობლებიც. იდგა დედაჩემი ისეთი ამაყი, თავმომწონე. მე კიდე ეს მიხაროდა ყველაზე მეტად, დაიხრებოდა, ლოყაზე მაკოცებდა და ყურში ჩამჩურჩულებდა: ყოჩაღ, ჩემო ბიჭო! დღემდე, აი, ახლა ხომ დიდი კაცი ვარ, ყველაზე მეტად ის სიხარული მახსოვს, რასაც მაშინ ვგრძნობდი. ასე რომ, ტატო, შენც უნდა ისწავლო და გაახარო დედა. – ჩემს ოცნებებში ისე გავერთე, მხედველობიდან გამომრჩა, როდის შეწყვიტა ჩემი მოსმენა ტატომ. ახლა ის იჯდა, საკუთარ ხელებს დაჰყურებდა და სადღაც შორს, ძალიან სხვაგან ფიქრობდა.

– ტატო, – არც კი განძრეულა, – ტატო, არ მისმენ, ბიჭო?

შემომხედა. თვალები ქარვისფერი აღარ ჰქონდა. თითქოს ტატო 10 წლის ბიჭიც აღარ იყო. კაცი იდგა ჩემს წინ, დიდი, სევდისფერი მზერით.

– წყლის დალევა დაგავიწყდათ. – შემახსენა ჩემი ტყუილი.

– უი, ჰო. – კამკამა წყალი მოდიოდა, პეშვი კი შევუშვირე, მაგრამ გადავღვარე, რაღაც აღარ მწყურია-მეთქი.

ტატო ისევ ჩამოხტა თავისი „საბრძანებლიდან“ და შენი სასტუმროსკენ საქმე მაქვს და ბარემ ერთად წავიდეთო, – ახლა მან იცრუა და მე არ შევიმჩნიე, რომ ტყუილს მივუხვდი.

სამსახურში ბევრი პრობლემა დამხდა და საქმეებში ჩავერთე. ზაფხული მიილია, ქარხნიდან შუაღამემდე ვერ გამოვდიოდი. იქ, სადაც მე ცხოვრება მიწევდა, გასართობი ბევრი არაფერი იყო, ამიტომ სამსახურიდან პირდაპირ სასტუმროში მივდიოდი და ჩემს პატარა ნაცნობს აღარ შევხვედრივარ. ორი თვეც იქნებოდა გასული სოფელში ჩემი მისვლიდან და კბილი ამტკივდა. არ მომასვენა მთელი ღამე. ინათა თუ არა, აფთიაქში წავედი.

ჩემი გასაჭირი მადგა, ტვინში მირტყამს ტკივილი, თან იმაზე ვფიქრობ, ამ უპატრონო სოფელში იმედია ნორმალური წამალი მაინც არის-მეთქი და როგორც ჩანს ამ ფიქრებში გართულმა ჩავუარე ტატოს გვერდით და მისი მისალმება ვერც კი გავიგე.

წამალი იქვე დამალევინეს. ცოტა დამშვიდებული გამოვდივარ და კართან დოინჯშემოყრილი ტატო დგას.

– ესე იგი, უფროსები როცა ხდებიან ადამიანები, ბავშვებს ვეღარ სცნობენ! – ისეთი საყვედურით მითხრა, შემრცხვა. მოვუბოდიშე, მოვიკითხე. სკოლაში რატომ არ ხარ-მეთქი. რა ვიციო, დღეს ვერ წავედიო, – მხრები აიჩეჩა. შემოდგომის პირი იყო, ჟინჟღლავდა. თხელი მაისური ეცვა და აბუზული ჰქონდა მხრები, შეციებული ბეღურა გამახსენდა.

– გაცივდები, წადი სახლში.

– იყოს, ვიქნები.

– ოოხ, შე ონავარო. – ცხვირზე წავკიდე ხელი, შატალოზე თუა და ეშინია-მეთქი მშობლების. კბილი გულს მიწვრილებდა ტკივილით და ვიფიქრე, თან შევიფარებ ტატოს და თან იქნება გულიც გადავაყოლო, გავერთო და ტკივილი გადამავიწყდეს-მეთქი.

– არ გინდა ქარხანა დაგათვალიერებინო? – საიდუმლონარევი ხმით ვკითხე. თვალები გაუბრწყინდა. სიხარულით ჩახტა მანქანაში.

ერთად ვისადილეთ, ყველა დანადგარი თავად დავათვალიერებინე. ყველა დაზგასთან მივიყვანე. 150 თანამშრომელი მყავდა, ზოგს კარგად ვიცნობდი, რამდენიმეს სახელი ვიცოდი, უმეტესობა კი მხოლოდ სახეზე თუ მეცნობოდა. გაოცებული დავრჩი, როცა ტატომ ყველა სათითაოდ მოიკითხა, ყველასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა, ზოგს ფეხმძიმე ცოლის ამბავი ჰკითხა, ზოგს დასეტყვილი ვენახის, ჩემს მოადგილეს მოუბოდიშა, გავიგე ბებო რომ მოგიკვდა და ვერ მოვედიო.

– ბიჭო, შენ ყველას როგორ იცნობ? – ვკითხე გაოცებულმა.

– ეს, ბატონო დემეტრე, ჩვენი სოფლის „მაყურებელია“, ამის გარეშე არაფერი ხდება. – მითხრა ბრიგადირმა ვალიკომ.

ტატო მთელ დღეს დარჩა ჩემთან. მითხრა, ძალიან მომეწონა შენი ქარხანა, მაგრამ მე მაინც არ მინდა დირექტორობაო.

– რატომ, ბიჭო, არ მოგწონს ჩემი კაბინეტი?

– იი, – გაეცინა ტატოს, – როგორ არა. ძალიან მაგარია, – შემომცინა და ხელისგული გადაუსვა ტყავის სავარძლებს, – ასეთი არც მინახავს.

– აბა, რატომ არ გინდა დირექტორობა?

– არაფერს აკეთებ და იმიტომ.

– ეე, – ახლა მე ავქაჩე წარბები, – ამას უყურე ერთი! აბა, ამხელა ქარხანა რომ ნახე, ვინ ამუშავებს შენ თუ იცი?

– ვალიკოი, პუნტურაი, მანოი, დათიკაი... – ჩამომითვალა ჩემი მუშების სახელები.

წარბები შევჭმუხნე.

– და მერე შენს ვალიკოს, პუნტურას, მანოს, დათიკას რომ არ ვუთხრა რა გააკეთონ, იცი რომ ეს ქარხანა დაიხურება?

– არა მგონია. – მითხრა სერიოზულად.

გამეცინა ჩემს პატარა მეგობარზე.

– აჰა, გამოდის, რომ უსაქმური ვარ. – შევხედე გამომცდელად.

– უსაქმური არა, მაგრამ უსაქმურად კი ხარ. – მითხრა დაფიქრებით.

– ჰა ჰა ჰა ჰა. – ახლა მართლა დამავიწყდა კბილის ტკივილი.

ეტყობა ჩემმა მხიარულებამ უფრო წაახალისა, წამოდგა, მაგიდასთან დაიხარა, თითები ისე მოიმარჯვა, თითქოს კალამი სჭეროდეს, წარბები შეჭმუხნა და უხილავ ფურცელზე წერა დაიწყო:

– ასე მეც კი ვწერ სკოლაში, მაგრამ გატეხილ მერხთან ვზივარ და არც დირექტორი მქვია, ხელფასს კი არა, სამიანსაც არ მიწერს თათია მასწავლებელი.

– კარგი, ესე იგი ჩემი სამსახური არ მოგწონს, მაშინ მითხარი შენ რა უნდა აკეთო.

– მეხანძრე უნდა გამოვიდე! – დასერიოზულდა უცბათ.

– ვაა, შენ რა მამაცი ბიჭი ყოფილხარ!

– მაგარია ხო? – გაუხარდა, არჩევანი რომ მოვუწონე.

– კი, ყველაზე კარგი პროფესიაა.

– თუ ყველაზე მაგარია, მაშინ შენც გახდი მეხანძრე!

– მე? – დავიბენი, აღარ ვიცოდი რა მეთქვა.

– შენ არ ხარ მამაცი? – მკითხა გაოცებულმა.

– მგონი ვარ. – და რაღაცნაირად უსუსურად ვიგრძენი თავი. მინდოდა საუბარის შეცვლა, – შენ, რატომ გინდა მეხანძრეობა?

– ყველაზე ძალიან სიკვდილისას ადამიანებს მაშინ სტკივათ, როცა იწვებიან. თუ მაინც უნდა მოკვდეს ვინმე, არ ჯობია, რომ წყალი მიასხა და ჩამქრალი მოკვდეს?

ვააჰ, რა უცნაური ბავშვია, გავიფიქრე და კიდე კარგი, ჩემი ასისტენტი შემოვიდა, სტუმარი გყავთო და გადამარჩინა. ტატოს მოვუბოდიშე, გარეთ დამელოდე, ამ კაცს დაველაპარაკები და მერე წავიდეთ-მეთქი.

შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა, ექსპორტის თემებზე გვქონდა გარკვეული საკითხები გადასაწყვეტი და რომ გამოვედი კაბინეტიდან, უკვე ბინდი შემომძვრალიყო დერეფანში, ტატოს კი მაგიდაზე ჩამოეყრდნო თავი და ეძინა. გავაღვიძე, მოვუბოდიშე, ხედავ სულაც არ ვარ უსაქმური, იმდენი საქმე გავაკეთე, რომ ძილის გამოცხობაც კი მოგისწვრია-მეთქი.

– წავიდეთ ახლა, სახლში მიგიყვან, დედაშენს უნდა მოვუბოდიშო, რომ ასე შეგაყოვნე, ალბათ შეეშინდებოდა. – ასისტენტმა დაახველა.

– წყალი ხომ არ გინდა, თამუნა? – შევწუხდი, ისე ახვლებდა. არაო, თავით მანიშნა.

მე ისევ ტატოს მივუბრუნდი:

– ბრაზიანი დედა ხომ არ გყავს, ძალიან ხომ არ მეჩხუბება?

თამუნა მიხვდა, რომ ხველებით ვერაფერს გამაგებინებდა:

– ბატონო დემეტრე, ტატოს დედა არ ჰყავს. – ენის ბორძიკით დაასრულა წინადადება.

ცივი წყალი გადამასხეს თითქოს. ვიგრძენი, როგორ გამეყინა სხეული.

– ტატო ჩემი მეზობელია, ერთად წავალთ.

არც მახსოვს დავეთანხმე თუ არაფერი მითქვამს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მთელი ღამე არ მძინებია. დილა გათენდა თუ არა და სამსახურში მივედი, თამუნა ვიხმე:

– თამუნა, ერთი ტატოს ამბავი მომიყევი.

– ოო, საოცარი ბავშვია ტატო, – გამიღიმა თამუნამ, – დედა რომ დაეღუპა, სამის იყო. მამამ მიატოვა, ვიღაც ქალს გაედევნა, ეს დარჩა ასე. მთელი სოფელი ვზრდით. ყველა იცნობს. ისეთი ბავშვია, გამორიცხულია რამე გთხოვოს, ან ხელი წაუცდეს, არასდროს არაფერს მოჰკიდებს ხელს, თუ შენ არ შესთავაზე.

– არავინ ჰყავს?

– კი, მოხუცი ბებია, მაგრამ ის საწყალი საკუთარ თავს ძლივს უვლის.

– ვაა, – ძალიან შევწუხდი, – დედას რა დაემართა?

– დაიწვა.

– რა?

– ხანძარი გაუჩნდათ, ბატონო დემეტრე. ისეთი უბედურება იყო. ტატოს მამას საყვარელი ჰყავდა, თითქმის არასდროს იყო სახლში. ერთ ღამეს, ვიღაცამ ბენზინი მიასხა სახლს და ცეცხლი მიუკიდა. ყველას გვეძინა და სანამ გამოვფხიზლდით, უკვე დაგვიანებული იყო. მოხუცს გამოუსწრია სახლიდან. ელეს და ტატოს მეორე სართულზე სძინებიათ. ელემ ვერ შეძლო გამოსვლაო. რა ვიცი, ცოდვაა დაბრალება, მაგრამ ამბობენ, იმ ქალის ნახელავი იყოო, საყვარლის, კარი ჩაუკეტა გარედან ელეს და ბავშვს და ცეცხლი მისცაო სახლს. ისე წიოდა, ვერაფერს გავხდით. საწყალმა, ფანჯარა გამოგლიჯა და ბავშვი გადმოაგდო. სულ დალეწილი ჰქონდა ძვლები, მაგრამ გადარჩა. ელემ ვეღარ მოასწრო გადმოხტომა. ცოცხლად ჩაიწვა...

ზამთრის ბოლოს დაიხურა ქარხანა. და მას შემდეგ წლები ვცდილობდი დამევიწყებინა ეს ამბავი. ჩემს ყველაზე კოშმარულ სიზმრებში ვხედავდი ცეცხლწაკიდებულ სახლს და ქალის წივილი მესმოდა, რომელსაც გულზე პატარა ჰყავდა მიხუტებული. მანამდე კი სანამ ქარხნის დირექტორი ვიყავი, ტატოს ყოველ დღე ვნახულობდი, ტანსაცმელსა და საჭმელს ვყიდულობდი, ქარხანაში დამყავდა,

ასე ვთქვათ, ვძმაკაცობდით. მივეჩვიეთ ერთმანეთს. წამოსვლა კი ისე მომიხდა, დამშვიდობებაც ვერ მოვასწარი. აირია აქეთ ამბები, ვინ ვის ესროდა, ვინ საით მხარეს იდგა ვერ გაიგებდი, მოკლედ გადატრიალება იყო, ვის ეცალა ქარხნისთვის, ვისაც როგორ შეგვეძლო, ისე ვიბრძოდით. ტატოს შორიდან შევუთვალე, აბა შენ იცი, სულ ასეთი კარგი ბიჭი იყავი-მეთქი, თუ რაღაც მსგავსი.

მას შემდეგ რა აღარ მოხდა: ჯერ ერთმანეთს დავდევდით გასაჟლეტად, მერე სხვებმა თქვეს, მოგეხმარებითო, კაცო, რა პრობლემააო და ჰა, კი დაგვტოვეს ნახევრის-ნახევარი. მანამდე კიდე დავიჩოქეთ და რა კარგად გცოდნიათ მუხლის მოდრეკა, იყავით ახლა ეგრეო, წამოდგომის უფლება აღარ მოგვცეს... პური გვენატრებოდა და კუჭზე რომ იწყებ ფიქრს, უფრო მნიშვნელოვანი რაღაცები გავიწყდება ადამიანს. მეც მიმავიწყდა ტატო.

ერთი დღეც არის და, მაშინ ბაზარში ვიდექი, ყველს ვყიდდი. ჩამოიარა, ვიღაც ქალმა, ფასი მკითხა. დღესაც ისე დადიოდა ხალხი, თვალს ახარებდა. ამ ქალსაც ხმაზევე ეტყობოდა, ყველის მყიდველი არ იყო, უხალისოდ გავეპასუხე.

– უიმეე, მამიკვდა თავი, დემეტრე არა ხარ შენა? – შეიცხადა ქალმა.

მე ვარ-მეთქი, კი ვუპასუხე, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, ვინ იყო. თამუნა გამოდგა, ჩემი ყოფილი ასისტენტი. დაქალებულიყო, გატეხილიყო, ჭაღარა შერეოდა თმაში. მე კიდევ – ბაზარში ვიჯექი და ყველს ვყიდდი, გადამყიდველი ვიყავი. ჰოდა, ვუყურებდით ერთხანს ერთმანეთს თანაგრნობით. მერე ძველი დრო გავიხსენეთ, ვალიკოს ბიჭი მოკლესო იმ ამბებისას და მას შემდეგ, რომ ჩაწვა, აღარ ამდგარაო. ჩვენი დამლაგებელი რომ იყო, ნათელა, საბერძნეთში წავიდა, უგზავნის ფულს ოჯახს, კარგად აეწყვნენო, კოსტამ გოგო გაათხოვაო გასულ კვირაში... მერე ტატოც წამომაგონდა. როგორ არის-მეთქი, დიდი ბიჭი იქნება უკვე.

– ეეჰ, მაგის ამბები ვერ წავიდა კარგათა. სულ აერია ცხოვრება.

– რას ამბობ, მაგის ცხოვრებას კიდევ არევა უნდოდა?!

– ხომ იცი, როგორ ვპატრონობდით ყველა, მერე საკუთარი თავი გვყავდა გადასარჩენი და ვეღარ მივაქციეთ ყურადღება, თვითონ კიდევ ხომ იცი, როგორი ბავშვი იყო, არ გთხოვდა არაფერს და ან რომც ეთხოვა, ვის რა გვქონდა გასანაწილებელი. წაუცდა, ბატონო დემეტრე, ხელი მაინც. გაძარცვა ნოდარას მაღაზია. განა რამე იყო იმ ოხერშიც, პური წაუღია, კალბასები და მსხლის ლიმონათი. კვალზე მიჰყვნენ. იმ ღამესვე წამოადგნენ თავზე, ისხდნენ თვითონ და ბებიამისი და იმ მოპარულ კალბასს ჭამდნენ. გაიხეთქა გული ნოდარამ, რომ მცოდნოდა ტატო იყო, როგორ გავაგებინებდიო პოლიციას, მაგრამ აბა ფაქტზე წასწრებულს, ვიღა გამოუშვებდა. იჯდა სამი წელი და გამოვიდა, მაგრამ ისეთი, ვეღარ იცნობ. დადის, დაწანწალებს ქუჩა-ქუჩა, ვისაც ჩაგრავს ართმევს, ვისაც ვერ ართმევს – პარავს. ამბობენ, ეწევა, რაღაც მაიმუნობებს. ეჰ, ისეა ხალხი გამწარებული, გაგვიფუჭებს შვილებს, ნეტა მოაშოროსო პოლიციამ.

მერე კიდე რაღაცებს მიყვებოდა თამუნა და აღარ მახსოვს, აღარ გამიგია. იმ ბავშვზე ვფიქრობდი, მეხანძრე რომ უნდა გამოსულიყო. იმ პატარა, მამაც ბავშვზე.

მხოლოდ ეს ვკითხე, თამუნას კი არა, მგონი უფრო საკუთარ თავს:

– საწყალი ვალიკოს ბიჭი ამ სამართლის მოსაყვანად მოკვდა?

– რა? – ვერ გაიგო თამუნამ.

– არაფერი, არაფერი, ჩემო თამუნა. – ვუთხარი, დახლზევე დავტოვე ყველი და ბაზრის ბინძურ ქუჩას ჩავუყევი, იმ იმედით, რომ იქნება გზა ამრეოდა და იმ წყაროს მივდგომოდი, პატარა ქარვისფერთვალება ბიჭი რომ სდარაჯობდა, მაგრამ ასეთ კამკამა წყაროს, მხოლოდ ერთხელ თუ შეხვდება ადამიანი.

აპრუწუწუ

აპრუწუწუ ერთი კუზიანი კაცი იყო, ჩვენი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა. ორსართულიანი სახლი ჰქონდა, მორყეული კბილივით ცალ მხარეს გადაღრეცილი, სულ მეგონა, ერთ ღამითაც წამოუბერავდა ქარი და დამარცხებული მოჭიდავესავეთ დააგდებდა ზურგზე. იყო კიდევაც ხშირად ქარიანი ღამეები, სონიკოს სახლს სახურავი მოხადა და იპოვნეს მიშას ეზოში, ჯემალის ტირიფის ხე ძირიანად მოთხარა და ჩაკეტა გზა, ალეს ეზოს ჭიშკარი მოგლიჯა, აპრუწუწუს სახლი კიდევ იდგა ისევ ძველებურად, გვერდზე გადახრილი, წელკავიანი კაცივით გადაგრეხილი.

ვერიდებოდით ბავშვები მის სახლს. რაღაც მისტიკური იგრძნობოდა. ლიანდაგების გადაღმა იდგა მარტოხელა სახლი და პატრონიც ასე ცალად დაიარებოდა ქვეყანაზე. ახალგაზრდობაში კი ჰყოლია ცოლი, ქალღმერთივით ლამაზი და სატანასავით მაცდური იყო, ის შეჩვენებულიო, – მეტყოდა ხოლმე პაპაჩემი. ზამთრის ერთ ბნელ ღამეში იგრიალა თოფმაო და მერე მთაში ჩამოსული ნისლივით მოედო საშინელი ამბავი სახლებსო, მოუკლავსო აპრუწუწუს ცოლი. მძინარე ქალისთვის გაუხვრეტიაო კეფა.

არც დამალულა და არც გაქცევა უცდია. იჯდაო იატაკზე, კარს უკან და მუხლებზე ედო თოფი, მეზობლები რომ შევედითო. ადგილზე გათავებულა თინია. მკვდარიც კი, ტვინგასხმულიც კი, ისეთი ლამაზი იყოო. შიშველი დაგვიხვდაო მიცვალებული, თვალდახუჭული, აღარ უჩანდა გაზაფხულის მდინარესავეთ უხავსო თვალებიო, – მიყვებოდა პაპა და მერე უფრო თავისთვის, ვიდრე ჩემთვის ამბობდა:

მაშინაც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ღუმელში ცეცხლი მინავლებულიყო. მაგიდაზე ძირზე არაყჩაგუბებული ბოთლი იდო და კიდევ პირმოტეხილი ჭიქა. იქვე ტახტზე იწვა. პირი ებრუნა გამურული კედლისკენ. ზურგზე კი თმა ეყარა, ცეცხლისფერი. ასეთ ქალებს მთაში ალებს უწოდებდნენ, ჩვენში კი ქალები ჭორებს ავრცელებდნენ სატანის მოციქულია, კუდი აქვსო, პატარა, ფაფუკი, ჟანგისფერი. მე კი არ ვიცოდი, სატანის იყო თუ ღვთის, მაგრამ როცა ჩაივლიდა წყაროსკენ, ქრებოდა თეძოზე შემოდგმული სარეცხის ლეგენი, ქრებოდა ტალახიანი შარაც, გასარეცხი თეთრეულიც, ქრებოდა რელსებიც და რჩებოდა მხოლოდ თინია და ფასი ეკარგებოდა სამყაროში ყველა ქალს. და სულ მჯეროდა, რომ ის დაბინდებისას იშლიდა წელზე დაფენილ ნაწნავებს და მხოლოდ ღამე იყო მისი სამოსელი.

და იწვა, კედლისკენ გადაბრუნებული, თვალდახუჭული, ბაგე გახსნილი, გაზაფხულის ცვრიანი დილასავით ნაზი და აღელვებული ტალღებივით ვნებიანი. იწვა წელს სწვდებოდია ცეცხლისფერი თმა და ჯერ კიდევ თბილი სისხლი ეალერსებოდა ახავერდებულ კანზე. მერე გადმოვაბრუნეთ...

აპრუწუწუსი შურდა სოფელში ყველა კაცს, მის ბედს შენატროდნენ. ახლა კი ეს მთავარი განძის მფლობელი იჯდა სრულიად გულგრილი სახით, ედო მუხლებზე თოფი და უშფოთველად აბოლებდა თუთუნს, თითქოს სულაც ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა მის სახლში. არც კი ვიცი, გვამჩნევდა თუ არა.

არც მაღალი ეთქმოდა აპრუწუწუს, მაგრამ მარცხენა მხარზე ამომხტარი კუზი, კიდევ უფრო აპატარავებდა, აჩიავებდა. მუდამდღე თევზის სუნი ასდიოდა. მყრალი თევზის, ჭაჭის არყისა და თუთუნის მძიმე სუნი დაჰქონდა. დადიოდა კუზზემოგდებული ანკესითა და ყალიონით ხელში. დადიოდა და დაჰყვებოდა ათასი ავი თვალი. დაინახავდი და ის ქალი გახსენდებოდა, არამიწიერად ლამაზი და ისეთი ალისფერი, ნაკვერჩხლებივით ანთებული თვალებით. აგიზგიზებული, აღელვებული. არავის ესმოდა, რატომ იყოფდა სარეცელს მეთევზესთან, ვერავის გაგვეგო რა ხდებოდა მათ ოჯახში. კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ. აპრუწუწუს არავინ ელაპარაკებოდა, ერთი თუ მიესა-

ლმებოდი და ეგ იყო და ეგ. თინია კიდევ მხოლოდ იღიმოდა, არც კი ვიცოდით შეეძლო თუ არა საუბარი. არც არავისთან მიდიოდნენ სტუმრად, არც თავისთან ეპატიჟებოდნენ ადამიანიშვილს. ერთი დაგოჯილი, ყავისფერი ფინია ჰყავდათ და წითელი მამალი. როცა თინია წყაროზე მიდიოდა, ორივე უკან მიჰყვებოდა.

დედაკაცები ხმებს ავრცელებდნენ, ადამიანები არიანო, ცხოველებად აქციაო თინიამ. ალქაჯია და ათასი წამალი იცისო. წამალიც და ჯადოცო. მისი მორჩენილი არავინ მინახავს, არავისთვის უწამლია მისდღემში და ჯადო კიდევ, კი იცოდა. რომ ჩაივლიდა სხვა ქალებივით ქვემოდან კი არ ამოგაპარებდა მზერას, ასე ჯიქურ ჩაგაშტერდებოდა თვალებში. გაუფართოვდებოდა გუგები და ისე გაგიღიმებდა, გულღიად, შიგნიდან, თითქოს კბილები კი არ გამოუჩნდა, მილიონი ჩირაღდანი აინთოვო ერთბაშად და გაგინათაო რაღაც სხვა სამყაროსკენ მიმავალი გზა. მერე ჩაივლიდა და უცბათ ჩამოღამდებოდა და ხელის ცეცებით გიწევდა მთელ დღეს სიარული, ედებოდი ღობე-ყორეს, ვეღარც გზა გეპოვნა და ვერც სიტყვა.

ათას ჭორს და მართალს ამბობდნენ თინიაზე. არავინ იცის მტყუან-მართალი. თოფი გავარდა თუ არა, თქვა ჩემმა ქალმა, მიუსწრებდაო ვინმესთან, აეს პაჭუა ცხვირი მომაჭერი თუ ასე არ იყოსო. ეგ ისეთი იყოო. ჰოდა, მოვიდნენ პოლიციიდან. შეიარაღებულები, ფრთხილად შემოაღეს კარი, ქვრივი კი ისევ გაუნძრევლად იჯდა იატაკზე და ახლა უკვე ცარიელ ყალიონს ატრიალებდა ხელში.

კურდღელი მეგონაო, განუცხადა სასამართლოს აპრუწუწუმ. შველი მაინც გეთქვა, შე კაი კაცო, ეს ანგელოზივით ქალი, კურდღელი როგორ გეგონაო, გაუკვირდა მოსამართლეს, რომელიც კაცი იყო, თორემ ქალი რომ ყოფილიყო, ალბათ კითხავდა, მგელი სად იყოო იმ დროს, გაგექცაო?

ჩასვეს საგიჟეში აპრუწუწუ. არა და მაგას სიგიჟის არაფერი ეცხო. ისეთი საღად მოაზროვნე იყო, ბარე ბევრს რომ შეშურდება, მაგრამ ვერ გადაარწმუნეს, ვერ გადაათქმევინეს, კურდღელი მოვკალიო, რა თქვენ არ გინადირიათო? ჩავუსაფრდი, ამოვიღე მიზანში და ბრაახ - შიგ კეფაში მოხვდაო. კარგი მიზანი მაქვს მე, ბატონო მოსამრთლევ, შენ ასე კი ნუ მიყურებო, პატარა კია, მაგრამ არამც და არამც ადვილი მოსახელთებელი არ გეგონოსო კურდღელი. ისეთი ცქვიტია, ისეთი ყურები აქვს, ააა ასე, ხელები მიიდო ყურებთან და სკუპ-სკუპით გაიარა დარბაზი.

იყო ერთ ხანს გამოკეტილი და გამოუშვეს მერე. ორმოცდაათისაც იქნებოდა სოფელში რომ დაბრუნდა. ახლა კიდევ უფრო მაგრად გადარაზა კარი. ახლა კიდევ უფრო შორიდან ვუვლიდით გვერდს მის მორყეულ სახლს. ძველ საქმეს დაუბრუნდა, თევზაობდა. გაივლიდა დილაობით კუზზე მოგდებული ანკესით და გამოივლიდან საღამოხანს ბადეში აფართხალებული თევზით.

მარო ამბობდა, შევნიშნე მზიან ამინდებში თინიას ტანსაცმელი გამოეტანა ეზოში და ანიავებდაო, ისე სათუთად უსვამდაო ხელს, ისე ეფერებოდაო...

ბოლო დროს სულ უფრო იშვიათადღა დაინახავდით აპრუწუწუს, სათევზაოდ მიმავალს. მოტყდა, დაუძლურდა. მერე მოიბა წელზე ქვა და გადაეშვა მდინარეში ხიდიდან.

სოფლის განაპირას ისევ დგას მორყეული კბილივით წასაქცევად განწირული სახლი. ხალხს კი ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია, თინიასა და აპრუწუწუს ამბავი, – ჰყვებოდა პაპა.

– მაინც რა იყო, პაპავ, ჰაა? ვითომ გიჟი იყო აპრუწუწუ? – ვკითხე ერთ საღამოს.

ივანემ შებერებული თვალებით გახედა მდინარეს. მერე მგონია, თინიას ცეცხლისფერ თმაზე ფიქრობდა, მის ღიმილზე, თვალებზე...

– არა, ჭკვიანი იყო აპრუწუწუ, ძალიან ჭკვიანი. – თქვა დარწმუნებით.

– მაშ რატომ მოკლა ცოლი?

– ეჰ, შვილო, ვინ იცის, შენც მოგეკლა, ცოლად თინია რომ გყოლოდა.

– აბა არ ღალატობდაო?! – გამაკვირვა პაპაჩემის სიტყვებმა.

– არც ღალატობდა და ძალიან კარგი ცოლიც იყო და, როგორც ჩანს, ვერც აპრუწუწუს გაეგო, რა უნდოდა ასეთ ქალს მის საწოლში. იქნებ კიდევაც დაიჯერა, ქალი კი არა ალიაო და ათასი სიცოცხლე აქვსო. ახლა რაღას გავიგებთ.

მერე გაჩუმდა. მეც ჩავფიქრდი. არასრულფასოვნების კომპლექსი თუ ჰქონდა-მეთქი მეთევზეს, ვფიქრობდი.

– ხან კიდევ რას ვფიქრობ, იცი? – შემაწყვეტინა ფიქრი ივანემ, – შეიძლება სიყვარულისთვის ქნა.

– რისთვის? – ახლა კიდევ უფრო ავირიე.

– რისთვის და... აბა, ბიჭო, თინიას მსგავსი ქალის დაბერება და ისე უბრალოდ სიკვდილი შეიძლებოდა?! აუცილებლად შიშველი უნდა მომკვდარიყო, ზამთრის ყველაზე ბნელ ღამეში და სამუდამოდ დარჩენილიყო ხსოვნაში, გათქვირული ძუძუსთავები, ხავერდივით კანი და ალისფერი, წელზე დაფენილი თმა. ასეთი სიყვარულის ქალღმერთივით უნდა შერჩენოდა ხსოვნას, რომ მერე ყველა ქალი მისთვის შეგედარებინა და ტოლი ვერ გეპოვნა. ჭკვიანი კაცი იყო აპრუწუწუ, ჯერ ხომ მაშინ აგვიგდო მასხარად ყველა, სოფელში რომ მთის წყაროსავით ჩამოატარა და გულში ღვარცოფი დაგვიტოვა და მერე კიდევ მაშინ დაგვცინა, როცა ისე უბრალოდ მოკლა, აქაოდა კურდღელი იყოო და სხვა არაფერი, თქვე პატარა ადამიანებო, ეს თქვენთვის იყო დედოფალი, თორემ მე კურდღელზე მეტად არც კი მიმაჩნდაო.

. . . . . .

ყველა სოფელს აქვს თავისი ლეგენდა, ჩემს სოფელსაც. დგას განაპირას, ლიანდაგებს გადაღმა კოჭლი სახლი. კიბეს საფეხურები ჩამტვრევია. დროს გადაუთელია ხის მესერი. აბალახებულა ეზო უპატრონო სასაფლაოსავით, შეუღია ქარს სახლის კარი და ბნელ ღამეებში ჭრიალი კვნესასავით ედება სოფელს. ამბობენ, ზამთრის ღამეებში დადისო ოთახებში შიშველი თინია და კაცებს ეძახისო, მოფერებას ითხოვოს. იმასაც ამბობენ, აპრუწუწუს ძაღლივით ჰყავსო მიბმული თინია კაკლის ხეზე და აიძულებს იყეფოსო. სხვებმა თქვეს, ის წითელი მამალი და დაგოჯილი ძაღლი, თინიას სიკვდილის შემდეგ რომ აღარავის უნახავს, ცოცხლდებიანო ღამ-ღამობით და მათ წინ დამხობილი ლოცულობსო მკერდმოღერილი ქალი... დღესაც გვერდს უქცევენ აპრუწუწუს სახლს ბავშვები, ერიდებიან მის სიახლოვეს თამაშს. რა უნდა ლეგენდის დამსხვრევას, ერთ ბნელ ღამეს აელვარებული ჩირაღდნით უნდა შეაბიჯო სახლში და კუნჭულ-კუნჭულ დაძებნო სიცარიელე.

მე რატომ არ ვაკეთებ ამას? არა, შიში რა მოსატანია, ყველა სოფელს სჭირდება თავისი ლეგენდა, ჩემსასაც, მათ შორის.

თითები

დღეს მანანა იყო შემოსული, მწვანილი უნდოდა. დაინახა ჩემი ჯოხი და გაეცინა: „ვა, ჯოხით დადიხარ უკვე?!“ რა ჯოხი ესაა, ამას ვერც დაეყრდნობი, ცოტა ძალა რომ დავატანო, გადატყდება. იმედივით არის, მგონია, თუ წავბორძიკდები, დამიჭერს. როცა ასაკი გერევა, ყველა ფეხის ნაბიჯზე წასაქცევს ხედავ, ყველგან სიკვდილი გელანდება. სიკვდილი კი იქნება დროცაა რომ მოვიდეს, მაგრამ ძალიან მაშინებს. მეშინია წასვლის.

გასულ ზამთარს წავიქეცი, უფალმა დამიფარა, რომ საფეთქელი არ დავარტყი. ხელი დამიყვა ცუდად და ამ დრომდე ვიტკიებ. მისივდება წვიმიან ამინდებში.

სანამ ახალგაზრდა ხარ, არც სიკვდილზე ფიქრობ და არც წაქცევაზე, ბერდები და ყველა ძვალი ერთად გახსენებს თავს. მეწყინა მანანას ღიმილი. ეჰ, მის ასაკში მეც კი დავდიოდი გამართული,

თავაწეული... რა, განა თავად არ დაბერდება? მაგრამ სანამ წლები კარგად არ გაგიჯდება ძვლებში, მანამდე გგონია, შენ სულ გლუვი კანი გექნება, შენთან ასაკი ვერას გააწყობს.

ერთხელ, მაშინ ჯერ ერთი შვილი მყავდა, ქუთაისში მივდიოდი მატარებლით, ვაგონში რომ ავედი, ყველამ მე გამომაყოლა თვალი. ლამაზი ვიყავი. კოხტად შეკერილი შაბიამნისფერი კაბა მეცვა, მიხდებოდა თვალებისფერი ტანსაცმელი. ჯეირანს გავსო, მომადევნეს კაცებმა. ერთი მოხუცი ქალი იჯდა და იმას მივუჯექი გვერდით. მოლეული ქალი იყო, ხილაბანდი წაეკრა. გაწყალებულ კალთაზე მარილისაგან მოკრუნჩხული ხელები დაესვენებინა. მეც კოხტად მეწყო ხელები ლაკის რეძიკულზე. თავს ვიწონებდი. მაშინ ასეთი ნივთები ჭირდა, ჰოდა, მე კიდევ ლენინგრადიდან ჩამომიტანა ჩემმა დამ. ისეთი ვარ, მინდა ყველამ დაინახოს ეს რეძიკულიცა და ჩემი ლამაზი თითებიც.

ვზივარ თავმომწონე და ვამჩნევ, ჩემს გვერდით მჯდომი ქალი, ხან ჩემს ხელებს აკვირდება, ხან თავის დანაოჭებულ თითებს და სინანულით აქნევს თავს. თითქოს ხელებით განისაზღვრებოდა წლები. დღე და ღამესავით შორი-შორს იყო ჩვენი წლები – ჩემი პირველი თოვლივით თეთრი და მარმარილოსავით ჩამოთლილი, მისი უწყლობისაგან ძალადაკარგული მიწასავით გამოფიტული. შემეცოდა, შურს-მეთქი, ალბათ, ჩემი.

წლები გავიდა. ის მზერა და ის ხელები სულ მახსოვდა, მალი-მალ დავყურებდი თითებს, ნაოჭი არ გამიჩნდეს, ფერი და ფორმა არ დაეკარგოს-მეთქი.

ახლა ვხვდები, იმ ქალს კი არ შურდა ჩემი, ვეცოდებოდი. მე ჯერ კიდევ წინ მქონდა მთელი ცხოვრება, ჯერ ახალი შედგმული მქონდა ფეხი გზაზე, ამ გზაზე ქვა-ღორღი უნდა გამევლო, ჭაობები იყო, ათასი წასაქცევი მელოდა, მას კი უკან მოეტოვებინა ყველა უბედურება და ტკივილის დასასრულს უახლოვდებოდა. ჩვენ ერთმანეთი გვებრალებოდა.

ასე ვართ ახლა მე და მანანაც. ის ჩემს სიბერეს იგდებს აბუჩად, მე – მის გამოუცდელობას. მე უკვე ყველა ტკივილი მიგემნია და აღარაფერი მაკვირვებს, ის მეცოდება, ჯერ რომ არ შეუმჩნევია თვალის კუთხესთან პირველი ნაოჭი, პირველი ჭაღარა ნაჩქარევად არ ამოუგლეჯავს თმიდან, ჯერ რომ არ უგრძვნია, როგორია, როცა ქალი კი არა, მოჩვენება ხარ, როგორია, როცა შენი ერთადერთი მეგობარი სიმარტოვეა...

ჩემი მწერლები

კუთხის მაგიდა მოვძებნეთ. ლუდი შევუკვეთეთ. ისინი ბუხართან ისხდნენ. ხუთნი იყვნენ, ქართულად ქეიფობდნენ, კულტურულად, ზომიერად, სევდა და ღიმილი ახლდათ. კაკლისუღლისფერ კონიაკს სვამდნენ. დენდებს ჰგავდნენ.

ერთი წამოდგა, თითქოს ქართული გენი წამოიმართაო, ხელები ისე ლაღად გაშალა, მომეჩვენა, მუცოს კოშკიდან არწივი აფრენილიყოს. ღირსებას გაუმარჯოსო ქართულს, კაცს კაცურის ეპითეტი რომ არ სჭირდებაო, როგორც იმ დიდმა კაცმა ახსნაო. მერე ის ამბავი გაიხსენეს, ვაჟას კონკაზე, რომ ქისა ამოაცალეს. აი, კაცობაო, უბრალო უნდა იყო და სუფთა დახავსებულ ლოდებს შორის მომავალი მთის წყალივითო. მთაზე თუ უბრალოებაზე ჩოხელი წამოაგონდა ვიღაცას, ღირსებას ვახსენებდითო და ღირსების არარსებობა იყოო ერის, გოდერძის უფულობის გამო სიკვდილი. მაგან ის ამბები ვერ მოინელაო, იმან თქვა სამფეხა სკამზე რომ იჯდა და დაქანცული მხრები დანებებული ჯარისკაცივით ჩამოეყარა. სევდა ჩადგა მათ შორის და მწუხრებით, ჩუმი ხმით ახსენეს სისხლი და თბილისი. სიტყვების გარჩევა ჭირდა. გუმანით ვგრძნობდი, 90-იანებზე იყო ლაპარაკი.

– მწერლები არიან. – თავის გადაქნევით ვანიშნე მეგობარს.

ისევ მათი მაგიდისკენ გამირბოდა მზერა, მათ ამოცნობას ვცდილობდი. საკუთარ თავზე გავბრაზდი, როგორ არ უნდა ვიცნობდე-მეთქი. წიგნებს გადავავლე თვალი, პერსონაჟებს მივამსგავსე: აგერ ის, წვერიანი, ვერცხლმოკიდებული თმით, ის უნდა იყოს, ომსა და რევოლუციაზე, რომ წერს. ის მელოტი, პუტკუნა, პოეტი იქნება. სათითაოდ ჩამოვუარე, ყველა „ვიცანი“. მეამაყასავით მათ გვერდით ჯდომა. ვივაჟკაცე, ანგარიში მოვითხოვე, გადავუხადე.

ლუდს დავეწაფე მოწყურებული, შემთბარიყო, გაზი დაჰკარგვოდა, ხასიათი წამიხდა. გული ისევ იქით მქონდა, ჩემი მწერლებისკენ. რაც არის, არის-მეთქი ვიფიქრე, ძალა და სითამამე მოვიკრიბე, მივუახლოვდი. გულღიად მიმიღეს, სკამი შემომთავაზეს, შებრაწული ხინკალი დამაძალეს. კითხვა ვერ დავსვი, მომერიდა, არ თქვან, ვერ გვიცნოო. დროს დაველოდე. ერთ ხანს ვსაუბრობდით, ისე რაღაცებზე: სიყვარულზე, ცოტა ღმერთზე, ბევრ სიკეთეზე...

დროაო, იმან, მე რომ ომის მწერალი მეგონა, წამოიშალნენ, კონიაკს გაეჭრა, სახე შეჰფაკვლოდათ, თვალებში თან ცეცხლი ენთოთ და თან ვიღაც ამ ცეცხლს უქრობდა, ანელებდა ნაკვერჩხალს.

მოიბოდიშეს, არ შეშვენისო ქართველს სუფრასთან კაცის მიტოვება, მაგრამ რა ვქნათ, ასეთია ცხოვრება, დილაზე უთენია ვდგებით, მშენებლობაზე ვმუშაობთ, ექვსზე ხარაჩოზე უნდა ვიდგეთო.

შუაღამემდე ვიჯექი ბუხართან და მარტო ვსვამდი, სამართალსა და უსამართლობაზე ვფიქრობდი. ჩემი ყოფილი თანამესუფრენი დაღლილ ჯანს ასვენებდნენ, ახალი დღისთვის, ახალი ბრძოლისთვის ემზადებოდნენ. ნამდვილ მწერლებს კი, ალბათ, მშვიდად ეძინათ და ჯილდოები ესიზმრებოდათ, ან, ვინ იცის, იქნება ისხდნენ და წერდნენ დაკვეთილი ომის დაკვეთილ ისტორიებს.

მეზობლები

ათი იქნებოდა, ის იყო, დიდი ომის შედეგად მივაძინე ბავშვი და ფეხაკრეფით, ჯაშუშივით ფრთხილად ვიპარებოდი ოთახიდან, რომ ვიღაცამ კარზე გამეტებით დააბრახუნა. ბავშვს გადავხედე, მართა საწოლში შეიშმუშნა. სანამ კართან მივედი, კიდევ უფრო მოურიდებლად დაარტყა გაშლილი ხელისგული. ვიფიქრე, ვინც უნდა იყოს, ვერ გადამირჩება-მეთქი, მაგრამ ზღურბლზე ნანახმა ბრაზი გაოცებით შემიცვალა და დამუნჯებული შევაცქერდი სტუმარს.

ორმოცდაათის იქნებოდა. თეთრი ლაქის ჩექმა და მოკლე ჯინსის კაბა ეცვა. გაღეღილი ქურთუკიდან მომჩვარული, შიშველი მკერდი მოუჩანდა. სტაფილოსფერი, ხვეული თმა, წითელი ტუჩსაცხი და ზედმეტი პუდრისგან გეიშასავით გადათეთრებული სახე ჰქონდა.

–რობასთან ვარ. – კევის ღლაჭუნით მომახალა, სანამ ვიტყოდი, ბინა შეგეშალა-მეთქი.

– არავინ ცხოვრობს აქ ასეთი! – ერთი სული მქონდა, კარი მომეხურა და მისი ამაზრზენი სახე აღარ მეხილა.

არ მომეშვა:

– რომელი სართულია?

– მეხუთე.

– აა, იასნა, სართული შემეშალა, მეექვსეზე ავდივარ. – თვალი ჩამიკრა და ზურგი მაქცია.

გაოცებული დავრჩი და მერე შუაღამემდე ჯერ მართას ტირილი არ მაძინებდა და მერე ვინმე რობას ხმაურიანი სექსი. ყველა წამოკვნესებაზე ის სიბერეშერეული, მოდუნებული ხორცის მასა მახსენდებოდა და უკვე მძულდა მეზობელი, რომელიც ჯერ თვალითაც არ მენახა.

რა ჩემი საქმე იყო, მაგრამ მოსვენება დავკარგე, ვუდარაჯებდი და სამი დღის შემდეგ შევამჩნიე, ოცდათხუთმეტის იქნებოდა, სიმპათიური ეთქმოდა, კარგად ჩაცმული, სალმიანი ბიჭი ჩანდა.

ქალების ამბები ხომ იცით და ძველ სამეზობლოში, დილის ყავაზე გავიკითხ-გამოვიკითხეთ, სოფელში გაყიდაო მამული, აქ დასახლდაო, უცოლოა და მშობლები ემიგრაციიდან უგზავნიანო ფულს.

ღამ-ღამობით ჯერ მარტო სცემდა ბოლთას ოთახში. მერე მიეჩვევიან. ფული ჰქონდა და როგორც ჩანდა, მის სახლში სასმელი და ნარკოტიკიც არ ჭირდა. ათასში ერთხელ ბოზები მოჰყავდა, შუაღამემდე სვამდა და მერე გათენებამდე ამტვრევდა სკამებს, მაგიდებს, აზანზარებდა სახლს, აგინებდა ცარიელ კედლებს.

არავინ ჩავრეულვართ. ყველა ისე ვიჭერდით თავს, თითქოს ღრმად გვეძინა და არაფერი გვესმოდა.

ორი-სამი თვის ბინადარი იყო და ერთ ღამეს იარაღი გამოაჩინა. შუაღამისას გადმოდგა აივანზე და ცისკენ მიმართული დაცალა მჭიდი. საბანი კარგად ამოვიკეცეთ, რაც უნდა უქნია, გიჟია! – მე ასე ვფიქრობდი, ალბათ – სხვებიც.

ჩვენ არაფერს გვერჩოდა. ზრდილობიანად გვესალმებოდა. რამდენჯერმე ჩანთების ატანაშიც დამეხმარა. მართას მოეფერა. რატომ გავანაწყენო?! ვიმშვიდებდი სინდისს ყოველ ღამე, როცა მისი გრგვინვა ბინდის მდუმარებას არღვევდა.

იმ საღამოს ცოტა ადრე ესტუმრნენ „მეგობრები“. ჯერ ისევ ეზოში ვიყავით გამოფენილები, არ გაპატიებ, მოგკლავო, რომ აყვირდა. მზიამ თქვა, დაეწყოო საწყალს. გავიცინეთ ყველამ. მერე კიდევ რაღაცები ვიხუმრეთ, გასული ღამის ამბებზე ვყვებოდით, ალბათ, კარადა გადმოაგდოო, ელანდებაო საწყალს რაღაცები.

აგვისტო იყო. ბავშვები თამაშობდნენ „ამის პატრონმა რა ქნას?!“ დედებიც ახლოს ვისხედით, თვალყურს ვადევნებდით. მართა ეტლში ნებივრობდა, საკუთარ პატარა ხელებს ეთამაშებოდა. მაგის პატრონმა იცეკვოსო, თქვა ვიღაცამ. თაკუნამ, პირველი სართულის ნინოს გაკნაჭულმა გოგომ, ხელები გაშალა, სასაცილოდ ცეკვავდა, გულიანად იცინოდნენ ბავშვები. კაკლის ქვეშ, ვანოს გარაჟიდან გამოჭიმულ შუქზე, დომინოს აჭახუნებდნენ კაცები. ვიღაცას აგინებდა რობა. მიყოლებით გავარდა სამი ტყვია, პირველი უმისამართოდ, მეორე კეფაში მოხვდა თიკუნას და სანამ მოცელილი ბალახივით გადაწვებოდა, მესამე ტყვიამ ჰაერი გაკაწრა.

არ ვიცი, იცოდა თუ არა რობამ რა ჩაიდინა, როცა კაცები საფეხურებზე მოათრევდნენ, მახსოვს, რომ სახეზე იფარებდა ხელებს, ჩვენ კი ვურტყამდით გამეტებით, დაუნდობლად. და როცა ფეხებში ძალა აღარ მქონდა, ქვას დავუწყე ძებნა და ვერ ვიპოვნე, არაფერი ჩანდა, მოპირდაპირე სადარბაზოში სახლები ყველას ჩაებნელებინა, ასე უკეთ შეიძლება ფარდის უკან იდგე და პატარა ღრიჭოდან ადევნო თვალი რა ხდება გარეთ. სეირს უყურებდნენ მეზობლები. ვერც გაამტყუნებ, აბა, რა ექნათ, თუ ღმერთი გწამს, ვის აქვს შარის თავი ამ დროში.

შალი

მანქანა რომ გააჩერა და ძრავა ჩააქრო, უღონობა იგრძნო. ხელები დამჭკნარი იებივით დაასვენა საჭეზე და მკერდში ისე აფართხალდა გული, გეგონება გალიაში გამოკეტილი ჩიტი გათავისუფლებას ცდილიყოს. თითქოს მართლა გალია ყოფილიყოს ეს სახლი, აი, გაიღებოდა ჭიშკარი და... ჰაერი აღარ ეყო, ფიქრი გაწყვიტა და მძიმე ლოდად დააწვა სხეულს სევდა. სანამ საკუთარ თავს ძალას ატანდა მანქანიდან გადმოსულიყო, ბებრის ძვლებივით დაიღრჭიალა ჟანგისფერმა რკინის კარმა და გახუნებულ შავ კაბაში ჩაკარგული ქალი გამოჩნდა. ასაკთან შედარებით ნამეტანი მკვირცხლად გადმოვიდა ზღურბლზე. ნატას ის სიხარული შესძაგდა, ამ ქალის თვალებში რომ კრთოდა და თავად

ეს ქალიც ისეთი შორეული ეჩვენა, ისეთი უცხო, რა ვუთხრა, როგორ გავაგონოო ჩემი სათქმელი ან რომც გაიგოსო სიტყვები, როგორ შევაძლებინო მიხვედრაო ჩემი. ქალს კი არაფრის თქმა არ სჭირდებოდა, უსიტყვოდაც, ასე შორიდანაც კი ესმოდა ყველა თქმული თუ ვერთქმული სიტყვა. თავის წიაღში მომწიფებულს, თავისსავე სისხლსა და ხორცს, მართალია აგერ უკვე 30 წლის წინ მოშორებულს მისი მუცლიდან, მაინც თავისად გრძნობდა, საკუთარ ნაწილად, და ხანდახან ზამთრის გრძელ ღამეებში, მისი სატკივარი სტკიოდა მრავალჯერ გატეხილს და უკვე შებერებულ გულსაც.

ქალი უცნაური სიმსუბუქითა და ფორიაქით მიუახლოვდა და ის იყო ხელები ფართოდ გაშალა, შვილის მკერდში ჩასაკრავად, თითქოს ამდენი სიმარტოვით გამოფიტული სხეულის ამოვსება მოსურვებოდა, რომ თავაზიანობაში ნაძალადევად დამბალი ხმა გაისმა: არ შეიძლება ჩახუტებაო. მოხუცის დამჭკნარი ხელები ისე ჩამოცვივდა დაბლა, გეგონება, კი არ მოსწყდა, ჩასწყდაო რაღაც. „შენთვის ვამბობ, შენ გამო თორემ მე," – ნაკვალევს შლისო თითქოს, ისე შემპარავად დაუმატა ნატამ. ქალმა კი მძიმე ჩემოდანი არ დაანება შვილს, რომელშიც დედისთვის განკუთვნილი ერთი ხელსახოციც კი არ იდო. მერე კი, გვიან, ბინდშერეულ მთებს რომ გასცქეროდა ქალი, შვილი კი ზურგშექცევით იჯდა და ცდილობდა არაფერი დაენახა, რათა არ ეფიქრა, სად გამოემწყვდია უკუღმართ დროს, მოხუცმა, უფრო საკუთარ თავს უთხრა, ვიდრე შვილს: რა ვიცი, აბა, მე რაღაც არ მჯერა, ამ ყველაფრისა. როგორ, კაცო, ამ ხნის მოვიყარე და ჯერ არ მსმენია ამ დუნიაზე, კაცს მარტო შესძლებოდეს გადარჩენა, უსიყვარულოდ, კოცნის, მოფერების, ჩახუტების გარეშე... არ მჯერავს და ჰა... – ჩაის სული შეუბერა და ხმაურით მოსვა. შვილს შეაჟრჟოლა, სიცივით არა, ზიზღნარევი ბრაზით. კი დააპირა შეკამათება, მაგრამ თითქოს საჭირო სიტყვები აღარ შემორჩენოდა, ამ ქალისთვის გასაგები, მასთან მისასვლელი ყველა ბგერა გზადაზგა შემოჰფანტვოდა, მაინც ვერაფერს ვასმენო და გაჩუმება არჩია.

ქალმა კი, ნიავმა დაუბერაო, დედა გენაცვალოს, აქ გაზაფხულის ღამეები ცივი იცისო, საავდრო ღრუბელი იყო ამ საღამოს ჩვენს საწვიმარზე შეგროვილიო. ჩაის ჭიქა მაგიდაზე დადგა, ბარბაცით გაიარა დერეფანი, კართან ძირმორღვეული კალოშები დატოვა, კარადა გამოაღო, საგანგებოდ ამ დღისთვის შენახული, სათუთად დაკეცილი, თავისი ამოღამებული თვალებით და მარილებისაგან მოკრუნჩხული თითებით ნაქსოვი შალი გადმოიღო, მოვაფარებ მხრებზე, არ შემიცივდესო. გაჭირვებით მოძებნეს ფეხებმა კალოშები, ახლა უფრო მარდად გაიარა აივანი, უწონებდა გულში საკუთარ თავს ამ შალის მოქსოვის ამბავს, კარგი ჰქენიო, აბა ამ ახალგაზრდებმა სულ არ იციანო თავის გაფრთხილება. მოვასხამო მხრებზე. თან ის კი არ არისო, ნაღდი შალიაო, მატყლით ნაქსოვი, ჩემი ხელით გაჩეჩილი და ჩემივე დართული ფთილებით ნაქსოვიო... იმ ადგილას, სადაც შვილი დატოვა, სიცარიელე დახვდა.

მოცელილივით დაეშვა იმ სკამზე, შვილი რომ ეგულებოდა და ამდენი წლის მარტოობაში გალეული ღამეების ამბების მოყოლას უპირებდა. ვერც კი ითვლის რამდენჯერ იმეორებდა გულში, ნატა რომ მოვა, არ დამავიწყდეს ვუთხრა: მანოს დაღუპვის ამბავიო, შეხვდეს იქნება მისი შვილი და სამძიმარი უთხრასო უნდა. ნატას არ ეცოდინება გოგიას ცოლი რომ იტალიაში წავიდაო. იმაზეც უნდა ვაცინო, ჩვენმა ძაღლმა ჟენიას რომ ჩუსტები მოჰპარა და ქალი ფეხშიშველა გაატარა მთელი ორღობეო, ამის გახსენებაზე უკბილო პირით კიდევაც ჩაკუჭკუჭდებოდა ხოლმე, ჰო, მართლა, მე გამოყრუებული ვარო უკვე და კი არ დამავიწყდესო ჟოლოს მურაბა გავატანო ქალაქს, მაგაზე უებარი გაციებისას არაფერიაო. ჩემი სიყრმის ქალობის კაბებიც უნდა მივცე, ზოგი ისე კოხტადაა შეკერილი, მოერგოსო იქნებ. ის წერილებიც უნდა ვაჩვენოო, ფრონტიდან მოსული, იცოდესო როგორი მამა ჰყავდა, – ყელში მოებჯინებოდა ცრემლი. არაფერი გამომრჩესო, ყოველღამ იმეორებდა – ძველი არ დავიწყებოდა, ახალსაც ამატებდა, იმ უმზეო დღეებში სხივივით გამომკრთალს. მაინც ყველაფე-

რი დავიწყებოდა. ახლა თავად იჯდა მთებთან ზურგშექცევით, ვერც გრძნობდა მის მჩატე სხეულს კოჭლი სკამი. მუხლებზე მკვდარი ჩიტივით ესვენა ძალაგამოლეული თითებით მოქსოვილი შალი. საცოდავად კვნესოდა ქარი. მაგიდაზე პიტნის ჩაი ცივდებოდა. მოხუცი კი ფიქრობდა: რა ვიცი, კაცო, იქნებ გამოვჩერჩეტდი და არც არაფერი მესმის, მაგრამ მე მაინც არ მჯერა მარტოკაცის გადარჩენის... ან რომც გადარჩე რა ჩალად გიღირს უადამიანო ქვეყანაში ცხოვრება, კაცსა. რა ფასი აქვს სიცოცხლესა უსიყვარულოდ... რა ფასი აქვს სიცოცხლეს უერთმანეთოდ... რა ფასი აქვს სიცოცხლეს...

მელნისფერი ბუშტი

სოფელში ვარ, ბებოსთან. თხილის მოსაპარად ბაღში გავდივარ და ვხედავ, მელნისფერი ბუშტი მოფრინავს. ხან მარცხნივ წაიღებს ქარი, ხან, მისუსტებული ქროლვის გამო, ძირს ეშვება. ძალიან ლამაზია. წითელი ძაფი აბია და მიფარფატებს ასე. გავედევნე, ხელმისაწვდომზე ვარ, მაგრამ მისხლტება, ისევ ზევით მიფრინავს, მივდევ, კიბეზე ავრბივარ და ახლა აივნიდან ვცდილობ მის დაჭერას. კიდევ ერთი წარუმატებელი მცდელობა და აჰაა, როგორც იქნა, ვიჭერ. ლამაზია, მელნისფერი და გაბერილი, მაგრამ შიგნით ქაღალდი ჩანს. ინტერესი ჭიასავით მიძვრება სხეულში და ვერ გადამიწყვეტია, შეველიო მელნისფერი ბურთის სილამაზეს თუ არა. ბოლოს მაინც ვაჭერ ფრჩხილს პრიალა ზედაპირს და ბახ... სკდება. ქაღალდია, რვეულიდან ნაჩქარევად ამოხეული და გაფანტული, უსწორმასწორო ასოებით შევსებული:

„მამა, ალე ძიამ მითხრა, რომ ბურთი ცაში მოფრინავს, აიი, ძალიან, ძალიან მაღლა, ღრუბლებზეც მაღლა. რახან ასე მაღლა შეუძლია ფრენა, წერილს მოგწერ, იქნებ იპოვო... მომენატრე. ვიცი, რომ არ უნდა ვიდარდო, შენ ღმერთთან ხარ, ჩვენც მანდ მოვალთ, მაგრამ, მაინც მენატრები. მე არ ვტირი. კაცები არ ტირიან. ბებო კი მაინც ტირის. ვუთხარი, რომ შენ სახლში დაბრუნდი, იქ, საიდანაც გამოგვყარეს. იცის, რომ ღმერთთან ხარ, მაინც ტირის.

იმედი მაქვს, უფალი არ გაუბრაზდება, ბებო უკვე მოხუცია და ტირილი ეპატიება.

ვიცი, რომ მხედავ, იმ დილით, როცა ფანჯრიდან ვიყურებოდი, დაგინახე ღრუბლებზე რომ იჯექი და ხელი დაგიქნიე. იცი, მამა, ერთხელ ძალიან შემეშინდა: წვიმდა, ცა იყო სუულ შავი. ღრუბლები ჰგავდნენ გაბრაზებულ კაცს და ქარი ქროდა. შემეშინდა შენ გამო. მეგონა, სველი იყავი და გციოდა. შემეშინდა, გაბრაზებულ ღრუბლებს შენი გადმოგდება არ მოენდომებინათ. მითხრეს, რომ შენ სადაც ხარ, ის ადგილი ღრუბლებზე ბევრად მაღლაა, არ ვიცი, მართლა ასეა, თუ მომატყუეს.

დღეს 5 წლის გავხდი. დედას საქმე ჰქონდა და ვერ მოიცალა, რომ ტორტი გამოეცხო. არ მწყენია, ალბათ, მართლა არ ეცალა. ამ წერილს ალე ძიას ვაწერინებ, მე ჯერ წერა არ ვიცი, მგონი დაიღალა, ამიტომ უნდა დაგემშვიდობო. მამა, ორ რამეს გთხოვ: ბებომ აღარ იტიროს და გამაგებინე, ღრუბლებზე მაღლა ცხოვრობ თუ არა. მაინტერესებს, ხომ არ გცივა, როცა წვიმს.

მინდა შენთან წამოსვლა, მაგრამ გზა არ ვიცი. ხომ იცი, ჯერ პატარა ვარ და შეიძლება, დავიკარგო. ისევ ღმერთს დაველოდები, ვიცი, ერთ დღესაც მოვა და წამომიყვანს.

მიყვარხარ, შენი დათუნა“.

აღარც თხილი მინდა, აღარც სოფელი, არც ბებო...

ვზივარ ჩამონგრეული კიბის საფეხურზე და ვფიქრობ, ვფიქრობ, რომ ვერასდროს ვაპატიებ თავს მელნისფერი ბურთის დაჭერისა და ამ წერილის წაკითვის ამბავს და ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება 5 წლის დათუნა, რომელსაც ტორტი არ აქვს, და მამამისი, რომელიც ღრუბლებზე მაღლა ცხოვრობს...



რობერტ ნადირაძე

*

შესავალი

ერთ უკრაინელ ლტოლვილს პოეტის ან
მთარგმნელის გაცნობა ვთხოვე
მინდოდა ის ლექსები ეთარგმნა
რომელიც ამა წლის 14.02-25.05 დავწერე
და რუსეთ-უკრაინის ომს ეხება
მან დახმარება აღმითქვა
ლექსები ფეისბუქიდან ამოკრებილი მქონდა
და როცა გადავიკითხე მივხვდი რომ
მისი მთარგმნელი
თუ არა გენიოსი კონგენიალური მაინც
უნდა ყოფილიყო
რანგით ნაკლები მას არ თარგმნიდა
ერთი პირობა ასე ვიფიქრე
მაგრამ რამდენიმე წიგნი მქონდა გამოცემული
რომელიც მოწონდათ და ეს მაიმედებდა
შეიძლება რა თქმა უნდა წლების მატებასთან ერთად
შემოქმედებითი უნარი დაკარგო
ან ვთქვად ალცჰაიმერით დაავადდე
მაგრამ აქ სხვაში იყო საქმე
ჯერ ერთი ლექსი იხვეწება დროთა განმავლობაში
და რაც მთავარია ადამიანი განიცდის ცვლილებას
უმეტესობა მაგალითად სიკვდილს არ ეგუება
მიუხედავად იმისა რომ მოკვდავია
და ვინც იცის რომ მოკვდავია განსხვავდება მათგან
როგორც ვინმე პოეტის სიყმაწვილის ლექსები
იმ ლექსებისგან რომელიც შემდეგ შექმნა

...
ომი იწყება 16 თებერვალს
რუსეთი იწყებს
ეს ექსპერტული
ვერდიქტი არის

* რ. ნადირაძის პორტრეტი შესრულებულია მხატვარ მზია ხალვაშის მიერ.

როგორ შეხედავს მას
პოლიტიკა
ეს სხვა საქმეა
არა სამართლის
რადგან კომპონენტს
ბრძოლას რომ უნდა
16 რიცხვამდე მიიწოდებენ
ის მომენტია
როცა ადამი
აცნობიერებს ცუდს და სიკეთეს

...
რატომ მოხდა რომ პოზიცია უკეთესი
რუსებს ერგუნათ...
ადამს რომ ერგო პოსტცოდვილობით
ამ გზით თუ ავხსნით სიტუაციას
დასასრულს ომის ვირტუალურის
არ უნდა მოხდეს კადეშის მსგავსი
ეგვიპტ-ხეთები მაშინ დაზავდნენ
ამას რომ ვწერდი გამეთიშა მოწყობილობა
რიჩარდ მესამეს მოუკლეს ცხენი
ცხენის სანაცვლოდ იმპერიის ნახევარს იხდის
ანუ რიჩარდი აქ პუტინია
თავისი სფინქსით კრემლი რომ ქვია
დროს თუ გავუსწრებთ
კოსმიურ ნაგვით დაფარულია
მაგრამ არსებობს რაც არ მთავრდება
რასაც ვეძახით ცუდს და სიკეთეს
რაც კვლავ გრძელდება დაუსრულებლად
რასაც „ფაუსტში“ წერდა გოეთე

...
წინასწარმეტყველების ახდენამ
გამოიწვია აზროვნების ბლოკირება
ეს მოხდა გუშინ
რუსეთმა რომ კიევს დაარტყა
რაც მოხდებოდა მე ვიცოდი
სხვამაც იცოდა
იხილე პოსტი
14 თებერვლის
ის რაც ფსიქიკურ აშლილობად
უწინ მიაჩნდათ

ფაქტორია ჯებირის მსგავსი
ამ შემთხვევიდან გამოსავალი
მხოლოდ ომია
ომი რომელიც ჯებირებს წარღვნის
საბრალო მხარევ
დოსტოევსკის და ნავალნების
ქორაზინო და ბედსაიდავ
ახალი დროის

...
რუსი პოეტი ანდრეი ბელი
რუსეთს ურჩევდა
„სივრცეში ჩავარდნას
და დამსხვრევას“
ეს მომენტი რუსეთს დაუდგა
ანდრეი ბელით გამოხატული
უგურ-ფინური რუდიმენტია
მათ მოიშორეს
დარჩა რუსეთში
„გამოცხადებით“ პუტინი ანტიქრისტეა
ვისაც 3,5 წელი დარჩა ბატონის
თუ ეს ასეა და პუტინი ანტიქრისტეა
მას შეუძლია მოქმედება ჩერნობილური
მაგრამ 13-ნი არ მარცხდებიან
„გველის კუნძულის“

...
ფსიქოანალიტიკურად პუტინი
შეურაცხადია ომამდე
ომის დაწყებით ის განიკურნა
რაც აგრეთვე კოლექტიურ პუტინზეც ითქმის
წესია ძველი
სიკვდილმისჯილს განკურნავენ
ვიდრე მოკლავენ

...
შევიკრიბეთ უკრაინის დროშასთან
მე და ავთო როინი და ზურაბი
დარდი მკლავდა შორს ვიყავი ომიდან
გაუმარჯოს უკრაინას ვამბობდით
ახლა ძმები ჯაველინებს ისვრიან
იფერფლება დნეპრთან რუსის ტანკები

...
როგორ შემეცოდე რომ იცოდე
სიცივე
მოპყრობა ცივი
რა გითხრა
ვერ შეძლებ სხვანაირად
გარემო ცივია ცივი
ეს უჩვევი სიცივეა
წარმოქმნილი დიდი ომით
მოგვიწია აქ ცხოვრება
არა ომის ეპიცენტრში
არც ევროპა-ამერიკის
მშვიდობიან გარემოში
სადმე მყუდრო კაფე იყოს
მწერლების და პოეტების

...
ჩვენ ვსაუბრობდით ომზე
მან მითხრა
„ვიწინასწარმეტყველე
ეს ყველაფერი“
თავის საიტზე დიდხანს ეძება
მისი ნათქვამი როგორც საბუთი
ზოგი წინათქმა მართლაც ამხდარა
მაქვს მე ამგვარი წინახედვები
მაგრამ რაც ხდება და რაც მოხდება
უნიკუმია თავის არსებით
ზოგადად ომში რუსი მარცხდება
დეტალებს ომის ძნელად ამოხსნი
ვერც თარიღს იტყვი დანამდვილებით
ბევრზე-ბევრია ვარაუდები
„ომი იწყება 16 თებერვალს“
წერდა დაზვერვა ამერიკული
სინამდვილე კი სხვანაირია
კვირაზე მეტი აცდა „დადგენილს“
ქმედება არის უკორექტივო
წინ გადადგმული
უკან ვერ იძრის

...
ერთი მომენტია
თითქმის უბრალო უტყვი
ფეხით მოდიხარ
სახლიდან ზღვამდი

შეგხვდა ნაცნობი
„გამარჯობაო“ ეტყვი
ცაში ფრინველთა
გადმომფრენია ჯგუფი
დაბრუნდნენ
სახლში
მაგრამ იქ დახვდათ ომი

...
ისევ წვიმა და სიცივე
თოვლი მოვიდა ჩვენთან
უკრაინაში ომია
იქ ცხელა მეტისმეტად
უბრუნდებიან მერცხლები
ბუდეებს ნაადრევად
ვინც სამშობლოსთვის დაეცა
სამარადისო ხსოვნა

...
რემარკის „სამი მეგობარი“
მკვდარს ჩავატანეთ მიწაში
დღეს გამახსენდა ამ მწერლის
წიგნს კითხულობდნენ ეთერში
„ტრიუმფალური თაღია“
ომია უკრაინაში
ჩვენ გავიმარჯვებთ
მე ვიცი
შენც იცი
სხვებმაც იციან

...
მომღერალი სიზმარს ხედავს
რომ დაიწვა მოსკოვი
დაფერფლილა თითქმის ყველა
ლენინიც და პუტინიც
აი თურმე რას უხმობდნენ
მოსკოვური ზარები
ბალთაზარის ჩვენებაა
ბაბილონის დამხობის
„სპარს-მიდიელ ჯარი გიპყრობს“
წერდა ჯორჯ ბაირონი
დღევანდელი კორექტივით
მოსკოვს ამხობს კიევი

...
რა დიდებული ჰიმნი აქვთ უკრებს
თითქოს იქმნება როცა მღერიან
იფიქრებ მშობელს ეფერებიან
მოხუცდა მაგრამ არ დაბერდება
და არ მოკვდება ის არასოდეს

...
მინდოდა ახსნა მაგრამ ახსნას
რატომღაც ვდებდი
ამინდზე ვამბობ საშინელი გაზაფხულია
იგი მთავრდება რაღა დარჩა
მერცხალი არ ჩანს
ნერვებმოშლილი ბათუმელი დათრგუნულია
გამყინვარების პერიოდი მსგავსი რელიქტის
სამუდამო რუდიმენტია
ნიკოპსიასთან სად მთავრდება კავკასიონი
ცივი ქარები არღვევენ საზღვარს
მათი სამიზნე ბათუმია
სწორი გავავლე
ეს სიცივე
ომის ბრალია

...
რატომ მოხდა რომ დასავლელი ევროპიელნი
მშობელი დანტეს მონტესკიეს
კანტის გოეთეს
სარრტრის გოგენის...
მიემხრენ რუსეთს
მტრობენ უკრელებს
საცობს ხსნიან აუზიდან
დაჰყურებენ ნარჩენ ქაფებს
მუქთი ფული რუსეთიდან
ანაცვალეს იდეალებს

...
ნათელი დილა მაგრამ მაინც ავანთე ჭაღი
უფრო გაბრწყინდეს მინდა ეს დილა
დღეს ხსენებაა ჩვენი მონათვლის
დღეა ნათელი ანდრიას დილა
ჩვენს გარდა იყო უკრაინაში
რომ დანათვლოდა მათ გამარჯვება

ვენერა ხურციძე

აღარ დაბრუნდე

აქ მხოლოდ თავსხმა წვიმებია,
გული მფრთხალი და უამინდო,
ცის სარტყელს ნატვრა მიბნევია,
თუმც დაიღალა უარით დრო.

გრძნობ, აქ ქარაშოტს დარაჯობენ
ჩემი მშიშარა სტრიქონები,
სადაც უგულო გამარჯობებს
არ მინდოდა და ვიგონებდი.

სადაც მაბნევდა ცის ელდები,
სადაც წვიმა და ქარი მცდიდა,
აღარ დაბრუნდე, დასველდები,
გულიც ხომ თითქმის გაგიცივდა.

აღარ დაბრუნდე, ირევიან
ღრუბლები...სევდას ვერ აჯობებ,
აქ მხოლოდ თავსხმა წვიმებია,
აქ მხოლოდ წვიმებს დარაჯობენ

* * *

როდემდე უნდა მიგზავნიდე
მღვრიე ღიმილების ამანათებს,
ისევ ლექსებში გამუნათებ,
მერე სხვის ცაზე გაანათებ.
სადამდე ვიყო სიცხიანი,
მოდი და სიცხე გამიზომე,
შენი დუმილის გარნიზონებს

ღიმილს ვახვედრებ და დარდის ზოდებს.
მოდი და სიცხე გამიზომე
ჩემი ოცნების თერმომეტრით,
მერე მოლბერტზე ამ მომენტით
განშორების მსგავსი მიახატე.
მიახატე და გაიქეცი,
მაინც სხვის ცაზე გაანათებ,
ჰოდა, ლექსებში გამუნათებ,
გიგზავნი სევდის ამანათებს.

წითელი თოვლი

რა ეფიფქება ნეტავი ზეცას,
დავიწყებულს და ღალატით გმობილს,
იქნებ ამ ერთხელ სამყარო შეცდა
ასეთი მწველი წითელი თოვლით.
რა ემართება ნეტავი ამინდს,
სისხლი სდის ხარკოვს, სისხლი სდის კიევს,
ეშმა ხმელეთზე ამაყად დადის,
მაგრამ აღსასრულს მიაგნო კი ვერ.
ეკლესიასაც ესროლეს ჭურვი,
იწვის მეჩეთიც მარიუპოლში,
მშვიდობიანი ცხოვრების სურვილს
ხელს სისხლისმსმელი დემონი უშლის.
ბომბები თოვს და საფლავებს აჩენს,
სიკვდილი მოაქვს რუსის რაკეტებს,
აგროვებს ნიჩბით შენობის ნარჩენს,
წითელი თოვლის პაპას აკეთებს.
წუხს მსოფლიო და აჩერებს ვერვინ,
რომ ანადგურებს ერს პირჯვრისმსახველს,
რუსეთი, მთელი მსოფიოს მტერი,
ნელ-ნელა თვითონ აიხევს სახეს.

სულ ეს იყო

სულ ეს იყო შენი მონატრება?
ღაჟღაჟალოყება სიზმრებიდან გამოქცეულო,
სულიდან გულწრფელობა შემოძარცვულო,
ლექსით ნაწამებო გრავიურავ,
ტუჩებთან რომ მაინც შეგრჩენია განცდის სიფაქიზე,

სულ ეს იყო შენი სიხარული?
გულზე ტალღებად ნაგრძნობო სევდავ,
ჩაბნელებული გულის სინათლევ,
ფოთლების შრიალში ჩაკარგულო სიტკბოებავ,
ოცნებების თანამოიმედევ, გაჩერებულო წამო,
მშვენიერებავ...
სულ ეს იყო შენი სიყვარული?
მტკნარი სულიდან არეკლილი,
შენს გულში ფიქრად ჩამომდგარი,
ცივი ამინდით ნაგრილები,
ამორფული, ცივი ქარებივით საშიში და
გრიგალივით არასაიმედო,
რა იქნება შენი მოლოდინი?
აქედან ზღვამდე,
მერე ზეცამდე,
მიწამდე...
ფიქრებიდან დაძინებამდე,
ვარსკვლავებთან გაღვიძებამდე,
ქარიდან სიტყვებამდე,
სიტყვებიდან ქაღალდებამდე,
ქაღალდებიდან ჰაერამდე,
ქარიდან ზეცამდე...
მერე კი შენამდე...
გაზეთებად, ჟურნალებად, წიგნებად, ხმოვანებად, სიკეთედ...
რა მანძილია მოლოდინიდან მონატრებამდე?
უმანძილობა, უჰაერობა, უწონობა, უადგილობა, სისპეტაკე...
დაუთოვებული სიტყვებია იმედები,
გაურითმავი ლექსებია უშენობა,
პეპლების ჩურჩხელას ავასხამ და
გულში გაზაფხულად აგიყვავებ
თუ დაბრუნდები...

პატიება

წყენას პატიება ალამაზებს,
თუნდაც მზე შეათბო დაბრუნებით,
ჩემი ლექსისგუდა გაბრაზება
სავსეა სევდის გრანულებით.
გაბრუების მსგავსი სიცხადეა,
სიზმრის ყველა კადრი შენალახი,
შენი პერსონაჟი, მრისხანება,

თამაშობს დუმილს და თავსაც ახლის
მიწას, ზღვამ შენს ფიქრშიც შემოჟონა,
რთულია ამოთქვა, რაც გულშია,
ყველა დისტანციას რატომ ზომავ,
ზეცას ვარსკვლავები დაუშვია,
შენს ფერად სიზმრებს რომ ებინადრონ,
ასე არ მინდოდა დაფეთება,
გზებს სტრიქონ-სტრიქონ რომ ერბინათო...
მოუსავლეთიდან ღელავს სული,
ლექსის ლამპიონი აენთება,
რომ შეგიფერადოს ზღვარგასული
აზრები სიმშვიდის განედებმა.
წყენას პატიება ალამაზებს,
ხინჯად უწარსულო ღიმილს ტოვებს,
შეუნდე ცის კოშკებს, ცის დარბაზებს
ჩვენი სასახლე რო დაგვიტბორეს.

შეხვედრა

მიბრძანე და ლექსად გადვიქცევი,
ლოყებზე თბილ ვარდებს აგიყვავებ,
ამ თვალებს ვეღარსად გაექცევი,
სადღაც ოცნებებში წაგიყვანენ.
კდემის ქერქებსაც ვერ შემომაცლი,
სადღა დავემალო მერე სწორებს,
ნაწნავებს დავიშლი შენი ხათრით,
ღრუბლის პენუარსაც გავისწორებ.
ვეღარ დამიგეგმავ მდაგვა ტურებს,
ფიქრობ, დავივიწყებ განა ყოველს,
მე მხოლოდ ლექსებით დაგაპურებ,
თუკი გსურს, ღიმილი დააყოლე.
ასე სათუთი და ასე ბავშვი
ვეღარ გამაკვირვებ ვერც ხიწვებით,
საწოლს ჩემი თმების ჩრდილში გავშლი,
მაგრამ გვერდით აღარ დაგიწვები.
ისე დსასრულდება, როგორც ხდება,
მერე შენ იპოვი რამე ახალს,
წავალ, ზურგზე ნუღარ შემომხედავ
(აქ ხო ჩემი თმების სიბნელეა,
გული ფურცელი და სამელნეა)
და მხოლოდ ჩემს სულს დაინახავ.

არაფერი

იყო ყველაფერი არაფრისგან,
გრძნობა ნემსის ყუნწში გატეული,
შენთან ვერ ვიქნები არაფხიზლად,
ჩემთან ვერ იქნები ვალენტური.
ლექსი ემოციებს ველარ ნიღბავს,
სტრიქონს წერტილ-მძიმედ ეფინები,
როგორ ეფერები ყველა სიტყვას
და მაინც ცივი გაქვს ეს ხელები.
იღიმი, ოცნების ათინათი
სულში ჩახერგილი მზეებია,
წყენებს და შეცდომებს ბათილად თვლი,
ფიქრებს ალმურები ედებიან.
და მერე ტკივილის აბლაბუდა,
და მერე სიშორის ნაღვერდალი...
ამ დღეს გახსენება აღარ უნდა,
ყველა მოგონებას ნაღველს ვადრი.
ზეცა ისე მუქად გაიღება,
ვერ მცნობს უშენობით გადაფერილს,
ჩემგან მთელი გული წაიღე და...
შენგან მე არ დამრჩა არაფერი.

მონატრება

მარტის ზღვასავით მენატრები
გრილი რომ არის ზომიერად,
აღარ მჭირდება მზის მანტრები,
ზოგი ვიგრძენი, ზოგი- ვერა.
თოვლიც გადნა და ნაფიქრალიც,
თითებს ფურცლავ და გახსენდები,
და ჩემი სახე ასე მქრალი,
ნაცრემლები და ნასევდები
მოჩანს შენს სულში ლექსის თანმხლებ,
აღარაფერი აღარ მითხრა,
ვერც ჩემს თვალებზე იმკითხავებ,
ვერც ჩემს სურვილებს წაიკითხავ.
ცა მოიშორებს ეჭვის ლეჩაქს,
აღარ მოვუსმენ სევდის წირვებს,
გვირაბის ბოლოს სინათლე ჩანს,

დგახარ და სითბოს მინაწილებ.
ვწერდი და სიტყვებს დარდი ახლდა,
თვლემდი ტყვიებად და მჭიდებად,
ბოლო ლექსს წიგნში შევინახავ,
აღარც ეს ლექსი დამჭირდება.

გაურკვევლობა

გაურკვევლობის განედში ვარ,
მდგომარეობით უწონობის,
სული ჩამოწვა თვალებში და
ყოველ საღამოს წუწუნებდი.
ფიქრში ჩამწვდომი ის სევდები
ლექსში ჩამწვარი განცდებია,
ალბათ, ლოცვებშიც მიხსენებდი,
წარმოსახვებიც ანცდებიან.
უსიყვარულო გრძედები და
მოუთმენლობის განედები
დღეს იმ განწყობით გრძელდებიან,
წერას თავს რომ ვერ ვანებებდი.
სულ წერტილ-წერტილ გადახრავენ,
რაც იმედებით ნაგებია,
სტრიქონებიდან გადავღვარე
მრავალწერილის ტრაგედია.
იპოვი პასუხს შენს მკერდშივე,
რადგან უთქმელად სხვას ვერ ხვდები...
კი არ მიყვარხარ, შეგეჩვიე,
არ მომენატრე, მახსენდები.

ძველებურად

ბაბუაწვერების ორღობიდან
ჩემი მონატრების საპირწონედ
სულში ჩაგიბუდდეს, როგორ მინდა
რწმენა, წარსულს თუ ვერ მიწოდებ.
ძველებურად ვარო – მომაგებე,
ალაბთ, ისევ გიშლი რითმის ჯარებს,
ჩვენი შთაგონების მონაგებებს
აქცევ სიყვარულის მოიჯარედ.
შენი სულისაკენ ამო სწრაფვა

მექცა ცოდვებად და ვნანობ იმდენს,
მკაცრი მარტოობის ნამოწაფარს,
ველარ მოგენდე და გაგერიდე.
ბაბუაწვერების ორღობიდან
ბილიკი მოჰგაცს ცის დარბაზებს,
ჩემთან მოსასვლელ გზას ოღროს ხდი და
მზერას ვიგერიებ, გაგაბრაზე.
წლების ზღაპარეთში, შენ რომ გენდე,
მხოლოდ ტკივილები ბინადრობდა,
მეც ძველებურად ვარ – შემოგბედე,
მაგრამ წვიმებმა მიმატოვა.

მოდიხარ

მოდიხარ, საჩემოდ მოგაცილებს
ჭიამაიების ფაეტონი,
შავ-თეთრი დღეების მონაწილე
მთვარის ანარეკლით გაერთობი.
მუდამ მოტრფიალე დაგაქვს გული,
შენი ცა ჩემი ცის მოწილეა,
სულში კი თრიაქით გაბანგული
ციცინათელების ქორწილია.
შენი მღელვარება მუზებს უშლის
მოსვლასაც, პეგასი თუ დანებდა,
ბედნიერების მუზეუმში
მაკრთობს შეხვედრის მდუმარება.
ფიფქები ადრე ხომ არ მტკიოდა,
ვცელქობდი გუნდების მოგროვებით,
დღეს შენი ღიმილის ლამპიონთან
დავტოვე გრძნობების ბოქლომები.
სად უნდა მომნახო ამ ავდარში,
ქარებსაც ცხრა მთას იქით ვხვდები,
შენ ხომ ყველა ქალი ჭკუიდან გშლის,
მე მხოლოდ უკუღმა ვიკითხები.

ეთერ დეკანაძე

„მე არც წარსულის, არც მომავლის, არ მეშინია“

(წიგნიდან „მოგონებები გარდასულ დღეთა“)

...მაშინ საქართველოს ახალგაზრდობის ლიდერი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გმირი ჟიული შარტავა, რომელიც უპირველესად ჩვენგან მოითხოვდა, რომ ქართველ ახალგაზრდობას სცოდნოდა „ვისი გორისანი“ ვიყავით, გვცოდნოდა ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული. პატივი გვეცა ეროვნული ღირებულებებისათვის. თუმცა გარკვეული ზემდგომი ორგანოების „დიქტატების“ შესრულებაც გვიხდებოდა, მაინც ვახერხებდით ქართველი ქალ-ვაჟების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. ჩვენი ისტორიის გმირული წარსული უფლებას არ გვაძლევდა ვყოფილიყავით მონურ მორჩილებაში და არც მომავალი გვაპატიებდა „ცუდქართველობას“. ჟიული შარტავას მიერ დაარსებული ახალგაზრდული ქალაქის პირველი სტუმრები 1978 წელს საქართველოს ახალგაზრდობის ხელმძღვანელები ვიყავით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შეხვედრებს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის მოღვაწეებთან. მნიშვნელოვან ყურადღებას მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერ აღზრდას ვვაქცევდით. ყოველთვის ვგრძნობდით ბატონი ჟიულის თანადგომას და მხარდაჭერას. ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო იყო ადგილებზე შეხვედრა. ამას კი ვერ ვახერხებდი, რადგან ტრანსპორტი არ გვყავდა. პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობა გვპირდებოდა ჩვენ მოგიხერხებთ, ჟიული შარტავა არ შეაწუხოთო... ერთხელაც პარტიულ აქტივზე მიგვიწვიეს, „ჩუმად გავიპარე“ და მივედი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. მაშინვე მიმიღო, გამომკითხა როგორ ცხოვრობდნენ მთიელი ახალგაზრდები, რა პრობლემები დგას ჩვენს წინაშე, რა დახმარება გვესაჭიროებდა. ვუთხარი ქალისთვის კი არა მამაკაცისათვისაც ძნელია ცენტრიდან 40-50 კმ-ის დაშორებით მცხოვრებ ახალგაზრდობასთან შეხვედრა ტრანსპორტის გარეშე. ერთი კვირის შემდეგ ახალი ავტომანქანა გადმოგვეცა. ინტერესდებოდა და გვერდით გვედგა პრობლემების გადაჭრაში. ასეთი ლიდერისაგან ბევრს სწავლობ.

1978 წლის ნოემბრიდან 1991 წლის აგვისტომდე ვმუშაობდი საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის მდივნად იდეოლოგიის დარგში. განსაკუთრებით ვღელავდი, რადგან უნდა შევხვედროდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს. ჩემთან ერთად ღელავდა აჭარის ზონის ინსპექტორი ემზარ გვინჩიძე. გასაუბრებაზე აჭარიდან ყველაზე დიდხანს „შემოვრჩი“. შემამჩნია, რომ ვღელავდი. მისმა ჩვეულმა ღიმილმა, თბილმა დამოკიდებულებამ მღელვარება გააქრო (მაშინ საკმაო მსუბუქი წონის გახლდით – 44 კგ.) და მეკითხება სოფელში ცხოვრობ ოჯახთან ერთად, „პირუტყვი ხომ გყავთ? გადა-

ეცი შენს მშობლებს ცოტა რძის პროდუქტები გიწილადონ და რძეც მიიღე – საკმაოდ, ბევრი სამუშაო გელოდებაო“. გამოვედი და მეკითხებიან, „რატომ დარჩი ამდენ ხანს“ რა გითხრა? ვუპასუხე – მირჩია, ყოველ დილით რძის დალევა-თქო. გადაიხარხარეს და დასძინეს – აბა შენ, რომ დაგინახავდა რას გეტყოდაო...

დღევანდელი შეფასებები ყოფილი პარტიული და კომკავშირული მუშაკის მიმართ იმდენად უარყოფითია, შესაძლებელი რომ იყოს, ყველას ანათემას გადაგვცემდნენ, მათ ჰგონიათ, ჩვენ საქვეყნო ინტერესებიდან შორს ვიდექით, მექანიკურად მხოლოდ პარტიულ დირექტივებს ვასრულებდით. კიდევ ერთხელ მადლობა უფალს, რომ არც უკან მიხედვის მრცხვენია და არც წინ გახედვის. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში იმგვარ ღონისძიებებს ვატარებდით, რომელიც ეროვნული სულისკვეთებით იყო გაჯერებული და ხელს უწყობდა ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. თანამოაზრეებთან ერთად ახალი სიცოცხლე შთავბერეთ უძველეს დღესასწაულს „შუამთობას“, ნათქვამია: ღმერთი ხალხთან მთებიდან ჩამოვიდაო. ანტიკური ღმერთებიც მთაზე ცხოვრობდნენ, ღმერთის მიწიერ სამყოფლად მთა ითვლებოდა და ითვლება. ცისკრის გახსნის ნახვაც მთაში შეიძლება. „შუამთობა“ აჭარის მთისა და ბარის მოსახლეობის უდიდესი ზეიმია – მთიელი კაცის იალაღებზე შრომითი გამარჯვების ზეიმით აღნიშვნაა. შუამთობა მთიელი ხალხის ვაჟკაცობის, სამშობლოსათვის თავდადების ზეიმია. მთის მოსახლეობის ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, წარსულისა და დღევანდელობის დღესასწაულია. შუამთობის ზეიმი უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. მთის საზაფხულო იალაღებზე ყოველწლიურად იმართებოდა ასეთი დღესასწაულები. საფუძველი ეყრებოდა ახალი ოჯახების შექმნას. მინავლდა ასეთი საუკუნეგამოვლილი დღესასწაული და გადავწყვიტეთ, როგორც წლების წინ ტარდებოდა, ისე აღგვედგინა. ყველა იაილის მინდორზე კოცონთან შეიკრიბა დიდ-პატარა, ისმოდა საცეკვაო მელოდიები, ცეკვას სიმღერა და შაირი ენაცვლებოდა. ზეიმზე მემთეურებს საშუალება მივეცით შეხვედროდნენ თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობებს, მწერლებს, ესტრადის ვარსკვლავებს – ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს.

როცა 1966 წელს საქართველს ამერ-იმერმა იზეიმა შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე, ხულოს ინტელიგენციამ განსაკუთრებით აბუსერისძე ტბელის მშობლიურ სხალთა-ხიხანის ხეობის პედაგოგიურმა კოლექტივებმა, სოფლების მოსახლეობამ არაერთხელ მიმართეს თხოვნით ადგილობრივი და აჭარის უმაღლესი დონის ხელისუფლების ორგანოებს, რომ დაწესებულიყო აჭარის ერისთავთერისთავის, მწერლის, ჰიმნოგრაფის, მეცნიერის, ვარსკვლავთმრიცხველის სახელობის დღესასწაული, მაგრამ წლები გადიოდა და საკითხის გადაწყვეტა არ ხერხდებოდა. 1978 წლის ნოემბერში, როცა ამირჩიეს საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის მდივნად, შევცვალე პროფესიით ისტორიკოსი, განათლებული და თავისი ქვეყნის ღირსეული პიროვნება გივი ჯიმშერაძე. მან გადმომცა 1966-1978 წლებში გამოგზავნილი თხოვნა-მუდარის საქაღალდეების დასტა, რომ დაწესებულიყო აბუსერისძე ტბელის სახელობის დღესასწაული. გავეცანი მასალებს და იდეოლოგიის განყოფილების 1979 წლის სამუშაო გეგმაში შევიტანეთ ტბელობის დღესასწაულის ჩატარების ღონისძიება და გეგმა-დანართი, რა უნდა გაგვეკეთებინა მთელი წლის განმავლობაში. თხოვნით მივმართეთ აჭარის პარტიულ ორგანიზაციას, მთავრობას. რომლებმაც მხარი დაუჭირეს ჩვენს ინიციატივას და დავიწყეთ გეგმაზომიერი მუშაობა. ყველა სოფელში, ყველა სკოლაში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მოეწყო აბუსერისძე ტბელისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მაშინდელ რაიონულ გაზეთში („კოლექტიური შრომა“), შემოღებულ იქნა ტბელობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი რუბრიკა. თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა წერილები. ღონისძიებათა გეგმა

ითვალისწინებდა აჭარის მწერალთა ორგანიზაციის წევრების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროფესორთა, აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მუშაკთა შეხვედრებს მოსახლეობასთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან. ისინი მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად დაუზარებლად ხვდებოდნენ მთიელ მოსახლეობას, ახალგაზრდობას, რომ გაეთავისებინათ, თუ ვის დღესასწაულს ვაწესებდით (რადგან მხოლოდ მეცნიერთა მცირე წრისათვის იყო ცნობილი აბუსერისძე ტბელი). საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციაში შევხვდი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ფრიდონ ხალვაშს, სახელოვან პოეტებს: ჯემალ ქათამაძეს, ზურაბ გორგილაძეს, ჯემალ ჯაყელს, მამია ვარშანიძეს და გავაცანი ტბელობის ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა. გაიხარეს, რომ ბოლოსდაბოლოს ტბელობის დღესასწაული დაწესდებოდა. აღნიშნულ გეგმაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი ადგილებზე პოეზიის დღეების ჩატარებას მათი მონაწილეობით. მითხრეს ყოველთვის გვიხარია მთიელ ახალგაზრდობასთან შეხვედრა. ჩვენი იმედი გქონდეთ.

დასამახსოვრებელი და მეტად ემოციური შეხვედრა გაიმართა 1979 წლის 9 ივნისს ხიხაძირში, აჭარაში მოღვაწე პოეზიის ქურუმები სიხარულსა და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ფრიდონ ხალვაშმა, მამია ვარშანიძემ, ჯემალ ქათამაძემ, ზურაბ გორგილაძემ, შოთა ზოიძემ, ჯემალ ჯაყელმა გადაწყვიტეს ასულიყვნენ ხიხანის ციხეზე და იქ ადგილზე პატივი მიეგოთ დიდი წინაპრების, იმ გმირების ხსოვნისათვის, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ ჩვენს კუთხეს. მადლობას გვიხდიდნენ ხულოელებს, რომ თორმეტწლიანი დაუღალავი თხოვნა-მუდარის შემდეგ, დიდ მეცნიერს, წინაპარს მხოლოდ სამეცნიერო წრეები კი არა, სრულიად საქართველო გაიცნობდა...

ყოველდღიურად ვგრძნობდით მხარდაჭერას აჭარის ა. რ. ხელმძღვანელობისაგან. შემოქმედებით კავშირებს დაევალათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საიუბილეო ღონისძიებაში. მხატვრებმა სიმონ ართმელაძემ და ზურაბ ხაბაძემ შექმნეს დიდი მამულიშვილის აბუსერისძე ტბელის ფერწერული ტილოები. ზურაბ ხაბაძემ დაგვიმზადა ულამაზესი მოსაწვევი ბარათი. დაიწერა არა ერთი ლიტერატურული შედევრი, მეცნიერებმა დაიწყეს ტბელის შემოქმედების შესწავლა. მომზადდა მონოგრაფიები, წერილები. რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო კრებულებში იბეჭდებოდა საინტერესო მასალები და „ცოცხლდებოდა“ აბუსერისძე ტბელის ფერფლწაყრილი სახელი მისი მშობელი ხალხის გულში.

ტბელობის ზეიმი დაიწყო 1979 წლის 13 ოქტომბერს (აქტიურად ჩაერთო საზეიმო ღონისძიებების მომზადება-ჩატარებაში მეზობელი შუახევის რაიონის მოსახლეობა და ხელმძღვანელობა). ზედა და ქვედა ვაშლოვანის სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი, ფურტიოს წყაროსთან, მინდორზე, სტუმრებს მიესალმნენ ფურტიოს საშუალო სკოლის მოსწავლეები, მოსახლეობა, იქაური ხელმარჯვე ოსტატების მიერ გამოთლილი ხის სუფრები და გობები სავსე იყო შემოდგომის ნობათით, ხილით, ტკბილეულით...

სხალთის ხიდთან ტრანსფარანტზე იყო წარწერა ფრიდონ ხალვაშის ლექსის სტრიქონებისა: „წყეულ იყოს, ვინც აქ ფესვებს, ემუქროდა ამოგდებით, იმნაირად ვიყვავილეთ, რომ არასდროს არ მოვკვდებით“. ზეიმის მონაწილეებს სხალთელები სხალთის მონასტრის ეზოში შეხვდნენ, რევაზ გორგაძის ლექსზე შექმნილი ახალი სიმღერით „სამასი წელი“. ცრემლის დამალვას არ ცდილობდა სტუმარ-მასპინძელი, რადგან ყველამ გაითავისა თუ რა მძიმე ხვედრი ერგოთ ამ მიწის მკვიდრთ. ამ უძველესი ტაძრის ღვთისმსახურებს.

ზეიმის მონაწილეები მიიწვიეს სხალთის მონასტრის უძველეს მარანში – გზადაგზა გაშლი-

ლი სუფრით ხვდებოდნენ სტუმრებს კვატიელები – წყაროსთან, ვერნების, ფუშკურაულის, ხიხაძირის, თხილვანის სოფლის მოსახლეობა, მოსწავლე-ახალგაზრდობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხატვრული კოლექტივები. ეს არ იყო მხოლოდ ხულოსა და აჭარის ზეიმი. ეს სრულიად საქართველოს ზეიმი იყო, რომელიც ვიცოდით უკვე საპატიო ადგილს დაიკავებდა შოთაობის, ილიაობის, გოგლაობის, ვაჟაობის, იაკობობის და სხვა სახელოვანი ქართველი მამულიშვილების პატივსაცემად დაწესებული ღონისძიებების გვერდით.

პირველი ტბელობის მეორე განყოფილებას (საზეიმო სუფრა) უძღვებოდა ცნობილი ჟურნალისტი ნუგზარ ჯაფარიძე, რომელმაც თავისი მჭევრმეტყველებით მოხიბლა სტუმარ-მასპინძელი... მანვე მიუძღვნა ტბელობის ზეიმს დღევანდელ გაზეთ „აჭარაში“ შესანიშნავი წერილი „მგაზვრო აუწყე სხალთას“... რომელმაც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემია დაიმსახურა. ნუგზარ ჯაფარიძე ყოველთვის იმეორებდა – პრემია მე კი არა, სულმნათმა აბუსერისძე ტბელმა დაიმსახურა...

დღემდე „ტბელობის“ დღესასწაულის დაწესებას, ხულოელების გარდა ბევრი „იბრალებდა“ და იბრალებს. დღესაც სამწუხაროდ ზოგიერთ ჟურნალისტს, ფაქტებით ვუმტკიცებთ, რომ ეს ხულოელთა ინიციატივა იყო, რომ ჩემს თაობას ხვდა წილად მისი შესრულება. ღონისძიებათა გეგმა 1978 წლის დეკემბერში დამტკიცდა და მისი განხორციელება 1979 წლის სამუშაო გეგმით იყო გათვალისწინებული (პირველი მდივანი – ნოდარ თამაზაშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე – თამაზ ტუნაძე), რატომღაც არ სურთ დაჯერება... სამწუხაროდ ასე ხდება დღემდე. დავძენ – მე მარტო ვერაფერს გავხვდებოდი, აქ ყველა ერთნაირად იღწვოდა. მაგრამ გეგმა და ღონისძიების ჩატარების იდეა მე მეკუთვნის და როცა „შესაძლებლობა მიეცათ“, იმათაც მიიწერეს „ვინც გვერდზე იდგა“. რას იზამ, ეს ხომ პირველი არ არის? შენს მიერ ინიცირებულს, აღიარებულს, მერე ბევრი პატრონი, გულშემატკივარი და დამფუძნებელ-ინიციატორი ჰყავს.

ტბელობის ზეიმის ფოტომატიანეს აღბეჭდილი ჰყავს ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მათ შორის უმოწყალოდ ქუჩაში ჩაცხრილული ჩინებული მამულიშვილი, პროფესორი გურამ შარაძე – პირველი ტბელობის მონაწილე.

პირველი ტბელობის ჩატარების შემდეგ სამეცნიერო წრეებში დაინტერესება გაიზარდა აბუსერისძე ტბელისადმი (მანამდე მხოლოდ პროფესორი იური სიხარულიძის წიგნით იცნობდა ქართველი სამეცნიერო საზოგადოება ტბელს). დაცული იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გამოიცა მწერლისა და მეცნიერის აბუსრისძე ტბელის შემოქმედება – აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის თანადგომითა და მხარდაჭერით. შეიქმნა ტბელისადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა ლექსების ციკლი. თანდათან აბუსერისძე ტბელის მოღვაწეობა ცნობილი გახდა საქართველოს ამერ-იმერისათვის. ტბელობის დღესასწაულის დაწესებიდან ოცდასამი წელი გავიდა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და წმინდა სინოდმა 2002 წლის 17 ოქტომბერს აბუსერისძე ტბელი წმინდანად შერაცხა და დააწესა მისი ხსენების დღე – 30 აგვისტო. ამიერიდან წმინდა აბუსერისძე ტბელი ზეციური საქართველოს წმიდათა დასთან ერთად ავედრებს უფალს მრავალჭირგამოვლილ და ფენიქსივით აღმდგარ მამულს...

„ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს, ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“ – ამ დევიზით განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ომისა და შრომის ვეტერანებს. გარდა 9 მაისისა და ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნისა, სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები ახალგაზრდობასთან, მომავალ თაობას ვაცნობდით მათ დამსახურებას, ვუნერგავდით პატივისცემის გრძნობას ომისა და შრომის გმირებისადმი. ეს ზნეობის

საუკეთესო მაგალითები იყო მომავალი თაობისათვის.

ნათქვამია: „ერთი ღრუბელიც საკმარისია, რომ მზე ვერ დაინახო“... ადამიანების პირველი მოვალეობაა იყვნენ ადამიანურნი, თუმცა როგორც თამაზ ჭილაძე წერს „ადამიანთა სამყაროში ყველაზე ძნელი სწორედ ადამიანური ცხოვრება ყოფილა“. ეს კარგად გვქონდა გათვითცნობიერებული მაშინდელ პარტიულ ფუნქციონერებს, დღეს რომ ათასგვარი ეპითეტებით გვამკობენ „ე. წ. ვაი პატრიოტები“. ეს სტრიქონები სწორედ იმ პერიოდში დაწერა ჩვენმა საყვარელმა მგოსანმა იოსებ ნონეშვილმა.

„და ვფიქრობდი მარად, როდის გინახულო,
მთებში თავანკარად შენახულო ხულო...
გნახე გზებზე დაღლილს, ჩამეკიდა ჯანში,
შენი „კაიმაღი“, ვაშლოვანის ვაშლი...
წვიმამ გადიკარა, დარი გაზაფხულობს,
ბრწყინავ, თავანკარად შენახულო ხულო“.

ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი სულიერი საზრდო მიგვეცა რაიონის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. მოგვეწყო პოეზიის საღამოები, წიგნის განხილვები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების მონაწილეობით. იდეოლოგიური განყოფილების ამგვარ ინიციატივას მხარი ყველა განყოფილებამ დაუჭირა.

1980 წლის შემოდგომაზე გვეწვია რევაზ ინანიშვილი, ყველა სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლე-ახალგაზრდობა ითხოვდა საყვარელ მწერალთან შეხვედრას. ერთი დღით ჩამოსული, ერთი კვირით „დავიტოვეთ“. უხაროდა, რომ მისი შემოქმედებით დაინტერესებული იყო მთიელი ახალგაზრდობა.

1980 წელს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გასტროლებს მართავდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ვთხოვეთ და შემოდგომის ერთ ლამაზ დღეს ხულოელებს საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ საყვარელ მსახიობებს – გურამ საღარაძეს და გიორგი გეგეჭკორს, ცნობილ რეჟისორს რობერტ სტურუას, მოესმინათ პოეტ რეზო ამაშუკელისათვის, რომელმაც საკუთარი ლექსების წაკითხვის შემდეგ ექსპრომტად დაგვიწერა –

„სად არ უნდა ვიარო და
რა არ უნდა ვინახულო,
სიტყვას გაძლევ, ჩემო ხულო,
კიდევ ბევრჯერ გინახულო“.

მივხვდით, რომ სწორი ტაქტიკა ავირჩიეთ. ვთხოვეთ აჭარის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ბატონ ფრიდონ ხალვაშს და პოეზიის საღამო გაიმართა სხალთის ტაძრის ეზოში. აქ შეკრებილ არამარტო სხალთელებს, არამედ ხიხანის ხეობის პოეზიის მოყვარულებს ვერ იტევდა ეზო-მიდამო. კალმის ოსტატები ისტორიული მიმოხილვის შემდეგ შეახსენებდნენ, რომ ღვთის განგებით გადარჩა ჩვენი წინაპრების მიერ აგებული მონასტერი და არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ისტორია, არ მოვწყდეთ ფესვებს, არ დავკარგოთ ქართული ადათ-წესები. უკუვაგდოთ მტრის მიერ თავსმოხვეული უცხო, მავნე, ქართველისათვის მიუღებელი ჩვევა და წესი.

სტუდენტობის წლებში ბატონ მუხრან მაჭავარიანის გამოუქვეყნებელ ლექსებს, ჩვენი საყვარელი პროფესორ-მასწავლებლების წყალობით ჩემს უბის წიგნაკში გადაწერილს, სათუთად ველოლავებოდი, ამიტომ თანამოაზრეებთან ერთად გადავწყვიტეთ 1981 წელს მუხრან მაჭავარიანი მოგვეწვია სხალთის სკოლაში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ბულბული სურმანიძემ შესანიშნავი ღონისძიება მოამზადა, როცა თბილისში ვიყავი, გადავწყვიტე შევხვედროდი საყვარელ პოეტს, სხალთის სკოლის პედაგოგიური კოლექტივის და მოსწავლე-ახალგაზრდობის თხოვნა პირადად გადამეცა (ვიცოდი მისი დამოკიდებულება „პარტიული ფუნქციონერებისადმი“, მაინც ვთხოვე მიღება). ალბათ გაუკვირდა... „ცივად“ მიმიღო, ვუთხარი აჭარაში გადარჩენილი ერთადერთი სხალთის მონასტრის სიახლოვეს

მდებარე სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობას, პედაგოგიურ კოლექტივს, მშობლებს სურთ სკოლაში ეწვიოთ... ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია. მერე მითხრა: ფრიდონ ხალვაშს შევეხმიანები და გაგაგებინებთ, როდის შემეძლება სხალთაში ჩამოსვლა. წელიწადის ყველა დრო ლამაზია, მაგრამ გაზაფხული განსაკუთრებით. მაისში გადაწყვიტა სტუმრობა. სპეციალურად ის დრო შეარჩია, როცა თბილისში იმართებოდა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რათა მასთან შეხვედრას პირველი მდივანი, პარტიული ფუნქციონერი არ დასწრებოდა. როცა გავიგეთ თამაზ ტუნაძემ ოტოლარინგოლოგი გრიგოლ აბულაძე მოიყვანა და უთხრა ბიულეტენი გამიხსენი, ყელი მტკივა, სიცხე მაქვს, სადმე წასვლა არ შემიძლია. გაკვირვებულმა ექიმმა ბიულეტენი გაუხსნა, მიზეზი აღარ უკითხავს, როცა ზამლეთის გადასახვევთან სტუმრებს დავხვდით და ფრიდონ ხალვაშმა პირველი მდივანი, თამაზ ტუნაძე გააცნო, გაკვირვებულმა ჰკითხა – დღეს ხომ თბილისში უნდა ყოფილიყავი? შეუძლოდ ვარ – უპასუხა თამაზმა. პოეტი მიხვდა, რომ ავადმყოფობა მოგონილი იყო და მის სახეზე ცვლილება მეყსეულად აისახა – ურთიერთობა „დათბა“. ღონისძიების დაწყებამდე პატივი მივაგეთ იმ წამებულთა ხსოვნას, მტრის შემოსევების დროს მონასტერს თავშეფარებულ მოსახლეობას და იმ ღვთისმსახურთ თავს რომ გადახდათ, სამწუხაროდ ისტორიის ბედუკულმართობის გამო სახელი რომ არ დარჩენიათ.

სხალთელი მოსწავლეების, პედაგოგიური კოლექტივის, მშობლების ასეთი დიდი სიყვარული და პოეზიის ამდენი თაყვანისმცემელი რომ ეფერებოდა, პოეტმა – გული არ დასწყვიტა და თვითონაც უბადლოდ წაუკითხა მრავალი ლექსი. ხოლო როცა სუფრასთან მისი გამოუქვეყნებელი ლექსის სტრიქონები წარმოვთქვი, თავისი სასიგნალო, ახალი ლექსების კრებული მისახსოვრა ავტოგრაფით: „ეთერ დეკანაძეს სათნო ქართველ ქალბატონს დიდი პატივისცემთ, მუხრანი 1981 წლის 15 მაისი, სხალთა“. 1989 წლის 15 მარტს ხულოს თეატრი ვერ იტევდა პოეზიის მოყვარულებს, ბავშვების გარემოცვაში მოხვედრილი პოეტი დაუზარებლად იღებდა სამახსოვრო სურათებს და არიგებდა ავტოგრაფებს მის კრებულებზე. ამ წიგნებს დღეს ხულოელი ქალვაჟები თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს სიამაყით უჩვენებენ...

„ადამიანები ყველანი ერთნაირად იბადებიან, მაგრამ სხვადასხვაგვარად კვდებიან. არასოდეს არ კითხულობენ, თუ როგორ დაიბადა ადამიანი, ხოლო ყოველთვის აინტერესებთ, თუ როგორ მოკვდა იგი. ამიტომაც ცხოვრების გზა ისე უნდა გალიო, რომ შემდგომ ახლობლებს არ მოუწიოთ შენს გამო გაწითლება“ – ასე იწყებს აფხაზი მწერალი მიხეილ ლაკერბაია თავის ერთ-ერთ ნოველას. ეს მართლაც ასეა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ აფხაზებმა და აჭარელმა ქართველებმა, მომავალი თაობები, რომ არ „გაწითლებულიყვნენ“ ჩვენს გამო, ურთიერთშორის იმთავითვე დათესეს სიყვარულისა და მეგობრობის თესლი, სამომავლო ძმობასა და მეგობრობაში ხიდი გადეს.

აფსნი – ასე ეძახის ამ ძირძველი ქართული კუთხის აფხაზი თავის სამშობლოს, აფსნი – ესე იგი სულის ქვეყანა და მართლაც რა წარმტაცია, რა ლამაზია, რა დიდებულია აფხაზეთის ცა და მიწა.

აჭარამ გულში ჩაიხუტა აფხაზი სტუმრები, რომლებთანაც დიდი ხნის ძმობა და მეგობრობა აკავშირებს.

„მუჰაჯირობის“ დროს ასობით აფხაზი ოჯახი დასახლდა აჭარაში, მაშინ აჭარლებმა ნამდვილი ძმობა გაუწიეს აფხაზებს.

„გულს გული იცნობს, და ღონეს ღონე, მინდა გაგიყო ჭირი და ლხინიო“, – ასე შეუძლია უთხრას ქართველმა აფხაზს და აფხაზმა ქართველს, ვინაიდან ჩვენ ორივეს ერთი ჭერი გვაქვს, ერთ მიწაზე ვართ და მთელი სიცოცხლე ერთმანეთის სიყვარულსა და მოყვრობაში გაგვიტარებია, ერთად გაგვიყვია ჭირი და ლხინი, ერთად გვიზიდია ცხოვრების მძიმე ჭაპანი, ერთი პური გაგვიყვია ერთმანეთისათვის და ერთად გვიზეიმია ყველა ზეიმი. ნიშანდობლივია, რომ ხულოელი გოგონები გახდნენ აფხა-

ზების რძლები და ხულოელი ვაჟები აფხაზების სიძეები. მოყვრობამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ურთიერთობა.

1981 წლის 19 მაისი. ცას ტყვიისფერი ღრუბლები ფარავს. გადაუღებლივ წვიმს. მიუხედავად თავსხმა წვიმისა თეატრში მაყურებელი ელოდება აფხაზ ლიტერატორებს: აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატ მუშნი ლასურიას და ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორს ნიკოლოზ კვიწინიას, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ კორესპოდენტს შოთა ბიჭილაშვილს. აფხაზ სტუმრებთან ერთად მობრძანდნენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი აზიზ ახვლედიანი, პოეტები მამია ვარშანიძე, ჯემალ ქათამაძე, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ კორესპოდენტი გივი თურმანიძე. აჭარა და აფხაზეთი – ეს ორი სიტყვა, მართლაც, რომ შეხმატკბილებულია ერთმანეთთან. შთამაგონებელი იყო მუშნი ლასურიას სიტყვები – „ამ დაუვიწყარ დღეებში განსაკუთრებით განვიცდით მეგობრობის ძალას, რომელიც გვინერგავს რწმენას და იმედს“ და წაიკითხა ადგილები მის მიერ აფხაზურად ნათარგმნი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“. ნიკოლოზ კვიწინიამ ისაუბრა მხატვრული თარგმანების შესახებ და აღნიშნა – „მალე, აფხაზურ ენაზე გამოვა ჩემს მიერ თარგმნილი ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“. სამწუხაროდ გავიდა რამდენიმე წელი და მესამე ძალამ მოახერხა გაეთხარა უფსკრული და გაღმა-გამოღმა ნაპირზე დარჩნენ შერეული ოჯახების შთამომავლნი, რაც ძალზე საწყენია...

მარიკა დაშხია

ბედი

მე ბედ-ილბალმა ბევრჯერ მიგანა...
დაშვებულია სევდა ფარდებად,
მაგრამ ერთ დღესაც სიო გრიგალად
გადიქცევა და ამოვარდება

და როგორც ხეზე ბოლო ფოთოლი,
გულს რომ გიბზარავს თვალის შევლება...
ამგვარ იმედის ზვავში მოყოლილ
წარსულის დღეებს რა ეშველებათ?!

* * *

შეფაკლული აქვს სათქმელს ლოყები,
ადევს ბორკილად სიმორცხვე სიცილს.
მე დაჟინებულ სურვილს მოვყვები,
რომელიც შენთან მომიყვანს, ვიცი.

გზად, ფეხაკრეფით, ქარებს ჩავუვლი,
ქარებს სურთ ფლირტი და თამაშობა.
მე მართალი ვარ, ვით სიყვარული
და გულწრფელი ვარ, როგორც ბავშვობა.

მინორი მინორს არ უყვარს თურმე,
მინორს ღიმილი უფრო უხდება...
ისე ნაზია ქალის სიჩუმე,
მძვინვარებასაც კი შეშურდება.

მე მირჩევნია კულისებს სცენა,
ლოჟას და პარტერს – ცის კიდე, შორი,

სულ არ მაკვირვებს მოენეს ენა,
სულ არ მადარდებს ჭიანი ჭორი...

დამშვიდდი, ბედო, ამოდ ირჯები,
გულს კოკა ცრემლით თვითონ ავუვსე.
ხვალ ყველა ლაქარდს ვეპატიჟები
ჩემი ტკივილის დღესასწაულზე.

* * *

მე იქ მერჩივნა – ჩრდილში და როცა
გამომაძევა მზემ ამ ჩრდილიდან,
უნდა მცოდნოდა, ხალხში გამოსვლა
ასე იოლად არ ჩამივლიდა.

ყველამ თავისი ბაჟი მიწესა
ყველაფერზე და ყოველდღიურად,
თითქოს მეგრელი ვიყო პრინცესა
და მივყვებოდე ცოლად მიურატს.

* * *

ჩაივლის წლები, ფრაგმენტებად, ცისფერ კადრებად,
ლაღი ცხოვრება, ონავარი, ცელქი, ოხუნჯი,
მე ის გოგო ვარ, აფხაზეთი რომ ენატრება,
მე ის ქალი ვარ, ბავშვობა რომ დარჩა სოხუმში.

* * *

მიტოვებული სახლივით, სულიც,
დარდისგან ჯერ არ გამოთოვლილა,
მე სამშობლოსგან ლტოლვილი ქალი
დღეს მიჯნურისგან ვიქეც ლტოლვილად.

სანამდე ვმალო ლექსიც და სახეც,
ვამსხვრევ სარკეს და ვლეწავ კარადებს
და ვიხდი ნიღაბს, ვიდრე სიკვდილი
შავი ხელებით მომიპარავდეს.

* * *

სულ არ ადარდებს რიდი და წესი,
და კიდევ ტაქტი: მე თუ მენება...
დღეს გამომება კაბაზე ლექსი,
არც დრო მომცა და არც მოსვენება.

მაჩუქა სტროფის ტოლი ტიარა,
ოქროს ქოშებად – რითმა ცალ-ცალი.
თან მიჩურჩულა: გინდა თუ არა,
უნდა იყოო ჩემი წაწალი.

ქალის „არა“ ხომ „ჰო“-თი მკობილა,
მეც იდუმალი ვარ ნანდაური.
მეხის ქუხილზე მეტი ყოფილა
ფეხაკრეფითი მოსვლის ხმაური.

* * *

რუსმა წამართვა აფხაზეთი – ჩემი მამული,
ოკუპანტია, აქვს წამგლეჯის ბილწი ბუნება,
საქართველოს შვილს სისხლი მიდუღს მეგრულ-სვანური,
ელოდებიან ლაშხიები ჩემს დაბრუნებას...
ისტორიული აფხაზების გადასარჩენად
უფალი ითხოვს,
ქართველებო,
ჩვენს დაბრუნებას.

* * *

მატარებელი ისე აჩქარდა,
შორს არ იქნება ბოლო სადგური,
ისე მომბეზრდა მე ეს ჯაჯგური
შემთხვევით შემხვედრ მგზავრთან და ქართან.

ყველა, თავისი შხამით ნაბანგი,
მიჰქრის და რჩება კვლავ არავისთან,
ბედნიერება იყო ხაფანგი,
დაგვსაჯა, ვისაც ხელი წაგვიცდა.

მიხეილ ქოვილაშვილი

მზე წუთისოფლის

მოდით, დავიწყოთ სიკვდილზე ფიქრით.
მე ახლა უფრო მეტად ვაფასებ
ჩემს ყველა სტუმარს:
სიცოცხლის წუთებს, ჩიტების ჭიკჭიკს,
მყუდრო მუსაიფს, შხაპს შრომის შემდეგ,
უბრალო სადილს და წიგნის კითხვას;
სიცხეს, სიცივეს, სევდას და ღიმილს.
მოკლედ ყველაფერს.
არავინ ვიცით როდის მოვკვდებით
და არბიტრივით გვიმზერს საათი,
დაკარგულ დღეებს არ ეშველება,
გაქცეულ წუთებს ვერ დავაბრუნებთ.
სხეულში ყოფნა სანამ სწყურია სულს,
ძალა გვერჩის ოდენ მანამდე,
მოგვენატრება შემდეგ მზის სხივი,
წუთისოფელი – თიხნარის კაფე.
ამიტომ, დაე მუდამ გახსოვდეს,
სანამ სინდისის ხმასთან ივაჭრებ:
მზე ისე ჩქარა ჩადის მიწაში,
თითქოს საქმეზე ეჩქარებოდეს...

* * *

მე გაზაფხულის საღამო მათრობს,
ჩემში ულევი ბრძოლის ჟინია,
ვცლი ცეცხლით სავსე ლექსის მათარას,
დროა სიფხიზლის, რა დროს ძილია!
წყურვილი მახრჩობს რაღაც სხვაგვარი,
როდესაც ღამე გატეხილია,

სისხლში მომყივის გვარი მედგარი,
რა ატეხილი ქარტეხილია!
მე მეზმანება მაქმანი დილის,
ხვნეშს წუთისოფლის ხრეშის ზარხოში,
სულს ვერ დამიფრთხობს მიწა ხენეში,
მფარავს მახვილი ბარისახოსი.
წყურვილი მახრჩობს რაღაც სხვაგვარი,
როს თვალწინ მიდგას ხეები ნუშის,
უცხო ხილია ხილვა ამგვარი,
დროს აწვიმს, იდგამს დღეები გვირგვინს...

ვედრება

ყველაფერს თავის ფასი აქვს ქვეყნად,
ღირსებას, ძალას, სიმტკიცეს სულის,
ნუ დაივიწყებ ყველაზე მთავარს,
მუდამ გახსოვდეს შენი წარსული.
სამშობლომ შენმა ბევრი იომა,
 გადაგირჩინა რწმენის ჯავშანი,
გახსოვდეს შენი უკვდავი ფესვი,
ნიკოფს, დერბენდი და შორაპანი.
გთხოვ, ნურასოდეს ნუ იტყვი ამას:
ახლა სხვა დროა, სხვა ხმა, სხვა ჟამი,
გულზე ნუ დასცემ წინაპარს დანას,
გაიადვილო რომ ერთი წამი.



მიხეილ მახარაძე

ორი ტკივილიანი მოგონება

და-ძმანი ჭილაძეები

ვინ იყვნენ ძმები თამაზ და ოთარ ჭილაძეები და ვინ არის მათი და ქალბატონი თინა ამის ახსნა-განმარტება საჭირო არ არის. ვისთვისაც ქართული ლიტერატურა ძვირფასია, ვისთვისაც და-ძმობისა და ძმობის ინსტიტუტი სისხლხორცეულია, მისთვის ყველაფერი ისედაც ცხადია. მე შემოვიფარგლები იმ მცირე, სევდანარევი მოგონებით, რაც ჭილაძეებთან ეპიზოდურ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული. და-ძმებიდან პირველად ოთარ ჭილაძე ვიხილე, ეს მოხდა 1966 წლის გაზაფხულზე. თბილისში სტუდქალაქის კინოდარბაზში შეხვედრა მოეწყო ქართველ მწერლებთან. ჩემს თანაკურსელ და შემდგომში ახლო მეგობარ ხვთისო გოგოჭურთან ერთად დავესწარი საღამოს.

საღამოზე ძირითადად მწერალთა გამოსვლები იყო, რომელთაგან დამსწრეებზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა გამხდარმა პოეტმა. ეს იყო ოთარ ჭილაძე. საღამოს შემდეგ, გზად საცხოვრებლისკენ ჩემი მეგობარი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა ოთარ ჭილაძის პოეზიაზე.

ამის შემდეგ ათეული წლების განმავლობაში ოთარ ჭილაძეს ხშირად „ვხვდებოდი“ ქართული ჟურნალების ფურცლებზე და მის წიგნებში. ძირითადად მისი პროზაული ნაწარმოებები მიზიდავდა. ვერ ვიხსენებ ისეთ ფაქტს, რომ ჟურნალში წაკითხული მისი რომანი კვლავ არ წამეკითხოს, როცა ის ცალკე წიგნად გამოვიდოდა.

ბატონ თამაზ ჭილაძესთან „შეხვედრა“ უფრო გვიან შედგა. ბატონმა თამაზმა 1983 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№№10-11) გამოაქვეყნა მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ნარკვევი „ვეფხისტყაოსანზე“ სათაურით – „ვარდის ფურცლობის ნიშანი“. შემდეგ ნარკვევი ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ნარკვევმა არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა. საყოველთაო მოწონების გვერდით იყო შედარებით ნაკლები, მაგრამ კრიტიკული შეფასებები, მათ შორის ჩემი („ისევ რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ“. „მაცნე“, ფილოსოფიის ... სერია. 1985, №1). საქმე ის იყო, რომ თავის ნარკვევში ბატონი თამაზი ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა პოემის ფილოსოფიურ წაკითხვას, რაც ბუნებრივია მხედველობიდან არ გამორჩენიათ ფილოსოფოსებს. მათ შორის ვიყავი მეც, რაც აღვნიშნე უკვე.

ამ ამბიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ ბატონ თამაზთან შედგა ჩემი რეალური შეხვედრა. ამ დროისთვის უკვე ბათუმში ვიყავი სამუშაოდ გადასული. ერთ დღესაც მირეკავს ცნობილი ბათუმელი პოეტი დავით თედორაძე და რესტორანში მეპატიჟება, თანაც მაცნობა, რომ სტუმრები ეყოლება ბატონი თამაზ ჭილაძე და

მისი და ქალბატონი თინა. ბატონი თამაზის ნარკვევზე ჩემი ერთობ მკაცრი კრიტიკული გამოხმაურების გამო ვყოყმანობდი, მივსულიყავი თუ არა საღამოზე. ბოლოს მაინც წასვლა გადავწყვიტე. ძალიან კარგი საღამო იყო, დათოს მშვენიერი სადღეგრძელოებითა და მისივე და ბატონი თამაზის ლექსებითა და გამოსვლებით შეზავებული. ასე რომ, იმ საღამომ ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ჩაიარა და ამის მიზეზი ჩემი ღრმა რწმენით იყო ბატონი თამაზის დიდბუნებოვნება და არისტოკრატულობა. იმ დროიდან დაიწყო ჩემი, ჩემთვის სამახსოვრო ურთიერთობა ჭილაძეებთან. მათი ყოველი სტუმრობა ერთნაირი სცენარით მიმდინარეობდა – დათო თედორაძის მიერ მოწყობილი საპატივცემულო სუფრა სტუმრებისთვის, მისივე თამადობით და ასეთი სუფრისთვის მუდამ თან მდევი ძველი თუ ახალი ლექსებით იმპროვიზებული გამოსვლები.

ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ბათუმში, ბატონმა თამაზიმ მთხოვა, რომ თბილისში ყოფნისას ვსტუმრებოდი ოჯახში. 2006 წლის შემოდგომაზე ვესტუმრე ჭილაძეებს თბილისში, ხილიანის ქუჩაზე. მასპინძლებმა მოიბოდიშეს, რომ ბატონი ოთარი შეუძლოდ არის და საუბარს ვერ დაესწრებაო. საათნახევარი-ორი საათის განმავლობაში სუფრასთან ვისხედით ქალბატონი თინა, ბატონი თამაზი და მე. მსუბუქი სადილის შემდეგ კი დესერტად ყავასთან ერთად მივირთმევდით ქალბატონ თინას მომზადებულ ნაირნაირ ნამცხვრებს. წამოსვლის წინ ბატონი თამაზი გავიდა ოთახიდან და ხელში წიგნით დაბრუნდა. ეს იყო ოთარ ჭილაძის „გოდორი“ ჩემდამი ავტორის მოძღვნით. მართალია ეს წიგნი მე უკვე გამაჩნდა და წაკითხულიც მქონდა, მაგრამ რა შეედრება იმ განცდას, როცა დიდი მწერალი გჩუქნის მის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაწარმოებს.

და-ძმა ჭილაძეებთან ამის შემდეგაც გრძელდებოდა შეხვედრები ბათუმში ნაცნობი სცენარით. ყოველ ასეთ შეხვედრაზე იგრძნობოდა და-ძმის ერთგვარი ტკივილიანი განწყობილება ძმის – ბატონი ოთარის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო. 2009 წლის სექტემბერს ოთარ ჭილაძე გარდაიცვალა.

ერთი წლის შემდეგ ბატონმა თამაზიმ მისი ძმის – ოთარ ჭილაძის წლისთავზე მიმიწვია. სუფრასთან საქართველოს შემოქმედებითი ელიტა იყო. სუფრას რომ შეეფერებოდა ისე უძღვებოდა აკადემიკოსი როინ მეტრეველი. მეც საპატიო ადგილი მიმიჩინეს.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, წლისთავის სუფრისთვის მოულოდნელად, სადღეგრძელოს უფლება რეზო ამაშუკელმა ითხოვა. და ასევე მოულოდნელად, ჩემი პერსონალური სადღეგრძელო შესთავაზა სუფრის წევრებს. მისი ქმედება პოეტმა ახსნა იმით, რომ დიდი შემოქმედის წლისთავს ხელისუფლებიდან მხოლოდ მე ვესწრებოდი და თანაც ბათუმიდან სპეციალურად ჩავედი ამისთვის.

არ დავმალავ და მესიამოვნა ეს ჟესტი. ყველაფერი ამისთვის კი ახლაც მადლობელი ვარ როგორც ბატონი თამაზ ჭილაძის, ისე ბატონი რეზო ამაშუკელის.

ალეკო ხომერიკი და თემურ წიკლაური

ჩვენი ცნობილი მომღერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე (ალეკო) ხომერიკი პირადად გვიან გავიცანი. უფრო სწორად თვითონ მეწვია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში და ასე გავიცანით ერთმანეთი. ამის შემდეგ თბილისში მასთან ოჯახშიც ვსტუმრობდი. რომ აღარ მოვეშვი, ადგა ისიც და თავისი სურვილით ჩემი ერთ-ერთი შვილიშვილის ნათლია გახდა.

ალეკო ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა ბათუმში, საკუთარი ბინაც ჰქონდა ზღვისპირა ქალაქში. ერთ საღამოს, ბათუმში მორიგი სტუმრობისას ალეკომ ვახშამზე მიმიწვია. თხუთმეტამდე ადამიანი ვუსხედით სუფრას, მათ შორის

ანსამბლ – „ბათუმის“ რამდენიმე წევრი. ალეკო საერთოდ ემოციური კაცი იყო და შუა მოლხენისას რაღაცაზე გაფიცხდა... ამაზე ქალბატონმა მარინემ – მისმა მეუღლემ მორიდებით შენიშნა. ამან უფრო გააცხარა მასპინძელი და საკმაოდ აგრესიულად თქვა:

„მე პურს ვჭამ ლაპარაკითა და სიმღერით!“. შემდეგ მოულოდნელად მე მომაჩერდა და დასტური მოითხოვა ჩემგან: „– ასე არ არის ბატონო მიშა?“, მეც დავუდასტურე – რა თქმა უნდა-მეთქი.

ალეკომ ჩემი დასტური არ იკმარა და მეკითხება: – თქვენ?

„მე... მე ენაზე კბილის დაჭერით!“ ამით საბოლოოდ განიმუხტა სიტუაცია. ქეიფი გაგრძელდა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ მადლობა ვუთხარი მასპინძელს და წამოვედი.

რამდენიმე დღის შემდეგ იმ საღამოს სუფრასთან ერთ-ერთი მყოფი შემხვდა. მისი თქმით, ჩემი წამოსვლის შემდეგ დიდხანს ბჭობდნენ თურმე, რას ვგულისხმობდი ენაზე კბილის დაჭერაში. ბევრი განსჯის შემდეგ შეჯერებულან იმაზე, რომ პოლიტიკოსი ყველაფერს კი არ უნდა ლაპარაკობდეს, არამედ ენაზე კბილს აჭერდეს. მოკლედ, რაც იმ ღამეს ვთქვი, პირდაპირ ჩემს მდგომარეობას მოარგეს. არადა, იმ საღამოს ჩემი პასუხი სპონტანური იყო და არა გააზრებული.

ალეკოსთან და მის ოჯახთან ჩემი ურთიერთობა გრძელდებოდა. თბილისში ყოფნისას არც თუ იშვიათად ვსტუმრობდი. ალეკო ცხოვრობდა მეტრო „დელისთან“ ზაქარიაძის ქუჩაზე. მის სადარბაზოში ცხოვრობდნენ აკადემიკოსი გივი სანაძე, ცნობილი გერმანისტი, პროფესორი ნოდარ კაკაბაძე, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, 2001-2003 წლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი. მეოთხე სართულზე კი იყო ასლან აბაშიძის ბინა – იმ დროისთვის დაკეტილი.

ალეკოს ოჯახში ნამდვილი მუსიკალური გარემო იყო. იმჟამად ძირითადად სტაჟიორ მომღერლებს ამეცადინებდა. ჩემს სტუმრობას, როგორც წესი, სუფრით აღნიშნავდა. ალეკო ჩემსავით არამსმელი იყო და ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სიმბოლურად ვწრუპავდით სასმელს. სუფრას ეტყობოდა მისი სიდედრის ხელი. სუფრასთან ხანგამოშვებით ჩამოჯდებოდა ალეკოს მეუღლე ქალბატონი მარინე დარჯანია, მუსიკოსი.

2018 წელს გამოვიდა ალეკოსადმი მიძღვნილი მწერალ გივი სიხარულიძის წიგნი – „ალექსანდრე ხომერიკი – აბესალომიდან ოტელომდე“. წიგნი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე იყო გამოცემული უხვი ილუსტრაციებით. წიგნი საჩუქრად საკმაო დაგვიანებით მივიღე, რის მიზეზიც იყო ჩემი მხრიდან დაგვიანებული სტუმრობა. წიგნის გაცნობის შემდეგ მასში ტექნიკური ხასიათის ხარვეზები აღმოვაჩინე და ამის თაობაზე მორიდებულად ვაცნობე ტელეფონით. მან კი მაშინვე ქალიშვილს უხმო და ტელეფონით მაკარნახებინა შენიშვნები. როცა მოვრჩით, მადლობა გადამიხადა და მითხრა – „მალე მეორედ უნდა გამოვცეთ წიგნი და შენი ეს შენიშვნები დიდად გამოგვადგებაო“.

2010 წლის შემოდგომაზე მორიგი სტუმრობისას ალეკომ დამახვედრა ჩვენი გამორჩეული მომღერალი, მისი უახლოესი მეგობარი – თემურ წიკლაური. სუფრასთან არაჩვეულებრივი საუბარი გამოგვივიდა, მოვიხიბლე ბატონი თემურის თავმდაბლობით. ბოლოს შემომთავაზეს თუ რომელი სიმღერის მოსმენას ვისურვებდი მათი შესრულებით. ალეკოს ვთხოვე „თავო ჩემო“ ემღერა.

მაია გელაშვილი

* * *

მიყვარს ეს ზეცა,
მიყვარს ყოველი,
მიყვარს ყვავილის მტვერიც,
მიყვარს კრიალა თვალების სითბო,
მიყვარს საბრალო მტერი,..
მიყვარს მე მთელი ჩემი სამყარო,
წუთისოფელი, დანამული,
მარგალიტის წრფელი ცრემლით,
ვაზის მტევანი, ცვარ-ნამ დაყრილი,
კალო ნალეწი,
ბზები...
ულამაზესი მთა და მწვერვალი,
უნეტარესი, ტაძრის მავალი გზები,
უანკარესი მთისა წყაროი,
ხარბად შესმული პეშვით,
მერცხლის ჭიკჭიკი,
სტვენა ბულბულის და გვირილათა ძნები,
ნაზ კესანეთა თბილი ალერსი,
გულ-ლოტოსად გადაშლილი, –
სული უშურველად გაღებული,
საბარძიმით სავსე ქვევრი,
კლდეთა სიგრილე,
ლექსის ჩანჩქერი,
მთაწმინდის ზეცა,
ყაყაჩოებით – ველი,
მეგობრისათვის დაუნანებლად,
ჩუმად გაწვდილი ხელი...
ქრისტეს ღიმილი,
სიქსტეს კაპელა,
ჯვარი, სიონი, სვეტიცხოველი, გრემი,

წმინდა სამების საგალობელი,
ყველაწმინდა, ალავერდი...
უნეტარესი მზე სიყვარულის,
სულში მსავანობს გზნებით,
როცა უფალი, – გულში ბინადრობს;
რაღა ვინატრო მეტი.
სათაყვანებელ ჩემი სამშობლო,
არს ჩემი ხატი, – ღმერთი...

* * *

მიყვარს მტკვარი მოლივლივე,
მზის არილი გზებთან,
მიყვარს დილა თბილისური,
საქართველოს ზეცა,
მიყვარს კაცი გულმართალი,
უფლის კვართი, – მცხეთას,
მიყვარს მუზა ზეციური,
როს ჩურჩულებს მკერდთან,
მიყვარს ყველა,
მიხარიხართ,
ჰორიზონტზე მზის სხივებად გხედავთ,..
როგორ მიყვარს ანას ძეწნა,..
მიყვარს გალა,
ქართულ სულის სამრეკლო და კერა,
მიყვარს ზეცა მთაწმინდისა,
მთაწმინდიდან სილაჟვარდის ცქერა,..
„ელეგიით“, სული კვლავაც კრთება,
სიქსტეს კაპელადან ცრემლი, სულს მეფრქვევა,
დედაღვთისას ვნებად,
მიყვარს მთელი გულით წრფელით, – მწვერვალების მზერა,
ჩვენთვის ჯვარცმულს ვევედრები; –
ვმაღლდებოდეთ იბერიულ მზესთან,
მინდა ილიას კვალს მივყვე,
საბრწყინვალო მომავლის დღესთან...

ლაღი ორმოცაძე

დავიღალე...

„გამაგრდით. მე ვძლიე წუთისოფელს“. *(იოანე)*

შუაღამეა. ცხელი ქარი ჰქუხს. გრიგალია. სახლს არწევს. ალვის ხეები წელში გადრიკა, ავად შეჰყარა ღრუბელთა ჯარი, ქალაქს დააწვა...

რა დამაძინებს? ისედაც, ისედაც რა დამაძინებს? მარტოობა გაშიშვლდა...

ამ დღეს მამა გარდაიცვალა.. დედასაც არ უცოცხლია მამის შემდეგ ერთი წლის მეტი... სულ მალე მეუღლეც გარდამეცვალა... დავრჩი სულ მარტოდ ორ პატარა შვილთან ერთად... თავი არ დამიზოგავს ობლების გასაზრდელად... ვმუშაობდი ყველგან, რასაც წავაწყდებოდი... არაფერს ვაკლებდი.... გაიზარდნენ... ვასწავლე... უკვე დიდები არიან, საკმაოდ დიდები...

მე? მე კი, ახლა მოხუცთა თავშესაფარში ვცხოვრობ...

არ დაიჯერა არც ერთმა. ბიზნესიო, ვაჭრობაო, ხელს მოვითბობთო... და ჩვენი, არც ისე პატარა ბინა ბანკს მიაბარეს უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად. არაფერი გამოუვიდათ... ბანკმა გაგვძარცვა. წაგვართვა მამა-პაპისეული ჭერი. არც ამის შემდეგ დაიჯერეს და უცხოეთში გადაიხვეწნენ სამუშაოდ. ერთი, ვიღაცის ოჯახში, საწოლში ჩავარდნილ მოხუცს უვლის, მეორე კი, ნაგვის მანქანაზე მძღოლად მუშაობს... კმაყოფილები ვართო, სამუშაო ხომ ვიშოვეთო, შემომეხმიანებიან თვეში ერთხელ... შენ ხომ ხარ კარგად მამიი, მაქ კარგად ხომ გივლიანო... კი, კარგად გვივლიან. ეკონომიურად თავშესაფარსაც უჭირს, მაგრამ იმოდენა სიყვარულს და ზრუნვას იჩენენ მოხუცების მიმართ, ყველანი კმაყოფილები ვართ... კმაყოფილები თავშესაფარში???...

აივანზე გავედი, ქარმა კარები ბრაზიანად მომიჯახუნა. გულისფანცქალით გადავხედე ჩემს ატმის ხეს. ფესვებიანად ამოეგლიჯა გრიგალს. კრუნჩხვით ცახცახებს მომაკვდავი ფესვები. ისტერიულად თრთის... მაცოცხლებელ მიწის ნამცეცებს უბერტყავს ქარი ფესვებს... ცოცხალი ნერვივით გაშიშვლებულა ფესვის ყოველი ძარღვი, კაპილარი...

პირველად აქ რომ მომიყვანეს ჩემმა შვილებმა, ერთი ძველი ჩემოდნითა და წიგნების ყუთებით, მე მაშინ მკერდზე მიხუტებული ატმის ნერგი „ჩემი“ (ჩემი?!) აივნის წინ დავრგე...

ალერსით, მზრუნველობით გავახარე, გავზარდე...

ყოველ გაზაფხულზე ნეტარებით მაფორიაქებდა ჩემი ღვთიური ატმის უნაზესი ვარდისფერი... დაუვიწყარი, განუმეორებელი სიჭაბუკის დროში ვმოგზაურობდით ერთად... ჩემს ლამაზ ბავშვობას, ტკივილიან წარსულს და საერთოდ, ყოველ ნაფიქრალს მღელვარებით ვუმხელდი ჩემი უტყუარი მეგობრის მგრძნობიარე სულს... ისიც გულდასმით მისმენდა, ფოთოლთა შარი-

შურით მესაუბრებოდა, სუსტი ტოტებით ფაქიზად მეფერებოდა...

მე რატომ ამირჩიეო, მკითხა ერთხელ... ავუხსენი – მარიამ ღრმთისმშობელს ვაშლის მაგივრად ზოგჯერ ატამი უპყრია ხელთ, „ვითარცა სიმბოლო სულის ხსნისა“... შენი და ჩემი მფარველი, ზეციური, წმიდა ქალწულია. მხოლოდ შენა ხარ ჩემი მარტოსულობის ხსნა და ნუგეში, ამიტომაც შეგიყვარე თქო...

ამ ღამით, ჩემი სულის ხსნა ფესვებდაგლეჯილი შეჰკვნესის ბნელ ღამეში მოთარეშე, გათავხედებულ ქარიშხლის ნიაღვარს... ყელში ცვრიანი ბურთი მომაწვა... ერთი წვეთი-ღა აკლდა... და გასკდა ბურთიც... წარღვნად შეუერთდა ღამისეულ აგონიას... მუხლებმოკვეთილი ვეფერები, ვემშვიდობები ჩემს დაწეწილ სულის ხსნას... ქარი სახეში მიწას მაყრის...

გარეთ და სახლშიც ცხელა, მე მცივა...

ახალგაზრდობას ვნატრობ... სატრფიალო დღეები მაგონდება. ჯვრისწერა, ქორწილი... შვილების დაბადებით უდიდესი ბედნიერება...

მცივა...

დედა მინდა, მამაც... ბავშვობა მომნატრებია... მეგონა მდიდარი ვიყავი, გავცრუებულვარ... დავცარიელდი. სრული მარტოობაა, საკუთარ თავსაც ვერ ვპოულობ...

მუხლები მიკანკალებს, ჯოხზე დაყრდნობილსაც მიჭირს ნაბიჯის მონაცვლება.. ხელებიც მიკანკალებს... წერა მაინც შემეძლოს... რამოდენა და რა ძვირფასი დრო დამიკარგავს ფუჭად... ფუჭად? ჩემი ობლები ხომ გავზარდე?...

ერთხელ, ბედნიერი ცხოვრების პერიოდში, მწერალთა სახლში, ერთ საინტერესო და ღირსეულ, ხანდაზმულ მწერალს, ჩემი პირველი წიგნი მოწიწებით ვაჩუქე, თან უდიდესი რუდუნებით დავძინე: – „ორი შვილი მყავს. ეს წიგნი ჩემი მესამე შვილია“. იმ ჭკვიანმა კაცმა შემხედა, გამიღიმა, ღიმილში ოდნავ ცინიზმი და სიმწარე გაკრთა. შევცბუნდი... და იცით რა მითხრა?

„მეგობარო, წიგნი შენია, შენი ღირსებაა, რასაც ჩადებ იმას შეგინახავს, გიერთგულებს, წიგნი გაგიგებს, გაგადიადებს, მოგეფერება, დაგამკვიდრებს, ღირსებას შეგმატებს, სულს დაგიამებს, წიგნი შენი სულიერი მეგობარია. შვილი?... ჰმ, შვილმა იქნებ გიღალატოს კიდეც, და თუ არ გიღალატებს, ვერასოდეს ვერ გაგიგებს, მანამ დაჭირდები, სანამ საჭირო იქნები, შვილი სულში ვერ ჩაგხედავს, ვერაფერს გაიგებს შენსას“...

ვიდექი და გაოგნებული, უნდობლად შევცქეროდი, გამაოცა, არ დავუჯერე... მეც ხომ ვიყავი შვილი? მაშინ არაფრად ჩავაგდე...

ახლა კი, საკმარისი დრო მაქვს ფიქრისთვის. ფიქრს ჭეშმარიტებამდე მიჰყავს ადამიანი...

ხშირად მახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, სულდამძიმებული, ღობე-ყორესთან ჩამუხლული, უჩუმრად მოჩურჩულე, სრულიად აღარავისთვის ვარ საჭიროო... მტკიოდა გამუდმებით ის „დედაკაცი“...

ბალზაკის, მამა გორიოს სასოწარკვეთილი, მღელვარე ამოძახილი დამეჯახა ამღამინდელი გრიგალივით. „სამშობლო დაიღუპება, მამები თუ ასე ფეხქვეშ გათელეს!“... დამეჯახა და წამლეკა...

თუნდაც, გი დე მოპასანის ჟანა, გადაკარგული შვილის მევალეებისგან განძარცვული, თეთრი ღამეებით გატანჯული, ალიონამდე ეჩურჩულებოდა ცარიელ სივრცეს... „ჩემო ძვირფასო შვილო, გემუდარები დამიბრუნდი... დამიბრუნდი ჩემო პატარა პულე... გულში ჩამეკარ მოხუც დედას... მხოლოდ შენ მყავხარ ამ ქვეყნად... შენ კი, მიმატოვე“...

ეეჰ, ან რამ ათქმევინა არჩილ მეფეს, უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურ შვილთა ყოლასაო...

ღალატი ისეთი ფენომენია ვერც ძლევამოსილ მეფესა სცნობს და ვერცა გლეხს... რკინისქალამნებიანი, უდრეკი ოთარაანთ ქვრივიც კი, თავსაფარს ამოფარებული ცრემლით, მწარე კვნესით აცილებს სამუდამოდ დაკარგულს შვილს. „ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც კი უკან არ ახედებს... განა აქ არა დაჰრჩა რა?“...

ჩემი სულიერი უძლურება რა მოსატანია, ან ვიღა ვარ დიდ შექსპირთან... თუმცა, მიტოვე-

ბულ მამა-ხელმწიფეს გულწრფელი კორდელია მაინც დარჩა ერთგულ გულშემატკივრად...

ან ვინა ვარ, თუნდაც გალასთან? პოეზიის მეფესთან, რომლის გულსაკლავი ქვითინი მოზუზუნე ქარის ტალღებმა შემომაფეთა დაფლეთილ სულში... „და, მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, – ლირი, ყველასგან მიტოვებული!“...

რით ვინუგეშო თავი? რომ მხოლოდ მე არ ვყოფილვარ ასეთ დელგმაში?... ეეჰ, და ეს რას უშველის ჩემს ჩაცრეცილ სულსა და უკვე მთლიანად დახარჯულ ჯანმრთელობას?

თუმცა... არც წიგნს უღალატია ჩემთვის და არც შვილს... არც „მამა გორიოს“ ბედი გამიზიარებია... (?!) მაგრამ... მარტოობა გაშიშვლდა... ვერ ვიმეტებ ობლად, სიმწრით გაზრდილებს საყვედურისთვის... იქნებ უჭირთ კიდეც და არ მიმხელენ? აბა რომელი ჭკუათმყოფელი გადაიხვეწება საკუთარი სამშობლოდან ლუკმა-პურის საძიებლად? ხომ მირეკავენ ზოგჯერ მაინც? ჰოდა ამის იმედით ვარ... მალე ჩამოვალთო მამი, ჩამოვალთ და ისევ ერთად ვიქნებითო... ვითომ? დავიჯერო? იქნებ ჩამოვიდნენ კიდეც ოდესმე, მაგრამ... მე დავხვდები?

დავპატარავდი მემკვიდრეთა სიყვარულის, მზრუნველობის უფრო მეტი დიადობის მოლოდინში. ნამცეცად ვიქეცი...

საქართველოში არნახული, საშინელი მდგომარეობა, ქაოსი, ჯოჯოხეთი მეფობს სოციალურ, პოლიტიკურ, საგარეო სფეროში, ქვეყანა საგიჟეთს დაემსგავსა... შეშლილების ხელში აღმოჩნდა... რა აზრის და რა იდეების გამტარებლები აღარ აღმოჩნდნენ ეს ვაი-პოლიტიკოსები. ქვეყანა გაჭირვებული ხალხისაგან შედგება. ჰოდა, ხალხიც შეიშალა... შეიშალა გაუსაძლისი ცხოვრებით... შეიშალა და ამღვრეულ, უკალაპოტო მდინარესავით აიზვირთა, გადალახა დათრგუნული, დამცირებული, გაღატაკებული მამულეთი, უცხო ქვეყნის ბურუსში, სხვათა მოჯამაგირეობით დაუძლურებული ოჯახების გადარჩენა გადაწყვიტა...

ხსნა არსაიდან ჩანს...

ხალხი ბრძენია, დროზე მოეგება გონს... საკუთარი ღირსების განცდა, თავისუფლებასთან, სიმაღლესთან დაბრუნების მძაფრი სურვილი არასოდეს განელებია ქართველს... და ვაი მას, ვინაც წინ აღუდგება ხალხის ნებას...

ღმერთო მაღალო, გამიძლიერე სამშობლო...

მადლობელი უნდა ვიყო თურმე, თავშესაფარშიც თუ მოვხვდი და ქუჩაში არ დავწანწალებ ხელგაშვერილი...

ვფიქრობდი შვილებთან მშვიდად გავატარებდი სიბერეს. სამწუხაროდ, უეცრად საიდანღაც გამოტყვრა ლუციფერი... დამეჯახა უდიდესი ძალმოსილებით, წამლეკა, ბედნიერება რვალის უზარმაზარი ურდულით გადარაზა... დამაზიანა... გამანადგურა, ჯოჯოხეთში ჩამითრია...

ჩავიკეტე... გული შეიკუმშა და აღარ გაიშალა... სული განიძარცვა... განგებამ ურო ჩამცხო თავში... წლების უკანდელი აგუგუნდა... ლამის თავის ქალა ამხადოს... „...შვილმა იქნებ გიღალატოს კიდეც, და თუ არ გიღალატებს, ვერასოდეს ვერ გაგიგებს, მანამ დაჭირდები, სანამ საჭირო იქნები, შვილი სულში ვერ ჩაგხედავს, ვერაფერს გაიგებს შენსას“...

არ დავუჯერე მაშინ...

დავჩიავდი... დავითრგუნე... ჩავიფერფლე... რატომ? რატომ ღმერთოოო...

რა მოკლე და დაუნდობელია საწუთო სოფელი... სულის ამოთქმასაც არ გაცლის... დაუნდობელ წუთში დაუნდობელი ჭინკა-კაცუნები რიალებენ... უწესრიგობის უსასრულობაში ქრება ჭეშმარიტება...

ფიქრობ, სასურველს მიაგენი, მაგრამ ყინულის პეპელასავით დაგადნება მოწყალებასავით გაშვერილ ხელის-გულზე სანეტარო ნაფიქრალი... იმ ხელის გულზე, რომლითაც საკადრის სიყვარულს ელოდები და არა ჩანამცეცებულ მატერიალურ მოწყალებას ფიზიკური არსებობისთვის...

ამაოთა ამაოებაა კაცთა არსობა. ირგვლივ ბნელა. ღალატია, გაუგებრობაა, ბოგინობს ტანჯვა, ყოველი დილა, მეორე დილამდე განსაცდელი, წრთვნა-გამოცდა ყოფილა საუფლოსთან მისაახლებლად...

რა გვინდა? საით მივეშურებით?... ვისი გვჯერა და ვის ჯერა ჩვენი?

განგებამ მზიანი ზაფხული დამიღრუბლა... ოქროსფერი შემოდგომის ფოთლებიც ჩამიჭკნო... გაუსაძლისი ყოფილა უღელგატეხილმა, სრულიად მარტომ მოაქუჩეჩო უბარაქო რთველი... ჩამიზამთრდა გამოუზამთრებელი ზამთარი, დამათოვა... რაოდენ მძიმე ტვირთი ყოფილა ჟამი, ჟამი ბნელად მორიალე... ავად მიყუჩდა ქარიშხალი წამით... თითქოს, მე ერთი ვარსებობ ამოდენა პლანეტაზე... აკივლდა სული, სული უდგრომელი, სული დაუნდობელ შლამში ჩაძირული... სუნთქვა მიჭირს... გული... გულის ბრაგუნი ხეთქავს ყურთასმენას...

მცივა... მარტოობის ნაბადში გავეხვიე... საოცნებო პოეზიის გვირგვინი ხანძარმა ჩაანაცრა... შორს, შოორს მარადიული ოლიმპოს მსგავს, მთაწმინდის პანთეონში, მუზათა საუფლოში უჩინო ფერფლად მიჰფანტ–მოჰფანტა მისავიწყებლად...

ყველაფერი მტკივა...

ჩემი შვილების დედა, ჩემი სიყვარული მელანდება... დედა მენატრება... მამა მინდა... ბავშვობა აფარფატდა... ყრმობის მეგობრები... ტყე-ხევებში ხეტიალი... ატმისფერი წარსული მებლანდება ჩინ-დაკარგულ თვალებში... ნამი ცვრებად შეიკრა, წვეთებად ჩამოიცეკვა ჭაღარა წვერ-ულვაშზე...

მცივა...

ქარი ისევ ლეწავს ქალაქს. აღარც თენდება. ფერფლისფერ ნისლში ვეხვევი... ფერფლისფერია სოფელიც...

უცნაურია ამ ღამით მთვარე. ფერგამკრთალი, ნისლის მანდილში გახვეულა, მორცხვად აფაკლული, ღირსებით, სიდიადით, უნაზესი მოლოდინით სევდაში ჩამდნარა... წამიერად გადაიყარა ღრუბელთა ჯავრი და იდუმალ სატრფოსავით შემომღიმილა ვარამ-ნაღველით...

კოსმიური ბედისწერა დაირწა მთვარის მიბინდულ დისკოში... სიცოცხლისა და სიკვდილის, აღდგომისა და აღორძინების მორიალე აჩრდილთა მონაცვლეობით... ცის ჩაბნელებული კაბადონი ცეცხლის ნათებით დასერეს ელვის ზოლებმა...

თვალებში ჩავხედე მთვარეს...

ღმერთო!... რა სასწაული, მისტიკური თვალები ჰქონია მთვარეს...

გამაჟრჟოლა...

სულში ჩამწვდა სულთა სავანე...

რაო?... რას ჩამჩურჩულებ, რას მიმანიშნებ მარადმყოფელო იდუმალებავ? ქალდეველთა ღვთაებავ... ბაბილონთა ჩამქრალო მზეო...

უეცრად, სამყარო გაირინდა... ქარმაც შეწყვიტა სუნთქვა... დრო სივრცეში იკარგება... აღმა-დაღმა მორიალე მეწამულისფერ ღრუბლებში დანისლული მთვარის გულისცემაღა ფეთქავს მხოლოდ...

უზღვრო ზღვარს მიღმა, ნაცეცხლარი სულის მელოდია აკვნესდა...

საოცარია მთვარე ამ ღამით... ჯერ განუცდელი, უწვდომელი, უსამანობაში ვერჩატეული, კოსმიური ორკესტრის, გამაოგნებელი მელოდიის დირიჟორი, კაცობრიობის ჭირის-უფალი, მთვარე...

სურნელოვანი ედელვაისის სამოთხე აშრიალდა სამყაროში...

იდუმალია ამ ღამით მთვარე... და ჩემი მღელვარებაც უცნაურად შეუცნობელია...

ამოუხსნელ დროსა და სივრცეში შევცურე... ღრუბელთა ქარავანს შევუერთდი... მთვარის მაცდუნებელ დიადემისკენ მივიწევ...

ვუახლოვდები... ის კი უფრო ზემოთ მიიწევს, თითქოს მშორდება, თუ თავისკენ მიზიდავს? მოჯადოებულივით მივილტვი ზემოთ, უფრო ზემოოთ...

ულამაზესია მთვარე, კეკლუცი და მომნუსხველი... ვერა, ვერა, ვერ ვენდობი მთვარეული შუქ-მშვენების მოჩვენებებს, უცნობელს და ნისლ-ნამქერში ცრეცილ არეს...

აიკეცა მთვარემ კალთა... ვერ დაჰფარა სულის ქარვა...

მიიმალა, მიიმალა ფერფლის-ფერში შენიღბული, პირ-საბურველ შენამული... ღრუბელთ ლაშქარს მიეფარა სატრფოსავით უწვდომელი...

ვერც ის მენდო... ვერ მენდო და პირის სახე ჩაირეცხა ცრემლთა თქეშით...

ისტერია აგუგუნდა მქრალ ნისლების სამეფოში...

მეჩვენება? სადღაც სხივი აციალდა?... ოო, ალიონი თუ მიშველის, სხვა გზა შვების ბნელმა შთანთქა...

მცივა...

თითქოს მათბობს მბრძანებელი? სუნთქვის მფენი და სიცოცხლის ნაკადული?... რად ვერ გხედავ მზევ დიადო?... თვალის ჩინო, მიღალატე?

ვგრძნობ, ალიონი ატმისფერდება...

მომდევნო დღე თენდება? ახალი ტკივილებითა და დაუსრულებელი რია-რიებით...

არ მინდა!

მკერდზე მიკრულ ჯვარს ცრემლი მისველებს...

ჩემი პაწაწინა, ვარსკვლავთვალება შვილები შემომცინიან...

დავიღალე.... დავიღალე მოდი ჩემთან უფალო...

მცივა...

დამეხმარე მაცხოვარო, ძალა გამომელია... შემოდი ჩემში უფალო... ჩემო მაცხოვარო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, მამის მხოლოდშობილო ძეო, მუხლმოყრილი გევედრები მიჰმადლე წყარო წყალობისა შენი ჩემს უგზო-უკვლოდ გადახვეწილ ობლებს, მიანიჭე მართლმადიდებლის, სამშობლოს სიყვარული, გონიერების, სიბრძნის, გულმოწყალების ნიჭი, მშვიდობა და კეთილდღეობა... აშორე ბოროტი, მოუვლინე ანგელოზი, რათა დაცულ იყვნენ ისინი... ჩემო ღმერთო, უხილავო და მიუწვდომელო, უძლეველო სიყვარულო, ჩემო იმედო, სასოებითა გაბარებ შენი შვილი ჩემი შვილების მომავალს, რათა იხარონ ორსავ სოფელსა შინა... დიდება შენდა...

გრიგალმა ფანჯრები დალეწა... ხმაურია... ვერაფერს ვხედავ... სიმშვიდე მეუფლება... ძალა მეცლება... ჩავიკეცე... ჯვარს ჩავეკონე...

შეისმინა ნაზარეთელმა... მიახლოვდება.. თვალის ჩინი ამეხილა...

მხოლოდ შენ გხედავ მზეში, ჩემო იესო... მიყვარხარ იესო...

იესო ქრისტე, მომმადლე მე, შეჭირვებულს სიმტკიცე, შემართება, მხნეობა, რომ მარად შენთან ვიყო, წამიყვანე... შენთან ყოფნა მინდა მაცხოვარო... შენი მწამს, შენზე ვსასოებ და შენით ვცოცხლობ, რადგან ნათელი ბნელში უკეთ ჩანს, შენ ხარ სიბრძნე მამისა, ნათელი ყოველი სიკეთისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ...

სიხარულის ცვარი მკურნალად ჩამომიგორდა უჩინო, დაშრეტილ თვალთაგან... მდუღარედ დაედინა თოვლისფერ სახეს, ყელთან გაინასკვა.. დიად ნუგეშად აიკურცხლა... მარცხენა ფერდზე იესოს ჭრილობას სალბუნად ჩაეღვარა...

– ღმერთო! დიდება შენდა ბედნიერებისთვის!.... – სანცვიფრელია... საკუთარი ხმა ზეციდან ჩამომესმა...

უფალო შეგვიწყალენ, შეგვინდენ... სულს გავატანო გარდასულ ფიქრ-ვარამთა შენდობა, სასოებით ველოდები შენგან შველას...

ქარი, ძლიერი ქარი მითვალთვალებს...

სული და სხეული მტკივა... ძვლებში მამტვრევს.. თავბრუ მეხვევა... ვერაფერს ვხედავ ბავშვობის გარდა...

ნუთუ უკან ვბრუნდები?...

ჩემი სოფლის მთა-გორებზე დავხეტიალობ ბიძაშვილებთან, ყიჟინით ვთამაშობთ ლახტს...

მეზობელი სოფლის ბიჭებთან ფეხბურთის შეჯიბრს ვატარებთ მწვანედ აბიბინებულ ველზე...

თმებკულულა გოგონები მინდვრის ფერად გვირილებს გვირგვინებად ქსოვენ... ჩემკენ გამორბიან... რა სათუთად მეხვევა მთელს სხეულზე გაზაფხულის უთვალავი გვირგვინი, ზეციური სრულყოფის საოცარი სურნელი...

საღამოს საბალახოდან საქონელს მოვერეკებით... დაღლილს, ბებოს კალთაში ჩამძინებია მშვიდი ძილით... ბებოს თბილი, დაკოჟრილი ხელებიდან, ლამაზას ახალმოწველილი რძის სუნი მეფრქვევა...

მაგნოლიების ხეივანში მივცურავ დამორცხვებულ სატრფოსთან ხელჩაჭიდული... მაღალგუმბათიან ტაძრიდან ანგელოზები უგალობენ ჩვენს ჯვრისწერას...

დედა და მამა ბედნიერ ღიმილს მაფრქვევს...

პირველი შვილი – აღმაფრენა... მეორეც – სიხარული...

ჩვილის სურნელი... სიყვარული, უსასრულო ბედნიერება...

რაღაც უცნობელი აფუთფუთდა, აირია სამყაროში... სულისშემძვრელი მღელვარება მეუფლება... სევდა ღვართქაფით ეშვება ციდან...

გაურკვევლობაში ვიძირები...

უსასოო მარტოობა აღრიალდა...

საბედისწერო ობობას ქსელში გავიხლართე...

ისევ აქარდა გარინდული სამყარო...

მეჩვენება ქარი კარის სახელურს ეჯაჯგურება, კარები შემოამტვრია...

მცივა...

ვინ არიან ეს ადამიანები? თეთრ ფერებში ალანძულნი?... სადღაც შორს, შოორს შფოთიანი ხმები ისმის... მე კი, ისე მსურს სიმშვიდე, როგორც არასდროს... ბრმად დავეძებ ბებოს, რძის სურნელოვან, თბილ კალთას... დავიღალე... მეძინება...

ჩემი სხეული სიფრთხილითა და რაღაცნაირი მოწიწებით გადააქვთ უცხო სარწეველაზე...

სასწაულია! ატმის ვარდისფერ ყვავილნარში მივფრინავ... ჩემი **სალოცავი** ხატი მეწვია, სული ხსნისა...

ო, ღრმთისმშობელო, წმიდაო ქალწულო, დიდება შენდა...

სულსაამო, მსუბუქ დაღლილობას ვგრძნობ...

მშვიდი ძილის სიღრმე მეპარება...

საიდანღაც საკმევლის ნაცნობი სურნელი მონიავდა...

შვებით გალობს დაღლილი, ნამგზავრი სული...

თეთროსანმა აჩრდილებმა მზრუნველი სიფაქიზით ჩამასვენეს ქათქათა ყინულის მოგუგუნე სასახლეში...

სანცვიფრელია... აღარ მცივა...

ბედნიერი ვარ...

სოფელში წუთით ჩახიზნული სული თიხის გვამს მოწყდა... მოწყდა და საოცარი სიმსუბუქით, ნუგეშით აფარფატდა მარადისობისკენ...

უზენაესო! ახალშობილი ჩვილის შეგრძნებით მივფრინავ სადღაც, შორს, შოორს, ცათა ცის მიღმა... რა დიადი, ზეციური მელოდია მეგებება...

დაუჯერებელი საოცრება აილანდა... საკუთარი მეს სიჭაბუკე შემომეხვია... გაატმისფერებულმა სამყარომ შთანთქა სიბერის ნატვირთი სევდა...

სანეტარო სახლში ვბრუნდები...

ქრისტე!...

აღუწერელი, სხივოსანი, უწიერი სამყარო ბრწყინავს...

რაოდენ გრძელი, უსაძლისი გზა გამომივლია მოსვენების მოსაპოვებლად...

ღვთიური მდუმარების სხივოსან ნიაღვარში მივფრინავ...

გმადლობ, მამაო ჩემო... დიდება შენდა...

ირმა ვადაჭკორია

ჰაიკუ – იაპონური პოეზიის მარგალიტი

> პოეზია არ უდრის ლექსს, მას სხვა სიღრმე აქვს, ყველაფერი შეიძლება გარითმო და გალექსო, მაგრამ პოეზიის გაგება სულ სხვაა...
>
> **გია მურღულია**

თუ ოდესმე იგრძენით, რომ რაღაც ახლის, უჩვეულოსკენ მიგიწევთ გული, ჯერაცუცნობი, უცნაური სამყარო გიხმობთ, მაშინ მენდეთ, წამომყევით ამომავალი მზის, ტანკას, რენგას, ხოკოს, ჰაიკუს, ჰაიაკის, საკურას, ფუძიამას სამშობლოში, დამიჯერეთ, გამორჩეული კულტურისა და ტრადიციების ქვეყნა შეძლებს თქვენს გაოცებას.

მართალია, იაპონიამდე ძალიან შორია, მაგრამ ვეცდები წარმოსახვით ჰაიკუს ლაბირინთებში, აყვავებულ საკურას ხეივნებში, ფუძიამას ფლატეებზე მოგზაურობა შემოგთავაზოთ, იმოგზაურებთ თუ არა ეს უკვე თქვენს წარმოსახვაზეა დამოკიდებული...

მაგრამ უნდა სცადოთ...

* * *

ლექსები გულის მარაოა,
რომლითაც ცეცხლს ვინელებთ და
დარდებს გადვიყრით.
მის გამოჩენას
თან მოჰყვება მკრთალი ნიავი
და ჩვერნს დახუთულ სულს
ფურცლებად შეაშრიალებს,
მაგრამ ცეცხლს რამე გაგვინელებს,
როცა ზურგს უკან
ცხელი სუნთქვა გვესმის ცხოვრების?
რა შეუძლიათ ლექსებს?

ბესიკ ხარანაულ

პოეზიის გაგება მავანთათვის ასე ჟღერს: – ქსანფ, მიდი და შესვი ზღვა.
კარენ სვასიანი

მე მაშინ მივხვდი რომ მიყვარდა პოეზია, როცა გავიაზრე ტროპული მეტყველების არსი, ცხადი გახდა, რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს შემოქმედის ხელში, რომ ისინი მხოლოდ ლექსიკური ერთეულები არ არიან და დაფარული ქვეტექსტის მიღმა მთელი სამყარო იმალება... **„პოეტები სიტყვის გურმანები არიანო“** ამ ფრაზის მნიშვნელობაც მაშინ გახდა ნათელი, როცა შევძელი გამეაზრებინა სიტყვის არსი პოეზიაში, მოვახერხე შემოსილი ფრაზების განმოსვა, სიტყვათა კოდების ამოცნობა...

ამას ბევრი სასიამოვნო გაოცება მოჰყვა...

„ლექსი მხოლოდ კარგად გარითმული სტროფები და სტრიქონები არ არის, არც შინაარსჩაქსოვილი ვერლიბრია, არც სიტყვათა თამაშია, ლექსი ბგერებსა და სიტყვა-ობიექტებში გაბნეული, მიმალული სათქმელია, რომელიც მკითხველის მთელ არსებას ითხოვს...“

დღეს ჩემი ცხოვრების უდიდეს გაოცებაზე მინდა გესაუბროთ, ამისთვის ამომავალი მზის სამშობლოში გეპატიჟებით, ჩვენ გამორჩეული კულტურისა და ტრადიციების ქვეყნის პოეზიის მარგალიტზე ჰაიკუზე ვისაუბრებთ. პოეზიაზე, რომელიც, ერთი შეხედვით, უბრალო და მარტივია, მაგრამ სტრიქონებს მიღმა ღრმა და უკიდეგანო....

პოეზია, რომელიც ახერხებს მინიმალური ინფორმაციით ემოციათა ნიაღვარი გამოიწვიოს და ფანტაზიის უკიდეგანო სივრცეებში გადაისროლოს მკითხველი...

*** * ***

ფუძის ნიავო,
ძვირფას ქვასავით
მარაოთი წაგიღებ სახლში.

*** * ***

ცოტასაც ვივლი
და შევისვენებ,
შორეული ღრუბლების მიღმა.

*** * ***

ზღვაში მოვისვრი
დაფხრეწილ სანდლებს და
ქარიშხალთაგან გაცვეთილ შლაპას.

ეს ის პოეზიაა, რომელიც უკიდურესად დამძიმებულს ფრთებს შეგასხამს და გამოგზაურებს, მოგხიბლავს, მიგინდობს, ფიქრისკენ გიბიძგებს, ემოციებით აღგავსებს და უჩვეულო სამყაროს თანაზიარს გაგხდის...

*** * ***

ლექსი მდინარეს უნდა ჰგავდეს
რომელიც ლაღად მიედინება
ქვიშიან კალაპოტში.

რა არის ჰაიკუ?

ჰაიკუ იაპონური კლასიკური პოეზიის ნიმუშია, სამსტრიქონიანი ლექსი, რომელის პირველი და მესამე ტაეპი ხუთმარცვლიანია, მეორე – შვიდმარცვლიანი, ტრადიციული ჰაიკუ მთლიანობაში ჩვიდმეტ მარცვალს შეიცავს, იგი, ერთი შეხედვით, უმარტივეს თემაზეა დაწერილი, მაგრამ ამ სიმარტივის მიღმა უდიდესი სიმბოლური დატვირთვა იმალება.

*** * ***

ამ ბეწვის ხიდს,
ველურმა სურომ
მთელი ცხოვრება შემოახვია.

როგორც ამბობენ, ჰაიკუს ძველად **„ჰოკკუ“** ერქვა, რაც იაპონურად საწყის სტროფს ნიშნავს, მას სხვა იაპონური პოეტური ფორმების რენგასა და ტანკას საწყისად იყენებდნენ. სწორედ ჰოკუთი იწყებოდა, თურმე, მრავალი სტროფისაგან შემდგარი იაპონური ლექსი – **ჰაიკაი**, ჰოკუს წაკითხვის შემდეგ ნათელი იყო ლექსის თემა, იგი განსაზღვრავდა ლექსის სათქმელსა და შინაარსს, მოგვიანებით პოეტებმა მხოლოდ ჰოკუს წერა დაიწყეს, გაგრძელების გარეშე.

მარტივი და გენიალური

*** * ***

ეს ველები და მთა-გორები
შეუმჩნევლად გაქურდა თოვლმა...
დაცარიელდა უცებ მიდამო.

*** * ***

„ბავშვები გვღლიან!“
ამ ხალხისათვის
ულამაზოა ალუბლის ფერიც.

თითქოს უმარტივესია ყველაფერი, მაგრამ თუ წარმოსახვას ყურს მიუგდებთ, ეს სამი სტროფი მომენტალური შეგრძნებებით აღგავსებთ, იგრძნობთ ამინდს, დაინახავთ საოცარ სურათს და გაიგონებ უჩვეულო ხმებს...

*** * ***

აჩურჩულდნენ ქრიზანთემები,
გადაივიწყეთ
მიხაკით სავსე ცხელი დღეები.

*** * ***

ხმა სიჩუმეში.
ძველ გუბურაში ჩახტა ბაყაყი.
სიჩუმე გასკდა.

ჰაიკუს არსის გააზრება წარმოუდგენელია წარმოსახვის გარეშე, მას მახვილითვალიანი მკითხველი სჭირდება, რათა გამართლდეს ლექსის მიზანი, წამიერი შეგრძნებებით, განცდებით, საგანთა ხედვით, შთაგონებით მკითხველის აღავსება რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის გათვალისწინებით, კერძოდ, ადამიანისა და ბუნების თანაზიარობა, შერწყმა. კლასიკური ჰაიკუ აუცილებელად უნდა შეიცავდეს ერთ კიგოს (წელიწადის დროს) სეზონის თემატიკას, ან ისეთ სიტყვას, რომელიც წელიწადის რომელიმე დროზე მიანიშნებს.

*** * ***

შემოდგომის წვიმა და მწუხრი!
ჩემთან კი არა,
მეზობლისას დაჰკეცეს ქოლგა.

*** * ***

შემოდგომის ქარში,
შიშველ თოკზე,
მარტოსული ყორანი იჯდა.

*** * ***

დიდებულია
ზამთრის ეს წვიმა,
ღამით თოვლად რომ გადაიქცევა.

*** * ***

გვიან შემოდგომით
მომავლის სჯერა
მწვანე მანდარინს.

ჰაიკუ ერთგვარი მყისიერი განცდის, ემოციის გადმომცემი სურათია, რომელშიც დახატული პეიზაჟი თუ სცენა, წელიწადის დრო და ამინდი იმდენად ცოცხალი, დინამიკური და ნათელია, რომ მკითხველსა და წარმოდგენილ სამყაროს შორის უჩვეულო, მისტიკური კავშირი მყარდება, მომენტალურად ხდება მისი ნაწილი, აღვიძებს და აღძრავს მკითხველის ფანტაზიას.

ვინ არის ჰაიკუს შემქმნელი და უბადლო ოსტატი მაცუო ბაშო?

მაცუო ბაშო 1644 წელს დაიბადა უენოში, ღარიბი სამურაების ოჯახში, მამა და უფროსი ძმა კალიგრაფიას ასწავლიდნენ, ახალგაზრდობის პერიოდში იგი მსახურობდა ადგილობრივი ფეოდალის ოჯახში, რომელსაც ძალიან უყვარდა ჰაიაკის წერა, ტოდო იოშიტადასთან ურთიერთობამ განსაზღვრა მისი მომავალი, შეაყვარა პოეზია და ჰაიაკის წერა ასწავლა. მაცუომ ბატონის გარდაცვალების შემდეგ უარი თქვა სამურაის ტიტულზე, რითაც ძალიან გაანაწყენა ნათესავები, იმედი გაუცრუა მშობლებს.

28 წლის ასაკში წავიდა იაპონიის დედაქალაქ ედოში და უდიდეს წარმატებას მიაღწია, იგი ყველაზე პოპულარული პოეტი გახდა. ლექსის თეორეტიკოსი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰაიკუს ჟანრის ჩამოყალიბებაში.

მელანქოლიაშემოწოლილს უზომოდ უყვარდა მოგზაურობა.

ბევრ საქმიანობას მიჰყო ხელი, მაგრამ ყველგან ხელმოცარული გაჭივრებაში ცხოვრობდა, მისმა ერთმა მდიდარმა მოსწავლემ მისთვის მამას აჩუქებინა საცხოვრისი, პატარა ქოხი, რომლის ეზოში ბანანის ხეები იდგა. სწორედ აქედან წარმოდგება მისი ფსევდონიმი ბაშო, რაც იაპონურად ბანანს ნიშნავს.

* * *

სახლი მაგარი გამოვიდა!
ჩემს ეზოში ბეღურები
მხიარულად იკენკებიან

1682 წელს ხანძარმა გაანადგურა მისი ქოხი, რამაც მისცა სტიმული აეხდინა დიდი ხნის ოცნება, სამოგზაუროდ წასულიყო. ათი წლის განმავლობაში მოიარა მთელი იაპონია, გამოსცა ხუთი წიგნი, ასევე გააკეთა მოგზაურის ჩანაწერები და გამოაცოცხლა „მოგზაურთა პოეზია“. დაბრუნებულს მეგობრებმა ქოხი განახლებული დაახვედრეს, მაგრამ ის იქ დიდხანს აღარ დარჩენილა. პოეტი 1694 წელს ოსაკაში გარდაიცვალა, მისი ბოლო ჰაიკუც მოგზაურობის თემაზეა დაწერილი.

ბაშომ დააარსა სკოლა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა იაპონურ პოეზიაში, ჰყავდა ორიათასამდე მოსწავლე.

* * *

მე სულ გზაში ვარ,
ვთოხნი თითქოს პატარა ყანას
და უგზოუკვლოდ დავეხეტები.

ლექსი ძლიერი ემოციური დატვირთვით

ჰაიკუ საოცარი ლექსია, რომლის უბრალოებისა და სისადავის მიღმა განცდათა და ემოციათა ტალღები ბობოქრობს, წამის დაჭერა კი ჯერარგანცდილ ნეტარებაში ახვევს მკითხველს, ბუნების სიდიადის სულითხორცამდე გათავისება, გარესამყაროს ხედვა დეკორაციის მიღმა და მასთან შერწყმა, მისგან წარმოქმნილი ვიზუალური, კინესთეტური, აუდიალური შეგრძნებები უდიდესი ენერგეტიკით აღავსებს მკითხველს...

აი, რა ემოციებს აღვიძებს და აღძრავს ჰაიკუ...

* * *

ისე მძიმეა ღამის ხალათი,
გეგონება სხვა სამყაროდან
ცას თოვლი სცვივა.

* * *

ამ მბზინავ ლუკმებს
გემო აქვთ სევდის.
ნუ დაივიწყებთ.

* * *

რამდენიც არსებობს,
იმდენი ყვავილობს თავისებურად.
აი, გმირობა უზენაესი.

ჰაიკუ ყოველთვის გვიბიძგებს დავინახოთ სიმარტივეში გენიალური, დავტკბეთ უბრალო მომენტებით, რომელსაც იმდენად შევეჩვიეთ ყოველდღიურ ცხოვრებში, რომ ვეღაც ვამნევთ, წელიწადის დროები იცვლება, ჩვენ კი მხოლოდ კალენდარს ვფურცლავთ, დღეებს ვითვლით და არ ვცდილობთ ეს დღეები დღესასწაულად ვაქციოთ, ყველა სიხარული, რასაც ყოველდღიურად გვიგზავნის ბუნება გავიაზროთ უდიდეს საჩუქრად, ზეიმით მივიღოთ ის და გავითავისოთ, რომ ცხოვრება დეტალებით შემდგარი ფაზლია, რომელმაც ჩვენი ცხოვრების სურათი უნდა შექმნას, თითოეული დეტალი კი უმნიშვნელოვანესი და ფასეული, ღრმა ფილოსოფიითა და წიაღსვლებითაა აღსავსე, თვით სიკვდილიც კი...

ცხოვრება რომ ბედნიერად მოაწყო, უნდა გიყვარდეს ყოველდღიური წვრილმანი. ზეცის ნათება, ხეების შრიალი, ბეღურების ჭიკჭიკი, გამვლელთა სახეები – სწორედ ამ წვრილმანებში შეიძლება იპოვო უმაღლესი ბედნიერება.
რიუნოსკე აკუტაგავა

ამ დეტალების გააზრებისკენ გვიბიძგებს პოეზიის ეს საოცარი ქმნილება – ჰაიკუ, რომელსაც შეუძლია დაგავიწყოს რეალობა და ყველასაგან და ყველაფრისგან შორს, საკუთარი თავისგანაც კი, მიღმიერ სამყაროში გადაგისროლოს, სადაც უჩვეულო აღმოჩენები გელით, სადაც თქვენი ქვეცნობიერი, წარმოსახვა ფრთებს გაშლის და შესაძლებლობებით გაგაოცებთ, ენერგეტიკა, რომელიც ბუნებასთან შერწყმით მიიღებთ სამყაროს, კოსმოსის თანაზიარს გაგხდით.

აღმოსავლეთი და დასავლეთი....

მაცუო ბაშოს რომ უკიდეგანო წარმოსახვის უნარი აქვს ამას მისი ერთი ჰაიკუს წაკითხვაც ცხადყოფს, თუმცა, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მისი ლექსი მასზე დიდი მოგზაური გახდებოდა.

ბაშომ იაპონია მოიარა, მისმა პოეზიამ კი სრულიად სამყარო გაიფინა ფეხქვეშ.

* * *

ეს სულერთია –
დასავლეთი თუ აღმოსავლეთი,
ყველგან თანაბარი ცივი ქარია.

აღმოსავლეთი დასავლეთისკენ მოდის და დასავლურ კულტურას ერწყმის, ეს ჩვენი სინამდვილის აქტუალური და მნიშვნელოვანი მოვლენაა, იაპონური პოეზიაც, ერთ-ერთი გამორჩეული და

სპეციფიკური ხელოვნებაა მთელ მსოფლიოში, სრულად დაფუძნებული აღმოსავლურ კულტურასა და ხელოვნებაზე, კერძოდ, ჰაიკუ დიდი ხანია გასცდა მშობლიური ქვეყნის სანახებს, ჰაიკუს უამრავი მკითხველი და მიმდევარი ჰყავს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. ალექსანდრე დოლინის აზრით, „ჰაიკუს გლობალიზაცია“ ჰგავს იაპონური საბრძოლო ხელოვნების გავრცელებას, ისინი უკვე დიდი ხანია ტრანსნაციონალური გახდნენ. დიახ, თითქმის ყველამ თავისებურად მოირგო ჰაიკუ, მაგრამ მიუხედავად ტრანსნაციონალიზმისა, ყველაზე მთავარ მოთხოვნა „ჰაიკუს სული“, რაც უბრალო მომენტების გამოთქმასა და გააზრებაში მდგომარეობს, უცვლელი დარჩა, ყველა არაიაპონელმა ჰაიკუს მიმდევარმა შეძლო ამ სულის შენარჩუნება, თუმცა ვერ შეინარჩუნეს მარცვლების რაოდენობა.

ჰაიკუს წესების დარღვევა ძალიან ხშირია თანამედროვე პოეზიაში, ევროპულ ჰაიკუში, ასევე თარგმანებში, თარგმნისას ჰაიკუ ჰკარგავს პირვანდელ სახეს, მარცვლების რაოდენობას, თანამედროვე ჰაიკუ შეიცვალა თემატიკითაც, უფრო გათანამედროვდა, ჰაიკუს ავტორები თანამედროვე თემებს შლიან თავიანთ ლექსებში, მაგრამ ინარჩუნებს სტრუქტურას, ფორმას, სამ სტრიქონს

არსებობს ჰაიკუს მრავალი სკოლა და ტენდენცია: ქალაქური ჰაიკუ, ანგაჟირებული ჰაიკუ, ინტიმური ჰაიკუ და ა. შ.

ქართული ჰაიკუ

საქართველოს მისია ოდითგანვე იყო აღმოსავლური და დასავლური კულტურის შერწყმა და შემდეგ ერთ მთლიანობაში წარმოდგენა.

ზვიად გამსახურდია

ეს სიტყვები აუცილებლად გაგახსენდებათ, როცა ქართულ ჰაიკუს გაეცნობით,

მაცუო ბაშომ, ალბათ, არც საქართველოს არსებობის შესახებ იცოდა შორეულ იაპონიაში, სამაგიეროდ საქართველომ გაიცნო და შეიყვარა იგი უზომოდ, საოცარი ოსტატობით თარგმნეს მისი შემოქმედება თამაზ ჩხენკელმა, მამუკა ბადრიძემ. (მოცემულ წერილში მაცუო ბაშოს მამუკა ბადრიძისეული თარგმანებია გამოყენებული).

მიმდევრებიც გამოუჩნდა. თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ჰყავს ძალიან კარგი ავტორები **თემურ ჯავახიშვილი – თემო ჯავახი,** „იგი მხატვარია და ეს მის პოეზიაშიც იგრძნობა. მასთან ბგერა ხან გრაფიკული გამოსახულების ფორმას იღებს, ხან წყვეტილ ფრაზებში „იმალება“, საბოლოო ჯამში კი ავტორისთვის დამახასიათებელ პოეტურ სახეებად გარდაიქმნება“.

ირაკლი კაკაბაძე, საოცარი მეტსახელით, **იაკი კაბე,** ავტორია არაერთი პოეტური და ლიტერატურული კრებულებისა, წიგნი **იაკი კაბე – ტანკები** 2013 წლის ეროვნული ბესტსელერია**.** მათი შემოქმედება, ვფიქრობ, პერსონალურ განხილვას იმსახურებს, დღეს კი უბრალოდ გაგაცნობთ მათ შემოქმედებას, რომელთა დაფარული ქვეტექსტის მიღმა ბევრი ფიქრი, დრამატული განცდები და ემოციები გელით.

ირაკლი კაკაბაძე – „თბილისის შვიდი ძუჩის ჰაიკუ ჩემი სიზმრებიდან“

აკოფიანის ქუჩა

სხივზე ადრე მოადგებოდა ჩვენი სახლის კარს
მეზობლის შეშლილი გოგო,
მამაჩემზე შეყვარებული...

ივანე ჯავახიშვილის ქუჩა

ჭადრების ჩრდილქვეშ, თეთრი ტაძრის შავ ალაყაფთან
მელოდა ჩემი ბავშვობის ქრისტე, დედა როზა,
უზბეკეთში დაბადებული გერმანელი ტყვეების შვილი...

მარჯანიშვილის ქუჩა

სომხურ ენაზე გაჰკიოდა აივნიდან ბებიამისი,
– გესმის, მწყევლისო, – კისკისებდა და
მეტროს შენობას მოფარებული ყელს მიკოცნიდა...

ივერიის ჩიხი

ჩვენი სკოლის წინ, უმზეო და ვიწრო ჩიხში,
ცხოვრობდა ლოთი პიანისტი,
ჩვენი სკოლის დამლაგებელი...

შავთელის ქუჩა

ჩვენ ვთამაშობდით, ის კართან იჯდა,
სოფლიდან ახლად გადმოსული კლასელი ბიჭი და
დედის უცხო სტუმრების წასვლას ელოდა...

ვერცხლის ქუჩა

თვალცრემლიანი ცეკვავდა თავის ქორწილში,
ჩვენი კლასელი ებრაელი ობოლი გოგო,
მდიდარ მოხუცზე მითხოვებული...

ამაღლების ქუჩა, ყოფილი დავითაშვილი

ძალიან ხშირად ამ აღმართზე ავყავარ შვილებს,
იხსენებენ თავის ბავშვობას ძველი სახლის წინ,
რომელიც მე გავუყიდე...

თემურ ჯავახი – კონკრეტული, ვიზუალური, მინიმალისტური პოეზია

* * *

თვალშეუმდგარედ
ჩუმად ისხდნენ
თავის სხეულ-კომბინიზონში.

* * *

მთის გაღმა ღმერთია.
მაგრამ...
სადაა ის მთა?

* * *

სულ ელი...
სულ ელოდები...
სულ ალდები...

* * *

ბარდნის
კარებს შემოაღებს
გაყინული ჰაიკუ.

* * *

სული-რეალობა.
სხვა დანარჩენი....
დროებითი მსხვრევადი ბუშტი.

* * *

დახატა ცრემლმა გამჭვირვალე ტბა.
ტივტივებენ კითხვის ნიშნები.
ტუჩები დუმან.

* * *

მძიმე საბანი...
გაზაფხული მოდის.
მძიმეა საბანი.

„წერტილი მძიმეა“ – პაატა შამუგია

და რადგან წერტილი მძიმეა, არ დავსვამ წერტილს, წერტილის ნაცვლად ერთ ულამაზეს ლექსს დაგიტოვებთ, რათა დიდხანს დარჩეთ ჰაიკუს მისტიკურ ლაბირინთებში.

*** * ***

ასგზის კეთილშობილია,
გაელვებისას ვინც არ იტყვის
„ესა ყოფილა ჩვენი სიცოცხლე“

კაზუო იშიგუროს „არასოდეს გამიშვა“

„არასოდეს გამიშვა“ ახალი სიტყვაა ლიტერატურაში, ის არ ჰგავს იმ წიგნებს, რომელიც აქამდე წაგიკითხავთ“.

როდესმე თუ იფიქრებთ, რომ იმდენი წიგნი წაიკითხეთ, აწი ველარაფერი გაგაოცებთ, მაშინვე იშიგუროს სამყაროში გაემგზავრეთ, მისი უკანასკნელი (2005) ნაწარმოები **„არასოდეს გამიშვა“** აიღეთ ხელში და წიგნის დასრულებისთანავე მიხვდებით, რომ შეცდით, რომ გენიოსებს ყოველთვის შეუძლიათ თქვენი გაოცება, რომ ეს წიგნი არასოდეს გაგიშვებთ მწერლის სამყაროდან...

ნაწარმოების პირველი თავის წაკითხვისთანავე ხვდები, რომ როცა კითხვას დაასრულებ დასაწყისს აუცილებლად დაუბრუნდები და ეს განცდა არ გშორდება მანამ, სანამ წიგნს არ დახურავ, დიდხანს, დიდხანს არ იფიქრებ, კინოკადრებივით არ დაატრიალებ გონებაში განცდილს, გაგონილსა და წარმოსახულს და ისევ თავიდან არ დაიწყებ კითხვას...

წიგნის წაკითხვასა და გადაკითხვას შორის დიდი ზღვარია, არსებობენ მკითხველები და გადამკითხველები, ასევე არსებობს წასაკითხი და გადასაკითხი წიგნები.

არის **მკითხველი**
მშვენიერ წიგნის
და არის მხოლოდ
გადამკითხველი...
ის ფურცლავს, ნიშნავს
ადარებს, ჩიჩქნის,
მაგრამ ვინაა
აქ გამკითხველი.
გალაკტიონ ტაბიძე

ასევე არსებობს წასაკითხი და გადასაკითხი წიგნები. წიგნები, რომლებიც სამუდამო კვალს ტოვებენ ჩვენს ცხოვრებაში, რომლებიც ფიქრს გვაიძულებენ და წიგნები, რომლებიც დახურვისთანავე გვავიწყდება.

„არასოდეს გამიშვა“ ის წიგნია, რომელსაც გადამკითხველი ვერაფერს გაუგებს, გადაკითხვა მხოლოდ ინფორმაციის მიღებაა, ამ წიგნს კი ჭეშმარიტი მკითხველი სჭირდება, კიდევ მეტი, წიგნი პირდაპირ ითხოვს კულტურულ მკითხველს, რომელსაც ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი დეტალი, რადგან ეს ის წიგნია, რომლის სათქმელი სტრიქონებს მიღმა იმალება, ის ერთი გაბმული მეტაფორაა, რომელიც ამოცანასავით უნდა ამოხსნა, მისი ყოველი პასაჟი ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც ფაზლის თითოეული სტიკერი, რათა სრული სურათი შედგეს. ამიტომ წიგნის კითხვისას საოცარი სიფრთხილე გმართებთ, რომ ყურადღების მიღმა არ დაგრჩეთ არცერთი მნიშვნელოვანი წამი.

ვინ არის კაზუო იშიგურო?

ცნობილი იაპონური წარმოშობის ინგლისელი მწერალი კაზუო იშიგურო 1954 წლის 8 ნოემბერს დაიბადა იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში, ოკეანოგრაფ სიძუო იშიგუროსა და სიძუკი იშიგუროს ოჯახში. 1960 წელს მამამისი ინგლისში მიიწვიეს კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად ოკეანოგრაფიის ნაციონალურ ინსტიტუტში, ინგლისში იგი მეუღლესთან და სამ შვილთან (კაზუოს ორი და ჰყავდა) ერთად გაემგზავრა. ისინი სურეეის საგრაფოში დასახლდნენ, ქალაქ გილფორდში. ამ დროს კაზუო ხუთი წლისა იყო და იგი პირველი დონის სკოლაში Staffon-ში ჩაირიცხა, გახდა ინგლისურენოვანი, მაგრამ იაპონურ ენასთან კავშირი არ გაუწყვეტია, შემდეგ კი სწავლა განაგრძო Surrey Grammar School-ში, სკოლოს დამთავრების შემდეგ ერთი წლით სამოგზაუროდ გაემგზავრა აშშ-სა და კანადაში. ამ დროს ის გატაცებული იყო მუსიკით, უამრავი დემო ვერსიაც ჩაწერა თავისი კომპოზიციებისა, უგზავნიდა პროდიუსერებს, მაგრამ მოწონება ვერ დაიმსახურა, არის რამდენიმე ჯაზური კომპოზიციის თანაავტორიც, მუსიკოსობაზე ოცნებობდა, მაგრამ ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა. იმედგაცრუებული კვლავ ინგლისში დაბრუნდა და 1974 წელს, 20 წლის ასაკში, კენტის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, სადაც იგი ინგლისურ ენასა და ფილოსოფიას სწავლობდა, მას საინტერესო ადამიანებთან მოუხდა ურთიერთობა, რამაც მასზე უდიდესი გავლენა იქონია. 1978 წელს დაასრულა ბაკალავრიატი, 1980 წელს კი მიიღო მაგისტრის დიპლომი. 1983 წელს მიიღო ბრიტანეთის მოქალაქეობა. იგი დღემდე ლონდონში ცხოვრობს მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად.

ლიტერატურული კარიერა

კაზუო იშიგუროს ლიტერატურული კარიერა, პროფესიული მწერლობა, 26 წლის ასაკში, 1981 წლიდან იწყება, იგი რამდენიმე მოთხრობას წერს, დახვეწილი სტილითა და გამორჩეულად კარგი ინგლისურით.

1983 წელს კი მისი პირველი რომანი „იქ, სადაც ნისლიანი ბორცვებია“ გამოქვეყნდა, ამას მოჰყვა რომანი „მოფარფატე მსოფლიოს ხელოვანი“, რომლისთვისაც 1986 წელს **ვაითბრედის პრიზი** მიენიჭა.

უდიდესი აღიარება მას მესამე რომანმა „დღის ნარჩენები“ მოუტანა, 1989 წელს **ბუკერის პრემია** მფლობელი გახდა. მას ყველაზე ინგლისურ წიგნს უწოდებენ, ამას მოჰყვა „მთების მკრთალი ხედი“, შემდეგ „დაუშოშმინებელი“, „როდესაც ობლები ვიყავით“ და ბოლო რომანი, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა მისი დიდება „არასოდეს გამიშვა“ 2005 წელს წარდგენილი იყო **ბუკერის პრემიაზე**, მაგრამ ამ შემთხვევაში ჟიურიმ არჩევანი ჯონ ბანვილის რომანზე „ზღვა“ შეაჩერა.

იშიგურო არის მწერალი, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურება, მისი არცერთი რომანი ფორმით, სტილით, შინაარსობრივი თვალსაზრისით, თემატიკით ერთმანეთს არ ჰგავს, მკითხველი ვერ წარმოიდგენს, რომ მას ერთი ავტორი ჰყავს, შვიდივე რომანი ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავდება.

„არასოდეს გამიშვა“ არის გამაოგნებელი წიგნი, რომელიც სამართლიანად შედის ყველა დროის 100 საუკეთესო რომანის ჩამონათვალში, ჟურნალ Time ვერსიის მიხედვით.

არასოდეს გამიშვა

„არასოდეს გამიშვა“ კაზუო იშიგუროს, ამ დროისათვის, უკანასკნელი წიგნია, ეს არის უჩვეულო, ძალიან თანამედროვე ამბავი, ანტიუტოპიური, დისტოპიური რომანი, ახალგაზრდა ადამიანებზეა, რომელთა მომავალი დაბადებიდან განსაზღვრულია, რომელთაც არაფერი დაუშავებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასტიკი განაჩენით დაიბადნენ, ჩასახვიდან სიკვდილმისჯილებად.

რომანის სათაური მთავარი გმირის საყვარელი სიმღერაა Bridge water-ის „Neverb let me go“-ა, რომელიც ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ფილმშიც ჟღერს (https://video.search.yahoo.com/search/video?fr=mcafee&p=bridgewater+reverb+let+me+go#id=1&vid=7081a036265fa7256644baedc0642892&action=click)

სიმღერას რომანის დასწყისში რომანტიკული ელფერი აკრავს, სასიამოვნო, თითქოს მელოდრამული ამბისთვის გამზადებს, კვანძის გახსნის შემდეგ კი რეკვიემის ასოციაციას იწვევს.

პირველი სტრიქონების კითხვისას ჩნდება აზრი, რომ მთხრობელი მოხუცთა თავშესაფრის მომვლელია და მიხრწნილ მოხუცებს იმქვეყნად წასვლის უკანასკნელ დღეებს ულამაზებს, ტრაგიზმის განცდა კი სწორედ იმ წუთიდან იწყება, როცა აცნობიერებ, რომ ეს ასე სულაც არ არის და სასიკვდილოდ განწირული დონორები ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, მომავალზე მეოცნებე, სიყვარულსა და ვნებებს მოწყურებული არსებები არიან...

აგრძელებ კითხვას და თანდათან რთულდება ყველაფერი, გიჩნდება განცდა, რომ წიგნი ფაზლის პრინციპითაა შექმნილი, შენს წინ სტიკერების მთელი გროვა ყრია და ძალიან ყურადღებით უნდა იყო, რომ ყველას თავისი ადგილი მიუჩინო

კითხვის პროცესში ნელ-ნელა იკვეთება აქტუალური, ნაცნობი თემები:

- ✓ წარსული, რომელიც არასოდეს გტოვებს
- ✓ მოზარდების ურთიერთობები
- ✓ დისკრიმინაცია
- ✓ თინეიჯერული კომპლექსები
- ✓ ბრძოლა თვითდამკვიდრებითვის
- ✓ ბრძოლა თანატოლებს შორის გავლენის მოპოვებისთვის
- ✓ ცხოვრებისეული ბარიერების გადალახვა
- ✓ ურთიერთობა უფროსებთან, პედაგოგებთან
- ✓ მხილების საშუალებით ადამიანის შეცვლა
- ✓ სექსუალური სწრაფვები
- ✓ სიყვარული
- ✓ მარტოსულობის განცდა
- ✓ მეგობრობა, ზრუნვა

იღებ ტექსტიდან ამ თემებს და გაქვს მოლოდინი, რომ რომელიმე მათგანი იქნება სიუჟეტის განვთარების საფუძველი, მაგრამ როცა ნაწარმოების მთავარ თემას „ეხეთქები!!!“ ხვდები, რომ გამაოგნებელი ამბავი ტრიალებს პერსონაჟთა თავს, გახსენდება ცნობილი ფრაზა „გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს“, იშიგურო კი გეუბნება: გამოუვალი მდგომარეობა ის მახეა, რომელის დაგებას ახერხებენ ადამიანები ჩვენს სინამდვილეში.

ჰეილეშემი, ინგლისის განაპირას მდებარე პანსიონი, რომელიც წიგნის კითხვის დაწყებისას მკაცრი რეჟიმის თავშესაფარი გგონია, თურმე ერთგვარი ფერმაა, სადაც კლონებს ზრდიან, მაგრამ ბავშვებმა ამის შესახებ არაფერი იციან, მათ დიდი გეგმები და ნათელი მომავლის მოლოდინი აქვთ. მათ ასწავლიან საგნებს, მედიცინას, ხელოვნებას, განსაკუთრებით კი სთხოვენ წერონ და ხატონ, ხატვასთან დაკავშირებით უქმნიან ილუზიას, მოდის ქალი, რომელსაც მათი ნამუშევრები მიაქვს. სინამდვილე კი სუულ სხვაა, მათი ნახატები არავის სჭირდება, ეს ექსპრიმენტის ნაწილია.

„მართლა გვჯეროდა გალერეის არსებობა?...“

„გალერეის ამბავი ბურუსით მოცული რჩებოდა. სამაგიეროდ, მადამი, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ, ხანდახან სამჯერ ან ოთხჯერ გვაკითხავდა ჩვენი საუკეთესო ნამუშევრების შესარჩევად“.

მეცნიერთა აზრით, კლონს სული არა აქვს, ის უფლის შექმნილი არ არის, შესაბამისად არა აქვს სული, ხელოვნება კი ღვთიური მადლია. იშიგურომ სული შთაბერა კლონებს, თითოეული პერსონაჟის სულის მოძრაობა დაგვანახა, ღრმა პასაჟებით დატვირთა ტექსტი და ამბავი ძალიან თბილი და მტკივნეული გამოვიდა. წინა პლანზე კი წამოსწია უდიდესი მორალური პრობლემა.

მიუხედავად ყველაფრისა, ტექსტი იძლევა ოპტიმიზმის საშუალებას (ახლა ხომ 21-ე საუკუნეა) ხედავ როგორ იბრძვიან გმირები, როგორ ცდილობენ რეალობიდან გაქცევას, მაგრამ ამაოდ, აცრემლებული ასრულებ კითხვას, ყველაფერი დასრულდა...

როგორი საინტერესო პროგნოზიც არ უნდა გააკეთოთ, დამიჯერეთ, აუცილებლად გაგიცრუვდებათ მოლოდინი, იშიგურო ის ავტორია, რომელიც სტერეოტიპებსა და ლოგიკას თავისებურად ამსხვრევს. ის, რაც ცხოვრებაში ლოგიკურია, ამ ნაწარმოებში – ალოგიკურია...

„ფანტაზია ამის იქით აღარ წასულა. არ გავუშვი. თვალებიდან ცრემლები მცვიოდა, მაგრამ არ ვქვითინებდი. არც თავი დამიკარგავს. ცოტა ხანს შევიცადე, მანქანაში დავბრუნდი და წავედი იქ, სადაც მმართებდა, რომ ვყოფილიყავი“.

ეს ნაწარმოების თითქოს ლოგიკური, მაგრამ უსასტიკესი ფინალია...

2010 წელს ბრიტანელმა რეჟისორმა მარკ რომენეკიმ, რომანის მიხედვით, ფილმი გადაიღო, ფილმმა ნამდვილად გაამართლა, მაგრამ, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, წიგნს ვერ გაუტოლდა.

რომანის ქართული ვერსია შესანიშნავი გამოვიდა. მთარგმნელი დათო აკრიანი. მთარგმნელმა შეძლო ყველა დეტალის შენარჩუნება და მკითხველამდე მოტანა.

თინა შიოშვილი

ანა კალანდაძის შემოქმედება და ფოლკლორი

ერთობ მომთხოვნსა და პრეტენზიულ ქართულ პოეტურ სივრცეში იშვიათ შემოქმედს ღირსებია მისი ლექსების ხელნაწერად გავრცელება, უფრო კი – ბეჭდურობის ცენზამდე ხელიდან ხელში აგოგმანება და მკითხველთა აღტაცების უმაღლესი გამოხატულება. ანა კალანდაძეს სრულიად ახალგაზრდას ხვდა წილად ეს ბედნიერება – საერთო სახალხო აღიარება და მკითხველის განუზომელი სიყვარული...

თითქოსდა ლექსით მოყირჭებულ დედაქალაქს გურიის ულამაზესი სოფლიდან – ხიდისთავიდან ჩასული ყმაწვილქალი თავისი უმწიკვლო სევდითა თუ სიხარულით, მკვეთრად გამოხატული საკუთარი პოეტური ხმითა და უკიდეგანო, ხელშეუხები პოეტური სამყაროთი ნათლის სვეტივით დაადგა თავს და საოცარი სიკაშკაშითა და გულწრფელობით აავსო მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილებგადანახადი ქართული სული, უკეთესი მომავლის რწმენით, სითბოთი და საოცარი, მართლაც მხოლოდ ანასეული, პოეტური გარდასახვებით ამოავსო ნაომარი, თითქმის მუზებშემომწყრალი, აკვიატებულ პოლიტკულტურას შეწირული ქართული პოეზიის პარნასი.

ანა კალანდაძის შემობრძანება ქართულ პოეზიაში ახალი ფერების ზეიმი, ახალი სურნელის მოფენა იყო; ეს ის ხელთუქმნელი ფერები და ზეგარდმო სურნელია, ამტანმა და გამტანმა, მართალმა და სულგრძელმა ქართულმა სოფელმა კეთილ მეგზურად რომ გამოაყოლა გოგონას ჭრელსა და ხმაურიან, ხშირად გულცივსა და გოროზ ქალაქში, რათა ომისშემდგომი დაძაბულობა და დათალხულობა მისებური სინაზითა და სითბოთი გაეხარებინა, სისადავესა და უშუალობასთან წილნაყარი სიბრძნით გამოეფხიზლებინა მშობელი ხალხი... აკი თავადვე გრძნობდა საკუთარ შეუვალობას... პირად ცხოვრებაში უაღრესად მოკრძალებული პოეტი 1945 წელს დაწერილ ლექსში „რა ვარ!“ ამბობს: „იალაღებით მობერილ ვარ სიყვარულისად“ და, საკუთარ პოეტურ ძალაში დარწმუნებული, რომ ძალუძს, გაარღვიოს უსანდომო ბანალური სივრცე, ხმამაღლა აცხადებს:

„მაგრამ... დახედეთ განჩინებას
ამა სოფლისას:
მეტყვი, სცდებიო, პატარა ქალო!
შთაბერე ქარო, – ნახონ ძალა
ჩემი გრძნობისა!“

ეს ის ძალა და შემართებაა, მშობელი ხალხის წიაღიდან, მისი ღრმა ტრადიციებიდან რომ მოსდგამს ქართველს; ეს ის ძალაა, მუდმივად რომ ავსებს სიცოცხლის ელექსირით და არასოდეს დაიშრიტება; ეს ის ძალაა, პოეტს ხშირად რომ მოანატრებს დათოვლილ სოფელს, ჩიჩილაკებით დამშვენებულ საკალანდო სამზადისს, ეზოში ამაყად მდგარ ბერმუხას თუ სულის აღვსებას ჭეშმარიტი ხალხური ლხინითა და ზეიმით:

„და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა მამალი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ღამისმთევარი
თოვლში ნაბდითა...
დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა“.

ანა კალანდაძის სახისმეტყველების განუმეორებელი სტილი და ზეობა უსათუოდ განპირობებულია მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მდიდარი და მრვალსაუკუნოვანი ფოლკლორული შემოქმედების ღრმა ცოდნითა და, ამავე დროს, ყოველივეს საკუთარ უნაზეს პოეტურ ქურაში გადადნობის უსათუთესი ხერხებითა და მეთოდებით, რაც ბოლომდე მისია, მას ეკუთვნის და სხვას – არავის. ხალხური ლექსის სულშიჩამწვდომ მუსიკალურობასთან ქართული კლასიკური ჰიმნოგრაფიული ღრმააზროვნებისა და მელოდიურობის შერწყმამ დიდებული სინთეზი მოგვცა ანა კალანდაძის, მართლაცდა, ღვთაებრივი მადლით აღსავსე პოეზიაში, მის უიშვიათეს ლექსიკურ კონსტრუქციებში; სწორედაც ამგვარი სინთეზის პირმშოა მისი დიდებული პოეტური მემკვიდრეობა; ამის თაობაზე კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, რომ პროზაში მის ენობრივ პოზიციას ანა კალანდაძე პოეზიაში აგრძელებდა.

ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავი შემოქმედების შემდეგ ერთობ ძნელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დიდბუნებოვნებაზე, ტრადიციებზე, ფშავ-ხევსურული ხალხური შემოქმედების უკიდეგანო ხიბლსა და ღრმა წარსულიდან მომდინარე ზნეკეთილ წეს-ჩვეულებებზე მოეთხროთ რაიმე ახალი, რაიმე იმგვარი, რითაც კიდევ ერთხელ შეტოკდებოდა ქართულ სული, კიდევ ერთხელ განაცდევინებდა კანონიერ სიამაყეს, თუმცა ანა კალანდაძის უნაზესმა და უხინჯო, პირველქმნადობის ღვთაებრივი ნიჭით მადლმოსილმა შემოქმედებამ ეს შეძლო და კიდევ ერთხელ შეაბრუნა მთის ხალასი სამყაროსაკენ თანამემამულეთა მზერა, აღავსო სიბრძნესთან და სილამაზესთან, უბინო ადამიანურ ურთიერთობებთან უშუალო ზიარების სურვილით. ანა კალანდაძის ლირიკული გმირის თვალითა და გულით აღქმული მთა კვლავაც ის ულევი, ღალიან-ბარაქიანი, მზის მადლით აღვსილი და ავმიუკარებელი სამყარო აღმოჩნდა, რომელსაც აგრერიგად მიელტვის ხოლმე ბარში მტვერწაყრილი ზნეობა.

ფშავ-ხევსურული თემატიკის შემცველ პოეზიას გულთამხილავმა პოეტმა მშობელი ხალხის წიაღში საუკუნეებით გამოცდილ-გამობრძმედილი ხალხური კილო და სათანადო ლექსიკა შეაგება, სათანადო რიტმითა და რითმებით მიქარგ-მოქარგა, რამაც მისი პოეტური მარგალიტები სასიმღერო ინტონაციით შეამკო და აკი დღემდე მთელი საქართველო მღერის:

„ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?..“

ანა კალანდაძის ლირიკული გმირი ვაჟასეული სისათუთით ესაუბრება „არაგვს ზემოთ და არაგვს ქვემოთ“ სათიბებში ამობრწყინებულ კენკეშასა და უკადრისას, მოფარფატე პეპლები და ფუტკრები რომ დასტრიალებენ თავს; შეჰხარის კლდეებზე გადმოკიდებულ ჩანჩქერებს და არც მზისდარ მთიელ ვაჟკაცს აკლებს თბილსა და სამახსოვრო სიტყვებს, ფშაური ხალხური პოეზიის სანდო და გამოცდილ კილოზე მიუგურგურებს:

„ვაჟაო, დილის მზის სხივო,
ხან მთებზე ნისლთა დინებავ,
შუაფხოდან რომ მიდიხარ,
გული რად გაგეტირება?

შენ თუ არ იცი მიზეზი,
აბა, ვის ეცოდინება?
გადმოდი, გადმოაშუქე
ლურჯ თხილიანას კალთები,
რა დაშავდება? არც რაი:
გნახავ და... გამეხარდები!“

ანა კალანდაძის გულწრფელმა და სულშიჩამწვდომმა სატრფიალო ლირიკამ სწორედ ფშავ-ხევსურეთის მადლიან სივრცეში ჰპოვა სანდო სავანე, საარაგვოზე ამოხეთქა მთელი სიმძლავრით, თუმცა თან ამოიყოლა ღირსებით აღსავსე ქართველი ქალის ოდინდელი სტოიციზმი:

„რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჭკუას არ დავიხმარებდი,
შენთან დავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი...
ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი,
გზას წისქვილისკენ გავლევდი...
პატარაც რამე გწყენოდა,
სულს ხოხობივით დავლევდი...“

ფშავსა და ხევსურეთში ბოლო დრომდე ერთობ პოპულარულმა პოეტური პაექრობის ფორმამ – ხალხურმა კაფიამ, ანუ „შამღერნებამ“, ანა კალანდაძის პოეზიას კიდევ ერთი ნიშანდობლივი ხიბლი შემატა – დიალოგურობა და აქაც სიტყვის დიდოსტატის – ქართული პოეზიის დედოფლის იგავმიუწვდომელი მაგიით ნაკურთხი ორიგინალური კითხვა-მიგება მივიღეთ:

„– თქვი, არჯაკელო, ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
– რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა...
– მეც სხვათაშორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა...“

ანდა:

„ბროლს მოამსხვრევს თეთრახევა,
ბროლს მოამსხვრევს ბროლიანსა,
შხეფს შეაფრქვევს ვარდკაჭკაჭას,
ლამაზს, ცისფერთოლიანსა,
– წამო ჩემთან!
– უკაცრავად,
ვერ გაგყვები ცოლიანსა!“

სამშობლო ქვეყნის გმირული წარსულისა და მამულისათვის თავშეწირული გმირების ხოტბა–დიდება ანა კალანდაძის პოეზიის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ამ მხრივ ის ვალში არ დარჩენილა ხალხური პოეზიის მარგალიტებით უხვად შემკული თუში სახალხო გმირის – ზეზვა გაფრინდაულის მიმართ, ვისი სახელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა სპარსელი დამპყრობლებისაგან ბახტრიონის ციხის განთავისუფლების ისტორიაში; ქვემო ალვანში ზეზვა გაფრინდაულის ძეგლის გახსნას მისებური გულთამხილავი სტრიქონები უძღვნა პოეტმა და თანადროულობას შეახსენა, რომ წინაპრის მიერ გმირული თავდადებით შემომტკიცებულ მამულს კვლავაც ერთგულება და სათანადო დაცვა სჭირდება:

„ჯაჭვი რად გმოსავს, გაფრინდაულო,
ალავერდისკენ რას ზვერავ ასე?
ისევ აშლილა აბასის ურდო,
ისევ მომდგარა კახეთის კარზე!..“

ანა კალანდაძის უაღრესად თვითმყოფად პოეზიას უხვად კვებავს ქართული მითოსური სამყარო, არქაულქართული რწმენა-წარმოდგენები, ჩვენი ხალხის ძვალსა და რბილში გამჯდარი წეს-ჩვეულებანი, ურომლისოდაც ჩვენი იდენტობა, ეროვნული მეობა წარმოუდგენელია. მზე – უზენაესი ღვთაება, ქართველთაგან ოდითგან დედად შერაცხილი, ანა კალანდაძის ლირიკული გმირისათვისაც მარადიული სიცოცხლისა და ენერგიის უშრეტი წყაროა; მზის ჭეშმარიტი მგოსანი უარს უცხადებს ყოველგვარ მიწიერ სამკაულს, მხოლოდ მზის საგალობელი სწადია:

„...არ მინდა ოქროს სამკალი
ძვირფასი თვლებით...

თავს მოვიკაზმავ
სიარაქლემას ლამაზი ფრთებით
და მზეს ვუმღერებ
ოკეანით მომავალს მძიმედ...“

ქართული მითოსური რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ჩამავალი მზე წითლად რომ აციაგდება, მკვდრის მზედ იწოდება; ხალხურ პოეზიაში მითოსური გმირის – ხოგაის მინდიას სიკვდილიც ამგვარად, მცხრალი მზის სიმბოლიკით, აღინიშნება:

„ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა სჭექდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა...“

ანა კალანდაძის ლექსი „მკვდართა მზე ვარ“, ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუშის თანახმად, პერსონიფიცირებული უზენაესი მნათობის სევდიანი აღსარებაა:

„ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივმიმკრთალი,
სხივმიმკვდარი
მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბეღურები...“

და მაინც მზე!.. სწრაფვა მზისკენ, მარადიული სინათლისა და სითბოსაკენ ანა კალანდაძის პოეზიის ლაიტმოტივია. ლექსი „ამღაში“, რომელიც ანასეული ლექსმეტყველების ერთ-ერთი მშვენიერი საგალობელია უზენაესი მნათობისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული დალოცვის – „მზემ ნუ დაგტოვოთ უსალმოდ!“ – გამოძახილია და ვინ იცის, პირველად რომელმა ჩვენმა წარმართმა წინაპარმა ამოთქვა უზენაეს ლოცვად!.. სწორედაც ამ სიტყვებით ესალმება პოეტი ამღელებს:

„...ჰა, მივესალმოთ ამღელებს, –
მზემ ნუ დაგტოვოთ უსალმოდ!“

ლექსით „მზის სალოცავი“ ანა კალანდაძემ შორეულ წარსულში გადაგვიყვანა, კაცობრიობის პირველქმნილ ასოციაციებთან დაგვაახლოვა:

„... მუხლებს მოვიყრი ნაწარმართევი
(რაღაც უნებურ იღვიძებს ჩემში),
როს ავა ცაზე მზის აღმართებით
და მზის ოქროსფერ, დიდ სალოცველში
კოცონს დააგზნებს ქურუმი ცისა...“

მზე – საფიცარი ღვთაება ქართველთა ერთი შეხედვით სრულიად მარტივად, ლაპიდარულ საფიცარ ფორმულად ამოიმღერა ქართული სიტყვის ჯადოქარმა და პოეზიის დედოფალმა:

„ნისლი თქორდება,
ნისლებს ერევა,
ისმის წყალთა ხმა,
ქართა სტვენისა...
„მზის საფიცარი
ნუ დამელივას!“ –
იმედი კვლავ მზის
გამოჩენისა!“

...და რაც უნდა სევდა–კაეშანი მოერიოს, ანა კალანდაძის პოეზიის ლირიკული გმირი არ დანებდება, არ ჩაიჩეხება, მარად მზისკენ ისწრაფვის:

„ჩავყურებ უფსკრულს,
პირჯვარს ვისახავ...
ჩამძახის ვიღაც:
– აქეთ, მზისაკენ!“

მსოფლიო მითოლოგიაში გველი ცხოველთა სიმბოლოთაგან ერთ-ერთი მრავალსახოვანი და არქაული ანიმალისტური სიმბოლოა; იგი ადამიანთა მუდმივი თანმდევია, მტერიც არის და მფარველიც, ყოვლისშემძლეა და ადამიანისათვის სიცოცხლის მინიჭებაც ძალუძს და წართმევაც. ქართულ მითოსურ რწმენა-წარმოდგენებში გველისადმი ადამიანთა დამოკიდებულება თაყვანისცემიდან („ფუძის ანგელოზი“, „წინაპარი“,

„მკურნალი“, „ბრძენი“) მტრობამდეა გადაჭიმული („ადამის მოდგმის მტერი“, „უხსენებელი“, „ბანალდასაწვავი“, „უსახელო“); საყურადღებოა, რომ გველის ნაირგვარ ბიბლიურ ინტერპრეტაციათაგან – უარყოფითი: „გადმოვარდა დიდი ურჩხული, დასაბამის გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი სამყაროს მაცდური...“ (გამოცხ., 12: 9); დადებითი: „იყავით გონიერნი, როგორც გველნი და უმანკონი, როგორც მტრედნი“ (მათე, 10: 16) – ხალხში მაინც სატანური არქეტიპი დამკვიდრდა. ანა კალანდაძის დიდებული ლექსი „ლოცულობს გველი“ ამ არქეტიპის დამსხვრევის ერთგვარი მცდელობაა: ჯერ ულამაზესი ქვეწარმავლის „ლოცვაზე“ ყურადღების მიქცევა, თითქოს ცოდვილ სულს ავედრებდეს უფალს, ხოლო ლოცვის შემდეგ ტყის ამ მშვენიერი „ბანოვანის“ ცეკვის მისტერიის უიშვიათესი მხატვრულ-ვერბალური წარმოჩენა ამისი ნათელი დასტურია:

„გასრიალდება ხევში ზმორებით
ტანმოხატული უცხო ზოლებით,
მუხლებს მოიყრის და, შიშისმგვრელი,
ლოცულობს გველი...
ალბათ, ცოდვილ სულს ავედრებს ღმერთსა,
რომ იდუმალებს,
სევდიან თვალებს
მიაპყრობს ზეცას,
ჩუმად ჩურჩულებს გესლიან ენით...
გრილი ნიავი, ფოთლებთან მრკენი,
შეარხევს ბალბას, შრიალებს ლელი
და, შიშისმგვრელი,
ლოცულობს გველი...
ვინ იტყვის, ახლა ერჩოდეს კაცთა,
ნაიდუმალევს
როს მზეს აჩვენებს დაწინწკლულ ტანს და
სევდიან თვალებს?
ტყის ბანოვანი ზანტი ზმორებით,
ტანმოხატული უცხო ზოლებით
მორჩება ლოცვას და, შიშისმგვრელი,
ხელში დაირით
ველებს დაივლის
და უზუნდარას იცეკვებს გველი...“

ფშავ-ხევსურეთის, მისი არქაიკისა და თანადროულობის უზომოდ მოტრფიალე პოეტის შთაგონებას როდი გამორჩა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფართოდ გავრცელებული მითოსური თქმულება „გაბუურთ ეშმას“ შესახებ. ლექსს „...ჭიმღის კლდეს ეშმა ბინადრობს...“ ეპიგრაფად სწორედ ამ ხალხური თქმულების მოკლე რეზიუმე უძღვის: „გადმოცემით, სოფელ ჭიმღაში (არხოტი) მცხოვრებ ვინმე გაბურს მკის დროს ეშმა დაუჭერია და მოუშინაურებია, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ეშმა მაინც გაპარულა“. ამ არქაული თქმულების ანასეული გამოძახილი დემონური პერსონაჟის გაკეთილშობილების ნიმუშია. ეშმა, რომელიც, ხალხური მითოსის მიხედვით, ოჯახის ბავშვებს მოატყუებს, კერიაში გადამალულ ფრჩხილებს (მაგიური ფუნქცია) დაიბრუნებს და გაიქცევა, ანა კალანდაძის ლექსის თანახმად, კვლავ ადამიანებისაკენ ისწრაფვის, გაბურებს დაეძებს, სოფელ ჭიმღის სანახებს უტრიალებს, ტირის, მოთქვამს, მაგრამ ვერავის აგონებს, რადგან დაცლილა ერთ დროს ხალხით სავსე სოფელი, აღარავინ ბინადრობს... აი, ეს არის პოეტის სადარდებელი – დაცლილი ხევსურული სოფელი:

„ჭიმღის კლდეს ეშმა ბინადრობს,
ტირის, დაეძებს გაბურებს,
ხან დიყ-ჟალტამში გორაობს,
ხანაც წყალს შეაჩქაფუნებს...
ჭიმღის კლდეებში იზამთრებს,
ტირის, ქვა-ლოდებს აგორებს...
შორს შეგიტყუებს შალშავი –
რაღაც გათრობს და გაბრუებს...
დარბის ეშმაკი გზაწვრილზე, –
დარდობს, დაეძებს გაბურებს...“

ბედისწერა, ბედი კაცობრიობის ოდინდელი, მარადიული დილემაა. სამყაროს შეცნობის ხანიერ გზაზე ამ იდუმალებით მოცულ, თითქოს რეალურ და იმავდროულად უკიდურესად არარეალურ, ფენომენს ვერა და ვერ ჩასწვდა ადამის მოდგმის ვერცერთი თაობა... მასთან მიახლოებისას, ძველი ბერძნების რწმენა-წა-

რმოდგენებიდან მოყოლებული, წამსვე ყურადღება სიკვდილისაკენ მიექანება, რამდენადაც ბედისწერის ნომინაციისათვის გამოყენებული ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა უშუალოდ ეჯაჭვება სიკვდილს, გარდაცვალებას, სიცოცხლის დასასრულს; ფატალური გარდაუვალობით აღბეჭდილი ეს ფენომენი დღემდე „წყევლაკრულვიან“ საკითხად რჩება. „კაცი ვერსაიდ წაუვა თავის ბედსა და წერასა!“ – ასეთია ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის პირუთვნელი განაჩენი და მაინც, როგორც ნ. ბერდიაევი ბრძანებს, „არაფერი ისე არ აღელვებს ადამიანს, როგორც – მისი ბედი“. ბედისწერის პრობლემა, ბუნებრივია, აღელვებთ ესოდენ ფიქრიანსა და ხშირად გულჩათხრობილ ანა კალანდაძის პოეზიის ლირიკულ გმირებსაც. უმშვენიერეს ლექსში „აღარავინ აღარ მიყვარს“ პოეტმა შესანიშნავად გადმოსცა ხალხური რწმენა-წარმოდგენები წერა-მწერალზე, რომელსაც მშობელი ხალხის არქაული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების საუკეთესო მცოდნე ვაჟა-ფშაველა ამგვარად განმარტავს: „ყველა ადამიანს აქვს თანდაყოლილი ბედი და წერა; რასაც წერა-მწერალი დაუწერს თავის დაბადების დღეს, იმას კაცი ვერ ასცილდება, რაც უნდა ბევრი ეცადოს, ბეწვის ტოლად ვერ ძალუძს, შეცვალოს ბედის განაჩენი“. ვინ, თუ არა ჭეშმარიტი პოეტის წარმოსახვამ, კარგად იცის ეს ყოველივე, თუმცა ამ უაღრესად ირაციონალური ფენომენის სრული წარმოდგენა-გადააზრება ანა კალანდაძესთან კვლავაც სავსებით ორიგინალურია, დუალისტურ ჭრილშია წარმოდგენილი, ანგელოზსა და სატანას მარადიული ჭიდილის ველზეა გადატანილი და ამით დარღვეულია ერთპიროვნული „ნება-სურვილი“ ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების წერა-მწერლისა, განსაზღვროს ახალშობილის ბედი:

„და... როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს,
ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს,
– ბედი ჰქონდეს! – თქვა შავთვალა ანგელოსმა,
– ბედი ჰქონდეს? ხა, ხა, ხა, ხა... არასოდეს! –
თქვა სატანამ, ზღვას ფოლადის ხმალი დაჰკრა,
ზღვამ წამიღო, უდაბნოში გამომრიყა...
სულში, გულში გრძნობა გაქრა, გრძნობა გაქრა,
ქვეყანაზე აღარავინ აღარ მიყვარს...“

აქაც უაღრესად არსებითისა და ნიშანდობლივის წამოწევა – სატანისეული ნამოქმედარის უნდობარი შედეგი – უსიყვარულობა, რაც იმთავითვე მიუღებელია უფლის მსგავსად და ხატად დაბადებული ადამიანისათვის; საბოლოოდ კი ეს ლირიკული შედევრი ჭეშმარიტებისაკენ მავალ მარადიულ პოლემიკაზეა აგებული, რასაც ლექსის დასასრულს რიტორიკული განმეორებითაც მშვენივრად აღწევს პოეტი:

„ჰო, როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს,
იცი, თურმე, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს,
– ბედნიერი იყოს! – უთქვამს ანგელოსსა,
სატანამ თქვა;
– ხა, ხა, ხა, ხა... არასოდეს!“

პოეტის ყოვლისმომცველი, გულთამხილავი მზერა სულ მცირე ნიუანსსაც ვერ დატოვებს უყურადღებოდ; ანა კალანდაძის ლირიკული გმირი ერთნაირად ესათუთება ფართოდ გაშლილ ქართლის მინდვრებსა თუ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, მხარგაშლილ ქედებსა თუ დაბინდულ ტყეებს, მზის მოხოტბე ჩიტუნებსა თუ მარადიული თოვლის სავანეს – თეთნულდს, ჭიუხებში ჯიხვების ნავარდსა თუ ქართველი გლეხის ნაამაგარ ვენახზე უფლის მადლად გადმოსულ მზესა და ბადახშს და მაინც სწორედაც პოეტის მზრუნველმა თვალმა უნდა შენიშნოს წვიმისაგან გალუმპული ფაფანაგა და მიეფეროს, დააიმედოს მაშარისძირას თავშეფარებული:

„წვიმს, ფაფანაგა სველდება
ჭრელის მაშარისძირისა...
ნუ ტირი, ჩემო პატარავ,
მზე კვლავ დააფენს ღიმილსა...
დიდი მინდვრები დანამოს,
ეს ხომ... წესია წვიმისა?“

...და ყველაფერი ხალხური პოეზიის უშრეტი ველიდან მონაბერი კილოთი და უშუალო, ხალხური ლექსიკით, ხალხური პოეზიის სამშვე-

ნისებითა და სულიერი შემართებით არის ნასაზრდოები...

წვიმა, მითოსური მსოფლმხედველობითაც და ემპირიულადაც, უდიდესი ღვთაებრივ მადლისა და სასწაულის გამოვლინება, განსაკუთრებული ფუნქციით არის დატვირთული ანა კალანდაძის პოეზიაში და ეს შემთხვევითი როდია. წვიმის ტრდიციული სიმბოლიკა, რომელიც თითქოს მზის ანტაგონისტია, იმთავითვე, მზეს, მზის სხივებს ენათესავება, რამდენადაც მიწის განაყოფიერება, მისი სიცოცხლისუნარიანობა, მზესთან ერთად, წვიმის ფუნქციაც არის. ბერძნული მითოსიდან მოყოლებული (ზევსი ოქროს წვიმად გარდაისახა, რათა შეეღწია კოშკში ჩაკეტილ დანაეასთან) წვიმა, ღრუბელი ნაყოფიერებასთან ასოცირდება; წვიმაში განბანვა კი მსოფლიოს მრავალი ხალხის (და მათ შორის ქართველთა) რწმენა–წარმოდგენებში სულიერი განწმენდის სიმბოლური მეტაფორაა. ბიბლიური სიმბოლიკითაც ღვთის რისხვის გამოხატულება და ნება, რათა განწმენდილიყო ცოდვილი დედამიწა, წარღვნით აღესრულა („აწვიმდა ქვეყანას ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“. – დაბ., 7: 12). წვიმის ტრადიციული სიმბოლიკა ყველაზე უკეთ, ყველაზე შთამბეჭდავად ხალხურმა შემოქმედებამ და წეს-ჩვეულებებმა შემოინახა, მასთან დედამიწისა და მისი ბინადრების სიჯანსაღე-სიცოცხლე ასოცირდება და, ბუნებრივია, ანა კალანდაძის ზეშთაგონებით დაპურებული პოეზიისათვის წვიმა სიცოცხლესთან, განახლებასთან, სრულყოფილებასთან არის ასოცირებული. ლექსი „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ სწორედაც ამგვარი განწყობით საზრდოობს.

ქართველ ყრმათა აღმზრდელი, მრავალი თაობის უშრეტი სულიერი საბადო – „დედა ენა“, რომელშიც ქართველების სწორუპოვარმა მასწავლებელმა იაკობ გოგებაშვილმა ქართული ხალხური შემოქმედების მარგალიტებს მოუყარა თავი, რათა მათში საუკუნოვანი გამოცდილებით დაუნჯებული ხალხური სიბრძნე ყოფილიყო ყრმათა უტყუარი გზამკვლევი, ანა კალანდაძის პოეზიის ერთ-ერთ მარგალიტში „რა მოგწონს უფრო?“ ორიგინალურად, ანასეული რიტორიკული სტილით წარმოჩინდება; პოეტი მიმართავს პატარა შეგირდს:

„...„დედა ენაში“
რამ მოგხიბლა, ჩემო გოგონავ,
კურდღლის ბაჭიამ
თუ ჩიტების სტვენამ ვენახში?“

ლექსიც „დედა ენის“ მადლმოსილი ფურცლებივით გადაიშლება და ჩამოთვლის იმ მარადსახსოვარ, სულშიჩამწვდომ ხალხურ პასაჟებს, რაც ამ წიგნი-მოძღვრის მადლით მთელი ცხოვრება მიჰყვება ადამიანს კეთილ–ბოროტის გასამიჯნავად:

„გრძნობაფაქიზი,
დარდს ეძლევი, პაწიავ, დიდსა:
ბარტყებს რად სთხოვსო მელია ჩიტსა?..“

ანდა:

„...დედას შესჩივლებ:
– რად გააგდეს მჩხავანა კატა?
მასვე უამბობ სამი კნუტის თავგადასავალს...“

ამ მშვენიერი ლექსის რეზიუმე კი გაცხადებულია დასასრულის სტრიქონებში:

„ისწავლე, ჩემო,
შენი ქვეყნის მტერი, მოყვარე,
გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა...
ფაფუკ ლოყებზე დაგეგზნება ჭიაკოკონა...
გესმის, ვიოლა,
წიგნით მერცხლის ჭიკჭიკი გესმის...
რა მოგწონს უფრო, ჩემო გოგონავ,
ჩიტი-ჩიორა,
შროშანი თუ ყაყაჩოს ლექსი?“

ყაყაჩოს თემა ერთი ვრცელი სამყაროა ანა კალანდაძის პოეზიაში; 1953 წელს გამოქვეყნებულ მისი ლექსების პირველ კრებულს, რომელშიც 49 ლექსი შევიდა, ყდაზე სწორედ ყაყაჩო ახატია, რაც სიმბოლურად გამოხატავს ავტორისეულ მსოფლგაგებას, მრწამსს, ამ მეწამულ ყვავილის სიმბოლიკას. არქაული ბერძნული თუ რომაული გაგებიდან (ძილისა და სიზმრის ღვთაებათა თუ ზამთრის ძილის სიმბოლიკები)

მოყოლებული, წითელი ყაყაჩო ქრისტიანულ ტრადიციაში მაცხოვრის მოწამეობის და „მარადიული ძილის“ სიმბოლოდ ტრანსმისირდა, ქართულ პოეზიაში კი მამულისათვის დაღვრილი წმინდა სისხლის სიმბოლოა (ლ. ასათიანი, მ. ლებანიძე) და ამდენად – სიწმინდისა და ზნეობრიობის დროშა, რომელიც აგრერიგად თამამად და მრავლისმეტყველად ფრიალებს ანასეული პოეზიის უმეტეს ნიმუშებში ცნობილი სპარსი (თუმცა, ბოლო დრომდე მსოფლიო მოქალაქედ აღიარებული) პოეტისა და მოაზროვნის – ომარ ხაიამის „მთვრალ ყაყაჩოდ“ მეტაფორიზებიდან სამშობლოს ველ-მინდვრებზე და ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის სულში, ესოდენ მარტივად, ესოდენ ხალხურად, ესოდენ „დედა ენისეული“ ენით და მაინც – ანასეულად:

„...ამ მშვენიერ მინდორ-ველზე
რა ნაირი ფერებია?!
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია...“

მშობელი ერის მოძმეობა, ჭირსა თუ ლხინის მოზიარეობა იმთავითვე ხვედრი და მოვალეობაა პოეტისა და რა გასაკვირია, „გარემოების საყვირად“ ხმობილი, სხვაზე ადრე თუ შენიშნავს და შეიგრძნობს მამულის მუხაზე კვლავშესეულ მუმლს და მისებური პირუთვნელობით მითოსური არქაიკიდან მოიხმობს ქართველთა რწმენის ძირგამომთხრელ მწვალებელთა ეპითეტს და ამოიგმინებს:

„ძირს ვუთხრით რწმენას,
მწვალებლობის ზარი გუგუნებს, –
ისევ ჭრელდება საუკუნე,
ეს საუკუნე...
ეს ისევ ისე შეფრქვეული
მუხას მუმლია:
ივლის სიონი,
დასაბამით როგორც უვლია!“

და... მაინც რწმენა ხვალინდელი დღისა, „მრავალჟამიერისა“, ასე დიდებულად რომ ჩააქსოვა მრავალჭირგამოვლილმა ქართველმა ხალხმა თავის უკვდავ სიმღერაში, ანა კალანდაძის უკვდავი შემოქმედების მუდმივი თანამდევია; ლექსში „მრავალჟამიერ“ ათასგვარ ჭირ-ვარამში გამოწრთობილი, საუკუნეებგამოვლილი სულისკვეთებითა და სიყვარულით ლოცავს პოეტი მშობელ ქვეყანას:

„შენს ლურჯ მწვერვალებს, თოვლი რომ ფარავს,
თერგს და დარიალს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,
მრავალჟამიერ!
შენს შმაგ ჩანჩქერებს მთებიდან ბარად
რომ იჩქარიან,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,
მრავალჟამიერ!
. . . . . .
რიონსა და ჭოროხს, მტკვარსა და არაგვს –
მზიან-მთვარიანს...
მოეფონება შრიალი ხეთა
მიწას გვალვიანს...
მშვიდობა, მარად მშვიდობა შენდა,
მრავალჟამიერ!...“

ზეცისკენ მჭვრეტი, მზის მოტრფიალე და მოღაღადე ანა კალანდაძის უფაქიზესი პოეზია ქართული სულის, ტოლერანტობის, მამულიშვილობის, ზნესრულობის მარადიული საგალობელია, რომლის ფესვებიც მშობელი ხალხის ზნესრული, ჰეროიკული წარსულისა და საუკუნეების პირუთვნელ ტვერში გამოტარებული ხალხური მარგალიტების, სიტყვაკაზმული მწერლობის და სასულიერო მემკვიდრეობის უღალატო ემბაზშია მადლცხებული და ამიტომაც ცისა და მიწის მარადიული ჭიდილის ფონზე მუდმივად გვაფხიზლებს, ზეცისადმი სწორებას გვახსენებს:

„დუმს ვარსკვალავების
ჩუმი სამყარო...
მას შეჰღაღადებს
მიწა ცოდვილი...
გამოიღვიძე,
მიუსაფარო,
ო, სულო ჩემო,
გეყო ლოდინი, –
გაფრინდი ცისკენ!“

თეონა
კეკელიძე

„ამირანიანის“ შერეული ვარიანტების ტრანსმისიის პრობლემისათვის

„ამირანიანის“ ლექსნარევ, ანუ შერეულ, ვარიანტებს ყველაზე მრავლად ვხვდებით ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. საგულისხმოა ის გარემოება, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე თვითკმარი სწორედ ამგვარი ვარიანტებია. როგორც თავის დროზე პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა შენიშნა, ამ ვარიანტებში ამირანის, ბადრის, უსიპის თავგადასავალი სრულად არის გადმოცემული (ჩიქოვანი, 1959: 257).

„ამირანიანის“ ლექსნარევი პროზაული ვარიანტების კვლევისას, ცხადია, უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს **პროზისა და პოეზიის ურთიერთმიმართება.** ჩვენს ხელთ არსებული, ბოლო დრომდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაფიქსირებული, ვარიანტების კვლევამ გვიჩვენა, რომ:

1. პროზა და პოეზია ხშირად ერთიმეორეს იმეორებენ;
2. პროზა და პოეზია ერთიმეორეს ავსებენ.

ამირანის წრის თქმულებათა პირველი მკვლევარი – მიხეილ ჩიქოვანი მონოგრაფიაში „მიჯაჭვული ამირანი“ მყარად დგას იმ მოსაზრებაზე, რომ ლექსნარევ პროზაულ ვარიანტებში პროზა და პოეზია ერთიმეორეს იმეორებენ: „პოეტური ადგილები გადმოცემაში მწვერვალებს წარმოადგენენ, ხოლო პროზა მათი შემაკავშირებელი უღელტეხილია. შინაარსის მხრით მათ შორის ხშირი დამთხვევა არის: რასაც პროზა გადმოგვცემს, მასვე გვაწვდის ლექსი“ (ჩიქოვანი, 1959: 258). ამის დასადასტურებლად მკვლევარი რამდენიმე ფშაურ მაგალითს მოიხმობს:

1. „სულკალმახი მოკვდა. იმის მტერს, დევებს, დრო მიეცათ ჯავრის ამოყრისა. დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი ადინეს, ააოხრეს და დააბუნდოვეს. ძმები, დევების დაშინებულები, სულ გადაიკარგნენ, გასწირეს თავისი ქვეყანა“.

ლექსითი ჩანართი:

„ბადრი, უსიპი, ამირან ობლები მოვიყარენით,
დევების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარებით“.

ანდა:

„ბადრი, უსიპი, ამირან ობლები მოვიყარენით,
ღველფ არ გვინახავს, კერაი, საჩალეს მოვიყარენით“.

2. „გავიდა ხანი, გაიზარდა ამირანიც: ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უმძიმდა მისი ტარება; უსიპი და ბადრი მშვენიერები იყვნენ“.

იგივე ლექსად:

„ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:
სადილად ბუღა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.
ბადრი ქალსა ჰგავ ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა,
უსიპი – ბროლის ციხესა, თავ-ბოლოთ გამაგრებულსა,
ამირან – შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა“.

დამოწმებული მეორე ვარიანტის თანახმად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პოეტური ტექსტი პროზაულის უშუალო გამეორებას არ წარმოადგენს და ეპიკური გმირების შესახებ გაცილებით მეტს გვეუბნება. პოეტური ტექსტის დასაწყისში წარმოდგენილი ოქსიმორონი („ცოტა კაცია... ცოტა სმა-ჭამა ეყოფა... სადილად ბუღა კამეჩი...) აბსოლუტურად განსხვავებულად წარმოაჩენს გმირის სახეს; ასევე, პროზაული ტექსტი არაფერს ამბობს ამირანის ფიზიკური გარეგნობის იმ შტრიხებზე, რომლებიც მისის ხასიათის განმსაზღვრელად გვევლინება: „ამირან – შავსა ღრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა“; არც ბადრისა და უსიპის გარეგნული შტრიხებია ხაზგასმული.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოეტური ტექსტი არათუ იმეორებს პროზაულით გადმოცემულ შინაარსს, არამედ ავსებს, აკონკრეტებს, აზუსტებს და განსხვავებული დეტალებით გადმოგვცემს ამა თუ იმ დეტალს, რაც გმირისა თუ სიტუაციის უკეთ გააზრების საშუალებას იძლევა.

მიხეილ ჩიქოვანი შენიშნავს, რომ „პროზაში რიტმული ადგილების არსებობა ლექსის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს და ყოველი მათგანი ადრე თუ გვიან ლექსად იქცევა. მაშასადამე, ლექსნარევი ვარიანტების განვითარების შინაგანი პროცესი ასეთი გზით მიემართებოდა: სასაუბრო ფრაზა – რიტმული პროზა – ლექსი (ჩიქოვანი, 1947: 165).

საანალიზო პრობლემასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, საინტერესოა, რა გარემოება განაპირობებს ლექსითი და პროზაული ვარიანტების გვერდიგვერდ არსებობას? – ამ შემთხვევაში ის პოეტური ვერსიები იგულისხმება, რომლებიც არსებითად იმეორებენ პროზაულით გადმოცემულ შინაარსს. აქ საქმე უნდა გვქონდეს შესრულების გარკვეულ წესთან. ე. ი. პროზა პოეზიაში გადადის, მაგრამ მაინც აგრძელებს არსებობას ლექსის გვერდით.

მიხეილ ჩიქოვანი ამირანის ლექსისადმი მიძღვნილ შრომებში (1946, 1947, 1959) გვამცნობს, რომ „ამირანიანის“ ლექსნარევი პროზაული ვარიანტებისთვის „ჯადოსნური ელემენტები“ უცხო არ არის. მკვლევარი მიუთითებს, რომ სასწაულმოქმედ საგნებთან ერთად იქ გვხვდებიან ქომაგი ცხოველები (თეთრონი), ჰაერით მოგზაურობა (ყამარის მამა), გველეშაპებთან ბრძოლა (თეთრი, წითელი, შავი), გარდაქმნა (ჭიებისა გველეშაპებად) (ჩიქოვანი, 1946: 36).

ამგვარი ზღაპრული მოტივების გაჩენას ამირანის წრის თქმულებებში მკვლევარი ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი კონტამინაცია-ციკლიზაციით ხსნის. ეს გახლავთ საგმირო ეპოსისა და ჯადოსნური ზღაპრის ურთიერთობის შედეგად მიღებული შემთხვევები. კონტამინაციის ძალით, ამირანის სახეს შეემსჭვალა გმირულ ეპოსთა სხვა წარმომადგენელთა სახეები. ამ მხრივ დამახასიათებელია ახალი სამეულის შექმნა: ამირან – ტარიელ – როსტომის მონაწილეობით. მოცემულ სამეულში როსტომი არის უფროსი ძმა, ამირანი – შუათანა და ტარიელი – უმცროსი (ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, მეორე გამოცემა, თბ., 1937, გვ. 330-332).

ლექსნარევი პროზის ჯადოსნურ ზღაპართან მსგავსებაზე, ასევე, მიუთითებს ტიპური დასაწყისი და დასასრული ფორმულები. მთქმელი გმირის თავგადასავალს იწყებს ისეთი ფორმულით, რო-

მელიც საერთოდ არ არის დაკავშირებული ტექსტთან შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამგვარი ფორმულების მიზანი შესაძლოა, მსმენელთა ყურადღებას ისახავდეს მიზნად (ჩიქოვანი, 1947: 166).

შესავალი ფორმულები შესაძლებელია, აკონკრეტებდეს სათქმელს ან იყოს რელიგიური შინაარსის. მაგალითად, ზემოთ ხსენებული შემთხვევის ნიმუშებია: 1. „იყო ერთი მონადირე, კაი მდიდარი, შემძლებელი“ (გურული); 2. „ამირანს ამბავი მოუტანეს, რომ ერთ ხემწიფეს ძალიან ლამაზი ქალი ჰყავსო“ (ქართლური); 3. „ამირანი იყო ღვთის ნათლული და ღონიერი“ (კახური).

თხრობითი – რეალისტურის პარალელურად „ამირანიანის“ ვარიანტებში ხშირად გვხვდება თხრობითი – რელიგიური დასაწყისის ორივე სახე: ხოტბითი – „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთეს რა იქნებოდა“ (გურული) და დალოცვითი – „იყო და არა იყო – რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი“ – ფშაური ვარიანტი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სახალხო მთქმელი არა მხოლოდ დასაწყისში, არამედ ერთნაირ სიტუაციებშიც მიმართავს ტრადიციული ფორმულების გამეორებას. მაგალითად, როცა თაგვი ყამარის მიერ მოკლულ შვილს გააცოცხლებს, ვხედავთ, რომ იმავე წესით აცოცხლებს ქალიც ამირანს. საქმე სიტუაციის ერთნაირობაში კი არა, სიტყვიერი ფორმულების მსგავსებაშია: „შენ შენი სიავკაცე შეგრჩეს, თორემ, მე ჩემს შვილს ეხლავე გავაცოცხლებო. მივიდა (დედა თაგვი – თ. კ) იქვე, მოგლიჯა ძურწას მაგვარი ბალახი, გადაუსვა მკვდარ წრუწუნას და გააცოცხლა“. ვნახოთ, როგორ არის აღწერილი იმავე სიტუაციაში ყამარის მოქმედება: „მივიდა კამარიც, მოგლიჯა იგივე ბალახი, გადაუსვა ამირანის და გააცოცხლა. ამირანმა თვალებზე ხელი მოისვა და სთქვა: უუჰ რამდენი მძინებიაო“.

შეგვიძლია მოვიხმოთ არაერთი მაგალითი იმის დასტურად, რომ ლექსნარევ პროზაულ ვარიანტებში პროზა და პოეზია არ იმეორებს ერთმანეთს. მაგალითად, ქართლში ჩაწერილი ვარიანტი – „ამირან დარუჯანაშვილი“ – მოგვითხრობს სამი ძმის შესახებ, რომელთაგან ერთი – უსიპი არის ამირანის მამა. ამ ვარიანტის მიხედვით, დევები ამირანის ბიძებს - ბადრისა და სულკალმახს მეღვინეებად დაიყენებენ. მოგვიანებით ამირანი მიდის ბიძების გამოსახსნელად: „დევები, მართლაც, ამირანს დახვდნენ ბაღში და სთქვეს: ეს რა კარგი ყმაწვილი მოვიდა, მაგრამ მოკლე ხმალი აკრავსო. მეორე დევმა სთქვა: მოკლე ხმალი რას აშავებს: წამოვაგოთ შამფურზედა, ნაღვინევზე კარგიაო. ამის გამგონმა ამირანმა სთქვა:

„ამირანო მშვენიერო, ღვინის ფერო და ძლიერო,
მოკლე ხმალი რას მიშავებს, ფეხი წავდგა წინა მეო“.
(ჩიქოვანი, 1947: 273).

თითქოს ლექსითი ვარიანტი იმეორებს დევის ნათქვამს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილია ამირანის მიე მიგნებულად ნათქვამი ბრძნული საანდაზო ფორმულისეული („ხმალს სიმოკლე არას უშლის, ფეხი წადგი, მისწვდებაო“) პერიფრაზით, ანუ გამოთქმულია რეპლიკა, რომელიც მიმართულია საკუთარი თავის წახალისებისკენ და ქართველი ხალხის საუკუნოვანი ბრძნული გამოცდილებით უპირისპირდება დევებს.

ზემოთ მოყვანილ ვარიანტში ზედმიწევნით კარგად არის წარმოჩენილი ის გარემოება, რომ პოეტური და პროზაული ტექსტი ურთიერთშემავსებელია. ეს ყოველივე ჩანს, აგრეთვე, ამირანის მიერ ბიძების გამოხსნის შემდგომ: ამირანი უსიპის რკინის ქუდს მოირგებს და თავისი ხმით დევებს შიშის ზარს დასცემს, იგი სანადიროდ მიდის სულკალმახსა და ბადრისთან ერთად. მთქმელი ნადირობის ამბავს პოეტური ტექსტით გადმოგვცემს და ამ ტექსტის შინაარსს არ იმეორებს პროზაული ფორ-

მით. „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ბიძა მისნი“ - დამოუკიდებელი პოეტური ტექსტია და რომ არა ის, ეს ლექსნარევი ვარიანტი დიდწილად ნაკლული იქნებოდა შინაარსობრივი თვალსაზრისით.

საყურადღებოა, რომ პროზა არ იმეორებს პოეტური ფრაზებით გადმოცემულ შინაარსს არც შემდეგ ეპიზოდში, როცა ამირანი დევს უპირისპირდება:

– შენ კაცო, კაცო ვინ ხარო, სახელი შენი მითხარო.
– შენ ჩემს სახელს რად კითხულობ, ვინა ვარ და სად მივალო;
უსიპის ძმისწული მოკვდა, იმის საჭმელად მივალო.
– ადამიანს ვინ შეგაჭმევს! შენთან საომრად მოვალო!
ამირან-დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, ალაგი დახვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი.
(ჩიქოვანი, 1947: 274).

დამოწმებულ ეპიზოდში წარმოდგენილია როგორც ამირანისა და დევის დიალოგი, ასევე ის, თუ რა მოხდა ამ საუბრის შემდეგ – როგორ შეებრძოლნენ ეპიური გმირი და დევი ერთმანეთს, როგორ დაამარცხა ამირანმა ბოროტი ძალა. რაც შეეხება მოცემული ვარიანტის პროზაულ გაგრძელებას, დაზუსტებით უნდა ითქვას, რომ ის არ იმეორებს პოეტური ფრაზით გადმოცემულ სათქმელს: „ბიძებმა უთხრეს: მაგ მყრალ დევს ცოცხალს ნუ გაუშვებ, თორემ მაგის დედას ცოცხლები აქედან ვერ წაუვალთო“ (ჩიქოვანი, 1947: 274). როგორც ვხედავთ პროზაულ ნაწილში გრძელდება ამბავი და წარმოდგენილი მასალა ვერ ჩაითვლება ლექსითი ნაწილის გამეორებად.

სხვა ქართლური ვარიანტი („ამირანი და ამბრი“), რომელშიც მხოლოდ მიცვალებული ამბრის ამბავია წარმოდგენილი, შეიცავს ორი ტაეპისგან შემდგარ პოეტურ ფრაზას. ტექსტის პროზაული ნაწილის მიხედვით, გმირი ამბრი, რომელიც გზად გარდაიცვალა, როგორღაც მოათავსეს ურემზე და სახლში, დასთან, წაიყვანეს. ამბრის დამ მიცვალებულს საცდელად ფეხი ჩამოაღებინა, გარდაცვლილის ფეხი მიწას ხნავდა; გზად ისინი გადაეყარნენ ამირანს, რომელიც, მოცემული ვარიანტის მიხედვით, სულ ოცნებობდა ამბრისთან შეხვედრაზე. მიცვალებულის დამ ამირანი გამოსცადა და ფეხის გასწორება სთოვა; ამირანმა ძვრა ვერ უყო. შემდგომ ვკითხულობთ, როგორ უსწორებს ამბრის თავისი და ურმიდან ჩამოგდებულ ფეხს და ამირანს კი შემდეგი რეპლიკით მიმართავს:

ამბრისა მზემან, ამირან, შენ ამბრსა ვერ ედარები:
ცოცხალსა სთხოვდი მუქარას, მკვდარსაც ვერ დაედარები!...
(ჩიქოვანი, 1947: 280)

მკითხველისთვის, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ პროზით პრაქტიკულად ამირანის უძლურებაა გადმოცემული, თუმცა მხილება, რომელიც წარმოდგენილია ამბრის დის რეპლიკით (სხვა ვარიანტების თანახმად, დედის), უფრო უკეთ გვიჩვენებს გმირის ტრაგედიას. სწორედ ამ ეპიზოდს ემყარება ამირანის ცხოვრების შემდეგი საფეხური - გაბუდაყება, ანუ ჰუბრისი.

ზემოთ განვიხილეთ მიხეილ ჩიქოვანის მიერ წარმოდგენილი შერეული ვარიანტების მაგალითები, რომლებშიც პროზაული და პოეტური ნაწილი იმეორებს ერთმანეთს. ქვემოთ მოვიყვანთ მაგალითს, რომელშიც, მართალია, წარმოდგენილია გამეორება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქაც პროზაული ვერსიით წარმოდგენილი ამბავი პოეტური ფრაზით არის დაზუსტებული და დაკონკრეტე-

ბული. ქართლურ ვარიანტში ვკითხულობთ: „ამირანმა ბადრი კალთაში გამოიკრა და ისე მიჰყვანდა. გადაიარეს მთები. ერთ ტრიალ-დაცემულ მინდორში ამირანმა კოშკი დაინახა და თქვა: სწორედ ის კოშკი იქნება მამაჩემისო“. ამის შემდგომ თხრობა გრძელდება ლექსითი ფორმით:

ამირანი და ძმანი მისი სანადიროდ წაბრძანდისი,
ათი მთა გადაიარეს, მეთორმეტე ანგლეთისი,
მეცამეტეს კოშკი პოვეს, ანაგები სულთანისი.

როგორც ვხედავთ, ამირანისა და მის თანმხლებ პირთა სანადიროდ წასვლის ამბავი პროზაულ ნაწილშიც დასტურდება, თუმცა პოეტური ტექსტი აზუსტებს და დამატებითი დეტალებით ავსებს მას. ამრიგად, ჩვენეული დასკვნით, აბსოლუტურ შინაარსობრივ იგივეობასთან არც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე.

„ამირანიანის“ ლექსნარევი, შერეული ვარიანტები საინტერესოა შინაარსობრივი თვალსაზრისით. კვლევისას ჩნდება კითხვები - კონკრეტულად რა არის გალექსილი თითოეულ მათგანში? ხომ არ გვაქვს აქ რაიმე კანონზომიერებასთან საქმე? – ამ თვალსაზრისით გამოვიკვლიეთ სხვადასხვა რეგიონში ჩაწერილი ვარიანტები.

ქართლური და კახური შერეული ვარიანტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მრავლად ლექსითი ფორმით გვხვდება სანადიროდ წასვლის ეპიზოდი, ასევე ლექსითი ფორმითაა ხშირად წარმოდგენილი ამირანისა და დევის შებმის სცენა, მათი დიალოგი; ყამარის მიერ სატრფოს შეგულიანება, მისი რეპლიკები ამირანის ღრუბელთ ბატონთან დაპირისპირებისას შერეულ ვარიანტებში თითქმის ყოველთვის პოეტურადაა გაფორმებული:

– ამირან, გოლე, გოლეო, მუხლათ გაქებენ მალეო.
გასწი და უკან მოგდევენ, ომი იციან ცხარეო.
(ჩიქოვანი, 1947: 299)

ანდა:

– ამირან, ცოლ-დედა ბოზო, ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა -
დააწყდებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა...
ბოძნი რო დეეჭრებიან, დარბაზნი დეეცემიან.
(ქ. ხ. სიტყ. ქრესტ., 1970: 107).

ასევე, ლექსითი ფორმითაა წარმოდგენილი შერეულ ვარიანტებში ყამარისა და ყამარის მამის დიალოგი. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ამ დიალოგის შინაარსი: მამა ქალიშვილს საყვედურობს, რომ სატრფო ურჩევნია საკუთარ მშობელს, ხოლო ქალი მამის ღვაწლს უარყოფს:

– უყურეთ ბოზსა ქალასა, ქმარი ირჩია მამასა!
ქმარი ხეს ასხავ ფოთლადა, მამას ვინ მისცემს საწყალსა?
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწუებდა ძუძსა, გირწევდა აკვანასა?
(ქ. ხ. სიტყ. ქრესტ., 1970: 107).

როგორც აღვნიშნეთ, შერეულ ვარიანტებში გალექსილია ყამარის პასუხიც:

– არცრა გამზარდა დედამა, არცრას მეტყოდა ნანასა,
მიმაგდის სახლის ყურეში თაგვების ანაბარასა...
არცარას მათირებოდით, არცრას მეტყოდით ნანასა,
დამსომდით დავიწყებული, მაღირებოდით დანასა!
(ქ. ხ. სიტყ. ქრესტ., 1970: 107).

ასევე, შერეულ ვარიანტებში გალექსილია ამირანის პასუხი ყამარის შეგულიანებაზე. გმირი ვერ ეგუება, ქალი რომ ბრძოლისკენ მოუწოდებს (შდრ.: „ვეფხისტყაოსანი“ – „ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი?! – ამბობს ტარიელი, როცა ნესტანი შეახსენებს ხვარაზმელი უფლისწულის მოკვლის აუცილებლობას (რუსთაველი, 2019: 165):

– ამოდ იარე, ყამარო, გზათა ვერ დაჰლევ ბრძოლითა...
არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა;
არცა ვარ ჭალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა;
არცა ვარ ხისა ფურცელი გადამიტანონ ქარითა!
მოვლენ და მეც აქ დავხვდები ამ ჩემი გორდა ხმალითა...
(ჩიქოვანი, 1947: 320)

ზემოთ განვიხილეთ შემთხვევები, რომლებიც ყველაზე ხშირად გხვდება „ამირანიანის“ შერეულ ვარიანტებში გალექსილი სახით. ქვემოთ წარმოვადგენთ იმ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც შედარებით იშვიათად არის ლექსითი სახით წარმოდგენილი: მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ეპიზოდი, რომელშიც წარმოდგენილია ამბრის დის რეპლიკა, თუ როგორ შეარცხვენს იგი ამირანს ამბრისთან ძალთა უთანასწორობის გამო:

ამბრისა მზემან, ამირან, შენ ამბრსა ვერ ედარები;
ცოცხალსა სთხოვდი მუქარას, მკვდარსაც ვერ დაედარები!
(ჩიქოვანი, 1947: 280)

აღნიშნული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა ერთი ქართლური ვარიანტი – „ამირანის ზღაპარი“, რომელიც მთლიანად პროზაულია, მასში გალექსილია მხოლოს ე. წ. ზღაპრის დასასრულის ფორმულები:

ჭირი იქა, ლხინი აქა;
მთას ურემი ავაგორე,
ბარს ჩავიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გაგვიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.
(ჩიქოვანი, 1947: 290)

ეს და სხვა ტრადიციული ზღაპრის დასასრულის ფორმულები, რომლებიც ამ ვარიანტში გვხვდება, ცხადია, ამირანის ამბავს თემატურად არ უკავშირდება და მთქმელისთვის ტრადიციული მნიშ-

ვნელობისაა (მსმენელს აბრუნებს ზღაპრული გარემოდან რეალურ გარემოში). ამიტომ, ალბათ, ამგვარი ვარიანტები უნდა მივიჩნიოთ კონტამინაცია-ციკლიზაციის შედეგად.

„ამირანიანის“ შერეული ვარიანტების კვლევა საინტერესოა პერსონაჟთა მხატვრული სახის ხატვის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში პროზაული ტექსტი უფრო ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ გმირის ხასიათის შესახებ, ვიდრე – პოეტური.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ეპიკური გმირის – ამირანის მხატვრული სახე. ლექსითი ვარიანტების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ პერსონაჟის ხასიათის თვისებების გადმოსაცემად კოლექტიური მთქმელი ტრადიციაში არსებულ ეპითეტებს მიმართავს. ვარიანტების თანახმად, ამირანი „ღვინისფერი“, „პირქუში“ ვაჟკაცია; მთქმელი ერთ შემთხვევაში მას „საავდროდ გამზადებულ შავ ღრუბელსაც“ ადარებს. მეტად საინტერესოა როგორ იხატება შერეულ ვარიანტებში გმირის სახე.

შერეულ, ანუ ლექსნარევ, ვარიანტებში პერსონაჟთა მხატვრული სახე კიდევ უფრო გაშლილია. იმ გარემოებას, რომ ამირანი განსხვავდება სხვა ყმაწვილთაგან და ის განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება, სწორედ შერეულ პროზაულ ვარიანტში ვკითხულობთ: „ეს პატარა ბავშვი უფალმა თავის ხელით მონათლა და სახელად ამირანი უწოდა. ვინც წლით იზრდებოდა, ამირანი დღით იზრდებოდა. ასე რომ, ათი წლის ამირანს ფიცხელი ომის გადახდა კიდეც შეეძლო“ (ჩიქოვანი, 1947: 272). აქ წარმოდგენილი ჰიპერბოლით ნათლად იხატება გმირის განსხვავებულობა. განსხვავებულადვე აღგვიწერს რუსთაველი ტარიელის საბრძოლო უნარებს მცირე ასაკში: „ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა, ვხოცდი ლომსა“ (რუსთაველი, 2019: 98).

შერეულ ვარიანტებში მეტად საინტერესოდ არის გადმოცემული, ასევე, ამირანის გარეგნობის საკითხი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პოეტური ტექსტი გვაძლევს ამ სახის ინფორმაციას, თუმცა არა სრულყოფილს. პროზაული ნაწილი ამ შემთხვევაში ინფორმაციას ავსებს. ერთ-ერთ ქართლურ ვარიანტში ვკითხულობთ: „მწყემსს შიგ შეუხედნია და დაუნახავს დიდი, უზარმაზარი ვაჟკაცი, რომელსაც ცხრილისოდენა თვალები ჰქონდა, თურმე. ეს იყო თვითონ ამირანი“ (ჩიქოვანი, 1947: 278).

გარეგნულად განსხვავებული ვაჟკაცი ხასიათითაც განსხვავდება თავისი ბიძებისა თუ ძმებისგან. ამირანის ემოციური არამდგრადობა და მისი თავშეუკავებლობა ვლინდება ყამარის მოტაცების ეპიზოდში. პოეტურ ვარიანტებში ვკითხულობთ, როგორ უჯავრდება ამირანი ყამარს, რომელიც მას მამის ლაშქრის ძლიერებაზე მიუთითებს:

ამოთ იარე, ყამარო, გზასა ვერ დავლევთ რბენითა:
არა ვარ მინდვრის ხოხობი, რომ მინადირონ ქორითა,
არცა ვარ ტყისა ფურცეკი, რომ ამიტაცონ ქარითა!
(ჩიქოვანი, 1947: 284)

ვარიანტთა პროზაულ ნაწილში კიდევ უფრო ცხადად ვხედავთ გაჯავრებული ამირანის საქციელს: „ამ ქალმა სულ ყველა ჭურჭელი დაამხო პირქვე და მხოლოდ ერთი თეფში კი, რამდენსაც დაამხობდა, იმდენი გადაბრუნდებოდა. გაჯავრებულმა ამირანმა დაჰკრა ფეხი და ეს თეფში სულ ჩაამტვრია. ერთმა თეფშის ნატეხმა გაამტვრია ფანჯარა, ავარდა მაღლა...“ და ყამარის მამას მზეთუნახავის მოტაცების შესახებ შეატყობინა .

ამირანის ხასიათის სიფიცხე ჩანს სხვა ვარიანტის ამავე ეპიზოდში: „ქალმა უთხრა: ადი ბანზე, რაც იქ ჭურჭელი და ავეჯეულობა არის, სუყველა პირქვე დააბრუნე. თუ გადაუბრუნებელი დაგრჩა რამე, მამაჩემს შეატობინებს შენს მოსვლასო. ამირანმა ყველა დააბრუნა, მხოლოდ ყამარის ხელ-პირის საბანი ტაშტი არა ბრუნდებოდა. ამირანს გული მოუვიდა, დაჰკრა ძირს, დაამსხვრია, მიწაში ჩაფლა. ერთი ნატეხი კი საღაცა გადაუვარდა“ (ჩიქოვანი, 1947: 284).

ერთ-ერთ კახურ ვარიანტშიც დასტურდება ამირანის სიფიცხე და მოუთმენლობა: „ამირანმა ჯამებს თახჩაში წყობა დაუწყო. ერთი ჯამი დააპირქვავა და ამობრუნდა ისევ. აიღო ამირანმა და დააწყვიტა ეს ჯამი. ჯამის ერთი მონატეხი გაქანდა და ყამარის დედ-მამას უთხრა: თქვენი შვილი მიჰყავთო“ (ჩიქოვანი, 1947: 304).

„ამირანიანის“ ხევსურული ვარიანტი ამირანს მოცემული ეპიზოდის მიხედვით უფრო ცნობისმოყვარედ გვიხატავს, ვიდრე – ფიცხ ადამიანად. ამ ვარიანტის თანახმად, ყამარი აფრთხილებს ამირანს, რომ შესაძლოა, იქ მყოფმა ბებერმა დედაკაცმა გასცეს ტრფიალნი: „ყამარი ეუბნება: ჭურჭელი პირქვე დადგი, თორემ აძრახდებიან, აქ ჩვენი ბებერი დედაკაცი წევს, გაიგონებს და ყველას გააღვიძებს, გააგებინებს... ამირანმა ყველა ჭურჭელი დაამხო, მაგრამ ერთი ჯამი პირაღმა დასტოვა ყასიდათ: ვნახოთ, რას იქმსო. ჯამმა დაიწყო: „ყამარი წავიდა, ყამარი წავიდაო“. გაიგონა ბებერმა, დაიწყო ხმამაღლა ხველვა. ყამარმა უთხრა ამირანს: ხომ გითხარი, ყველა პირქვე დადგიო. ეხლა ყველა გაიგებს და გამოგვიდგებიანო“ (ჩიქოვანი, 1947: 340).

მართალია, ბოლოს დამოწმებული მაგალითი ამირანის ცნობისმოყვარეობაზე მიუთითებს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ გმირი მეტად თავდაჯერებულია. სხვა ეპიზოდებში, როდესაც ბიძები მას მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ აფრთხილებენ, არ უჯერებს მათ და ყოველთვის გარისკვას ამჯობინებს. მაგალითად შეძლება მოვიხმოთ ამირანის მიერ მოკლული დევის თავიდან ამოსული სამი ჭიის ეპიზოდი, როდესაც ბადრი და უსუბი მას ურჩევენ, რომ ჭიები დახოცოს, საკუთარ ძალაში დარწმუნებული ამირანი ასე პასუხობს: „ამირანმა უთხრა უსუფს: ჭამამ რა მიყო, ლუკმამ რა მიყოსო; დედამ რა მიყო, შვილმა რა მიყოს!“. ამგვარად, ამირანი არ ხოცავს ჭიებს. მოგვიანებით ისინი, გველეშაპებად გადაქცეულები, გზად ხვდებიან გმირებს. ამირანი გველეშაპებთან ბრძოლას მოინდომებს. განაწყენებული ძმები თავს შეიკავებენ: „ბადრმა და უსუფმა შორს მოიკიდეს მანძილი: ჩვენ მაგათთან საომარი არა გვაქვს რაო“, თუმცა ამირანი მაინც იბრძვის, კლავს ორ გველეშაპს, ხოლო მესამე ჩაყლაპავს მას (ჩიქოვანი, 1947: 304). ცხადია, გმირი გამოსავალს პოულობს და ეს მისი ინიციაციის ახალი საფეხურია (გველეშაპის წიაღიდან მეორედ შობა), თუმცა შეეძლო, ჭიების დახოცვით ეს განსაცდელი აერიდებინა.

„ამირანიანის“ ერთ-ერთი ქართლური ვარიანტის მიხედვით, ამირანი ასევე არ უჯერებს ბიძებს მაშინ, როდესაც ისინი ურჩევენ, დამარცხებული დევი ცოცხალი არ გაუშვას (აღნიშნულ ვარიანტში დევთან დიალოგი და მისი დამარცხების საკითხი პოეტურად არის გადმოცემული, ხოლო ბიძების რჩევა პროზაული ფორმით): „მაგ მყრალ დევს ცოცხალს ნუ გაუშვებ, თორემ მაგის დედას ცოცხლები აქედან ვერ წაუვალთო. მთელი დევი იყო, ვერა დამაკლო-რა და დალეწილ-დაჩეხილი რაღას მიზამსო; მაგის დედასაც ღვთის მადლით გადავურჩებითო“ (ჩიქოვანი, 1947: 274). ფაქტია, ამირანს საკუთარ შესაძლებლობებში არასდროს ეპარება ეჭვი, მხნე და მამაცი ვაჟკაცია, თუმცა მოცემული ეპიზოდი ცხადყოფს, რომ მთქმელმა გადაწყვიტა, ამირანის მხნეობა რწმენის სიმტკიცესთან დაეკავშირებინა.

ამირანი თავდაჯერებული რაინდი და შეუპოვარი მებრძოლია, მას არაფერი აშინებს, არაფერი აბრკოლებს. მისი ეს თვისებები ყოველთვის ეხმარება გამარჯვების მოპოვებაში. ერთი კახური ვარიანტის მიხედვით, ამირანი ვინმე სოლომონის შვილია. მამის სიკვდილის შემდეგ დევებს გაულაღებიათ, ამირანის ბიძების კერიაში ჩასახლებულან. მოწიფული ამირანი მაშინ მიდის ბიძების დასახსნელად, როცა დევებს მათი შეჭმა აქვთ გადაწყვეტილი. ამ ვარიანტში ბიძების სახლში შესული ამირანის რეპლიკა გადმოცემულია პოეტური ფრაზით: „დევები ყვირიან, მღერიან, უთხრა:

აბა, წავე წყაროს წყალო, მდინარეო, სუ თავი მაიმძინარეო,
ვინც ჩემები ხართ, გარე გადით, დევებო, დედას გიტირებთო.

ხოლო პროზაულად წარმოდგენილია ამირანის მოქმედება, თუ როგორ ებრძვის და ამარცხებს დევებს: „აქვე იყო შედგმული წყალი და ემზადებიან ამირანის ბიძის დასაკლავად. ამირანმა აიღო ეს ადუღებული წყალი და ზედ ჩამოასხა დევებს. ვინც ამ დუღარეს გადაურჩა, ამირანმა მათ ხელი მოავლო, თავები ხელში დარჩა და ტანი ვინ იცის, სად წავიდა“ (ჩიქოვანი 1947: 307).

ამირანის შეუპოვარი რაინდია, მისი საბრძოლო შემართება და ჟინი გმირისთვის მრავალგზის გამხდარა უპირობო გამარჯვების წინაპირობა. ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, ყამარის მოტაცების შემდეგ ამირანს დიდძალი ჯარი შემოერტყა გარს. ბრაზმორეულმა გმირმა ისინი სრულად ამოწყვიტა: „გავარდა ამირანი და, გაბრაზებულმა, ეს უამრავი ჯარი ნახევარ საათში დახოცა“ (ჩიქოვანი 1947: 307).

ამირანის შეუპოვრობაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ უყვარს გმირს გარისკვა. ამირანმა იცის, რომ ღვთის რჩეულია, იცის თავისი განუზომელი შესაძლებლობების შესახებ და, ალბათ, ამ ცოდნის საფუძველზე ხდება, რომ იგი ხშირად ირჩევს რთულ გზას, სადაც აუცილებლად შეხვდება ბარიერი. კახური ვარიანტის თანახმად, ამირანი მიდის სანადიროდ და გზად ხვდება ქვა, რომელზეც წერია: „ვინც ამ გზაზე წავიდეს, ვეღარ მოვიდესო. საითაც ეს ეწერა, იქით წავიდა ამირანი: აბა ერთი ვნახო, რა მომივაო“ (ჩიქოვანი 1947: 308).

ამირანისაგან ხასიათითა და საბრძოლო შემართებით რადიკალურად განსხვავდებიან მისი ძმები თუ ბიძები - ბადრი და უსუბი. ამ სამ გმირს შორის ფუნდამენტურ განსხვავებაზე მიანიშნებს შერეული ვარიანტების პოეტური ნაწილი. მაგალითად:

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარეთ გამზადებულსა,
უსიპი – ბროლის ციხესა, თავ-ბოლოთ გამაგრებულსა,
ამირან – შავსა ღრუბელსა, საწვიმედ გამზადებულსა.
(ქ. ხ. სიტყ. ქრესტ., 1970: 97)

დამოწმებულ მაგალითში ვხედავთ, რომ ძმების ფიზიკური შესაძლებლობები ერთნაირი არ არის. ეს ყოველივე მათ მიერ გამოვლილ თავგადასავალშიც კარგად ჩანს. ბადრი და უსუბი ამირანისგან მკვეთრად განსხვავდებიან საბრძოლო შემართებით. არც გმირს აქვს დიდი იმედი, რომ მათი დახმარება სრულად გადაუჭრის პრობლემებს. მაგალითად, ერთ-ერთი ქართლური ვარიანტის თანახმად, ამირანის ბიძები გადაკარგულნი არიან ცხრათავიანი დევის შიშით. ამირანი კლავს დევს, ამარცხებს დევის პირცეცხლა დედას და რაშს. გადაკარგულ ბადრისა და უსუბს კი მტრედს გაუგზავნის: „პირცეცხლა მოკვდა და ნუ გადაიკარგენით ცხრა მთას იქეთაო“. ბიძებს ძალიან რცხვენიათ თავიანთი საქციელის გამო და, დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, ამირანს იმ ქალის მოსატაცებლად გაყოლას ჰპირდებიან, თუმცა ბიძების მარცხით მობეზრებული ამირანის შესახებ მთქმელი შენიშნავს: „ამირანმა უარი უთხრა, იქაც თავს დამანებებთო“ (ჩიქოვანი 1947: 282-283).

შერეულ ვარიანტებში ვნახავთ, რომ ბადრი და უსუბი შეეცდებიან, თუმცა მათ წინასწარვე იციან, რომ ვერ მოახერხებენ ყამარის მამის რაზმთან გამკლავებას და ყოველთვის ამირანს სთხოვენ დახმარებას: „პირველად ბადრი გავიდა საომრად და ამირანს ამბავი დაუგდო: ბანში რომ მტრედებმა დენა დაიწყონ, გამომხედეთო. მტრედებმა დაიწყეს ბანიდგან ჩამოფრენა. უსუბმა უთხრა ამირანს: ბანში რომ ვარსკვლავებმა დენა იწყონ, მომეშველეთო...“ (ჩიქოვანი, 1947: 285).

ზემოთ განხილული მაგალითებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ბადრი და უსუბი ისეთ დახმარებას ვერ უწევენ ამირანს, როგორსაც კონკრეტულ შემთხვევებში გმირი საჭიროებს, თუმცა, ფაქტია, ცდას არ აკლებენ. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ისინი ამირანის გამო კლდეზე გადაცვივდნენ:

„მიაბეს ამირანი, მაგრამ მან ვეღარ ამოგლიჯა პალო. გაანებეს ამირანს ძმებმა თავი. მისი ცოლიც ოჯახს დაუბრუნდა. ძმები წამოვიდნენ. ბადრი და უსუფი კლდეზე გადავარდნენ“. მოცემულ პროზაულ ნაწილში დაზუსტებით არ ჩანს ძმების კლდეზე გადაჩეხვის მიზეზი; ტექსტის პოეტური გაგრძელება კიდევ უფრო აბუნდოვანებს აზრს:

ძმასა ძმა უნდა ასეთი, უსუფს რომ ბადრი ჰყოლოდა;
ბადრი კლდეს გადავარდნილა, უსუფიც გადაჰყოლოდა.

ვფიქრობთ, ძმების ეს ქმედება სწორედ ამირანის ამბავს უკავშირდება – ვერც ამ მომენტში აღმოუჩენენ ამირანს დახმარებას და ვერ გადაარჩენენ მას; ალბათ, სწორედ ამიტომ გამოუტანენ ისინი თავს ასეთ მკაცრ განაჩენს.

ყოველივე კი იმის დასტურია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ „ამირანიანმა“ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეპოქალურ მოთხოვნილებათა შესაბამისი ტრანსმისია განიცადა, ეპოსის კოლექტიურ ავტორს ყოველთვის ახსოვდა, რომ ამირანი მითოსური გენეზისის გმირია და მისი შესაძლებლობანი გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე – მისი ძმებისა თუ ბიძებისა, რომლებიც ჩვეულებრივი მოკვდავნი (ამირანის მამობილის – მონადირის ძმები თუ შვილები) იყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკნაძე, 2008 – ზურაბ კიკნაძე, „ქართული ფოლკლორი“, თბ.;
2. რუსთაველი, 2019 – „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, თბ.;
3. სიხარულიძე, 1956 – ქსენია სიხარულიძე, „ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია“, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ.;
4. ქ. ხ. პ. – ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, თბ.;
5. ჩიქოვანი, 1946 – მიხეილ ჩიქოვანი, „ქართული ფოლკლორი“, თბ.;
6. ჩიქოვანი, 1947 – მიხეილ ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი“, თსუ, თბ.;
7. ჩიქოვანი, 1959 – მიხეილ ჩიქოვანი, „ქართული ეპოსი, მიჯაჭვული ამირანი“, წიგნი პირველი, თბ.;
8. ხალხ. სიტყვ. მას. – ხალხური სიტყვიერების მასალები, შეკრებილი ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ, ელენე ვირსალაძის რედაქციით, თბ.



ოთარ
გოგოლიშვილი

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში იღებს სათავეს, როცა იგი იწყებს ერთმორწმუნეობის მოტივით მეზობელი ქვეყნების საქმეებში ჩარევას და მათზე ზემოქმედებას. პირველად ეს 1768-1774 წლებში რუსეთ ოსმალეთის ომის დროს მოხდა, როცა ომში დახმარება ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებს სთხოვა. 1774 წელს ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, რაც 1774 წლის 10 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯიში ამავე სახელობის ზავით დამტკიცდა. ზავის 23-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესუსტდა ოსმალთა გავლენა, მაგრამ საპასუხოდ გაიზარდა რუსეთის ხელისუფლების შესაძლებლობა – გაეკონტროლებინა მთლიანი ამიერკავკასია. ამრიგად, ხელს ვეღარავინ შეუშლიდა გაეტარებინა ამ ტერიტორიებზე თავისი რელიგიური პოლიტიკა, როგორც მესამე რომს.[1]

მოგეხსენებათ, ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ რუსეთი თავს მესამე რომად თვლიდა და მოსკოვს მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრად მიიჩნევდა. ამიტომ არ იყო გასაკვირი ის ფაქტი, რომ რუსეთი, თითქოსდა რელიგიის დამცველი და მისი გამავრცელებელი, ცდილობდა ირგვლივ ტერიტორიების შემოერთებას და რუსეთის გუბერნიად გადაქცევას.

XVIII საუკუნეში რუსეთსა და საქართველოს შორის საკმაოდ მჭიდრო რელიგიური კავშირი არსებობდა. მეტიც, ქართველი სასულიერო პირები ხშირად იგზავნებოდნენ რუსეთის სასულიერო სემინარიებში სასწავლებლად და სამოღვაწეოდ. ზოგიერთს რუსეთის ეკლესიის კათედრაც კი ჩააბარეს, მაგალითად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ანტონ პირველს, რომელსაც ვლადიმირის საარქიეპისკოპოსო კათედრა ჰქონდა ჩაბარებული.

რუსეთისა და ქართლ-კახეთის რელიგიური ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, რომელიც 1783 წელს შეადგინა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II და შესთავაზა ქართლ-კახეთის იმჟამინდელ მეფეს ერეკლე II-ს. ტრაქტატის თანახმად საქართველო შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ამასთან ერთად ტრაქტატში არსებობდა მერვე მუხლი, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად ქართლ-კახეთის რელიგიურ მდგომარეობას. მერვე მუხლის თანახმად, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ I უნდა გამხდარიყო რუსეთის წმინდა სინოდის წევრი და დაეკავებინა სინოდში მერვე ადგილი ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ.[2]

---

[1] გურული ვ., რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში, გვ. 1-5.
[2] როგავა გ., რელიგია და ეკლესია საქართველოში., თბილისი, 2000, გვ. 91.

ტრაქტატის მერვე მუხლი არღვევდა მსოფლიოს საეკლესიო კრებების დადგენილებებს და საქართველოს ეკლესიის სამართალს, რომლის მიხედვითაც არ შეიძლებოდა კათოლიკოს პატრიარქი ყოფილიყო რომელიმე სხვა ქვეყნის ეკლესიის წევრი. ამავდროულად ეს მუხლი ამცირებდა კათოლიკოს პატრიარქის ღირსებას და მოვალეობას, რადგან სინოდში ერთი შეხედვით არ იყო მასზე მაღალი თანრიგის სასულიერო იერარქი, თუმცა სინოდში შვიდი პირი იყო მის ზემოთ მყოფი და მასზე მეტი უფლების მქონე.

ტრაქტატის პროექტში ეკატერინე მეორე არ აპირებდა რაიმე მუხლი შეეტანა ეკლესიის შესახებ. თუმცა ტრაქტატის შემდგენელი ალექსანდრე ბეზბოროდკო თვლიდა, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიები უნდა დაქვემდებარებულიყო რუსეთის წმინდა სინოდს და კათოლიკოს პატრიარქი გამხდარიყო სინოდის წევრი. ეს ჩანაფიქრი შეიტანა კიდეც მერვე მუხლში, რომლის მიხედვითაც კათალიკოსს სინოდში მეხუთე ადგილი უნდა დაეკავებინა. მაგრამ შემდეგ ესეც შეცვალა და მეხუთე ადგილი მერვეთი ჩაანაცვლა. ქართველმა ელჩებმა ამ ცვლილებაზე პროტესტი კი გამოთქვეს, მაგრამ ამაოდ, ბეზბოროდკომ მაინც თავისი გაიტანა.[1]

1784 წლის 24 იანვარს, ერეკლე მეორემ ხელი მოაწერა ტრაქტატის რატიფიცირებას, რის შემდგომაც ტრაქტატი ძალაში შევიდა. იქიდან გამომდინარე, რომ არც ტრაქტატის შედგენაში და არც მისი ხელმოწერის დროს საულიერო პირები არ მონაწილეობდნენ, ტრაქტატი ეკლესიისათვის იურიდიულ ძალას არ წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატით წამოყენებული მოთხოვნები არღვევდა საეკლესიო წესებს, კათალიკოს პატრიარქმა ანტონ I მაინც უყოყმანოდ მიიღო რუსეთის წმინდა სინოდის წევრობა და გაუადვილა რუსეთის ხელისუფლებას საეკლესიო საქმეებში ჩარევა.

გეორგიევსკის ტრაქტატი არ აუქმებდა ქართლ-კახეთის ეკლესიის ავტოკეფალიას, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას გზას უხსნიდა ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში, რის შემდგომაც უფრო მარტივად შეძლებდა ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმებას.

მიუხედავად იმისა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლმა კიდევ უფრო დააახლოვა რუსეთის და ქართლ-კახეთის ეკლესიები, განსხვავება მაინც დიდი იყო. მოგეხსენებათ, ქართლ-კახეთში უმაღლეს სასულიერო წოდებას კათოლიკოს პატრიარქი წარმოადგენდა. იგი განაგებდა ეკლესიის საქმეებს. კათოლიკოსს საეკლესიო საქმეების განსახილველად და მოსაგვარებლად ეხმარებოდა საეკლესიო კრება, რომელსაც თვითონ პატრიარქი კრებდა ხოლმე. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენდა და მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საქმეებს ათანხმებდა სახელმწიფოს მეთაურებთან.

რაც შეეხება რუსეთის ეკლესიის მოწყობას, 1721 წლიდან თითქმის მთლიანად შეიცვალა რუსული ეკლესიის სტრუქტურა, რადგან იმპერატორ პეტრე I სურდა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი ორგანო, მათ შორის ეკლესიაც, მის დაქვემდებარებაში ყოფილიყო. ამიტომაც, როცა 1700 წელს პატრიარქი ადრიანე გარდაიცვალა, ახალი პატრიარქი პეტრემ აღარ აირჩია და დანიშნა პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი. 1721 წელს კი სრულიად გააუქმა უმაღლესი სასულიერო წოდება და შექმნა სინოდი, რომელიც განაგებდა ეკლესიის საქმეებს. ამავდროულად მეფემ შექმნა ობერ-პროკურორის თანამდებობა, რომელიც სინოდის საქმიანობას კონტროლს უწევდა და მეფისთვის აკეთებდა მოხსენებებს, თანაც ობერ-პროკურორს ჩაბარებული ჰქონდა სინოდალური დაწესებულებები: კანცელარია, სასწავლო კომიტეტები, სტამბები და სხვ. ეკლესის ასეთი გარდაქმნის შემდეგ მონარქი გამოცხადდა ეკლესიის ხელმძღვანელად და სამღვდელოებას დაევალა ეკლესიის დოგმატების ნაცვლად მონარქზე დაეფიცა, ამიტომაც უწოდებენ ამ პერიოდს სინოდალურ პერიოდს.[2]

---

[1] გურული ვ., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1801-1814) წელი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010, გვ. 9-10.

[2] ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ 130-131.

რუსეთის ეკლესიაში საკმაოდ დიდი რეფორმები გატარდა 1784 წელს ეკატერინე II მმართველობის პერიოდშიც, როცა მოხდა საეკლესიო მიწების და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების სეკულარიზაცია, ანუ მთლიანი ქონების სახელმწიფოს მფლობელობაში გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინემ გამეფების დროს უარი განაცხადა ამ რეფორმის განხორციელებაზე, საბოლოოდ საეკლესიო პირთა წინააღმდეგობის მიუხედავად ეს მაინც მოხდა. სამღვდელოებას დაენიშნა ჯამაგირი, რითაც ისინი სახელმწიფო ჩინოვნიკებად გადაიქცნენ.[1]

ეკლესიის მმართველობის წყობაში ასეთი განსხვავება რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას ნაკლებად მისცემდა გაეკონტროლებინა და მის დაქვემდებარების ქვეშ მოექცია ქართული ეკლესიაც. ამიტომაც არ იყო გასაკვირი ის ფაქტი, რომ როცა საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიად გამოცხადდა, მაშინვე დაიწყეს აქტიური პოლიტიკა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად და რუსულ ყაიდაზე მოსაწყობად.

[1] ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ 155-159.

გიორგი ქავთარაძე

რევოლუციის დასასრული – სამართლიანობისა და პროგრესის კოლიზია

საკითხის დასმა

XX საუკუნის თავბრუდამხვევი და ტრაგიკული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები სათავეს საფრანგეთის რევოლუციიდან იღებს. 1789 წლიდან მოყოლებული დაიწყო პერმანენტული რევოლუცია, რის შემდეგაც ევროპის, თუ აზიის დიდი ნაწილი კულტურული თვითიდენტიფიცირების აშკარა პრობლემის წინაშე დადგა. ამგვარ ვითარებაში, ყველა ის სიკეთე, რომელსაც ანტიკური კულტურის გამოცდილება, ქრისტიანული ფასეულობები და სხვადასხვა დარგის მეცნიერება ამკვიდრებდა (შემწყნარებლობას, რაციონალიზმს, ისტორიის განვითარების პროცესის რწმენას, სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნების შესაძლებლობას), გადაიქცა რევოლუციური გადატრიალების იარაღად. რევოლუციის მთავარი მტერია არსებული ტრადიცია (არამხოლოდ საეკლესიო), ამიტომ ფრანგული, თუ ბოლშევიკური რევოლუცია ყველაფერთან ერთად იყო კულტურული საზრისების ამოყირავება და წარსულთან დაპირისპირების უპრეცედენტო მაგალითი. კულტურული თვალსაზრისით ადამიანი მოსწყდა თავის ფესვებს, ტრადიციას და ახალი იდენტობის ძიებაში აღმოჩნდა. ყველაფერი ეს მოასწავებდა ქრისტიანული ევროპის, გნებავთ, დასავლური ქრისტიანული ცივილიზაციის დასასრულს. ქრისტიანული ფასეულობების ადგილზე გაჩნდა რევოლუციის მთავარი მონაპოვარი (საუბარია სამყაროს მოწყობის სამ ექსპერიმენტულ პროექტზე): თავდაპირველად ლიბერალიზმი, შემდეგ კომუნიზმი და ნაციზმი. სამივე პროექტი დაუპირისპირდა ერთმანეთს და მეოცე საუკუნის ბედი განსაზღვრა. ისტორიის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ სამი გლობალური პროექტი ერთმანეთის მიყოლებით ჩავარდა: ნაციზმი მალევე, სულ რაღაც ათწლეულში, კომუნიზმმა 70 წელი იარსება, ხოლო დღეს თვალს ვადევნებთ ლიბერალიზმის დასასრულის ხანგრძლივად გაწელილ პერიოდს. უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წელს როდესაც, დაიშალა საბჭოთა კავშირი, მალევე (1992წ) გამოქვეყნდა ფუკუიამას ცნობილი წიგნი „The End of History and the Last Man“ („ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“), სადაც ლიბერალიზმი დახასიათებულია, როგორც მმართველობის უკანასკნელი ფორმა და ისტორიის დასასრული, თუმცა ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებში (მაგ: „Liberalism and Its Discontents“ („ლიბერალიზმი და მისი უკმაყოფილება“) და სხვა) ეს აზრი შეცვლილია და აღნიშნულია აშკარა კრიზისული მდგომარეობა. არ არის ახალი შეფასება, რომ ჩვენი ეპოქა აღარ არის მოდერნი, არამედ ის გადავიდა პოსტმოდერნში, სადაც აღარ გვაქვს მომავლის ნათელი სურათი. ამ თვალსაზრისით სიმბოლური თარიღებია 1968 და 1989 წე-

ლები. 1968 წელის 13 მაისს დაიწყო სტუდენტური გამოსვლები პარიზში. აღნიშნულ მოვლენას შეიძლება დავარქვათ *ახალი თაობის ომბოხი* ომის შემდგომ აღმშენებლობის მიმართ, თუმცა 1968 წელს არ მომხდარა სისტემური გადატრიალება ეკონომიკასა და პოლიტიკაში, არამედ რევოლუცია შეეხო კულტურის სფეროს. აღნიშნული პერიოდიდან კულტურა ხდება პრინციპულად ახალგაზრდული. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ „ახალგაზრდული რევოლუცია" ქრისტიანობის გამარჯვების შემდგომ ისტორიის განვითარებას მთლიანად მცდარად და წარუმატებლად მიიჩნევდა. მას სურდა საბოლოოდ უკეთესი შეექმნა: მსოფლიო თავისუფლების, თანასწორობისა, სამართლიანობის დამყარებას ის მარქსისტული აზროვნების დიდ ნაკადში ხედავდა, მაგრამ 1989 წელმა ევროპაში სოციალისტური რეჟიმის მოულოდნელი ნგრევა მოიტანა, დარჩა გაწბილება და ღრმა გაოგნება. აქედან გამომდინარე ჩვენს დროში ძალიან ჩუმად ისმის იმედგაცრუების ხმა: „პერმანენტული რევოლუციების დრო დასრულდა, რევოლუცია დამარცხდა". ასეა, თუ ისეა ფრანგული რევოლუციიდან გავიდა ორასზე მეტი წელი და ჯერ კიდევ არ ჩანს ახალი ცივილიზაციის მყარი მდგენელი. აქედან გამომდინარე, ჩვენი ეპოქა მოგვაგონებს ისტორიაში კარგად ცნობილ „ბნელი შუა საუკუნეების" ხანას, როდესაც ბარბაროსების შემოსევის შედეგად დაეცა რომი (V ს.), ხოლო კაროლინგური რენესანსის პერიოდამდე (VIII-IX სს.), გაუგებარი აღმოჩნდა რა ტიპის ცივილიზაცია ჩამოყალიბდებოდა დასავლეთში. ეს ანალოგია ჩემი არ გახლავთ, ოსვალდ შპენგლერი თავის ცნობილ წიგნში „Der Untergang des Abendlandes" („ევროპის დაისი" პირველად 1918 წ. გამოქვეყნდა გერმანიაში), მიანიშნებდა, რომ რომაული ცივილიზაციის დასრულება გარედან შემოჭრილმა ბარბაროსებმა განაპირობეს, ხოლო „ევროპის დაისი" მოხდება „შიდა ბარბაროსის" მიერ, რომელიც დაუპირისპირდება ყოველგვარ ტრადიციულ სიცოცხლის ფორმებს.

რევოლუციის ანატომია

უპირველეს ყოვლისა უნდა განვმარტოთ, თუ რის საფუძველზე ხდება რევოლუცია. ანტიკურ საბერძნეთში „რევოლუციის" იდეა არ მოგვეპოვება. ამის მიზეზი ის არის, რომ არსებობდა ისტორიული პროცესის რეგრესული პერიოდიზაცია. ჰესიოდეს განმარტებით: ოქროს საუკუნიდან ადამიანი გადადის, ვერცხლის საუკუნეში, შემდეგ სპილენძის საუკუნეში, გმირების საუკუნესა და ბოლოს რკინის საუკუნეში. ამ ციკლის დამთავრების შემდეგ დაიწყება ახალი წრე. ასევეა სკანდინავიურ და გერმანულ პაგანისტურ მსოფლმხედველობაში, სადაც ისტორიის პროცესი აღინიშნება სრული კატასტროფით – „ღმერთების მწუხრით", თუ „ღმერთების დაისით". ესე იგი, აღნიშნულ დროში ისტორიული პროცესი გაიგებოდა, როგორც რეგრესული წრებრუნვა. პოლიტიკური წყობის კანონზომიერი მონაცვლეობა ბერძნებთან სხვადასხვაგვარად გვხვდება, მაგ: პოლიბიოსთან სამეფო ხელისუფლება იცვლება ტირანიით, ტირანია იცვლება არისტოკრატიით, არისტოკრატია გადაგვარდება ოლიგარქიაში, ხოლო ეს უკანასკნელი იქცევა დემოკრატიად. დემოკრატიის შემდეგ ვითარდება ოხლოკრატია, რომელიც გარდაუვალს ხდის ერთპიროვნული ტირანიის მოსვლას და შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება. პლატონთან ვხვდებით ოდნავ განსხვავებულად: ოქროს ხანაა, როცა მართავს მეფე-ფილოსოფოსი და არ არსებობს კერძო საკუთრება, შემდეგ მისი დეგრადაცია გამოიწვევს არისტოკრატიის გაჩენას, ეს უკანასკნელი იცვლება ოლიგარქიაში, ოლიგარქია გადაიზრდება დემოკრატიაში, ხოლო დემოკრატია საბოლოოდ გადავა ტირანიაში. იქიდან გამომდინარე პოლიტიკური წყობის მარადიული წრებრუნვის გაგება, არსებითად შეუძლებელს ხდის რევოლუციის იდეის გაჩენას.

მაგრამ რა ხდება ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ? ქრისტიანობამ პირველად გააცნობიერა მსოფლიო ისტორია თავისი საწყისით და დასასრულით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერძენი ისტორიკოსები (ჰეროდოტე თუ სხვანი) აღწერდნენ წარსულს, თუმცა ეს არ არის ისტორია ფართო გაგებით. მათი წარმოდგენა მარადიულ წრებრუნვაზე საერთოდ არ შეესაბამება იმ პროცესს, რასაც ქრისტიანული გაგებით ისტორიული პროცესი ჰქვია. ქრისტიანობამ დაუშვა სამყაროს საწყისი (შექმნა) და დასასრული (აპოკალიფსი). მაშასადამე გააცხადა, რომ ისტორიის პროცესი არ არის აუცილებლობით განპირობებული წრებრუნვა, არამედ მას გააჩნია კონკრეტული, ერთიანი საზრისი. აქედან გამომდინარე ქრისტიანობაში დამკვიდრდა აზრი, რომ ისტორიის პროცესს წარმართავს ადამიანის თავისუფალი ნება და არჩევანი, მაგრამ რით მთავრდება კაცობრიობის ისტორია? თუ არა მკვდრეთით აღმდგარი ღვთის ძის დაბრუნებით, რასაც მოსდევს „ახალი ცისა“ და „ახალი მიწის“ დამყარება. მაშასადამე, ქრისტიანობას შემოაქვს ისტორიული პროცესის პოზიტიური მნიშვნელობა. ამგვარად, ისტორიის როგორც სწორხაზოვანი პროცესის შემოტანა ქრისტიანობას უკავშირდება. ნეტარი ავგუსტინე თავის ცნობილ წიგნში „ღვთის ქალაქი“ ინტერესდება არა მხოლოდ რომელიმე ცივილიზაციის ან ხალხის ისტორიით, არამედ მთელი კაცობრიობის, როგორც ასეთის, ისტორიით. ასევე ჰეგელი, იასპერსი თუ სხვა თანამედროვე მკვლევრები საუბრობენ იმაზე, რომ ისტორიულობის ფენომენი ემყარება ქრისტეს, როგორც აბსოლუტურად უნიკალური მოვლენის აღიარებას. მან საფუძველი დაუდო მოვლენათა დროითი თანმიმდევრულობის შინაგან კავშირს. ანტიკურობაში, როგორც აღვნიშნეთ დროის ბუნებაა წრე და ძირითადი დრო იყო წარსული, ხოლო ქრისტიანობაში დრო სწორხაზოვანი გახდა, მთავარი დრო დაუკავშირდა მომავალს, თუ გნებავთ ეს იყო ნამდვილი გადატრიალება და რევოლუცია. რას ნიშნავს მომავალი? მომავალი ნიშნავს ისტორიის დასასრულს – იესო ქრისტეს მიერ ბოროტების, თუ სიკვდილის მონობისაგან გათავისუფლებულ ახალ ადამიანს და ახალ სამყაროს, ე.ი. ღვთის საუფლოს. აქედან გამომდინარე შესაძლებელია თუ არა რევოლუციის იდეა ჩამოყალიბებულიყო ქრისტიანულ სამყაროში? ცხადია, რომ შესაძლებელია და ასეც არის, რადგან რევოლუციისთვის აუცილებელია, რომ ისტორია იყოს სწორხაზოვანი პროცესი, რომ მთავარი დრო იყოს მომავალი და ყველაფერი ექვემდებარებოდეს განვითარებას. თუმცა, რევოლუცია თავად ევოლუციისგან იმით განსხვავდება, რომ ევოლუცია ესაა ისტორიის დიდ დროში განვითარებადი პროცესი, ხოლო რევოლუცია არის აღნიშნული პროცესის დაჩქარება, ე.ი. ისტორიის დასასრულის და უკანასკნელი სამეფოს ძალისმიერი მეთოდებით დამყარება. ცხადია, ქრისტიანობის გადმოსახედიდან ეს არის თავად ქრისტიანული სწავლების დამახინჯება და მისი ბოროტად გამოყენება. წარსულში კომუნიზმი, ხოლო დღეს ლიბერალიზმი როცა თავს აცხადებს ერთადერთ პროგრესულ და უნივერსალურ მმართველობის ფორმად, ის ამით ერთის მხრივ უპირისპირდება ქრისტიანობას, ხოლო მეორე მხრივ ჰბაძავს და იმიტირებს ქრისტიანულ ესქატოლოგიას.

ამგვარად, ფრანგული განმანათლებლობის კონცეფცია ქრისტიანობის წაბაძვით ამკვიდრებდა აზრს, რომ ისტორიული პროცესი თავისი ბუნებით არის სწორხაზოვანი, შეუქცევადი და პროგრესული. ისტორია არის ადამიანურობის განვითარების, სოციალური პროგრესის საფეხურები. ადამიანის ისტორიული მოვალეობა იყო მონაწილეობა მიეღო ამ პროცესში და ხელი შეეწყო პროგრესული წინსვლისთვის. შესაბამისად XVIII საუკუნის განმანათლებლობამ „ისტორიული პროგრესის“ ნარატივი შემოგვთავაზა, რომლის პიკიც ჰეგელის ისტორიული მოდელია, რომელიც ნაპოლეონის ფიგურით და ერთიანი მსოფლიო წესრიგით სრულდება. მაშინ როცა ანტიკური პარადიგმა დასასრულის კატასტროფულ მოდელს გვთავაზობს, ხოლო ქრისტიანული სურათი ისტორიისა ღმერთის უშუალო ჩარევითა და ღვთის სამეფოს დამყარებით – ესქატოლოგიური მერვე დღით სრულდება.

როგორც ვხედავთ რევოლუციის განსახორციელებლად პირველი აუცილებელი კრიტერიუმი არის „ისტორიული პროგრესის“ იდეა. რევოლუციის შედეგად სრულდება ისტორიის პროცესი ერთიანი, სამართლიანი, გლობალური, უნივერსალური წესრიგით, სადაც საბოლოოდ განხორციელდება „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

როდესაც ცალკეული რევოლუციონერის ფსიქოანალიზს ვეხებით, ცალსახად უნდა გამოვყოთ იდეა ორი ტიპის ადამიანის არსებობის შესახებ – არსებობენ პროგრესულები და ჩამორჩენილები. პროგრესული ხალხი ცხადია თავად ისინი არიან ვინც გამუდმებით ცვლილებებზე საუბრობენ ე. ი. თავად რევოლუციონერები. მაგრამ ვინ არიან ჩამორჩენილები? ჩამორჩენილები ისინი არიან, რომლებიც „შიშის გამო“ საუბრობენ ღმერთზე, ეთიკასა და დანაშაულზე. საპირისპიროდ „ნაპოლეონი“ არის ზე-ადამიანი, ვისაც შეუძლია გადალახოს სინდისი, ხელში აიღოს ისტორიის სადავეები და თავად ახალი სამყაროს შექმნისთვის საჭიროების შემთხვევაში არ მოერიდოს ხალხის დახოცვას. რევოლუციონერი თვლის, რომ ადამიანი თავად განსაზღვრავს რა არსებობს და რა არა, თავად არის ყველაფრის საზომი. აქედან გამომდინარეობს აზრი, რომ ყველაფერი ადამიანის ხელთ არის და ვერაფერი უქნია მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია. რევოლუციონერი „იღვწის“ იმისათვის, რომ სრულყოფილი საზოგადოება მოაწყოს თავისი ჭკუით. ამ გზაზე სხვადასხვაგვარად განსაზღვრავდნენ თავის დამოკიდებულებას ადამიანის „ბუნებასთან“ და ვარაუდობდნენ, რომ იგი ან „ბუნებით კეთილია“ ან „ბუნებით ბოროტი“ (ამის შესახებ წერს კარლ შმიტი თავის ცნობილ წიგნში „Politische Theologie“ („პოლიტიკური თეოლოგია“ 8, 1922 წ.). მაგალითად: ჟან ჟაკ რუსოს (რომელიც თანამედროვე დემოკრატიის მამად მოიაზრება), მიაჩნდა, რომ ადამიანი ბუნებით კეთილია და მხოლოდ საზოგადოება, თუ ცივილიზაცია აქცევს მას ბოროტმოქმედად. შესაბამისად თავად ხალხის საერთო აზრი, ან საერთო გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს მცდარი[1]. კლასიკური ლიბერალიზმის წარმომადგენელი ვოლტერი თვლიდა, რომ ადამიანი ბუნებით არის ბნელი, მაგრამ ექვემდებარება აღზრდას. აქედან ფიხტე სახელმწიფოს იაზრებს როგორც „განათლების ფაბრიკას“. მარქსი გამომდინარე მისი მატერიალისტური თვალსაზრისიდან მიიჩნევდა, რომ „ადამიანი უეჭველად კეთილია“ მხოლოდ სოციალური უთანასწორობა და ეკონომიკური პირობები განაპირობებს დაპირისპირებებს და ყოველგვარ უსამართლობას. ხოლო ნორმალურად მოწყობილ საზოგადოებაში დანაშაულის ხსენებაც აღარ იქნება, რადგან უკმაყოფილების საბაბი მოისპობა და მაშასადამე ყველანი „ახალ ადამიანებად“ პროლეტარებად იქცევიან. ქრისტიანობის გადმოსახედიდან ეს სხვა არაფერია, თუ არა „ახალი ისრაელის პაროდია“. პროლეტარიატი ახალი ისრაელია, ღმერთის რჩეული ერის ყველა ატრიბუტი ამ მესიანურ კლასზე გადადის. იგი სუფთაა პირველქმნილი ცოდვისაგან მთელი ბურჟუაზიული კულტურის ადამიანის მიერ – ადამიანის, კლასის მიერ – კლასის ექსპლუატაციის ცოდვისაგან. ის უნდა გახდეს კაცობრიობის განმათავისუფლებელი და მხსნელი. ამგვარად საჯარო სივრციდან განდევნილი ქრისტიანული ეკლესია ხედავს, რომ ძველი ებრაული მესიანიზმი სეკულარიზებული ფორმით კვლავ მეორდება ისტორიის გვიანდელ პერიოდში.

დავუბრუნდეთ ისევ რევოლუციონერის ფსიქოანალიტიკურ აღწერას. ამჯერად გამოვკვეთოთ აზრი, იმის შესახებ, რომ რევოლუციონერისთვის კაცობრიობა კი არ განვითარდება ბუნებრივი, ცოცხალი ისტორიული გზით, და ბოლოს მიაღწევს ნორმალურ საზოგადოებრივ წყობას, არამედ პირიქით – სრულყოფილი სოციალური სისტემა წარმოიშობა ცალკეულ რჩეულ ადამიანის გონებაში და თავადვე მოაწყობს მთელ კაცობრიობას ისე რომ ყველა უცოდველი და მართალი შეიქმნება. მაშასადამე ამისთვის არც ცოცხალი პროცესი და განვითარებაა საჭირო და არც ისტორიული გზა! შესაბამისად მათ ინსტინტქტურად სძულთ ისტორია. მათ არ უყვართ ცხოვრების ცოცხალი მიმდი-

[1] ჟ. ჟ. რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება წიგნი II თავი 3. თრგმანი დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას. თბ., 1997.

ნარეობა. როდესაც ფრანგული რევოლუციის დროს, რობერსპიერმა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრიდან ჯვარი გამოატანინა და მის ნაცვლად გონების კულტი აღმართა, ამით ყველაფერია ნათქვამი. რევოლუცია დგას გონების კულტზე. თავად ადამიანის გონებას ძალუძს ყველაფერი მოიცვას თავის მთლიანობაში და შეცვალოს სამყარო. სწორედ ასეთ გამორჩეულ ადამიანებს უფლება აქვთ ჩაიდინონ ყოველგვარი უწესობა და დანაშაული, რადგან მათთვის კანონი არ არსებობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ „მთელი კაცობრიობის სარგებლობა" მოითხოვს ამას. ამგვარად უკეთესი მომავლისთვის საჭიროა აწმყო იქნეს დარღვეული. ხოლო თუ იდეა ითხოვს მსხვერპლი შეეწიროს, ნება ეძლევათ რჩეულ ადამიანებს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ გადადგან ნაბიჯი. აქედან გამომდინარე, აღარ არის გასაკვირი, რომ სწორედ ახალი დროის ისტორიაში ვხედავთ მანამდე წარმოუდგენელ მოვლენებს, ვანდეას გენოციდით დაწყებული, ქრისტიანობის, რწმენისა და სამართლიანობის უპრეცედენტო დევნით – იაკობინური ტერორით, ბოლშევიზმით, ესპანური ანარქიზმით, მექსიკური ინსტიტუციურ-რევოლუციური მოძრაობით, თუ მაოს კულტურული რევოლუციით გაგრძელებული, რომლის შედეგად უძველესი სამონასტრო ტიბეტური ტრადიცია დევნილობაში აღმოჩნდა. ამგვარად, ჩვენ ვლაპარაკობთ კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალ მოვლენაზე, რომელსაც საზოგადოდ „იდეოლოგიას", ან „უტოპიას" ვუწოდებთ. კარლ მარქსმა ზუსტად დაინახა და გამოხატა ეს ტენდენცია: ერთის მხრივ „იდეოლოგია" დაახასიათა როგორც „ყალბი ცნობიერება", ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნა, რომ „აქამდე ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ სამყაროს, საქმე კი იმაშია, რომ ის შეიცვალოს"[1] . ცვლილებების გზაზე ერთადერთი მტერი არის არსებული ტრადიცია. შესაბამისად ტრადიციასთან დაპირისპირების უკან, ერთი მნიშვნელოვანი მიზანია – შევქმნათ „ახალი სამყარო", ცხადია ყოველგვარი წარსული მეხსიერების გარეშე, ე. ი. თითოეული რევოლუციონერი იკავებს უფალი-ღმერთის ადგილს და თავად „არაფრისაგან" ქმნის საოცარ ახალ სამყაროს. ფრანგული რევოლუცია აღნიშნულის დასაწყისია. შესაბამისად „უტოპია" გულისხმობს ექსპერიმენტული მეთოდებით სამყაროს ხელახლა მოწყობას და ამ გზაზე „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას".

ჩვენ ერთგზის აღვნიშნეთ, რომ ახალი დროის იდეები რაოდენ ქრისტიანობასთან დაპირისპირებულიც არ უნდა იყოს, ისინი მაინც არიან დაკავშირებული ცალკეული სახარების იდეებთან. გენიალური ჩესტერტონის ალეგორია, როდესაც თანამედროვე აზროვნების მოდურ მიმართულებებს განიხილავდა ტრაქტატში „The Suicide of Thought" („აზროვნების თვითმკვლელობა")[2] უკანასკნელი სიტყვა მთავრდება შემდეგი მინიშნებით: „[მას შემდეგ რაც ჯვარს აცვეს ქრისტე] მათ გაინაწილეს მისი სამოსი და მის კვართზე წილი ჰყარეს, ვინაიდან კვართი ნაკერი კი არ იყო, არამედ თავიდან ბოლომდე ნაქსოვი". ამ თვალსაზრისთ აღსანიშნავია დიდი ქართველი მოაზროვნის ბერი ალექსი შუშანიას განაზრებანი. ალექსი ახალი დროის ინტელექტუალურ ხედვებს უწოდებს „ქრისტემტყუვარნს": „აღსდგენ ქრისტე-მატყუარნი და იტყვიან ჩვენცა ქრისტე ვართო". ალექსი მიანიშნებს, რომ სინამდვილეში ახალი დროის განმანათლებლება, რომლებიც ეკლესიას ემიჯნებიან, ქრისტეს უწყების ცალკეული იდეებით სარგებლობენ: „ქრისტეს მიერ მონიჭებული სახარება თავიანთ მიმართულების იარაღად გახადეს და ხსნიან საწუთო მხედველობით"[3]. ბერი ალექსი აღნიშნავს, რომ ქრისტეს მოძღვრებებს „ღრმა და მაღალი მნიშვნელობა აქვთ" და „აზრის გაგების უმისოდ ადვილად შეიძლება კაცმან... ფრიადცა დაამდაბლოს მისი მნიშვნელობა". აქ შეგვიძლია დავინახოთ პირდა-

[1] მარქსი, კ.: თეზისები ფოიერბახის შესახებ, კრებულში: კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი: „პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი", 1950, გვ. 486.

[2] „The Suicide of Thought" by G. K. Chesterton „Orthodoxy", London, „The Bodley Head LTD", 2015.

[3] ღირსი ალექსი (შუშანია), რა მოაქვს უღმერთობას?, კრებულში: ღირსი ალექსი (შუშანია), საღმრთო წადილი, ზ. კალანდაძე (რედ.), თბილისი, „მთაწმინდა", 2014, გვ. 302.

პირი აზრობრივი თანხვედრა კარლ იასპერსთან (და არამხოლოდ), რომელიც ასევე ლაპარაკობს imitatio Christi – ქრისტეს მიმბაძველობაზე (ოღონდ არა საღვთისმეტყველო გაგებით ცხადია). კერძოდ, იასპერსი შენიშნავს, რომ თანამედროვე ლიბერალიზმი, სოციალიზმი, თუ ფემინიზმი, როგორი ანტიქრისტიანული ლოზუნგებითაც არ უნდა გამოირჩეოდნენ, შენიღბულად ქრისტიანულ იდეალებს ატარებენ[1]. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ მსოფლიო ეკლესიამ ყურადღება მიაქცია ახალი დროის აპოლოგეტიკას.

ახალი დროის აპოლოგეტიკა

ახალი დროის აპოლოგეტიკა გულისხმობს, სოციალური ქრისტიანობის გააქტიურებას. აპოლოგეტიკა ესაა ქრისტიანული მოძღვრების დაცვისათვის ღვაწლი, მისი დასაბუთება, დამტკიცება, არგუმენტირება. ანტიკურ პერიოდში ცნობილია, მაგალითად, სოკრატეს შესახებ დაწერილი რამდენიმე აპოლოგია, რაც ნიშნავდა ამ პიროვნების სიტყვიერ დაცვას. რაც შეეხება ქრისტიანული მოძღვრების არგუმენტირებულ დასაბუთებას, რაც თავისთავად გულისხმობს უკვე მის დაცვას, ეს სამოღვაწეო გეზი გამოკვეთილი გახლავთ ყველაზე მეტად II საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, აქედანვე აითვლება ე.წ. აპოლოგეტიკის ტრადიცია ეკლესიის ისტორიაში[2].

პოსტქრისტიანულ პერიოდში თავად ეკლესიის წევრებმა ყურადღება მიაქციეს შემდეგ საკითხს: ძველი აპოლოგეტები საკუთარ შიდა მრევლს ელაპარაკებოდნენ თეოლოგიის ენაზე, ხოლო ეკლესიის გარე პოტენციურ მრევლს მიმართავდნენ ფილოსოფიის ენაზე. ადრეულმა ეკლესიამ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონის მოხმობით უპასუხეს გნოსტიკურ[3] გამოწვევებს, ხოლო შუა საუკუნეებში, როცა არისტოტელიკოსობა ძნელად გასარჩევი ხდებოდა არაბული ერეტიკოსობისაგან, ეკლესიამ (მაგალითად, აღმოსავლეთში იოანე დამასკელის, ხოლო დასავლეთში თომა აქვინელის (1225-1274 წწ.) ფილოსოფიით) გამოწვევებს არისტოტელეს მოხმობითვე გასცა პასუხი[4]. აღნიშნული ძველი გამოცდილების ფონზე, უკვე ახალ დროში დაიწყო შეფასებები XIX-XX საუკუნეში განვითარებული მოვლენების. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი გადაჭარბებული ნდობის, მატერიალისტური მოძღვრებების მოძალების, თუ ათეისტური დიალექტიკის საპირისპიროდ – რომის ეკლესიის წარმომადგენლებმა აღორძინეს თომა აქვინელის ფილოსოფია, რომელიც ხელს უწყობდა რწმენისა და ცოდნის შერიგებას. ახალი დროის ქრისტიანმა ფილოსოფოსებმა შეეცადნენ თანამედროვე ადამიანისთვის ეჩვენებინათ, რომ თომა აქვინელი ადამიანის გონების ერთ-ერთი უდიდესი განმათავისუფლებელია. ისინი დაუპირისპირდნენ XVII-XVIII საუკუნეებში გავრცელებულ აზრს, რომ თითქოს დიდი სქოლასტიკოსი ობსკურანტი იყო. მაგალითად, თომა აქვინელის მკვლე-

---

[1] კ. იასპერსი, ნიცშე და ქრისტიანობა, თბ., 2019, გვ. 38.

[2] ე. ჭელიძე, აპოლოგეტური მოღვაწეობის დაფუძნება ქრისტიანულ ეკლესიაში, იხ.: https://edisherchelidze.blogspot.com/2019/04/ii.html (წვდომა განხორციელდა: 10.05.2021).

[3] გნოსტიციზმი ახ. წ. აღ. I-II საუკუნეში აღმოცენებული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა წარმართული (როგორც აღმოსავლური, ისე ელინური) და ქრისტიანული მოძღვრებები. არსებობს აზრი, რომ გნოსტიციზმი ქრისტიანობის უკიდურესი ელინიზაციაა. გნოსტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ფლობდნენ უმაღლეს, პრივილეგირებულ ცოდნას (ბერძ. „გნოსის", აქედან გნოსტიციზმი). ამგვარად გაგებული ცოდნა ქრისტიანული რწმენის საპირისპიროდ მოიაზრება. ამას გარდა, თუ ქრისტიანული რწმენაც და ცოდნაც ეკლესიის, როგორც ერთი მთლიანობის საკუთრებაა, რომლისგანაც იგი ცალკეულ მორწმუნეს გადაეცემა, გნოსტიციზმში ცოდნის შეძენა ინდივიდუალურ დონეზე ხდება, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება ქრისტიანობას. გნოსტიციზმი დიდ საფრთხეს უქმნიდა ქრისტიანობას. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში ამ უკანასკნელს თავდასაცავად მარჯვე ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ გააჩნდა, არ იყო დადგენილი ახალი აღთქმის კანონი, არ იყო ჩატარებული მსოფლიო კრებები, არ არსებობდა კათოლიკე ეკლესიის ავტორიტეტი. გნოსტიციზმის სახელით ცნობილი რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემათა ერთობლიობა ქრისტიანული ფაქტებისა და მოძღვრების საფუძველზე აღმოცენდა. გნოსტიკოსები ცდილობდნენ, თავიანთი სწავლება ყოველთვის ქრისტეს პიროვნებაზე დაყრდნობით გაემყარებინათ.

[4] B. Ryan, Is Islam A Christian Heresy? იხ.: https://ucatholic.com/blog/is-islam-a-christian-heresy (წვდომა განხორციელდა: 22.05.2021).

ვარი ეტიე ჟილსონი (1884-1978 წწ.) მიუთითებდა, რომ თუ ღვთისმეტყველებისგან ვისწავლით, თუ რა არის ობიექტური ჭეშმარიტების რწმენა და ობიექტური ინფორმაციის ცოდნა, აღმოვაჩენთ, რომ გამოცხადებასაც ვფლობთ და გონებასაც[1]. სხვა თომისტი, ჟაკ მარიტენი (1882-1973 წწ.) შენიშნავს, რომ გარეშე ფაქტის ცოდნა ისევე ანაყოფიერებს გონებას, როგორც ყვავილი ფუტკარს, რომ ღმერთმა ადამიანი ისე შექმნა, რომ მას შეუძლია სინამდვილესთან კავშირი[2]. ყველაფერი ეს მიმართული იყო შემდეგი აზრის უარსაყოფად – ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, ასკეტური, უდაბნოსკენ მისწრაფებული, მონასტერში გამოკეტილი, სიცოცხლისა და ბედნიერების უარმყოფელი მოძრაობაა, რომელსაც ახასიათებს ანტიადამიანური დამოკიდებულება თვით ბუნების წინააღმდეგ, სხეულის სიძულვილი, ნივთიერი სამყაროს მიმართ ძრწოლა, შეგრძნებათა და თვით მე-ს საყოველთაო უარყოფა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნიკოლაი ბერდიაევი (1874-1948 წწ.), რომელიც აღმოსავლური ეკლესიის წარმომადგენელია. ბერდიაევი დაუპირისპირდა ისტორიის უარმყოფელ მოძრაობას: „სულის სიძლიერის შენარჩუნება, ცხოვრების გამოცდათა და საშინელებათა წინაშე უშიშრობა, გარდუვალი და განწმენდი სატანჯველის მიღება, ბოროტების, თუ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ჭეშმარიტ ქრისტიანულ იმპერატივად რჩება, ხოლო პასიური სიკეთე, რომელიც მზად არის დათმოს და გასცეს ნებისმიერი ფასეულობა, არ შეიძლება ქრისტიანობას დავუკავშიროთ. თანაგრძნობის უკიდურესი რელიგია, რომელიც ყველა სახის ტკივილსა და სისასტიკეს უფრთხის, ესაა ბუდიზმი, რომელიც უძრაობისა და სიმშვიდის აღმსარებლობაა“. ქრისტიანობა უფრო მაღალ ფასეულობებს ცნობს, ვიდრე სიმშვიდე და უმტკივნეულობაა, აქედან გამომდინარე, ქრისტიანობა ცნობს – ისტორიის პროცესს. მტკივნეული და მტანჯველია ნატურალური მეურნეობის ჩანაცვლება ფულადით. მტკივნეული და მტანჯველია განშორება ცხოვრების დამკვიდრებულ ფორმებთან, ძველ იდეებთან. უმტივნეულო სიმშვიდესა და უძრაობაში დარჩენაა. ამის საპირისპიროდ ბერდიაევი შეეცადა განემარტა, რომ ქრისტიანული კაცობრიობა ისტორიის მიღმა კი არ უნდა იდგეს, არამედ ისტორიას ქმნიდეს ნებაყოფლობითი გოლგოთისკენ მოხმობის გზით. ქრისტიანი სოფელს გაურბის, მაგრამ სამყაროს უერთდება. ამაშია მისი უნიკალურობა, რომ ის ის სოფლის უარყოფით (რაც ქრისტიანული ასკეტიკის ნაწილია), უარს ამბობს უსამართლობაზე, გაბატონებულ ბოროტებაზე და მოწოდებულია გარდაქმნას საკუთარი თავი და მსოფლიო. ამ მხრივ აღსანიშნავია კიდევ ერთი თანამედროვის, დედა მარია სკობცოვას (რომელიც ასევე ცნობილია როგორც წმ. მარია პარიზელი 1891-1945 წწ.) ნაშრომები სოციალური მსახურების შესახებ. სკობცოვა საუბრობს „ადამიანური თანაზიარების მისტიკაზე“, როგორც „გარეგანი ქრისტიანული აქტივობისა და სოციალური ქრისტიანობის ერთადერთ ავთენტურ საფუძველზე... რადგან ქრისტიანობა სამყაროსაკენაა მიმართული“. ის ამბობს, რომ „სოციალური ურთიერთობა უნდა იყოს ეკლესიის გარეთ არსებული ლიტურგია“[3]. აქედან გამომდინარე, რა განსხვავებაა რევოლუციასა და ქრისტიანობას შორის? ორივე მათგანი გვესაუბრება არსებულის ცვლილებაზე, სიბნელიდან სინათლისაკენ მოქცევაზე. თუმცა, მეთოდოლოგია რა გზითაც აღწევს ისინი მიზანს არსობრივად განსხვავდება. ისიც ცალსახაა, რომ რევოლუციის პათოსი ნასაზრდოებია სახარებიდან, სწორედ ამიტომ ტიპოლოგიურად რევოლუციის მგრძნობელობას შეიძლება ვუწოდოთ დამახინჯებული ქრისტიანული განცდა.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, რთული სათქმელია ქრისტიანობა მოახერხებს თუ არა ისტორიულ ჟამს, თავი ეპოქალურ ალტერნატივად წარმოაჩინოს. თუმცა, ახალი დროის აპოლოგეტიკა

---

[1] ე. ჟილსონი, გონება და გამოცხადება შუა საუკუნეებში, თარგმნა ს. ბუკიამ. თბილისი, „ფავორიტი სტილი“, 2019, გვ. 101.

[2] G. K. Chesterton, St. Thomas Aquinas, New York, „Dover Publications, INC“, 1974, გვ. 46.

[3] ლემასტერსი, ფ.: ევქარისტიული საზოგადოების პოლიტიკური დამოწმება და სოციალური მსახურება: http://petritsiportal.ge/ka/article/12 (წვდომა განხორციელდა: 10.06.2022).

სწორედ აქეთკენაა მიმართული. ამჯერად ის მეცნიერული გამოცდილების შუქზე ფართოდ განიხილავს სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ანთროპოლოგიურ პრობლემებს. თანამედროვე სამყაროში როცა მარქსი არ კარგავს პოპულარობას, ქრისტიანთა აზრით მარქსმა უნდა შეასრულოს იგივე როლი, რომელიც XIII საუკუნეში არისტოტელეს ხვდა წილად, რომლის წინარექრისტიანული ფილოსოფია „მოსანათლი" იყო, რათა რწმენა და გონება ერთმანეთთან კავშირში მოსულიყო. ე.ი. ეკლესიის წარმომადგენლებმა ქრისტე კი არ შეარიგეს არისტოტელეს, არამედ პირიქით არისტოტელე – ქრისტეს. აღნიშნული გამოცდილებიდან გამომდინარე საუბარია მარქსის ქრისტიანიზების საკითხზე. ვლადიმერ სოლოვიოვი ამბობდა, რომ ვიდრე ქრისტიანობა დაიწყებდა მარქსისტული სოციალიზმის კრიტიკას, საჭიროა ჯერ მისი სიმართლის აღიარება ინდუსტრიულ-კაპიტალისტური უმართებულობის შესახებ. შესაბამისად, თუკი არსებობს ქრისტიანული-სოციალიზმი, ის არ წარმოადგენს ჭეშმარიტ მარქსიზმს. სოციალიზმი ამ სიტყვის მკაცრი გაგებით უნდა ვუწოდოთ მიმართულებას, რომელიც გარეგნული იძულებითი ფორმით (რევოლუციით, ტოტალიტარული მექანიზმებით) ცდილობს ადამიანთა საზოგადოების ბედის განსაზღვრას. ხოლო ქრისტიანობა მოქმედებს ადამიანის პიროვნული თავისუფლების აღიარებით, რადგან ღმერთმა სწორედ ასეთი შექმნა ადამიანი. შესაბამისად მისი ბრძოლა სოციალური უსამართლობისა თუ ცოდვის წინააღმდეგ არის არაძალადობრივი. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობის დევიზია: რადიკალურად შევცვალოთ საკუთარი თავი (რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების ჩვენეული – ეგოისტური აღქმა შეიცვალოს) და შემდგომში შევცვლით მსოფლიოს. აღმოსავლური ეკლესიის მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, თავის წიგნში „მართლმადიდებლობა მესამე ათასწლეულში" ეხება სოციალური სამართლიანობის საკითხს. ის აღნიშნავს, რომ ახალი დროის ქრისტიანული ფილოსოფიის მიზანია გადალახოს „შეუღწევადი" ბარიერი რომელიც არსებობს რელიგიურ საზრუნავისა (სულის ხსნა და გადარჩენა) და პრაგმატულ (ვაჭრობა, კომერცია) მიზნებს შორის. სახელმწიფო მმართველობის სუვერენიტეტი, რომელთაც ძალაუფლება აქვთ, რათა თავიანთი ქვეყნის მოქალაქეების სასარგებლოდ ან საზიანოდ იმოქმედონ, ჩვენს დროში დარღვეულია. კერძო კომპანიები თავიანთ გავლენას დედამიწის ყველა კუთხეში ავრცელებენ. გლობალიზაცია ძალიან ფართოდ არის გაჩაღებული კერძო კომპანიების ძალისხმევით, რომელთაც მხოლოდ ერთადერთი მიზანი გააჩნიათ ივაჭრონ და მიიღონ მოგება ყველაფრიდან, საიდანაც კი შესაძლებელია. ეს კომპანიები სარგებლობენ წარმოუდგენელი ტექნოლოგიური განვითარებით და მასობრივი კომუნიკაციებით, რომლებიც ხელს უწყობენ უზარმაზარ ეკონომიკურ ზრდას და საერთაშორისო ეკონომიკურ აქტივობას ყველა სფეროში. ამ ფონზე ქრისტიანობა „იბრძვის", რომ ეკონომიკა კაცობრიობის მსახური გახდეს და არა მისი ბატონი. ეკონომიკა საკუთარი თავისთვის მატერიალური ფასეულობაა, მაგრამ მოყვასისთვის გაწოდებული პური უკვე სულიერი ფასეულობა. ქრისტიანთა ის ნაწილი რომელიც საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე საუბრობს და თვლის, რომ მათი სულიერი ფასეულობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გარეგანს – თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს იმით უპირისპირდებიან, რომ საჯარო სივრცეში ცდილობენ დაამკვიდრონ გაცემისა და მოწყალების წესი, ე.ი. ლეგიტიმური გახადონ სულიერი ფასეულობა. ძველი ათენელები თვლიდნენ, რომ სიმდიდრე არ არის უმაღლესი ფასეულობა, რომ ღარიბი ისეთივე მოქალაქეა. როდესაც ათენელები ანარქიულ დემოკრატიაში გადავიდნენ და მთელი რესურსები ერთ ოლიგარქიულ სივრცეში აღმოჩნდა მათი დიდება ჩაესვენა. ეთიკური ღირებულებები ადამიანის შინაგან სამყაროს ეხება, თუ გვსურს, რომ საჯარო სივრცე და ეკონომიკა იქნეს ეთიკის ნიადაგზე გაწონასწორებული როგორც ეს იყო ათენში, მაშინ თითოეული ადამიანი უნდა იქცეს ზნეობრივად უპირველესად საკუთარ თავთან მიმართებაში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ქრისტიანული ასკეტიკის რენესანსი, რომელიც დღეს საჯარო სივრციდან განდევნილია და მის ადგილს ადამიანის „ეგო" იკავებს.

პოსტმოდერნიზმი, როგორც რევოლუციის კოლაფსი

რევოლუციების დრო დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს თვალწინ კაცობრიობა შევიდა სულ სხვა გამოცდილებაში. როგორც აღვნიშნეთ რევოლუცია საჭიროებს მომავლის იდეას, პროექტს. კლასიკურ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ეს პროექტები არსებობდა და მე-20 საუკუნეში იყო აღნიშნულის ექსპერიმენტულად განხორციელების მცდელობები, რასაც მოჰყვა მსოფლიო ომები და ხალხების უპრეცედენტო გენოციდი და უსამართლობა. დასაწყისში რევოლუციას გარდა მომავლის პროექტისა მხარს უმაგრებდა სამართლიანობის განცდა. რევოლუციის შედეგებმა კი სამყარო შეიყვანა სრულ უსამართლობაში. რევოლუცია დასრულდა სწორედ იქ, სადაც სამართლიანობა და პროგრესი საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს. ჩვენი დრო რომელსაც პოსტმოდერნიზმს ვეძახით გამოირჩევა იდეების სიღატაკით, ამიტომაც გაბატონებულია ლიბერალური-დემოკრატია და სეკულარიზმი. ბერდიაევის თქმით, დემოკრატია მაშინ ჩნდება როცა საყოველთაოდ დაკარგულია სიმართლის რწმენა. სეკულარიზმი აღნიშნულის დიაგნოზია, რადგან ის თავისთავში გულისხმობს შემდეგს: ხალხს დაკარგული აქვს ჭეშმარიტების მყარი კრიტერიუმი, მას აღარ აქვს იმის უნარი, რომ აღიაროს რომელიმე აბსოლუტური ჭეშმარიტება, ანუ სიმართლე. მეორეს მხრივ, წარსულის ტოტალიტარულ სისტემები იყო აღნიშნულის საპირისპირო – გაბატონებული იყო ერთი აბსოლუტური ჭეშმარიტება და ადგილს არ ტოვებდა თავისუფალი აზროვნებისთვის. ამგვარად, ერთის შემთხვევაში ეს იყო ჭეშმარიტება ყოველგვარი თავისუფლების გარეშე, ხოლო ლიბერალური-დემოკრატიის შემთხვევა გულისხმობს – თავისუფლებას ყოველგვარი ჭეშმარიტების გარეშე. მოვიყვანოთ ციტატა პლატონის სახელმწიფოდან:

„განა ასეთ სახელმწიფოში [იგულისხმება დემოკრატია] თავისუფლება ყველაფერსა და ყველაფერზე არ ვრცელდება?... მამა ეჩვევა იმას, რომ შვილს ემსგავსება, ხოლო შვილი მამაზე მნიშვნელოვანი ხდება... იქ აღარ ექნებათ მშობლების რიდი და პატივისცემა (იმავე თავისუფლების საბაბით) მიგრანტი ძირძველ მოქალაქეს გაუთანაბრდება, ხოლო მოქალაქე მიგრანტს. იგივე სურათი გვექნება უცხოტომელებთან მიმართებითაც. ...ასეთი წყობის დროს მასწავლებელს ეშინია მოსწავლეებისა, ხოლო მოსწავლეებს არანაირი მორიდება არა აქვთ არც მასწავლებლებისა და არც მენტორებისა. საზოგადოდ, [დემოკრატიულ წყობაში] ახალგაზრდები უფროსებს ჰბაძავენ და მათ სიტყვითა თუ საქმით ერკინებიან, ხოლო უფროსები ახალგაზრდებს ემსგავსებიან და ჰბაძავენ – მათებურად ხუმრობენ და ლაზღანდარობენ, იმ მიზნით რომ ახალგაზრდებმა ისინი არასასიამოვნო საურთიერთობო ძალაუფლების მოყვარულ ადამიანად არ მიიჩნიონ. ...მაგრამ უკიდურესი თავისუფლება ამგვარი წყობის ხალხისთვის ისაა, როცა ნაყიდი მონა არანაკლებად თავისუფალია, ვიდრე მყიდველი მოქალაქე, აღარაფერს აღარ ვამბობთ, როგორი თანასწორობა და თავისუფლება აქვთ ქალებს კაცებთან მიმართებით და პირიქით... ხოლო ის თუ როგორ თავისუფლება აქვთ ცხოველებს, ამას არავინ დაიჯერებს! ცხენები და ვირები აქ მედიდურად დაიარებიან და ადამიანებს აბიჯებენ, თუ ისინი მათ გზას არ უთმობენ... ამიტომაც, უკიდურესი თავისუფლება, როგორც ცალკეული ადამიანის, ისე სახელმწიფოს შემთხვევაში, თავის საპირისპირო უკიდურეს მონობაში გადადის... ასე, რომ ტირანია იბადება... სწორედ ამგვარი ახალგაზრდულად უტიფარი დემოკრატიული წყობიდან...“[1]

ზემოაღნიშნული დემოკრატიის დახასიათება, ეკუთვნის ძველ ბერძენ მოაზროვნეს პლატონს. ისმის კითხვა: შევიდა, თუ არა კაცობრიობა იმავე გამოცდილებაში რასაც პლატონი აღგვიწერს

[1] პლატონი „სახელმწიფო“, წიგნი მე-9. ზემოარნიშნული ციტატა ძველ ბერძნულიდან თარგმნა ზაზა შათირიშვილმა და გამოყენებულია მისივე ავტორობით წიგნში „Vita Contemplativa“, თბ., 2017, გვ. 179.

ჩვ. წ. მე-5 საუკუნეში? გამოდის ბერძნული კოსმოლოგია, რომელიც გვესაუბრება ისტორიის წრებრუნვაზე გამართლდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული ისტორიის პროცესის გაგება არ გამორიცხავს, რომ ადამიანები ისტორიაში ერთი და იმავე გამოცდილებაში შედიოდნენ, ე.ი. მანკიერ უსასრულობას განიცდიდნენ. „მანკიერ წრეს“ ქრისტიანობა უწოდებს ცოდვას, მისგან გათავისუფლება კი მოქცევისა და სინანულის გზით არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე აღარ არის გასაკვირი, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს, რევოლუციური დემოკრატია, რომელმაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დეკლარაციით დაიწყო – 1793 წელს არანაირი თავისუფლება არ დატოვა. ამდენად, რევოლუცია დასრულდა რადგან თავად – რევოლუციური პროგრესის იდეაც დაიმსხვრა.

გამოყენებული ლიტერატურა

იასპერსი, კ.: ნიცშე და ქრისტიანობა, თარგმნა ვ. გორგიშელმა, თბილისი: „აქტი“, 2019.

იასპერსი, კ.: ფილოსოფიის შესავალი, თარგმნა ვ. გორგიშელმა, თბილისი: „აქტი“, 2019..

მარქსი, კ., ენგელსი ფ.: კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი: „პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი“, 1954.

რაცინგერი იოზეფ (ემერიტუსი პაპი ბენედიქტე XVI „ქრისტიანობის შესავალი“ 2010.

კარლ შმიტის „პოლიტიკური თეოლოგია“ გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ; შესულია კრებულში „ფილოსოფიურ პოლიტიკური-კრებული“ თბ. 2021.

შათირიშვილი ზ.: Vita contemplative, თბილისი: „სეზან ფაბლიშინგი“, 2017.

შუშანია ალექსი: მთავრობა და სარწმუნოება, კრებულში: ღირსი ალექსი (შუშანია), საღმრთო წადილი, ზ. კალანდაძე (რედ.), თბილისი: „მთაწმინდა“, 2014.

რაცინგერი იოზეფ (ემერიტუსი პაპი ბენედიქტე XVI „ქრისტიანობის შესავალი“ 2010.

მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, შეხვედრა საიდუმლოსთან, *მართლმადიდებლობა მესამე ათასწლეულში,* თარგმნა შ. კინწურაშვილმა, თბილისი: Random house, 2019.

ჭელიძე, ე.: აპოლოგეტური მოღვაწეობის დაფუძნება ქრისტიანულ ეკლესიაში, https://edisherchelidze.blogspot.com/2019/04/ii.html (წვდომა განხორციელდა: 10.06.2021).

Chesterton, G. K.: Orthodoxy, London: „The Bodley Head LTD“, 2015.

Pieper, J.: Leisure The Basis of Culture, Indiana: „ST. Augustine’s Press“, 1998.

Jaspers, K.: The Origin and Goal of History, London: „Yale University Press“, 1953.

ნაშრომის ხელმძღვანელია და იგი დასაბეჭდად წარმოადგინა
პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ
ᲛᲐᲮᲐᲭᲐᲫᲔ

ᲞᲝᲔᲖᲘ-ᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲖᲘ

„სიყვარული რიგდებოდა წიგნის მაღაზიაში,
ის დღე იყო იღვიძებდა გაზაფხული იაში.
მზე კოცნიდა თეთრ ალუბლებს, უსათუთეს ლიანებს,
სიყვარული რიგდებოდა და მე დავაგვიანე“.

ეს სტრიქონები ჟუჟუნა შაინიძის ლამის სახალხოდ ქცეული ლექსიდანაა „დავაგვიანე“ (ჟუჟუნა შაინიძე, „იების მთვარე“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2000: 80; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს). შემთხვევითი არაა ამ ლექსის პოპულარობა; მასში ყველაფერი: დაწყებული თემით და დამთავრებული ფორმით, იოლად აღსაქმელია და ხვდება მკითხველის გულს, ფაქიზად ეხება მისი სულის სიმებს, ბუნებრივი უბრალოებით აგრძნობინებს ასე ნანატრ-ნაოცნებარი სიყვარულისთვის ლოდინის მოუთმენლობასაც და იმედგაცრუების სიმძაფრესაც: „სიყვარულის რიგში, ღმერთო, აქაც ბოლო ვიყავი“.

ვფიქრობ, მეც დავაგვიანე ჟუჟუნა შაინიძის მშვენიერ კრებულებში ჩაღრმავება და თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ქალი-პოეტის ორიგინალური, ინტელექტუალური და, იმავდროულად, ექსპრესიული, ემოციურად დატვირთული, გულწრფელი, ფაქიზი და მთრთოლვარე პოეზიის შესახებ მკითხველისათვის ჩემი შთაბეჭდილების გაზიარება.

დიახ, დავიგვიანე ჟუჟუნა შაინიძის სიყვარულის დღესასწაულზე, თუმცა ჩემს დაგვიანებასაც აქვს გამართლება: როგორც გავიგე, პოეტის პირველი კრებული 1985 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ ჩვენს ქვეყანასაც და, შესაბამისად, ჩვენს ოჯახებსაც იმდენი გასაჭირი დაატყდა თავს, რომ, მართალი გითხრათ, პოეზიისთვის აღარც გვეცალა. სხვათა შორის, ჟუჟუნა შაინიძის ლექსებშიც კარგად ჩანს, რა რთულია იყო ქალი, დედა, მეუღლე, ზრუნავდე ოჯახზე, ჩაფლული იყო ყოველდღიურ ყოფით წვრილმანებში, ერთი სამსახურიდან გადარბოდე მეორეში (90-იანი წლებიდან ორი-სამი და მეტი სამსახურიც, რა თქმა უნდა, მიზერული ხელფასით, ჩვეულებრივი ამბავი იყო თავის გადარჩენისთვის მშრომელი ინტელიგენციისთვის) და, ამავე დროს, იყო მუზების მსახური, შემოქმედი, მეცნიერი...

ეს მით უფრო რთულია, რადგან „თეთრი და თოთო“ ლექსების შემოქმედი ვერასოდეს იქცევა სამომხმარებლო საზოგადოების შინაურ წევრად; როცა მშვენიერების, სიწმინდისა და სიკეთის ადგილი არ რჩება ბოროტების გულგრილ, პრაგმატულ სამყაროში, სადაც „ფხიზლობს ავსული, სძინავს

ანგელოზს“, სადაც „სიწმინდეს რთავენ ტალახის ფუნჯით“ (13), ბუნებრივია, პოეზიის ქურუმი თავს ვერ იგრძნობს კომფორტულად – „აქ, შავი ბაზრის მოზრიალე შავბნელ ხმაურში“:

„ლუკმაპურისთვის არ ვიქნები პოეტი მონა,
არც მაღაზიის მეპატრონის მეასე ცოლი.“
(„სამშობლოს გვედრი“, 21)

ყველაზე მეტად სწორედ პოეტს უჭირს გულგრილი, ყალბი და ფარისეველი ადამიანების გარემოცვაში, უჭირს, როცა გულწრფელობა სისულელედ ითვლება, სიმართლის თქმა – უჭკუობად, როცა ბოროტი მზერით მონუსხულს ნაბიჯის გადადგმა გიჭირს, სამოთხის კარსაც გიკეტავენ, რადგან აღარავის სჯერა ბავშვური ღიმილის, სიწმინდის, დიდობაში ბავშვობას აღარ გპატიობენ, ბავშვური სილაღე და გულუბრყვილობა მხოლოდ გარშემომყოფთა ქილიკსა და დამცინავ ღიმილს იწვევს („თეთრი ბაფთებით“, 66), როცა გაიძულებენ – დაივიწყო ჭრელი ბავშვობა, როცა „ფასი სულ დაკარგა ლექსმა“ („დრო“, 56), მაშინ მხოლოდ ასეთი ტკივილიანი სტრიქონები იწერება:

„დღეს მეასეჯერ, ვიცი, მოვკვდები,
ობოლი ლექსი ამიტირდება!“
(„ევა“, 12)

არადა, პოეტი მარადი ბავშვია, „ვერდაღწეული ბავშვობის სიზმრებს“ („პოეტის ასაკი“, 131), ალბათ, ამიტომაც თითქმის შეუძლებელია ერთ ადამიანში იყოს მიწიერი მეუღლე, დედა, დიასახლისი, შვილი და, იმავდროულად, იყო ზეცასთან ახლოს, ცეცხლივით გწვავდეს „ლექს-ნაღველის ბანგი, ბადაგი“ („ნეტავი“, 20). მიწიერ-ზეციურის ეს ოპოზიცია შემოქმედი ქალის არსებას წინააღმდეგობებით ავსებს, აიძულებს, ერთდროულად იყოს „უბრალოდ ქალი პირველყოფილი სიყვარულის ბადაგით მთვრალი“ („ნეტავი“, 19) ან იპოვოს ისეთი სტრიქონები, რომლებიც სამუდამო წერტილს დაუსვამს მის შემოქმედებით ძიებებს, სულიერ ვნებათღელვას, გაორებას.

ასე მდიდრდება კონცეპტი პოეტი-ქალი სხვადასხვა კონოტაციით:

პოეტი-ქალი შვილია, რომლის დედა არ მალავს, რომ მის ლექსებს „ერთი ლამაზად ამოქარგული ბალიშისპირი ერჩია“ (125), ვისაც სული ეხუთება ოთხ კედელში და ტკივილამდე ეცოდება შვილიშვილები – „მზენატრული ოთახის ყვავილები, დაბადებამდეც ამ დაბანგული ქალაქისთვის განწირულები!“ (125).

პოეტი-ქალი შვილია, რომლის მამა ოჯახზე დარდითა და ზრუნვით გაჭაღარავდა. საინტერესო და მოულოდნელია ლექსის „ოჯახის მამა“ (63) დასასრული, პოეტი ორგანულად უკავშირებს ერთმანეთს ოჯახის სიძლიერესა და სიდიდეს სამშობლოს სიძლიერესა და სიდიდეს. როცა უჭირთ ოჯახებს – უჭირს საქართველოსაც:

„გაჭაღარავდა ოჯახის მამა,
ვაი, რა უდროოდ გაჭაღარავდა,
დაპატარავდა ოჯახის მამა
და საქართველო დაპატარავდა!“ (63)

ვფიქრობ, ამ ლექსში მნიშვნელოვანი და ზუსტი აქცენტებია დასმული, ნაგრძნობი და ნაჩვენებია ის კავშირი, რაც ცალკეულ ქართულ ოჯახს, გნებავთ, ზოგადად ოჯახის ინსტიტუტისა და ქვეყნის სიძლიერეს შორის არსებობს.

სამწუხაროდ, მშობლები უკვდავები არ არიან, მათი წასვლით ჩვენი უდარდელ-უშფოთველი ბავშვობაც მიდის, მამის მიერ ფერებას ნაჩვევ გულსაც ბევრჯერ გვტკენენ, გვრჩება მხოლოდ კედლიდან მშვიდად, აუმღვრევლად მომზირალი პორტრეტი ასე ახლობელი და ასე შორეული მამისა („მამას“, 64). პოეტი-შვილიც მამის თბილ თვალებთან სასაუბროდ სასაფლაოზე მიდის; მას ანდობს თავის დარდსა და გასაჭირს: მართალი მამის გაზრდილი შვილი ვერც ცრუობს, ვერც გულწრფელ ემოციებს მალავს, ვერც ფარისევლობს და მლიქვნელობს, ამიტომ თვლის, რომ ბოლოს, მართლის მთქმელი მამის მსგავსად, მარტო დარჩება, ამ წუთისოფელში ხომ მხოლოდ ფარისეველთ და ნიღბოსანთ შეუძლიათ თავის გატანაცა და დამკვიდრებაც („მამის საფლავთან“, 64-66).

ჟუჟუნა შაინიძის პოეზიაში მამა, ღმერთი და სამშობლო სინონიმური კონოტაციებით იტვირთება, სტრიქონებიდან გვესმის პოეტი-მოქალაქის მწუხარე ხმა:

„გათვალულია როცა მამული,
ქრიან ქარები უმისამართო“.
(„ქრიან ქარები“, 20)

პოეტ-ქალსაც მხოლოდ ერთი თხოვნა აქვს უზენაესთან: „უფსკრულის პირას მოტორტმანე სამშობლოს გვედრი!“ (21), მას არ უნდა საქართველო დაემსგავსოს „დაცლილ ერდოს ბუდეცარიელს“ („მზის სალამური“, 32); უმთავრეს სათქმელს კი ასე გამოხატავს:

„რა ცოტას ნიშნავს –
დავიბადე საქართველოში!
საქართველოსთვის დავიბადე!
უმთავრესია!“ (96)

პოეტი-ქალი სატრფოა, ვის არსებასაც ვაჟის ალმასივით მზერა „მზის გურგურა ცეცხლით“ ავსებს. ამ ცეცხლს ის ელდით დანაცრულ, ელვის შოლტებით დასერილ მომხიბლავ სტრიქონებად გარდასახავს, მათში მოაქცევს შლეგ ვნებასა და ვარდივით ნაზ სურვილებს:

„რადგან ქალი ვარ,
გამაყოლებ მზერას ალმაცერს...
მოხვალ და ისევ შურისგების
მახვილს დამამსხვრევ“.
(„ელდით დამნაცრე“, 5)

ჟუჟუნა შაინიძე ვაჟის ვნებიანი მზერით სულში აცრილი ქალის შინაგან თრთოლვასა და ფორიაქს, მართლაც, ზუსტი და ელვარე მეტაფორებით გვაგრძნობინებს:

„ტკბილ-მწარე დარდო,
სულში ვარდობ,
თუ თავბრუს მახვევ,
მეტაფორებად დაეწინწკლე
გრძნეულ კალმახებს“.
(„ელდით დამნაცრე“, 5)

შეყვარებული პოეტი-ქალის პაემნის ადგილიც განსაკუთრებულია: მას ზეცა უშლის საპაემნო კარავს, იქვე მთვარე ჩაუქროლებს „თეთრი კაბით, სპილოსძვლისფერ ქოშით“, შეყვარებულები თვალებავარსკვლავებულნი შესცქერიან ზეცას, ზღვა კი „წელზე მოხვეული ხელით უცნაურად ატოკებდა ნაპირს!“ („მე და შენ“, 27).

პოეტ-ქალს შეუძლია თვითშეწირული, უანგარო სიყვარული, მას ოცწლიანი ლოდინიც ძალუძს და პატიების უსაზღვრო ნიჭიც გააჩნია:

„როგორ გელოდი
ლილისფერ ტბაში
არ ეტეოდა სევდა იების...
შენ არ მოხვედი, რადგან იცოდი,
ამ არმოსვლასაც გაპატიებდი!“ (57)

პოეტი-ქალი სიყვარულის მარადფხიზელი მგზავრია, „პირდაპირიც, მოდიდგულეც და შემპარავიც“, რომელმაც უნდა შეახსენოს მოკვდავთ „წარმავლობის წუთი და წამი! “ (25), თუმცა ისიც კარგად იცის, რომ:

„ახლა ვინ წერს სიყვარულზე ლექსებს,
მით უმეტეს – სატრფიალო ბარათს“ (29).

არადა, უსიყვარულო ანუ უღმერთო სამყარო ცარიელია, შემზარავია, საშიშია, ტკივილიანია, ამიტომაც ევედრება უფალს პოეტი: „დადგი კარავი“ (26).

პოეტი-ქალი მეუღლეა, რომელსაც „...სევდის ხმაზე მოღუღუნე ლექსები მზითვად არავინ არ ჩაუთვალა“ („სიზმრის ქორწილი“, 70), ის თავს ხშირად გრძნობს მიტოვებულად და შერისხულად, „გულწრფელობისთვის დასჯილ ქალად!“ (84), ვინც „გაფრენილ სიყმაწვილეს ღობე-ღობე სდევს!“ (95), ვინც ფერადი კაბებით მალავს თავის სიმარტოვესა და ტკივილებს („ნუ გაიოცებ“, 85).

თუმცა ქალი უპირველესად მაინც დედაა და შემდეგ – პოეტი; ამის დასტურია ჟუჟუნა შაინიძის მიძღვნითი ლექსები – მირზას და მინდიას: „შიში,“„იავნანა“, „ორი მტევანი“ და ყველა დედის უპირველესი სათხოვარი უფლისადმი:

„არა მქნა უბედასაწყევარი,
არ გამიწბილო ღამისთევანი,
და საქართველოს – ვაზს მსხმოიარეს
შემატე ჩემი ორი მტევანი!“ (61)

ჟუჟუნა შაინიძე მშვენივრად გვაგრძნობინებს იმ ქალის პასუხისმგებლობის სიმძიმეს, ვისაც ერთდროულად უწევს ზიდოს შვილის, დედის, მეუღლის, პოეტის, მოქალაქის ტვირთი, ვისაც არ აქვს უფლება დაღლის, წუწუნის, დასვენების, მხოლოდ საკუთარ სურვილებზე ფიქრის, მას არავინ ანებივრებს, ერთადერთი რამ შეუძლია მხოლოდ – გაექცეს საკუთარ „მეს“:

„ისევ გავრბივარ...
მივაჟღარუნებ დაწყვეტამდე დაჭიმულ ნერვებს.
და თუმცა მიჭირს,

მაინც უნდა გავიქცე, რადგან
საბავშვო ბაღის ნაცრისფერ და მძიმე კარებთან
შესაბრალისად ატუზულ ბავშვებს
როგორმე დროზე მივგვარო დედა“.
(„გაქცევა“, 124)

პოეტი-ქალი მზის შვილია, რომელსაც ფრთები დამსხვრევია, ვერ დაუძლევია მწვანე დედამიწის მიზიდულობა, თუმცა ლაჟვარდში ლაღად ფრენის სურვილიც არანაკლებია, ეს წინააღმდეგობა აშფოთებს მუდმივად „ცოდვის მორევში ჩაძირულ უფრთებო ბავშვს“ („მზის შვილი“, 37); მხოლოდ უფლის ხელით თუ გამოიჩეკებიან პოეტის ლექსები, მას შემდეგ, რაც:

„ფიქრების ბადეს გაარღვევენ და
შეღინღლულ ფრთებს აფრთხიალებენ,
სწუხან,
ბორგავენ,
ჟღურტულებენ,
მიიჩქარიან...“
(„ჩემი ლექსები“, 10)

შემოქმედი უფრთხილდება სულ ახლახან ბუდიდან აფრენილ საკუთარ „ცრემლივით წრფელ, უცოდველი მინდვრის ყვავილივით“ ლექსებს, რათა ხალხის ჯგლეთაში არ გაითელოს, უსულგულო ბრბოში არ ჩაიკარგოს, რადგან ძნელია გზის გაკვლევა, საკუთარი სავალი ბილიკის მოძებნა. ამ დროს ერთადერთ მხსნელად ისევ უფალი თუ მოევლინება ხელოვანს, ის მიუთითებს სწორ გზაზე:

„და როცა უთქმელ ლექსივით ვდუმვარ...
ცის კარებს ხსნის და
მეძახის ღმერთი“ (30).

უფალი უგზავნის პოეტ-ქალს უსათუთეს სიყვარულის ბარათებს (89), „თეთრი ტკივილიც“ ათასჯერ შეახსენებს პოეტს თავს, ათასჯერ განუახლებსა და აგრძნობინებს უფლის დიდი ნატვრის – სულის მღელვარებას („თეთრი ტკივილი“, 13); ასე მოდის პოეზია, სწორედ თავისი სინაზის ძალით რომ გვიზიდავს, რომელშიც იქარგება სიტყვები იებად, ამიტომაც, თუ ერთხელ გაეხვიე პოეზიის მახეში, ვეღარასოდეს დააღწევ თავს: ის ხან მზეწვიასავით გეწვევა ტირილით, რათა გულში ამოიხლართოს სტრიქონებად („შენს გულში“, 28), ხან იის ლურჯ ღიმილში ამოანათებს: „სამაია“ – „იების მთვარე“ – „ცვარედები“ (99-107) – ამ ციკლის ლექსებში მთავარი სიტყვა-სიმბოლო, რა თქმა უნდა, ლურჯთვალა პატარა იაა – „გაზაფხულის ცა რომ ამოჰყავს პეშვით“, უმანკო მშვენიერება, მორცხვი, „თვალებციმციმა იების მთვარე“, მიღმიერი სამყაროც იისფერია, პოეტსაც მისი ხილვა მხოლოდ იის თვალებით შეუძლია:

„გზაარეულ, მბორგავ სამყაროს
სიცხიან შუბლზე
დავაფინე
იის ფოთოლი!“ (100)

დიახ, პოეზია ღვთის შვილია, ევაა, „პირველ სტრიქონად გამოძერწილი“ მარადიული სინორჩე („ლექსის სიურჩით“, 53); ამასთან ერთად, პოეტისთვის მუდმივი ფერისცვალებაა დამახასიათებელი – „კვირტობისთვიდან უკანასკნელ ფოთოლცვენამდე“ („პოეტი“, 81), თუმცა პოეტი-ქალი არ თამაშობს, მისი სიცილიც გულწრფელია და ტირილიც, არც ნიღაბი სჭირდება და არც – გარდასახვა:

„მე ვთამაშობ ჩემივ ცხოვრებას,
როგორც სცენაზე მსახიობებს სხვისი განცდები,
ისე გადამაქვს თეთრ ფურცელზე ჩემივე ყოფა,
ამოპირული სევდა-ნაღველით!“
(„არჩეულ როლის“, 88)

ესაა ოღონდ, ცხოვრების რეჟისორი სასტიკია, შეუბრალებელია, დაუნდობელია, თითოეული დაცემა და მარცხი თმაში თითო სპეტაკ ფიფქს უმატებს, ამიტომაც ასე ხშირია „ტკივილის მონოლოგები“ (24). ჟუჟუნა შაინიძის პოეზიაშიც ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვებია სევდა, ნაღველი, ტკივილი, მწუხარება:

„ჯერ ერთი სიტყვაც უტკივილოდ არ მიმღერია,
და ზეცის ბაღში მოყვავილე სევდაც ჩემია!“
(„სონეტი დაკარგულ საყურეზე“, 90)

თუკი პოეტი-ქალი ბავშვობაში ფერად კენჭებს აგროვებდა, ახლა ფერად აბებს აგროვებს, რადგან ერთხელაც ზღვამ წარიტაცა მისი ფერადკენჭებიანი ბავშვობა; ამის შემდეგ მან სევდის შეგროვება დაიწყო:

„ჯერ გული ამევსო, მერე თვალები...
და, ჰა, ერთხელაც ამოსკდა და ამომღელვარდა,
სევდის ვეებერთელა ზღვა და თეთრ ფურცელზე
მუქ იისფერ სტრიქონებად დაიყვავილა.
მე მომიხმობდა ზღვის რუხ-მლაშე სიმხურვალეში,
მშიერ მგელივით აყმუვლებული ჩემი ბავშვობა“.
(„შავი გუბიდან,“ 128)

პოეტ-ქალს მარადიული სევდა თან სდევს, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ნამდვილი შემოქმედი მუდამ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის, ებრძვის უდაბნოს ხორშაკს, ცდილობს მიწისა და ზეცის გაერთიანებას, ტკივილის დამალვას და მის პოეზიად გარდაქმნას („ქრიან ქარები“, 20).

იმდენად ყოვლისმომცველია ეს გრძნობები, რომ ერთ ლექსში პოეტი ოცნებობს კიდეც, იქნებ, ამ „დალისდალალება და ვარსკვლავხალიან“ საოცარ ღამეს მაინც ჩაიშალოს მისი ეს მარადიული პაემანი სევდასთან (31).

როცა პოეტის სევდა გაუსაძლისი ხდება, იმედიც საბოლოოდ გადაეწურება და თავს „ფეტვმიყრილ“ ეთერად გრძნობს, რომელსაც მურმანიც კი უარყოფს, მხოლოდ ერთი გზა რჩება – ზღვის ტალღებს მოუხმოს მესაიდუმლედ, მსმენელად და დარდის გამზიარებლად, ნაღვლიანი სიმღერით მას გაანდოს თავისი აფორიაქებული სულის ტკივილი („სიმღერა ზღვასთან“, 22) – ასე იწერება მღელვარე „ზღვის სონეტები“:

„ზღვაურო ჩემო, მონელაო და მოწამწამო,
შარშანწინდელიც მახსოვს შენი ის სანაპირი,
ზღვის ნანდაურო, მორწეულო, მონა წაწალო,
მომაძებნინე ჩემი სევდის ჩუმი ნაპირი“ (114).

ზღვა არის ქვეყნიერების დასაწყისიც და დასასრულიც, ისაა მთელი სამყარო, უფრო მეტი, ცაც მისი ანარეკლია – „ზესკნელის სარკით ასარკული შენი პროფილი“ (116).

ზღვა ზოგჯერ ნაღვლიანად, შავად და ავად იცქირება, ზოგჯერ ლურჯად ააბიბინებს თვალებს, ზოგჯერ ისე „მინაზნელაობს“, თითქოს წინა დღის „ნაავდარები“ აღარც ახსოვს (118), ვნებით გალეშილი თოლიებიც ეხეთქებიან ზღვის ტალღებს (114), მაგრამ ვერც ზღვა შველის პოეტის სევდას, რადგან „ცრემლიც ზღვა არი, ზღვის წვეთია, ზღვისგან შობილი“ (116).

მაშინ ისღა დარჩენია პოეტს, რომ მშობლიურ, ფაფარივით ნისლდაყრილ მთებს მიაშუროს, რომელთაც განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს მისთვის. ამ თეთრი ნისლებიდან, რომლებიც უფლის ერთგული მხედრებივით, თეთრი რაშებივით მოთქარუნებენ, იშვა პოეტი-ქალიც, აქაა მისი ფესვები:

„ვით უფლის წიგნის თეთრი ფურცელი,
მეც შენი თეთრი ნისლიდან ვიშვი,
ნენივრას თეთრი თავსაბურველი,
მხრებს მაფენია თეთრობის ნისლი“.
(„თეთრობის ნისლი“, 5)

სულ სხვანაირი განთიადები იცის მთაში: იქ დილის კარი თვით უფლის ხელით იღება, ირმები უფლისავე ხელით ჩამოდგმული ხელადიდან „სვამენ ნისლებს“, მთები ვერცხლისფრად ელავენ, ხოლო ქონგურების „ჟღარუნა სიზმრებს“ მინდორ-ველებში უმშვენიერეს მელოდიებად მიმოფანტავს მთის ნიავი („მთის განთიადი“, 6).

განსაკუთრებით შთამბეჭდავია გოდერძის უღელტეხილზე მთქორავი ნისლები, მზის პირველი სხივებით აცისკროვნებული სამყარო („უღელტეხილთან“, 6).

მთების გენიალური მომღერლის – ვაჟას პოეზიის შემდეგ რამ უნდა გაგვაკვირვოს ან რა სიახლე უნდა დავინახოთ მთების მხატვრულ სახეებში, მაგრამ, ნიჭიერმა მთიელმა ქალმა-პოეტმა, ჟუჟუნა შაინიძემ შეძლო მისეული თვალით დანახულ-განცდილი მთების მომხიბვლელობის დახატვა. მის პოეზიაში მთა და ნისლი დამოუკიდებელი სიმბოლური მნიშვნელობის კონცეპტებია, ისინი ლექსიდან ლექსში გადადიან, ახალ-ახალი კონოტაციით მდიდრდებიან და საბოლოოდ ქმნიან ერთიან სურათს – ზვიადი, ამაყი, თითქოს შორეული და, ამავდროულად, საოცრად ახლობელი მთებისა, რომლებსაც განუყრელად თან ახლავს, როგორც გენიალური ვაჟა იტყოდა, მათი „კაცობის გვირგვინი“:

„მოისხა მთამან მხარზე ნისლი –
გულისა ჯავრი,
მაპკურა ცამან ცრემლი მისი –
მბრწყინავი ცვარი“.
(„მოისხა მთამან მხარზე ნისლი...“, 7)

ერთი უმთავრესი კონოტაცია კონცეპტისა მთა – თავისუფლებაა. პოეტი-ქალიც, მიწას მიჯაჭ-ვული, როცა ბორკილების ჟღარუნი ესმის, საშველად მთებს მიაშურებს, იქ არბის „თეთრი შველი-ვით“ („მთებს“, 7), იქ უბრუნდება სილაღის შეგრძნება, იქ ხვდება, რომ, მიუხედავად წუთისოფლის მუხანათობისა, კიდევ ერთხელ გადარჩა მისი სიტყვა, კიდევ ერთხელ შეისხა ფრთები და მზადაა გასაფრენად, ამიტომაც ევედრება დედამიწას: „ჩემი ფიქრები – თოთო ბარტყები, დამიფრთიანე ფრთებით არწივის“ („დედაო მიწავ“, 8).

სწორედ მთაში კრეფს პოეტი-ქალი უმშვენიერეს ოქროსფერ მეტაფორებს – მზის დალალებს, ივსება მთის სურნელით, ფერებით, მზის ენერგიით, ჩანჩქერის სიცილით:

„ვეშვები მთიდან – ისევ ბარისკენ,
სავსე ვარ ცით და ციურ ცხოვრებით,
მადლობელი ვარ, რაც აქ დავკრიფე,
დაუკრეფავი მეტაფორები“.
(„მთის სურნელებით“, 8)

მზის ემბაზში განბანილი მთის ლურჯი ბალახი კი, რომელსაც პოეტთან მოაქვს წინაპართა ფიქ-რი და სევდა, „სულში სიმღერად ამოღაღანდება“ („ლურჯი ბალახი“, 9).

მთაში წელიწადის ყველა დროს განსაკუთრებული ხიბლი აქვს, რაღაც სხვანაირად დგება შემო-დგომაცა და გაზაფხულიც, სხვანაირ ფერებით იწვის აისიცა და დაისიც. ამის შემხედვარე პოეტი მხოლოდ ასე ლამაზად და ასეთ ფანტასტიკურ გარემოში სიკვდილს თუ ინატრებს:

„ფერისცვალებას აქ სხვა ფერი აქვს,
რა გულუხვია უცხო მხატვარი,
თაგოს მთა მოჰგავს მზისფერ ფერიას,
თეთრობი – თეთრონს ნისლის ფაფარით“.
(„მთის შემოდგომა“, 14)

„მშობლიურ მთებში“ (17) – ეს ლექსი ადრე დაღუპულ მთისშვილ პოეტს – ლევან გელაძეს ეძღვნე-ბა. ლექსი გამორჩეულია თავისი სახისმეტყველებით, ტროპებით, დედააზრით. აჭარის მთები ხომ საქართველოს მთელ ისტორიას იტევენ და ინახავენ, აქ თითოეული ბილიკი ხევში თუ თითოეული ქვა წარსულის მემატიანეა, მისი ნაკვალევი ატყვია, ამიტომაც ასე ორგანულად გაისმის ლექსში დიდი დავით აღმაშენებლისა თუ თამარ მეფის ხსენება, ამიტომაც პოეტთან ერთად გვიხარია, რომ:

„ბებერი ხიხანი
დგას ისევ მეფურად
მტრისკენ მოზიდული მშვილდი!
და სხალთის ტაძარი –
ქალწული მწყაზარი,
თეთრად აღვლენილი ლოცვა“ (18).

მთები უფლის დალოცვილია, ამიტომ ვინც მას ნახავს, გულისკარს ვეღარ დაუხურავს, „მთების თეთრი სული“ შეიპყრობს და სამუდამოდ დაიმონებს. შემთხვევით არ აქვს ეპიგრაფად წამძღვა-

რებული ჟუჟუნა შაინიძის ერთ-ერთ ლექსს რაფიელ ერისთავის სტრიქონი – „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“ („ჩემს საირმიას“ 18).

მთებში ადამიანი ზეცასთან ყველაზე ახლოს გრძნობს თავს, თითქოს უფლის სუნთქვაც ელამუნება:

„ანთია ზეცა – უფლის პეშვიდან
იფრქვევა ტკბილი სევდის სურნელი“ (18).

იმპრესიონისტული ტილოს შთაბეჭდილებას ტოვებს ბავშვობის ხსოვნაში ჩარჩენილი მთის სურათი: მკითხველის თვალწინ „ქათქათა ყელიანი“ ნისლებიდან ამოცურდება „თეთრობი – თეთრონი დარახტული“, რომლის ზურგზეც უამრავი ფერი ირევა: მაყვლისფერი, მწვანე, ატმისფერი, იელისფერი – ისინი ერთმანეთში გადადიან და ათასფერად ჩანჩქერად იღვრებიან. ამ ფანტასტიკურ სურათს კი აცოცხლებს და რეალურ სუნთქვას სძენს „ბარიდან აბარგული მთიელი“. („თეთრობი ბავშვობის ხსოვნაში“, 67).

მშვენიერი, ცოცხალი პოეტური ჩანახატია „მონატრება“: გაღუღუნებულ ბუხართან შემომსხდარი, განდაგანას კილოზე მოღიღინე, „ზეცის გახსნის მომლოდინე, მეოცნებე თვალებიანი“ სოფლის დედაქალები, აჭარული კოლორიტითა და ხალხური იუმორით შეფერილი დიალოგი გრძელ, თოვლიან ღამეს მოჭორავე ქალებისა და ზამთრის იდუმალი პეიზაჟი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს:

„ითენთება ზამთრის ღამე,
ქათქათა და მთრთოლვარე,
და საკვამურს დამხობილი,
იჭვარტლება მთოვარე!“
(„მონატრება“, 93)

ასე ნელ-ნელა ჩამოიცლება ალაგ სევდიანად, ალაგ უფრო იმედიანად „თვეების კრიალოსანი“ (108-122) მთაშიც და ბარშიც:

„თიბათვის ცელით იცელება სურვილი მწველი,
თივის სურნელი მოჰყოლია ტრფობის ბარათებს“ (108).

მთის ასული პოეტი-ქალის გული აგვისტოს ზეცასავით მხურვალეა, სიმაღლეთა მოტრფიალეა, მთის მდინარის საწინააღმდეგოდ მიცურავს (109), მამულის სადარაჯოზე დგას, რადგან იცის – ყველა დროში „ქართულ გენს მტერზე უფრო რაღაც შიგნიდან ღრღნიდა“ (111), ეძებს სამშობლოსათვის საჭირო სიტყვებს და ისევ და ისევ უფალს შესთხოვს:

„და ჩემს სამშობლოს ასე მართალს და ასე დაღლილს!
გზა აპოვნინე – გზათაშორის გზაა მთავარი!“ (113)

ასე იხატება სტრიქონ-სტრიქონ, საოცრად ბათუმურ-აჭარული, კოლორიტული მეტაფორა-შედარებებით პოეტი-ქალის არა მარტო შემოქმედებითი, არამედ ფსიქოლოგიური პორტრეტიც:

„და კვნესის გული როგორც ნაპირი,
თოლიებისგან მიტოვებული“ (25).
„არ ვიცი, გული ასე რატომ წარსულის ტყვეა,
სად იგრაგნება ეტრატივით ღრუბელი შავი...“ (23).
„ხვრეპს ღრუბელს ყანწით მთვრალი საღამო“ (40).
„სულში ტკივილი ჭოროხივით დაიტოტება“ (85) და ა. შ.

ჩვენს თვალწინ წარმოდგება სამშობლოს ბედით დადარდიანებული ქართველი მამულიშვილი, სიყვარულის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ქალი, თავდადებული დედა და ერთგული მეუღლე და, რაც მთავარია, დიდი პოეტური სუნთქვით დაჯილდოებული ხელოვანი, ვისაც შეუძლია თავისი ტკივილი და სიხარული, რეალობაცა და ოცნებაც მკითხველს გაუზიაროს, უფრო მეტი, მთის ბალახის – „მარიამხელას“ მსგავსად, სალბუნად დაედოს ადამიანების სულის ჭრილობებს:

„მარიამხელა – სისხლა ბალახო
სასწაულქმედო ღვთისშობლის ხელო“ (3).

პოეტი-ქალის განწყობილება, ხმა და სტილი ეპოქების ცვლილების კვალდაკვალ იცვლება: ახალგაზრდული რომანტიზმით შებურვილ „იების მთვარეს“ (2000) დუმილის ფილოსოფიას ნაზიარები, ცხოვრებისეული წინააღმდეგობებით დახუნძლული „გრამატიკა თევზებისთვის“ (2014) ცვლის, რომლის სტრიქონებს შინაგანი ილუმინაციით ანათებს „ნაიარევი ნალურსმევი ხელისგულებით“ (5) კაცობრიობის გადარჩენისთვის ჯვარცმული უფლის ხატება და პოეტიც ის ღვთივკურთხეული ადამიანია, „ვინც ბედავს ეკლიანი გზების ძიებას“; მას სწორედ ამიტომ ჰქვია შემოქმედიც და ამიტომ „ის ხდება უფლის არსებობის თანაზიარი“ (34), ვინც ცხოვრობს საკუთარ ენაში, როგორც საკუთარ სახლში (44).

ამას მოსდევს საკუთარ არსებაში კიდევ უფრო ჩაღრმავება, საკუთარი „მეს“ ძირისძირობამდე განჩხრეკის, თვითრეფლექსიის დაუძლეველი სურვილი, სამყაროში ადგილის ძიებისა და განსაზღვრის ცდები – კრებულში „ვინ-მე არა-ვინ“ (2019) – იცვლება რიტმი, დინამიკა და გრაფიკაც პოეტური სტრიქონებისა; დატეხილია არა მარტო სტრიქონები, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სიტყვის დაუნაწევრებლად, ერთიანად წარმოთქმის ილაჯიც აღარ შერჩენია პოეტს. იმდენად მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია ყელში მობჯენილი სათქმელი – დამარცვლით, ასო-ასო მოაქვს ის მკითხველამდე ჟუჟუნა შაინიძეს, მისი უმთავრესი გზავნილი კი ასე გამოიყურება:

„ამ წიგნს
ვწერ შენზე,
ვინც გ ა ბ ე დ ე
ამ ჯამბაზ დროში,
არა უბრალოდ
ა რ ს ე ბ ო ბ ა,
არამედ ყოფნა“ (3).

ასე ძველთაძველი, იგავმიუწვდენელი სილამაზის ქართული ანბანით იქმნება ლირიკული მოზაიკა, რომლის მთავარმა ნახატმა უნდა გვიჩვენოს ცისა და მიწის გაუცხოების დაძლევის, ლაჟვა-

რდისფერი, უმანკო, ფეერიული გრძნობებისა და მიწიერი გიჟური ვნებების შერიგების, ღვთიური უპირველესი სიტყვის პოეზიაში მოქცევის მისტერია; ამიტომაც „მკვლელი, ყალბი, მთვრალი, მაქცია, ბნელი, ფუჭი“ დრო-ჟამის მსგავსად მიედინება და მიიგრიხება სტრიქონებიც, რომლებიდანაც წვეთავს სწრაფწარმავალი დროის შხამი და ფიზიკურად შეგვაგრძნობინებს მის დაუნდობლობას:

„მ
კ
ვ
ლ
ელია
ეს დრო –
მთვარით
მთვრალი
ავი მაქცია,
მ
კ
ვ
ლ
ელია
ეს დრო –
ვინც ცოცხალიც
მკვდარად მაქცია...“ (14)

პოეტი უფალივით მარტოობითაა დაჯილდოებული, მასავით ეკლიან გზებზე დადის და დაეძებს ღვთის ანაბეჭდს ადამიანში – ასეთია პირველი პოეტი-ქალი ევა და ასე შეიქმნა პირველი სიტყვები:

„აი ია,
აი თი-თი,
აი ვაშლი“ (39).

შემდეგ კი პოეტი-ქალი დაეძებს იმ ერთადერთ სანატრელ სიტყვას, „ბნელშიც მზედ რომ გამინათებს“ (66), აგროვებს „რითმის ჭრელ მზითევს, ჭრელ ლექსების ჭრელ მართვეს“ (66).

ჟუჟუნა შაინიძის შემოქმედების ამ ზოგადი მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ მან შეძლო მშვენიერი, ფერადოვანი, ალაგ სევდიანი, ალაგ – უფრო იმედიანი ლექსების მზითევის შეკრება, თავისი სათქმელის მხოლოდ მისეული ხმით, სტილითა და მანერით გამოხატვა, პოეტი-ქალის ორიგინალური შემოქმედებითი პორტრეტის გამოძერწვა, მკითხველის გულის მონადირებაცა და ქართული პოეზიის ანთოლოგიაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაც.

ჟუჟუნა შაინიძე ნამდვილად არაორდინალური, დიდი შინაგანი კულტურისა და სულიერი სიმდიდრის მქონე შემოქმედია, რომლის პიროვნების შეცნობა მხოლოდ მისი მრავალფეროვანი, მდიდარი პოეზიით შეიძლება, მასშია კონცენტრირებული პოეტი-ქალის სულიერი ბიოგრაფია, ინტელექტი, სამყაროს ინდივიდუალური ხედვა; რაც უფრო შედიხარ პოეტის ლექსების ზღვის სიღრმეში, მით უფრო გიზიდავს, სულ სხვა ფერადები და სიღრმეები გადაიშლება შენს თვალწინ, უფრო ახლობე-

ლი და მშობლიური ხდება პოეტის განცდებიც და უფრო მკაფიოდ იკვეთება მისი შემოქმედებითი პორტრეტიც.

ლექსში „სადა ხართ?“ ჟუჟუნა შაინიძე წერს:

„აქ გულწრფელობის ფასად
შერჩები მღილს და მცოცავს,
შემფასებელი – ასი,
დამფასებელი – ცოტა“ (11).

არ ვიცი, როგორი შემფასებელი ვარ, მე მხოლოდ ვცადე ჩემ მიერ დანახული პოეტი-ქალის შემოქმედებითი პორტრეტის დახატვა მისივე პოეზიის მიხედვით, მაგრამ ნამდვილად დასაფასებელია ის ორიგინალური, უაღრესად გულწრფელი, დიდი შინაგანი ტკივილით სავსე ლამაზი და დახვეწილი სტრიქონები, რომლებიც ასე უხვადაა წარმოდგენილი ჟუჟუნა შაინიძის მშვენიერ პოეტურ კრებულებში, რომლებიც ესთეტიკურადაც გატკბობენ, დიდ საფიქრალსაც გიჩენენ და ბევრ კითხვაზე პასუხსაც გაძლევენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შაინიძე ჟუჟუნა, „იების მთვარე“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2000;
2. შაინიძე ჟუჟუნა, „გრამატიკა თევზებისთვის“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2014;
3. შაინიძე ჟუჟუნა, „ვინ-მე არა-ვინ“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2019.

მაღლაფ ჩოხარაძე

კვირეებივით გამოსხმული დარდი



გამომცემლობა „აჭარამ“ 2021 წელს გამოსცა პაატა აბაშიძის ლექსების, მოთხრობების და ჩანახატების კრებული „იქნებ“. კრებულის გამოცემა თავისთავად გულისხმობს გარკვეული ეტაპის ნაღვაწისა და ნაჯაფარის შეჯამებას. ასეთი შეჯამება საინტერესოა ნებისმიერ შემთხვევაში, მაგრამ მითუფრო საინტერესოა და ღირებული, როცა საქმე გვაქვს თვისებრივად მდიდარ შემოქმედებასთან. ამ სიმდიდრეში, ცხადია, არ იგულისხმება ტექსტების რაოდენობა ან, თუნდაც თემატური მრავალფეროვნება... გამოსახვის ფორმებზე, პოეტურ ოსტატობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მთავარი არის ღრმა განცდა, რომლის წიაღიც შობს გრძნობას და აზრს. „იქნებ“ არ არის ერთგვაროვანი და ერთსახოვანი კრებული, მაგრამ საზოგადო სურათის წარმოდგენას თუ შევეცდებით, უნდა ვთქვათ, რომ პაატა აბაშიძის წიგნში უპირველესად, თვალსაჩინოა სწორედ ღრმა განცდა და, შესაბამისად, თანამდევი ემოცია, – ფიქრით, სულის ტკივილით, მთელი თაობის ტვირთით, ანუ ჩვენი აბსურდული რეალობით ნაშობი ემოცია...

ძიებათა გზა არ არის იოლად სავალი, მაგრამ უკვე თვალსაჩინოა, რომ პაატა აბაშიძე თანდათან გამოჰკვეთს საკუთარი ხმას, საკუთარ პოეტურ თვალთხედვას, ხელწერას და დიახაც საინტერესო საკუთარ სამყაროს.

ამ სამყაროს ნაწილია პოეტის სული და, რა თქმა უნდა, დროთა მდინარებაზე დაფიქრებაც, რაც ლექსში „ნახვამდის“ თითქოს სხვათა შორის დასმული რიტორიკული კითხვით იწყება:

„მერე იყო და არა იყო – ან იყო, ნეტა?!
ფიქრის სიჩქარით რომ გაქანდა ეს ცრუ ცხოვრება...
მერე მე დავრჩი საწვალებლად, ანუ პოეტად,
ვისაც შენი ხმა ზედმიწევნით ემახსოვრება“...

ალბათ მომავალშიც მრავალგზის დასვამენ კითხვებს ყოფიერების ბუნებაზე და ამ კითხვებზე პასუხის ძებნას კვლავაც ფილოსოფიურ, ეთიკურ, მხატვრულ ასპექტებს გაიხსენებენ. ცხადია, მივიხედ-მოვიხედავთ კიდეც და ამ მიმოხედვისას იქნებ ისიც გაგვახსენდეს, რომ „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არრა იზრუნვოს“... ეს ცნობილი სიბრძნეა, რომელიც გვსმენია კიდეც, ბევრჯერ გაგვიმეორებია, მოყვასთათვის ჭკუის

დასარიგებლადაც გამოგვიყენებია ალბათ არაერთგზის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ყველა თავისთვის ეძებს... თავის სულთან და ცხოვრებასთან დარჩენილი ეძებს ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხს და... აქ მინდოდა მეთქვა – ან პოულობს, ან – ვერა-მეთქი... მაგრამ ასე ნათქვამიც მეტისმეტად ოპტიმისტური მგონია. იმიტომ რომ ამ კითხვებზე უეჭვო პასუხის პოვნა საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი შემოქმედისთვის, ვფიქრობ, შეუძლებელია...

გათენდება და სახლიდანაც გაგასახლებენ,
რომ დაიღალე, რომ ჩავარდი, რომ ვეღარ ზიდავ
სიმულაციურ სიცოცხლეს და ჯვარს საგოლგოთეს.
იქნებ შეცდომით დაიბადე და ის არა ხარ,
ვინც უნდა იყო... დაგზაფრეს და გაგაბოროტეს,
ნება მოგცეს რომ შეასრულო თავის დამარხვა... –

წერს პოეტი და ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ლირიკა მაინც ემოციურის უპირატესობაა რაციონალურზე, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს ჯერ მედიტაციურობას – ყოფიერების მარადიულ პრობლემებზე ჩაფიქრებას, თვითჩაღრმავებას, შემდეგ სწორედ ამ ემოციის, ემოციური მდგომარეობის, შთაგონების გადმოცემის უნარს.

ხომ გულიანად ნათქვამია:

მთაში გავასწროთ ზამთრის ამინდებს
და ერთი ლუკმა ლექსი გავიყოთ.
წამოდი, მთაში ერთად წავიდეთ,
წამოდი, მაგის რჯულიც არ იყოს!

მაგრამ ამის გვერდით ერთი სტროფიც უნდა მოვიყვანო:

ეს წვიმა მალე დელგმას მოიტანს,
ეს ლექსი
მალე დაიფერფლება.
ახლა ლექსმაც რომ თავი მოიკლას,
დამიჯერე,
ვერ ავეფარები...

ან... კიდევ ერთიც და თანაც მეტი ემოციით სავსე:

არის არც თუ ისე ხშირი მომენტები,
როცა იკუმშება ყველა არტერია.
როცა მარტოობენ ლოთი პოეტები
და ლექსს კი არ წერენ, ფანჯრიდან ხტებიან...

აღარ ჩავყვები და ჩათვალეთ, რომ ეს სტროფები მხოლოდ ემოციური მუხტისთვის მოვიყვანე... რილკე მიმართავდა ახალგაზრდა პოეტებს და წერდა: „ჩაღრმავდით საკუთარ თავში, ეძებეთ იდუმალი ხმის ის სათავე, წერისკენ რომ მოგიწოდებთ... გამოუტყდით საკუთარ თავს – მოკვდებოდით თუ არა, თქვენთვის წერა რომ აეკრძალათ. თუკი თქვენ ამ სერიოზულ კითხვას მტკიცედ და უბრალოდ უპასუხებთ: „მე უნდა ვწერო“ მაშინ თქვენი ცხოვრების გზაც განისაზღვრება ამ აუცილებლობის ტვირთით“!... აქ ბევრის გახსენება შეიძლება კიდევ. თუნდაც პაოლოს: „გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა ლექსის მადანი და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ შეხვდები“... მაგრამ სწორედ

ამ „მე უნდა ვწერო“ -ს პარალელურად, იქვე, მასთან ერთად და მის გვერდით, ალბათ ნებისმიერი შემოქმედისთვის, ხანდახან მაინც, გამოკრთება ეჭვიც – იქნებ არსებობს სხვა გზა... გზა, რომელსაც არ ახლავს ამდენი კითხვა, ამდენი ფიქრი, ამდენი ბრძოლა საკუთარ თავთან და ამქვეყნიური რეალობის ქაოსთან და კიდევ მეტიც – იქნებ არსებობს გზა, საიდანაც ეს ქაოსი საერთოდ არ ჩანს და ირგვლივ ყველაფერი დაწყობილ-დალაგებული და მარტივია?.. უნდა ვაღიაროთ, რომ ტყუილი იმედია პოეტისთვის ამგვარი გზის ძიება. „გულიდან გამონატან“ გარანდულ თუ გაურანდავ (ზოგჯერ მაინც...) სტრიქონებში ხანდახან გამომკრთალი ეჭვიც ალბათ ძიებათა ყველაზე რთული მონაკვეთის ფრაგმენტია, და, ამასთან ერთად, კიდევ ერთი მკაფიო პასუხი ზემოხსენებულ კითხვაზე, პასუხი, რომელიც გულისხმობს „საწვალებლად, ანუ პოეტად“ ყოფნას.

ჰოდა, რაღა გასაკვირია „კვირტებივით გამოსხმული“ დარდი („შენგან განსხვავებით“)... დარდის მიზეზი კი ბევრი რამ შეიძლება იყოს: სიყვარული და მარტოობა, მიწა და მამული, წარსული და აწმყო, მტერი და მოყვარე, სიცოცხლე და სიკვდილი, მიტოვებული სოფელი, და მრავალი სხვა – გულში ჩამარხული თუ ხატოვანი სიტყვების სიმბოლურ რკალში მოქცეული:

„არვის უკითხავს რა გიჭირსო – იქამდე,
ვიდრე
ბოლთისცემით და ბოლო ბოლის გამონაბოლქვით,
თვალდახუჭული სიარულით არ წავიმტვრიე
სული, რომელიც ბავშვივით რჩება ობოლი
და ობოლივით ვეღარც ხვდება რაზე იტიროს“.

თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა ითქვას იმ სისადავის და გულწრფელობის შესახებ, ამ კრებულში შეტანილი არაერთი ლექსის, მოთხრობის, ჩანახატის თანამდევი რომაა, უნდა ითქვას სათქმელის გამოხატვის იმ მანერის შესახებ, გულგრილს რომ ვერ დატოვებს მკითხველს:

„თავი დაუხრიათ ნისლებს,
ახლა უშენობა მავსებს.
განა უარს ვამბობ?! – გიშვებ,
ოღონდ, ნუ დამტოვებ ასეთს.
ასეთს – უშენოს და მშიერს,
ასეთს – უამინდოს ნისლში.
მერე რა ვუშველო ფიქრებს,
თორემ წასვლას კი არ გიშლი“!

ეს სითბო შესამჩნევია, კრებულის თანამდევია... მაგრამ, მეორე მხრივ, ერთხელაც ვიტყვი, რომ პოეტური შთაგონების საფუძველი ხშირად სწორედ ჩვენი რეალობაა, თანამედროვე ყოფის კონკრეტულ ფაქტებია. ჰოდა, შესაბამისია ემოციაც, ლექსიკაც, გამოხატვის მანერაც... რადგან ჩვენებური, ქართული რეალობის ნაფლეთია, მაგალითად, ესეც:

„წუხელ ერთმა ახალგაზრდა
ლოთმა ხალხი აიყვანა მძევლად და თუ კანონს არ მიიღებს მთავრობა,
კაზინოების
დახურვა-გაუქმებაზე,

ამ
ხალხს
დავხოცავო.
ძალიან უსწავლელი და უზრდელი ბიჭი ჩანდა.
როგორ უნდა მოეკლა ხალხი!
არ ვიცი...
არ ვიცი“...

დიახაც შეიძლება საუბარი პოეტური ინდივიდუალობის დეტალებსა თუ ძიებათა რთული გზის შთაბეჭდილებებზე, მაგრამ ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ კრებულში ვერ იპოვი ცხოვრების ტალღებს მინებებული, მოდუნებული და მორჩილი კაცის განცდას, ვერც კონფორმიზმის მყუდრო წიაღს, ვერც საკუთარ თავში ჩაკეტილის განაპირებას... პირიქით აქ ჩაღრმავებისკენ სწრაფვაა, საკუთარი სულის ჭვრეტაა, ნიჰილიზმით და აბსურდით სავსე ჩვენს ყოველდღიურობაში ანუ ძველი თუ ახალი, მამათა თუ შვილთა თაობის დაუსრულებელ ქაოსში ადგილის ძიებაა და იქნებ ამიტომ ესოდენ თვალსაჩინოა არცთუ მარტივად გასაგები ტრაგიკული შრეებიც, როგორც სწორედ ზემოხსენებული თანამედროვე ყოფის კონკრეტულ ფაქტების, ულევი ჭირ-ვარამის მიერ სულში დატოვებული ნაჭდევები:

„წუხელ მთვარის შუქზე (სავსემთვარეობას),
შენს ეზოში იყო, ხესთან ჩემი ჩრდილი.
ცოტა რომ მქონოდა თავმოყვარეობაც,
იქნებ ამ ცხოვრებას უფრო შევიცვლიდი
უკეთესობისკენ, თორემ უარესი
რა იქნება აწი, ან რა არ იქნება“...

სხვა შემთხვევაში სულიერ შფოთვას შესაძლოა, უფრო კონკრეტული საფუძველიც ჰქონდეს, თუმცა ამაოების განცდა აქაც თვალსაჩინოა:

„აქ ვეღარ შველიან ტკივილებს,
არ უჩანთ ეს სახეც შიშველი.
ადექი, გაცურე ტივივით;
ადექი და ეს ზღვა იშვილე,
თორემ ხომ ხედავ, რომ ვარდები...
ზღვის გარდა შენ ვინღა გიშველის!
ნამდვილი მხოლოდ ეს ზღვა არის,
ყალბია ყოფა და აწმყო და...
დაწერე ამ ზღვაზე ზღაპარი“...

რაღა გასაკვირია, რომ ეს გზა ზოგჯერ უკიდურესობამდე მიდის:

„დალაგებულან მთაზე ნისლები,
რას შევეხიზნო, ვის შევეთავსო.
არტერიები გადავიხსენი
და შენ იღიმი – რაღაც წვეთავსო“.

კრებულის თემატურ რკალთა შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გარდაცვლილი მამის ხსოვნა. ცხადია, ეს თემა ფიქრით და ტკივილით არის სავსე. მამის მხატვრული სახე არაერთ ლექსშია წარმოდგენილი. საოცრად შთამბეჭდავია ემოცია ჩანახატისა „მამაჩემი გავხდი“:

„ერთ დღესაც ავდექი და მამაჩემი გავხდი.
მივდექი, მოვდექი და მამაჩემი გავხდი. მამა მომენატრა და მამაჩემი გავხდი.
გავიხადე ბავშვობა, ჩავიცვი მამაჩემის სული და მამაჩემი გავხდი“....

გარდაცვლილი მამის ხსოვნისადმი პატივისცემა ლექსიდან ლექსში გადადის („კაკანათი“, „მიწაშავო“, „გვიან დასაწერი ლექსი“...), თითქოს გრძელდება საუბრები, ცოცხლდება წარსულის სურათები, თითქოს თაობათა ურთიერთობა კი არ შეწყდა, ფორმა შეიცვალა... მაგრამ ობიექტური რეალობის გადაწერა შეუძლებელია და მონატრების გრძნობის დაძლევაც წარმოუდგენლად ძნელი:

„ახლა რომ აქ მყავდე („აქ“ – ჩვენს სახლზე ვამბობ),
კედელზე შენს ფოტოს ვინ ჩამოკიდებდა.
არა – შენი ფოტოს ხარისხს მე კი არ ვგმობ,
უბრალოდ, თუ აქ ხარ, რაღაში მჭირდება
ფოტო შავ ჩარჩოში?!
ბარბაცი მეტყობა უკვე ნაბიჯებში,
ასაკიც მომყვება, რომ ჰკითხო – მამშვენებს
და ვგავარ მეც იმ ბავშვს, რომელსაც ჯიბეში
არ უდევს ხურდა და... და მაინც დაეძებს,
გულს რომ დააჯეროს“.

კრებულის კიდევ ერთი თემატური რკალია ომი: ომზე, ომის გამო და ომის შედეგების გამო დაწერილი ლექსები მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს თანამედროვე საქართველოს პირმოუკრავი იარების თემას. რამდენადაც სავსეა ეს ჭრილობები ტკივილით და სისხლით, იმდენად სულისშემძვრელია პოეტური ხატები:

„დღეს რომ ასე შორია ეშერა და ოქუმი,
რა მიგიყვანს იქამდე, თვითონ თუ ვერ ბრუნდება.
ნააბორტალ ბავშვივით სისხლში გდია სოხუმი...
ცხვირს მეც ვაცემინებ და... მე ვინ რას მეუბნება“!

მაინცადამაინც ეს ფრაგმენტი კი იმისთვისაც მოვიყვანე, რომ ყურადღების მიღმა არ დამრჩენოდა თითქოს სხვათა შორის, შემპარავად, მაგრამ მაინც რაღაცნაირი გულისდამწყვეტი მიზანმიმართულობით ჩაწნული ალუზია. ცხადია, შოთა ნიშნიანიძის „აფხაზურ კანტატას“ ვგულისხმობ:

„ჩვენს მონადირეს აჯავრებდნენ თქვენი ჩხიკვები,
ბევრჯერ ეგ თხებიც ჩვენს ქანჩახებს რქებით ეკიდა
და მორდუ აქეთ თუ როდესმე დააცხიკვებდა, –
ხვიჩას სიცოცხლე! – ეძახოდნენ აფხაზეთიდან“...

და კიდევ ერთი ტრაგიკული ნასკვთაგანი ჩვენი რეალობისა ისაა, რომ გზადაგზა, თანდათან... არა მხოლოდ ამ თაობისთვის – უფროდაუფრო ნაკლები ადგილი რჩება ოპტიმიზმისთვის:

„საქართველოს – თუ იცი, ისე ნაზი ყელი აქვს,
დანა უფრო უხდება ყელზე, კოცნის მაგივრად.
ტელევიზორს რომ ვრთავ და აფხაზეთზე ჰყვებიან,
შვილებს ვტოვებ ოთახში და მე გარეთ გავდივარ“...

და აქვე ჩვენი ეპოქის კიდევ ერთი ტრაგედია: რუსეთის აგრესია უკრაინაში – საქართველოს ბედთან გადაწნული ომი. ცხადია, ეს თემა 2021 წელს გამოცემულ წიგნში ვერ მოხვდებოდა, ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები მერე დაიწერა, უფრო გვიან, 2022 წელს:

...„მარიუპოლში თოჯინები უკვე მოგუდეს,
„და გაზაფხულიც არ მოსულა და ზამთარია.
მარიუპოლში ნუ გაგზავნით საკვებ პროდუქტებს
ბავშვებისთვის, რომ იქ ბავშვები აღარც არიან.
არ შეიძლება დაავიწყდე, ან (და) გამორჩე
იქაურ ტყვიებს, მოგაგნებენ, მერე პირწმინდად...
და შენც ასეთ დროს ღმერთო, დროა, იქნებ გამოჩნდე!
გამოჩნდი, მაგრამ ცოტა ფრთხილად – ტყვიები ცვივა“!

ომის თემა თანაბარი ტკივილით ეხება საქართველოს დღევანდელობასაც და წარსულსაც. ცხადია, აქ კაზმულსიტყვაობის, როგორც მეხსიერების მხატვრული ინტერპრეტაციის, ემოციური შრეზეც შეიძლება მინიშნება და ეპოქის სპეციფიკურ ნიშანთა მთელ სისტემაზეც, მხატვრული ტექსტის წიაღში რომაა ხოლმე ჩაწნული.

„სელჩუკის აღსარება“ დიდგორის ომზეა, ოღონდ ალესილი ხმლით მოსული და დამარცხებული მტრის თვალით დანახულ ომზე. აქ დათო ტურაშვილის „ჯგრაგის“ ხსენებაც შეიძლება (უფრო მთხრობელს ვგულისხმობ – ალ ქალად იბნ ედჩინ ილაზს, თუმცა, არა წმიდა გიორგის მოტივს), მაგრამ პაატა აბაშიძის ლექსის სათქმელი სხვაა... თავდაპირველად სელჩუკთა არმიის მეომარი იქადნება: „დავუდს... ჩავუქრობ მზეს“; „გიაურთა სისხლით მთა-ბარი უნდა მოვლაშტო“... მოკლედ, ახლა ის დროა, ძლევამოსილი და მრავალრიცხოვანი ჯარის წინაშე შიშით უნდა თრთოდნენ ქართველებიო! ტრაბახა სელჩუკის თავგამოდებიდან მალე აღარაფერი რჩება. „ძლევაი საკვირველი“ გადარჩენის შანსსაც აღარ უტოვებს მომხდურს:

„ისე ლამაზად შემოგვიტია
ქრისტეს ლაშქარმა... ვინ გაპატიებს!
დედა კი არა, რჯული გვიტირა ჯურზის სულთანმა“...

როგორ არ გავიხსენო იოსებ ნონეშვილის ცნობილი სიტყვები: „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“... ქართველთა გამარჯვებების მონატრება მგონია დიდგორის თემის და მოტივის ერთ-ერთი საფუძველი. ჰოდა, შემოძახილიცაა სელჩუკის მონოლოგი: „ვათანს რომ ერი ასე დაიცავს – იმ ერს რა მოჰკლავს!“ შემოძახილი იმიტომ, რომ თუ ბეჯითად არ ვიცით, გვსმენია მაინც, რომ „აწმყო

შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“... დღეს გამარჯვებები არ ჩანს და ტაშის გრიალიც კომუნიზმის მშენებელთა ჩამონგრეულმა ხარაჩოებმა ჩაიყოლა. ჰოდა წარსულის გააზრებამ და სადიდგულო ისტორიულმა ფაქტებმა იქნებ მართლა გამორიცხოს მარცხზე შეჩვევის დაშვებაც კი... თუმცა საომარი ჯაჭვის ჩაწყვეტილი საღილეებიც თითო-თითოდ უნდა ვთვალოთ, სხვანაირად წარმოუდგენელია გამარჯვების ბილიკზე შედგომა:

„გუშინ დავწერე, ვეფხის ტყავზე ჩემი დიდება,
გუშინწინ დიდი ომი მქონდა, მოვრწყე დიდგორი.
ახლა დახეთქილ სისხლძარღვებზე სისხლი დედდება
და სადაცაა სულს მიხუთავს, ისე მიბორგავს
ეს გადაღლილი და დაღლილი, ისე დაღლილი
სული,
რომ ყველა შარა და გზა მოაგოლგოთა.
ვერ შევიკარი საომარი ჯაჭვის საღილე
და ბაზალეთი სირცხვილივით შემომრჩა, ჰოდა
კი ვჭამე ასე სირცხვილივით ბევრი ღალატი“...

ამ თემაზე და კიდევ სხვა, არაერთ თემაზე უფრო ღრმად ჩაყოლა ღირს და იმსახურებს კიდეც ამას პაატა აბაშიძის კრებული, მიუხედავად ამისა, მე კიდევ ერთ ფრაგმენტს მოვიყვან ამ უკანასკნელი (უსათაურო) ლექსიდან და ამას დავჯერდები:

„რა ბანალურად წერენ ჩემზე ლექსებს და ცრემლი
ისე ჩამოსდით, რომ მარილის აღარ აქვს გემო.
ერთი ნაგლეჯი მიწა დამრჩა, წყალი – ნაწრეტი,
და მკვდრები – ბევრი,
უფრო ბევრი,
ვიდრე საჩემოდ
მოსეული ყვავების დუნდგა“...

ამ ტკივილიანი თემით და სტრიქონებით დავასრულებ ამჯერად და ერთხელაც გავიმეორებ, რომ სათქმელის ამოწურვა არც დამისახავს მიზნად. მხოლოდ ჩემი, როგორც მკითხველის, შთაბეჭდილებათა გადმოცემა ვცადე, რადგან „იქნებ“ ის წიგნია, ლექსების, ჩანახატების, მოთხრობების ის კრებულია, რომელსაც გვერდს გვერდს აუვლი და, შესაბამისად, ვერც გულსგარეთ დატოვებ!

ჭოროხი 4

2022

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2022 malkhaz.pagava@gmail.com